ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისარი

5

1978

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ბაგბაგაძე

მხატვარი მამია ახრობაძე
(პორტრეტი დახატულია სპეციალურად
ჟურნალ „ცისკრისთვის")

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

252

გამოცემის მეოცე წელი

5

მაისი

1978

თბილისი

სსრ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

3. გიორგი ნატროშვილი — ნათელი შუქურა

პროზა, პოეზია

6. ოთარ შალამბერიძე — ეს არის ჩემი კონსტიტუცია. ლექსი

7. ნუგზარ ფერეთელი — ლირიკული რვეულიდან. ლექსები

11. რევაზ ინანიშვილი — ჩემი საყვალი სიყვარული. მოთხრობები

27. თიდო ბექიშვილი — ლექსები

28. ირაკლი ბაზაძე — ლექსები

32. ელგუჯა მერაბიშვილი — მოთხრობები

49. მანანა ჩიტიშვილი — ლექსები

51. ვიქტორ კახნიაშვილი — ლექსები

53. ვაჟა ჩორნაული — ლექსები

55. დათო მაღრაძე — ლექსები

57. მიხო მორჩილაძე — ნიკას ოთხი დღე. მოთხრობა

ჩემი ილია

96. მანანა აპალიშვილი — „შენ ხარ ალმაზოდილი ღვთისებაკმდე კაცთ ბუნებისა“. თიდო ბექიშვილი — ძნელია ილიაზე ფიქრა. ლაშა თაბუკაშვილი — მარად ბაგუკი ილია. ჯარეჯი ფხოველი — დიდი მგმეზავი. მურმან ჯაფუტრია — ლექსი. ბადრი ჭოლოველიძე — ნათელი

კრიტიკა

102. ჯანსუღ ფანჯიკილია — ზეგეგება ღალატია

107. აკაკი ბაკრაძე — კანონგრიკის სიცივე

დიალოგი

120. ის ფრჩვნია მამულსა...

მეცნიერება

135. გურამ აბრამიშვილი, ზაზა ალექსიძე — მხედრული დაფფერლების სათვისებთან

პირველი შთაბეჭდილება

145. რეზო კაკაძე — ახალი, აკადემიური; ნერგი მინაშვილი—საყურადღებო ფიქნები; თამეურ გიორგაძე — კოტის ალლო; ბადალთან არაფული — სანინტერესო ქრმეული; ნოსო სიფუა — გაცრუებული მოლოდინის კოეზია; რევაზ ჩხარეიშვილი — მფეფლის ახალი სიცოცხლე.

სპორტი

152. უფანეი ბეგინაძე — ფეხვეფრა ოცდაათი წლის ფემდეგ

სატირა, იუმორი, პაროდია

156. ითონა ველინსკა — არ გათეთრდების ყორანი... პოლონურიდან თარგმნა ფ. ამირანაშვილმა

158. კულტურული ცხოვრების ქრონიკა

მთავარი რედაქტორი
გურამ ფანჯიკიძე

სარედაქციო კოლეგია:
ვაჟა ანიბერეიშვილი, გურამ გვერდწითელი, გივი გეგეჭკორი, რისკოვა გორდეზიანი, გიორგი გუგლეი, ნოდარ დუმბაძე, მერაბ ელიეიშვილი, ედუარდ მელაძე, იოსებ ორჯონიკიძე, ოთარ ფაჩკორია
(მთ. რედაქტორის მოადგილე),
ჯანსუღ ჩარკვიანი, ნუგზარ ფერეთელი, ტარიელ ფანტურია, რეზო ფეიფველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ნატროშვილი

ნათელი შუქურა

საბჭოთა საქართველოს ახალი, რიგით მეოთხე კონსტიტუცია, რომელიც ერთხმად მიიღო და დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრე მოწვევის რიგგარეშე მერვე სესიამ, თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია სოციალისტური ინტერნაციონალიზმის მაღალი და წმინდა იდეალებით, ხალხთა მეგობრობის კეთილშობილური გრძნობით; ყოველივე ეს საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილების საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს, ყოველივე ეს თვით საბჭოთა ეპოქის ფუნებიდან გამომდინარეობს; ეს არის ცოცხალი განსახიერება დიდი ლენინის ანდერძისა, რომელიც გვავალებს თვალისჩინებივით გავფფრთხილდეთ ხალხთა ურაკვეტ მეგობრობას, ჩვენი ყველა ისტორიული გამარჯვების ამ უპირველეს საფუძველს.

აქ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ეს ინტერნაციონალიზმი ლენინის საუკუნის, ოქტომბრის საუკუნის ნათელი გამოსხივებაა და გამოხატულებაა; დიახ, ახლია იგი, მაგრამ მას აქვს უძველესი ისტორიული ფესვები; ეს ფესვები, ძალიან ღრმად წასულნი საუკუნეებში, ისე ცოცხალნი არიან, და მათ არ შეიძლება თვალი არ გაადევნოს კაცმა, ვისაც კაცობრობის ბედი და თავისი ქვეყნის ბედი აინტერესებს. და აი, როგორც მატიანე გვამცნობს, ჩვენმა მამაცმა წინაპრებმა, მტერს რომ მტრულად უუფლებოდნენ, ამავე დროს მეგობრობის ფასიც იცოდნენ და სულ მეგობრების ძებნაში იყვნენ. ამ გრძნობამ ისე გაიდგა ფესვი მათ სულში, ისე გაუჯდათ ძვალრბილში, რომ იგი მათი მსოფლშეგრძნობის ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილად ექცა: და უველაზე უკეთესი, რაც შექმნა ქართულმა ენამ, ეს იყო პოეტა ხალხთა მეგობრობაზე, უკვდავი ნაწარმოები, რომელსაც იმდროინდელ მსოფლიოში ბადალს ძნელად მოუძებნით; რამდენჯერაც უნდა გადაიკითხო ეს საოცარი წიგნი, სულ ერთია, მან არ შეიძლება არ გაგაოცოს, არ განგაცვიფროს, ათასი რამით არ მოგზიბლოს, არ დაგაძაბვინოს, და მათ შორის იმითაც, რომ უმღერის მთელი პლანეტის ხალხთა მეგობრობას, თითქოს მის ავტორს ჩვენს შორის, მეოცე საუკუნეში ეცხოვროს, თითქოს თავისი თვალით ენახოს მსოფლიოს ხალხთა სწრაფვა ერთ-ურთისაკენ! ვინღა არ არის აქ ნახსენები — ინდო-არაბ-საბერძნეთი, მაშრიყი და მაღრიბი, რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი.

ეს რაღაც ცალკეული და იმ დროისათვის აუსწავლელი ამბავი კი არა, ჩვენი ხალხის მსოფლშეგრძნობა იყო, გამოხატული არა, მარტო „ავეფხისტყაოსანში", არამედ მასზე ადრინდელ თუ მომდევნო ეპოქების მხატვრულ ძეგლებში, ქართულ ფოლკლორში, ქართულ ყოფაში... მაგრამ მკაცრი იყო დრო, დამპყრობელთა ხისწლიან თარეშს ფართო ასპარეზი ჰქონდა; ამიტომ ყველფერი ეს — ოცნებად რჩებოდა. ხალხთა ძმობაზე ოცნებობდნენ ჩვენი წინაპრები, გადიოდა საუკუნეები, იბრძოდნენ, ხისწლისაგან იცლებოდნენ ხალხები, ვიდრე დადგებოდა დღე, როცა დაიწერებოდა და დაიდებოდა დიდი ისტორიული ფიცი, ხალხთა ძმობის ისტორიის თავადარ კანონად რომ აქცევდა. ეს იყო დღე, როცა შეიქმნა საბჭოთა კავშირი, საბჭოთა ხალხების ძმური ოჯახი. ეს ფიცი დაიდო ამ ექვსი ათეული წლის წინ და ეს ძმადშეფიცვა ისეთი უძლეველი გამოდგა, რომ მან გაუძლო ყველაზე დიდსა და საშინელ ქარტეხილებს, ყველაზე ძმლვარი მტრების შემოსევებს. სოციალიზმის ძლევამოსილი წინსვლა ვერაფერმა ვერ შეაფერხა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა, საბჭოთა კავშირის ახალ კონსტიტუციის განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ცხოვრების კანონი უწოდა. ასევე თქმის საბჭოთა საქართველოს ახალ კონსტიტუციაზე, რომელიც დფუძნებულია სსრ კავშირის კონსტიტუციის პრინციპებსა და საფუძვლებზე.

საქართველოს ახალი კონსტიტუცია შეიცავს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უადრესად ფართო წრეს: ეს არის შრომის, დას-

ვენების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, კულტურის მიღწევების გამოყენების, მეცნიერული და მხატვრული შემოქმედების თავისუფლების უფლებები. კონსტიტუციის რომელ მუხლს დაჰხედავ, რომელ სტრაქონებს ჩაიკითხავ, რომ თვალი სიხარეთით არ გაგიბრწყინდეს! ყველგან ჩანს სახელმწიფოს მედგმივი და განუწყვეტელი ზრუნვა ძველი და ახალი ქართული კულტურის, ქართული ხელოვნების, ქართული მწერლობის მიმართ. ასეთია, კერძოდ, მუხლი 27:

„სახელმწიფო ზრუნავს იმისათვის, რომ დაიცვას, აშენალოს და ფართოდ გამოიყენოს სულიერი ღირებულებანი საბჭოთა ადამიანების ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდისათვის, მათი კულტურული დონის ასამაღლებლად.

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ყოველნაირად ეწყობა ხელი პროფესიული ხელოვნებისა და ხალხური მხატვრული შემოქმედების განვითარებას“.

ძველი ქართული კულტურის დაცვის თვალსაზრისით ასევე განსაზღვრული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს კონსტიტუციის 66-ე მუხლს, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ისტორიული ძეგლებისა და სხვა კულტურულ ღირებულებათა დაცვა-შენახვისათვის ზრუნვა საქართველოს სსრ მოქალაქეთა მოვალეობაა“.

მუხლი 75-ე გვაუწყებს: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.

საქართველოს სსრ რესპუბლიკაა ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას ქართული ენის ყოველმხრივი განვითარებისათვის და უზრუნველყოფს მის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურის, განათლებისა და სხვა დაწესებულებებში.

საქართველოს სსრ-ში ეროვნულის ან ორგანოებისა და დაწესებულებებში, უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული და სხვა ენებისა, რომლებთთაც მოსახლეობა სარგებლობს. რაიმე პრივილეგია ან შეზღუდვა ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება“.

ქართული ენა — საბჭოთა სახელმწიფოს გაუფუყვეტელი ზრუნვის საგანი იყო, არის და იქნება მომავალშიც. ამ წერილის დასაწყისში ჩვენ ქართველი კაცის ბუნებისა და ხასიათის ისტორიულ ფესვებზე ვლაპარაკობდით; აქაც არ შეიძლება არ გადავხედოთ ისტორიას. უხოვარ დროიდან დაწყებული, ქართველი კაცი შედგა გუფათი ბერძენები ენით გამოუთქვეს ხიეკარულს თავიდ დედა-ენისადმი. XI საუკუნის ძეგლში — გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში „ცხოვრება ოიანელი და ეკვთიმესი“. მოთხრობილია სოფიარი ამბავი ამის შესახებ, თუ რაგ ახსნა კაცი ხიკდილი-საგან. ოთრმე კონსტანტინეპოლში, ბავშვობის წლებიდან მძე

ნ ყავანილ და ბერძნულად ბაზსავლელ ექვთიმეს, სრულიად დავიწყეს ქართული ენა. გავიდა ხანი და მძიმე ავადმყოფობამ შეიპყრო. სასიკეთილო აგონიაში მყოფს, სენაკში შუადამისას წარმოუდგა ღვთისმშობელი, და ჰკითხა: „რაგ არს, რაგ ეკლესის (ტკეცვა), ექვთიმე?“ „ვკვდები დედოფალო!“ როგორც კი ეს გიგრძნა, მოჩჩენება მიეახლა, მაჯაში ჩასჭიდა ხელი და უთხრა: „არარაგი არს ვნება შენ თანა, ნუ გეშინინან, ადგედ და ქართულად იუბნე“. იმ წუთამდეი ძლიერ უჭირდა ექვთიმეს ქართული („ძნიად უბნობნ ქართულად“) და დიდად ნაღვლობდა ამის გამო. ამ ღამეს კი წამოდგა და დაიწყო ლაპარაკი ქართულად „დაუყოვნებელად, ვითარცა წყაროთ აღმოდგინ უწმინდეს ყოველთა ქართველთასა“.

ასე გამოსტაკცა კაცი სიკვდილს დედა-ენამ, უკვდავმა და მარადღეესმა. ამ სიმბოლოში იყო დიდი აზრი, რწმენა და სიყვარული ენისადმი. გამოჩენილმა რუსმა ფილოლოგმა ა. ვესელოვსკიმ ეს ქართული თქმულება მთელ მსოფლიო ლიტერატურაში სამაგალითოდ მიიჩნია, როგორც განსაკვირებელი ქმნილება ადამიანის შთაგონების ღვთაებრივ მადლზე!

რის თქმა უნდოდა ამით გიორგი მთაწმინდელს? იმისი, რომ ხალხი, თავის ენას რომ ჰკარგავს, ამით ის ჰკარგავს სიცოცხლეს, თავის ადგილს ისტორიაში. მთელი თავისი მრავალფეროვნებით ისტორიის მანძილზე, ქართველი ხალხი იცავდა თავის დედა ენას ხიხლილის უკანასკნელ წვეთამდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. რამდენი მაგალითი ახსოვს ისტორიას, როცა კაცი ხფრთხეზე ადგებდა თავის სიცოცხლეს, ოღონდ გადაეჩინა წეგნები და ხელნაწერები, ქართული კულტურის უძვირფასესი ძეგლები. ივანე ჯავახიშვილის წიგნში „დამწერლობათ მეცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“, მოტანილია ცნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ უცხოეთში მყოფი ქართველი, მატაცებულ ქართულ წიგნებს რომ წაიწყვეტდიდა, ისე გაეხარეგდიდა, თითქოს თვისტომი, ცოცხალი ადამიანი ენახოს. ტანსაცმელს გაიხდიდა და გაპყიდდა, რომ ის წიგნი შეეძინა და სამშობლოში დაებრუნებინა. ქართველი მხედარი თავის ხაუკეთესო ცხენს იმეტებდა წიგნისათვის, იარაღსაც კი არ იშურებდა. წიგნების ტკეეობიდან დაახსნან დიდი ჯეფლმოდგინეებით ცდილობდნენო, ვვაუწყებს ივ. ჯავახიშვილი და ამის დასადასტურებლად მოჰყავს ამონაწერები, რომლებშიც წიგნებზე ისეეე ლაპარაკობენ, ისეეე სწუხან მათი ბედის გამო, ისეეე მოსტირიან ტკეეობაში ჩავარდნილ წიგნებს, როგორც ცოცხალ ადამიანებს. ეს მეტყველებს თუ რაოდენ დიდი იყო ქართველი ხალხნი სიყვარული დედა-ენისა; შეიძლება თქვას, ის გადაგებულია თავისუფლების სიყვარულთან, სამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შობლოს სიყვარულთან, სოციალნლის სიყვარულთან.

აი რა იყო და რა არის ჩვენთვის დედა-ენა.

სოციალისტურმა რევოლუციამ აღგვა პირისაგან მიწისა ყოველგვარი ჩაგვრა, ყოველგვარი მჩაგვრელები და ქართული ენასაც ამერიდან წინსვლის და აღორძინების უფართოესი ასპარეზი მიეცა. პუვავის და იფურჩქნება ქართული კულტურა და წინსვლის გზაზე ახალ-ახალ მწვერვალებს იპყრობს. ქართული ენაც თავისი ისტორიის მთელ მანძილზე არასოდეს არ ჰქონია ისეთი გასაქანი, როგორც დღეს. ქართული ენა და ქართული კულტურა კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის განუწყვეტელი და მუდმივი ზრუნვის საგანია.

ზემოთ მე უკვე ვთქვი, რომ ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ და ეს თვით ჩვენს ბუნებაშია; იაკობ გოგებაშვილის ანდერძი იყო. შეისწავლეთ მშობლიური ენა, დაიცავით იგი; ესაა ადამიანისათვის ეროვნული გზა, როგორც მშობლიური, ისე საკაცობრიო კულტურის შესათვისებლადო. მაგრამ იაკობი არა მარტო უდიდესი პატრიოტი, არამედ უდიდესი ინტერნაციონალისტი იყო. 1905 წელს „ცნობას ფურცელში“ (№ 2905) დაობენდა იაკობ გოგებაშვილის წერილი „რუსული ენა ქართულ სახალხო სკოლებში“; ამ წერილში დიდი მოკრძალებულე წერდა: „ქართული ენა მეეკეველ და მსმენელ არსებად ხდის ქართველ გლეხსა და მუშას მარტოოდენ ქართველთა შორის. ხოლო მათ იშვიათად არა აქვთ ხანმეტ არაქართველებთანაც, რომლებმაც ქართული ენა არ იციან. ამ შემთხვევაში ჩვენი მუშა და გლეხი ხდებიან ყრუდ და მუნჯად. ხსვებს. მეხი არაფერი ესმით და არც მას ესმის ხსვნა. მათ ეს დიდ დაბრკოლებად მიაჩნიათ და სურთ თავიდან აიცილონ იგი, მაგრამ რა გზით? ამისთანა ენის ხაშუალებით, რომელიც მეტ-ნაკლებობით იციან ხსვა კაკვასიის ხალხებმა, რომელიც ხალხთა შორის ენას წარმოადგენს. ამისთანა ენა, როგორც მკითხველს მოეხსენება არის, ახლანდელ პირობებში რუსული ენა, ჩვენებური ვლეხი და მუშა გრძნობს, რომ ამ უკანასკნელის ენის ცოდნა გამოიყენონ ვიწრო კალაპოტიდან, სარბიელს გაუფართოვებს, ხსვა ხალხებთან დაახლოვებს და გაუხსნის დიდ ბაზარს“.

ქართველი ხალხი იაკობის ამ ანდერძს ერთგულად მისდევს. რუსული ენის მნიშვნელობა დღეს განუზომლად გაიზარდა და ქართველი კაცი ულრმესი პატივისცემით ეპყრობა დიდი რუსი ხალხის ენას, პუშკინის და ლენინის ენას.

ხაქართველოს ხსრ ახალი კონსტიტუციაგანვითარებული სოციალიზმის ეპოქის ხაქართველოს ნათელი და ცოცხალი სურათია, კომუნიზმის მშენებლობის ეპოქის დიადი მანიფესტია, ეს არის ჩვენი წინსვლისა და გაშარჯვების ბრწყინვალე ნიშანსვეტი, ნათელი შუქურა კომუნიზმის გზაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ შალამბერიძე

ეს არის ჩვენი კონსტიტუცია

მშობელ ხალხს
თავის ღვიძლად უცვნია!
გმირულ ხალხს
თავის ღირსად უცვნია! —
ეს არის ჩემი,
ეს არის შენი,
ეს არის ჩვენი
კონსტიტუცია!

ენით ქართულით გვეალუბლება
და გვწამს:
არსებაც მისი გრძელია!
მივცეთ გზა ფართო
ყველა უფლებას,
რაც ამ პატარა წიგნში სწერია!..

სიტყვას სამზეოს და საკართანოს
ცხოვრება აქცევს თავის ღვთაებად;
ჩვენი ეპოქის წიგნი მართალი
შრომის ფერხულში უკვე ჩაება!

ეჭვის ღრუბელი ქარს გაატანს, —
ხალხის ხვედრია უცილობელი;
გზა მშვიდობისა,
წიგნო მართალო,
საუნჯე რომ ხარ შუქის მომფენი.

ერთგული ხელი გამოგვიწოდე
და უკვდავების წილად მობევრდი!
და გააგრძელე დიდი სიცოცხლე
იმ შენი დიდი წინამორბედის!

შენ გმართებს კვლავაც გაასალკლდევო,
თუ გულს დაეტყო ბზარიც მცირედი;
გზა მშვიდობისა
წიგნო — გზამკვლევო,
ნუმც მოგეშალოს ხვალის იმედი!

მშობელ ხალხს
თავის შვებად უცვნია!
გმირულ ხალხს
თავის ნებად უცვნია! —
ეს არის ჩემი,
ეს არის შენი,
ეს არის ჩვენი
კონსტიტუცია!

ენით ქართულით გვეალუბლება
და გვწამს:
არსებაც მისი გრძელია;
მივცეთ გზა ფართო
ყველა უფლებას,
რაც ამ პატარა წიგნში სწერია!

ლირიკული რეალიზმი

როგორ დაგტოვე

მაღალ კლდეებს და ზღვას შორის
ჩამჯდარს,
გაჭრილს სამყაროს ღვთაებრივ ფანჯრად,
დღემდე ვიგონებ მშვენიერ ფოროსს,
რომ მივაგენი ბოლოს და ბოლოს!
კლდეებზე ცოცვით წამოვა ჯანღი,
პიტალოს რეცხავს რძისფერი თქორი,
ზღვა იფარება მსუბუქი ნაღვლით,
სანატორიუმს არ ტოვებს ჭორი.
ნისლში ირწევა მაღალი ქალი
და მოჩანს, როგორც მსუბუქი ლანდი,
კვლავ იხაზება დაღლილი თვალით
სანანპიროთა კლაკნილი კანტი!
ავსებულია ჰაერი ნისლით,
ენებით,
სურნელით,
ფიჭვების ქერქით,
მბრუნავი ზღვა კი
ხრეშს ისე ისვრის,
როგორც წისქვილის დოლაბი ღერღილს!
ზოგჯერ სტიქია ზათქიან ქაფით
ისე ხელდება —
გიჭირს გაგება,
და ენარცხება უდაბურ ნაპირს
ზვირთად,
სვეტებად
თუ წახნაგებად!..
ამ წარმოდგენებს ადგას ნათელი
შენი ლამაზი სახის ოვალის,
უკვე თავთანაც ვეღარ ვმართლდები,
იმდენჯერ დამრჩა განცდა მოვალის.
იქნებ შემბოჭა სიმძიმემ წელთა,
ან დარხეულმა მიმწუხრის ზარმა,
შენს უნატფფეს ჭვავისფერ თმებთან
აღარ მომიშვა დეკემბრის ქარმა.
დრომ დაჩვეული გზებით მატარა,
ვის რა გასვლია როდისმე მასთან,
და გული მტკივა, —
ასე პატარა
როგორ დაგტოვე
ვეება ზღვასთან!

ბავშვობის ქალაქი

შენს ნაცნობ ქუჩებს,
შენს მყუდრო ქუჩებს,
ეს მერამდენედ ვხედავ და ვხედები,
დატვიფრულივით მაჩნია გულზე
შემოჯარული გარშემო მთები!
ნაცნობ მიდამოს,
ნაცნობ სიმწვანეს
გარდასულ დღეთა ელფერი მოსავს,
მე ის ლამაზი დღენიც მიცავენ,
რომ ამარიდონ ავდრების მოსვლას!
მე ის განცდები არ მციელდებიან
აქ რომ დგებიან წლების წიაღით,
გახუნებულან,
გაცცებულან,
და მაინც შერჩათ ძალა ნიადრის!
პატარა ქუჩებს,
პატარა სახლებს,
მოგონებათა სიცხადე მოსავს,
წლებმა რამდენი მიზანი დახრეს,
დამაახლოვეს ტკივილის მოსვლას!
ბევრჯერ დამაზრო იანვრის სუსხმა,
თუ უმძიმესმა კაცურმა სევდამ,
მე ზოგჯერ გულით მინდოდა სულ სხვა,
როცა ცხოვრება ძაღლივით მსდევდა!
როცა მავსებდა თქორი თუ თქვეში,
ანდა ცდუნებებს ვთმობდი იაფებს,
ხან ყაჩაღივით გავრბოდი მთებში,
ფრიალოებზე ვცდიდი წრიაპებს!
ხან დავეძებდი გზებს გამოვლილებს,
და აღარ ვთმობდი მას, რაც მებადა,
ვერ დავაოკე,
ვერ გამოვლიე
სურვილი ახალ შეჯახებათა!
ვერკინებოდი ავსა და ავსულს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშიშრად ვძლევდი ბილიკს ქვებიანს,
დრო და დრო ისე ვხედებოდი წარსულს,
ქალს უსაყვარლესს
როგორც ხვდებიან!
და ახლაც ჩემი ბავშვობის ქალაქს
შეყვარებულის თვალებით ვუმზერ,
მზის დამგუბველი მარადი ძალა
მალამოსავით მეცხება გულზე!

თუმც მგრძნობიარე სითბოს მიმართაც
გზას ვერ აცდება ჩემი ადალი,
ისევ მჭუხარე დღეებს მივმართავ,
ისევ გუგუნში მესმის ახალი!
სხვა ფიქრმა უნდა მალაპარაკოს,
დღეების მძაფრი რიტმით მოსილი,
შენ კი, ბავშვობის მყუდრო ქალაქო,
მკერდზე მიგიბნევ ავგაროზივით!

●

აქ იყო ჩემი გზა და მიზანი,
აქ იყო ჩემი პური და წყალი,
სავალი იყო სავსე ხიფათით,
ჩამოქუფრული ცაც იყო მწყრალი!
ქარი ხმიერი და უცაბედი,
ვით გაგრძელება მარადი ძებნის,
ჩამსისინებდა,
რომ არასოდეს
არ გამჩენოდა სურვილი მხლებლის!
წარსული ვრცელი მომდევდა უკან
და შეკითხვების მაყრიდა სეტყვას,
წინ კი ჰორიზონტს
უფრო მსუსხავი

და შეუვალი ღრუბელი ერტყა!
როგორ,
რამდენი,
სად თუ სანამდე, —
წოიდა ქარი გამწყრალი ციდან,
ძალა უხვში და უხიოვი
მიმაქანებდა,
მსინჯავდა,
მცდიდა!
არ ვიცილებდი იმედს თუ რწმენას,
მისით ველოდი სასურველ დარებს,
და როგორც წერო, მწკრივს მოწყვეტილი,
ფრთებზე ვეკიდე თებერვლის ქარებს!

შეხვედრა ჯვარზე

ქედზე ეკიდა მზე ცეცხლისფერი,
როგორც სპილენძის ვეება ფარი,
არ ქვეყნიური,
იქნებ ღვთიური,
იდგა მცხეთაში მაისის დარი!
თბთქოს აქამდის არც კი მენახა
შორს მიმცურავი გემივით ჯვარი
და სარკინეთის მთებში სხივებად
აბოლებული ათასი კვარი!
თითქოს აქამდის არც კი მენახა
მამული — სავსე წარსულის ჯავრით,
ვით პომპეუსის ნახიდარები,
გადაფარული ცისფერი ჭვალით!
შორს ობელისკი,
როგორც სანთელი,
ენთო მამულის ტრფობის მარაგით,
და ხეობაში
ბედაურივით
მოთამაშებდა თეთრი არაგვი!

თვითმფრინავები
დანის პირივით
სერავდნენ ზეცას, ნაზს და უხაზავს,
საუკუნენი დაფარფატებდნენ
არმაზს,
ისე, ვით მუმლი მუხასა!
მტკვრისპირ ნანგრევი ანტიოქეის —
იყო წარსულის მცირე ნაწილი,
იდგა ფირუზის სვეტიცსოველი,
როგორც ნიშანი თავის განწირვის!
და ყველაფერი იყო მაღალი,
შთამაგონები მხოლოდ სიწმინდის,
თითქოს ლერწმებით შეკრული ჯვრიდან
მეც სათნოების ჯვარსვე ვიწნიდი!
იხლართებოდნენ ქედზე სხივები,
ვით წინაპართა პრიალა ხმლები,
და ისევ ერტყნენ მამულს მცველებად
სარკინეთის და
კარსანის მთები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოვლი დიდ ქალაქში

ეს ოცი წელიც მართმევდა ღალას
და სინამდვილე იყო ზღაპარი,
რას გიპოვიდი, —
ვეება ქალაქს
ეფარა თოვლის მძიმე საფარი!
მთელი დღე თოვდა
და მაკვირვებდა
ცა — დაბამბული თოვლით მარადით,
თითქოს ხდებოდა ჩემთვის პირველად —
შეხვედრის სურვილს რომ ვერ ვმალავდი!
სულს ისევ აჩნდა მოურჩენ წყლულად
რაც არ ასვენებს,
ამღვრევს,
ამძიმებს,
მაინც გეძებდი,
არ მსურდა სულაც
დავნებებოდი წლებს და მანძილებს.
რას გიპოვიდი,
ვეება ქალაქს
ეფარა თოვლი, მძიმედ ნაქსოვი,
განვლილი წლებიც მართმევდნენ ღალას
და მიტოვებდნენ განცდას სახსოვრის.
სადღაც იყავი,
დათრთვილულ ქარში
შეფარებული შორეულ სახლებს,
მე, დარჩენილი
მწირივით კარში,
ქარს ვაყოლებდი
ფიქრსა და ზრახვებს!
თოვდა გადამმით
და მაკვირვებდა
ცა — დაწეული თოვლის სიუხვით,
მეჩვენებოდა:
თითქოს პირველად
ბუნებას უნნობ ზრახვას მივუხვდი!
რომ ყველა გზები, დღემდე მოვლილი,
ჩემთვის თუ შენთვის
იყო ნებითი,
რომ ჩვენი ლტოლვაც არის თოვლივით
უხვი,
ლამაზი
და დროებითი.
ეს ოცი წელიც მართმევდა ღალას
და სინამდვილე იყო ზღაპარი,
რას გიპოვიდი, —
ვეება ქალაქს
ეფარა თოვლის მძიმე საფარი.

გურამ რჩეულიშვილის გახსენება

გურამ გეგეშიძეს

თავს გვახსენებდა სიცივესავით
იმ გაუხუნარ დღეთა ხილვები,
გვსურდა წარსულის განმეორება,
ზამთარიც იდგა ჩვეულ ყინვებით!
გაბოლილ ქუჩებს მიაცურებდა
კვლავ მანქანების ჭრელი ნაკადი,
თითქოს ბევრი რამ იყო ახალი
და უფრო მეტი იყო აქამდი!
მისრიალებდა თოვლში ტრამვაი
და შორს რჩებოდა ცენტრი ქალაქის,
ჩვენ გვაგონებდა გარდასულ წუთებს
თოვლიც,
სიცილიც
და ლაპარაკიც!
ყინულად ქცეულს ვეება არხებს
ეფარათ თოვლის მძიმე ფარდები;
და გვამშვიდებდა იმის შეგრძნება,
რომ წინ გველოდა დღე უდარდელი!
სხვა საზრუნავი იმ დღეს არც გვქონდა,
გარდა სურვილის და გახსენების,
ჩანდა მოსკოვი —
გადახატული
ზამთრის კრიალა,
მკვეთრი ფერებით!
განზე გვივლიდა წლების ჯირითი
და ისევ ვერძნობდით მხარში ერთმანეთს,
ხეები ფიფქებს ისე გვაყრიდნენ,
თითქოს თოვლიან ქურქებს ფერთხავდნენ.
დაუვიწყარნი რბოდნენ დღეები
და წარუშლელი კვალიც დატოვეს,
ახლა ის კვალი ისევ ატყვიათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლებს,
ბულდაერებს,
საპარადოებს!
გვაგონდებოდა დღევანდელივით —
დრო, საოცარი ძალით მბრუნავი,
მიწური სახლი თოვლში და ქარში,
სახლი, რომელსაც ერქვა გურამი!
და გასიპული შესახვევიდან
გამოვარდნილი ქარი თებერვლის,
ქუჩებს რომ უცებ აანამქერებს
მოულოდნელი ერთი შებერვით!
დიდი ქალაქის მყუდრო ქუჩაზე
პატარა სახლი თოვლის აკვანში,
ისევ გვახსენებს დიდი ცხოვრების
სამარადჟამო ფურცელს გადამლილს!
დაფიქრებული ვაჟკაცი ბიჭი
გაჰყურებს ეზოს, თეთრად დაბარდნილს,
უკვე რამდენი რამე შეიქმნა,
მამულს რამდენი ფიქრი ჩაბარდა!
რამდენი კიდევ სულში ტრიალებს,
როგორც მსუსხავი ქარი თებერვლის,
ქუჩებს რომ უცებ აანამქერებს
ოოლიათური ერთი შებერვით!
ივსება მკერდიც ქარის სიმძლავრით,
მკვეთრი მიზნებით
და სურვილებით,
ასე მირბოდნენ,
ასე მიდიან
ჩვენი დღეები დაუსრულებლივ!
მოგონებათა რგოლი ათასი
უკან მოგვყვება ჩუმი ჟღარუნით,
ასე მოვედით,
ასე მივდივართ,
დარდით,
ოცნებით
და სიყვარულით!

რევაზ ინანიშვილი



ფშავლები

ეს მთლად ერთიანიცქნა ამბავია, თანაც დიდი ხნის წინათ მომხდარი — მაშინ ჯერ ისევ ალერსით მიცინოდა მზე — მაგრამ დღესაც მხიარული ზარივით წკარუნობს ჩემში, და მინდა კიდევ დიდხანს იხმაუროს, თვით მაშინაც კი, მე რომ აღარ ვიქნები ქვეყანაზე.

●

ჩარგალში, ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის აქეთ, პატარა სავაჭრო ფარდულში, სადაც ერთმანეთზეა მიჭუჭკული: დახლიდარი, წიგნები, რკინეული, ფეხსაცმელები, მოწყენილობა, პური, — ფქვილით სავსე ტომარას ჩასჭიდებოდა მკლავმაგარი ახალგაზრდა ფშაველი ქალი და, კარის ზღურბლზე მდგარს, ალერსიანი დაცინვით მიყურებდა, როდის მივზვდებოდი და გავატარებდი. მგონია, მალე მივხვდი. — აბაი, მოგიკვდა ჩემი თავი! — მოვუქცევ ვითომდა ფშავურად, გადავხტი, ტომარას ბოლოებში ჩავეჭიდე, ავუწიე. ქალს ჯერ დაბნეულობა გამოეხატა სახეზე, — არაო, ნუ შესწუხდებითო. მე გავუღიმე, — რა შეწუხებაა-მეთქი. მაშინ იმასაც გაეღიმა, ოდნავ ცარად აჭრილი ტუჩებით, ლამაზი კბილებით. ავწიეთ ის ტომარა, გავიტანეთ გარეთ. — დადგით ძირს, დიდი მადლობაო, — მაგრამ ვიგრძენი, ტომრის იქ დატოვება არ ჰქონდა განზრახული, ხელი არ გამიშვია, — წაიღოთ-მეთქი, — წაიღეთ. ის უკან-უკან მიდიოდა, თვალებს მარიდებდა, მე მეშინოდა, ტომრის ბოლოები არ გამშვებოდა, მივიტანეთ ოციოდე ნაბიჯზე მდგარ ბებერ წნორთან და იქ მივდგით. ქალიც შვებით აიმართა და მეც. ქალიც ღრმად სუნთქავდა, — მეც. ქალმა კიდევ უფრო ლამაზად გამიღიმა და საფეთქლებთან თმის სწორებით მითხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მადლობელი, ძმისავ! ღმერთიმც შეგიწევის სუყოველგან!

მე მთვრალივით ვიყავი, — პირველად ვნახე ვაჟას სამყარო, მისი სახლი — ხატის ნიშივით პატარა, ნაღვლიანი — მისი ნატერფალი ბილაკები, მისი ჩონგური, მისი თოფი, — თანაც ქარვისფრად გაბრწყინებულ ოქტომბრის დღეს, დიდ ტკბილ სიმშვიდეში. — და ამ სიტყვებმა, ამ — „ძმისავ!" — ხომ მუხლები მომკვეთა. დაბორიალებული, თვალისსამანწამლილი, წნორის ფესვზე დაკვექე, დაბლიდან ვუპაურებდი და ასე, დაბლიდან ვუთხარი ღიმილიანმა, ალერსიანმა, სევდიანმა:

ქმარი სადა გყავს, ბეჩავი,
მარტოს რად გიშვებს შარასა.

ქალი ერთი კი გაკვირვებით შეიმართა, მერე წამსვე მოეშვა და მაშინვე სიცილით მომძანთა:

ქვეშოთ, ჯინჭრებში დამორჩა,
არავინ მიიპარავსა.

მე, ამ პასუხით ატაცებული, მთლად გავთამამდი:

რათ გინდა ეგეთი კაცი,
მე გამამყევი, ხარასა.

ქალმა უკანდახეულის გამბედაობით შემომაგება:

შენ უთხარ აეგ სათქმელი,
ჩემს არ იყურებს არასა.

მინდოდა კიდევ რამე მეთქვა ასევე, ლექსად, ვეღარ მოვახერხე, სიცილი ამიტყდა. იცინოდა გამარჯვებულს სიცილით ქალიც. ჩავყავი იდაყვებში შერცხვენილმა თავი, მინდოდა დავმხობილიყავი მიწაზეც, ალბათ დავემხობოდი კიდეც, — უკვე უგრძნობლად ვიყავი მთვრალი, — მაგრამ აღარ დამცალდა. მოვიდა ის „ჯინჭრებში დარჩენილი", — წვერგაუპარსავი, ჩამოგაზულ ყბაზე სისხლშემხმარი, ცხენის აქეთ-იქით ფეხებჩამოგრძელებული, ჩემზე უარესად „ბოლომოღებული", ცხენზე ძლივს შეკავებული.

ცხენიდან არ ჩამოსულა, ამომაწოდეთო! — თავის აქნევით მიგვანიშნა ტომარაზე, ჩავეკიდეთ მეცა და ქალიც ტომარას, ავწიეთ, ისიც ჩამოგვწვდა, დაიდო წინ, გაისწორა, ცხენი შემოაბრუნა და ხმისამოუღებლად წავიდა და წაშავდა წითლად და ყვითლად აკრელებული მთების შესაყარში. ქალიც, — ერთიღა გამომღიმა და, — ჩქარი ნაბიჯით, თითქმის სირბილით გაჰყვა მის გზას.

დახლდარმა ფარდული დაკეტა, გასაღები გამოაძრო და ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, მოწყენილი გაჩერდა შემაღლებულზე.

თოვლის კაცი

გუშინ, ჩამობურუსებულ ნაშუადღევს, — ბურუსი რომ გაიჭრებოდა, ჩნდებოდა ტყიანი ქედების შეჭაღარავებული მწვერვალები, — ჩამოვედი აქ, ჩემს პატარა, მიტოვებულ ქოხში, დაღლილი, მხრებდაღუნული. იმ იმედით, რომ სოფლურმა მყუდროებამ იქნებ ცოტათი მაინც მომიფოთოს გულზე, რომელზედაც, აი, უკვე მთელი თვეა, თითქოსდა მარწუხებს მიჭერენ ვიდაცანი. გუშინ, იანვრის ცამეტს, აქა-იქდა იდო დეკემბრის ბოლოს მოსული თოვლი, — მათ შორის ჩემს ეზოში, ჩემთან — ფეხდაუკარებელი, გადამტკიცეული, გასპეტაკებული. დაცარიელებული იყო შარაგზა და ორღობე, გადაყინული, გაქვავებული — ეუბეედად დამდგარი ტალახი, ძაღლებიც კი სადღაც სათვლემებში იყვნენ შემძვრალნი, საკვამურებზე ძლივს შეატყობდით სასლების სიცოცხლეს, და მაინც ფრთხილ-ფრთხილად, ქურდული ფეხაკრეფით ვაპირებდი ჩვენი ორღობის გავლას, — აქ, ამ დროს, მამაკაცს

ყოველ ნაბიჯზე ჩასაფრებული ჰყავს ხელალდა და ეჭვა, — მაგრამ ჩემმა პატარა მეზობლებმა, პატარა და-ძმამ, ლელაკამ და ბერდომ, მაინც დამშინახეს, მოცვივდნენ ფანჯარასთან, მოეჯინენენ ხელისგულებით და თითქოს ცხვირებითა. და შუბლებით ატეხეს კაკუნი. მე გავუცინე, თავი დავუხარე, გაშლილი ხელიც ავწიე საფეთქელთან და დავუქნიე... ერთი ცხოველის სათაკილო ყურივით. ისინი გასცილდნენ ფანჯარას, კარის ჯახუნით გამოცვივდნენ დერეფანში, ხელებუკანშემოწყობილებმა, უხერხულად გაჩერებულებმა დაიძახეს, — გამარჯობა! — და თითქმის უკლებლივ დამანახეს ბრტყელი, თეთრი სავაშლე კბილები. მეც შევჩერდი, — გაგიმარჯოთ, — ვუთხარი ხმამაღლა, მერე მოვიკითხე: როგორ იყვნენ, როგორა ჰყავდათ დედ-მამა, პაპა და ბებია, ორიანები, სამიანები, ჩურჩხელები, კაკლები, თაგვები. ერთმანეთს მიეყუდნენ კუპკუპით: — კარგად! კარგად!

— კარგადა ყყავდნენ, დასუქებულები!

— ორიანებიც?

— აბა, მაშ როგორ?!

ერთხელ კიდევ მიეყუდნენ ერთმანეთს.

— დიდხანს უნდა დარჩეთ? — მკითხა დამორცხვებით ლელაკამ.

— დიდხანს! დიდხანს!

და წამოვედი, შემოვედი ჩემს დანაღვლიანებულ ეზო-ყურეში, — ქოხის მუქ ფონზე ფარფატებდნენ ეული, მოკრძალებული ფიფქები, ლელიკა და ბერდო კი ისევ დერეფანში იდგნენ და ახლა გაბრწყინებული თვალებით მინათებდნენ გზას.

ქოხში შემოსულმა ღონივრად დავაბრახუნე ფეხები. შეშინდნენ, გაიქცნენ, კუნჭულებში მიიბუზნენ სხვენში მოკრიჭითე თაგვები. შეშა დაჭრილი მქონდა, — დავქერი ორი თვის წინათ, როცა უკანასკნელად ვიყავი აქ, — შევუკეთე ღუმელს, მივასხი ნავთი და მივეცი ცეცხლი. დაიწყო ღუმელმა გუგუნი, მე კი ჩანთიდან ამოვალაგე სანოვაგე და ფანჯარა. ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყვარელი და. გოგონა სიხარულისგან „ქვითინდა“... გაბედავდნენ სხვენში, გადაიცუნცულებდნენ თაგვები, დავუბრახუნებდი ფეხს და გაუუჩდებოდნენ ადგილზევე. ხან ხმის აწევით, ხანაც ჩუმად რაღაცას მიყვებოდა ღუმელი. მე ვერაფერს ვუგებდი და ვუდიმოდი. უკვე ვგრძნობდი, თანდათან რომ მიშვებდნენ მარწუხებს გულიდან.

შუადამემდე მაინც ვკითხულობდი და ვფიქრობდი. შუადამისას, თორმეტ საათზე, დავწექი, ჩანელდა ღუმელი. გაბედეს და კვლავ დაიწყეს ცუნცული თაგვებმა სხვენში, მაგრამ უკვე აღარაფერი დამიბრახუნებია, პირიქით, მსიამოვნებდა კიდევაც მათი ცუნცული და კაკლების გორიალ-გორიალი. მსიამოვნებდა, აგრეთვე, ძაღლების შორეული ყეფა და მამლების ყივილი. სოფელში ხომ ამ დროს თითქმის ყველას სძინავს, — ეძინებოდათ, რა თქმა უნდა, ლელიკას და ბერდოსაც, — დაეძინე მეც.

დილით კი, რომ გამეღვიძა, უჩვეულო თეთრი შუქით იყო ოთახი სავსე. საათი — ცხრა ხდებოდა. სმასხურში დაგვიანებულივით დავიწყე ჩაცმა. წლები გადიოდა და ამ დრომდე აღარ მძინებია. ფანჯრიდან ჩანდა, როგორ დაბარდნილიყო სახლების სახურავები, ღობეები, ერთმანეთში გადახლართული და ძირს დაღუნული ტოტები. ფეხსაცმლის ზონრები არ შეშეკრავს, ისე გავედი, გავდექი დერეფანში, — თითქოს გამაღლებული, გაღონივრებული.

ზედ ჩემი ქოხის წინ, ხუთიოდ ნაბიჯზე, თოვლის კაცი იდგა, თავზე პატარა გოდრული ეხურა, ჯოხი ჰქონდა დაბჯენილი და, მარცხენა ხელით დოინჯშემოდგმული, შავი თვალებითა და შავად დახაზული პირით მიცინოდა. მის უკან ვითომცდა დამალულები იყვნენ ლელიკა და ბერდო, ლელიკა ათი წლის, ბერდო — რვა წლისა და შვიდი თვის. აღარ იყო აღარც ღამის კუნძული, აღარც იმის იქითა ქვეყანა. მე პატარების იდუმალებით მოსილ სამეფოში ვიყავი მიპატიჟებული, — დაე, სხვებმა იარონ სხვა ქვეყნებში, — ამ სამეფოს შკვიდრნი ხომ, როგორც მოგეხსენებათ, არასოდეს ლაპარაკობენ გულზე!

ყორანთ კეტამზე

1952 წლის სექტემბრის ბოლოს, სოფელ თ-ის ზემოთ, ყორანთ კეტამზე, ათ წელს ტყე-ტყე ნავალი ორი ყმაწვილი კაცის გვამებთან ერთად ნაპოვნ იქნა შემდეგი წერილი:

„ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, შმაგური გიგა წყალობას ძე, დაბადებული 1923 წელს, და მარილოშვილი მიტრო გიორგის ძე, ესეც 1923 წელს დაბადებული, — ორივენი ქართველები, დედითაც და მამითაც, ამ წერილს ვწერთ ყველასთვის, ვინც კი წაიკითხავს. ჩვენ, 1942 წლის შემოდგომაზე, საბჭოთა ხელისუფლების ერთი დაუძინებელი მტრის აგიტაციას აყოლილნი, იარაღით ხელში გავედით ტყეში იმ იმედით, რომ სულ მალე საბჭოთა ხელისუფლება დაემხობოდა და იმათ ჯავრს ამოვიყრიდით, ვინც კოლმეურნეობაში მუშაობას გვაძალებდა. სამხედრო ნაწილიდან, სადაც ორი თვისა და ხუთი დღის მისულები ვიყავით, გავიტაცეთ კარაბინები და ვაზნები და შევეუერთდით შეიარაღებულ ჯგუფს, რომელსაც გაბრიელ მონაბრიშვილი ხელმძღვანელობდა. ამ ჯგუფთან ერთად თავს ვესხმოდით კოლმეურნეობების კანტორებს, სოფსაბჭოებს და ფერმებს. ვიტაცებდით ცხვრებს, ყველს, ერბო-კარაქს, ფულსა და პურს. ძოსახლეობაში ვეწეოდით აგიტაციას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, უფრო მეტად კოლმეურნეობებისა და მათი გაყვნინზებული თავკაცების წი-

ნაიღდეგ. შემოგვაკვდა სსვადასხვა ადგილას სამი თავმჯდომარე, ერთი მაბეზღარი ბრიგადირი და ერთიც ეკრმის გამგე. შემოგვაკვდა ავრეთვე რამდენიმე კაცი, საერთო სროლის დროს, მილიციელი და რაზმელი, მათ შორის ერთი მთლად ახლობელი, გიგიას ღვიძლი ბიძაშვილი, ვალიკო შმაგური. ჩვენი გულისათვის დაისაჯა მრავალი უდანშაფოსო ადამიანი, ჩვენი მშობლები, ნათესავები და მოკეთეები, ქალი და კაცი. უდროოდ, ოცდათერამეტი წლისა, დაიღუპა გოგიას სალოცავი დიდი, დამბლა დაეცა ჩემს დას, მაგდანა მარილოშვილს, მაგრამ ყველაფერმა მუქთად ჩაგვიარა, საბჭოთა ხელისუფლებას ვერაფერი დაგვაკლეთ. ან რა უნდა დაგვეკლო! ჩვენი გაუნთლებლობის გამოისობით, ისიც კი ვერ მოვახერხეთ, რომ კაკშირი დაგვეშყარებინა გერმანელებთან, რომელთა იმედითაც ჩვენ ვიბრძოდით. შიგნით, თვითონ ჩვენს ჯგუფშივე, ძალიან მალე მოხდა განხეთქილება, ერთნი რომ გერმანელების მხარეზე ფიქრობდნენ გადასვლას, მეორენი წინააღმდეგნი იყვნენ, დავირიენით და დავიფანტენით, — ზოგი მთავრობას ჩაბარდა, ზოგმა შეიძლება გერმანელებამდეც მიაღწია, ზოგი გზის ყაჩაღად იქცა. ხალხმა მხარი არ დაგვიჭირა. თუ რამეს გვაძლევდნენ და გვეხმარებოდნენ, იმასაც — მხოლოდ ჩვენი იარაღის შიშით. ღალატით მოკლეს ჩვენი ჯგუფის მეთაური მონაბრიშვილი. დაიღუპნენ სხვებიც. ბოლოს დავრჩინ ჩვენლა, ეს ორი კაცი, — შმაგური გიგია და მარილოშვილი მიტრო. ახლა ორივენი ოცდაცხრა-ცხრა წლისანი ვართ. ხუთი წელიწადია, მთლად მარტონი დავიარებით. ზამთრობით შიგრაკში ვიმალებით, ზაფხულობით — აქ, ამ მთებში. დავდივართ და შორიდან ვუყურებთ ქვეყნის მოძრაობას — სად გადის გუთანი, სად ადის საქორწილო კვამლი. ხალხი უკვე ათასნაირად ხარობს, ჩენთვის კი არც მშობელია, არც ცოლი და არც შვილი. სიყვარულზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ვი, რა გულუბრყვილოა, ვინაც ფიქრობს, რომ ჩვენს დროში საერთო გზიდან გვერდზე გადახვეულ კაცს რომელიმე ქალი შეიყვარებს. ყველას სიმშვიდე უნდა. არც არავინ იჯერებს, რომ სილაჩრის გამო არ გავიქეცით სამხედრო ნაწილიდან. თუ თავს არ იქნევენ. სდუმან. ჩვენი ლუკმა ძაღლის ლუკმაზე უარესი გახდა. ბოლო ხანებში ხომ მთლად მოვიწამლენით და მოვიშხამენით, მძიმეზე მძიმე ავადმყოფები ვართ. პატარა რამეზე ეტერით და უფრო პატარაზე ვცოფდებით. თმა და წვერის ბალანიც კი სხვანაირი გაგვიხდა — ხმელი, მტვრევადი. ამ მარიამობას... ამ მარიამობის, გავძარცვეთ და გავამწარეთ სალოცავში მიწაგაღი რამდენიმე ოჯახი. გავქელეთ, წახლით თავები მიწაზე ვაგლეკვინეთ კაცებს. მაშინ ერთმა ბებერმა დედაკაცმა შავი მოსახვევი მოიგლიჯა, მუხლებზე დაეცა, ასწია აქეთ-იქიდან თავისი საცოდავი თეთრი თმა, აჩვენა ცას და იქ, მაღლა შეჰპხვლა: — წმინდა მარიამო, შენ დაგეხრუკოს ძუძუები, თუ სადმე ხარ და ამათ დედებს ასპტი ველები არ ჩაუსხა უბეში! — მოუხოვნენ მტვრიანი მიწა ფრჩხილებით, — ღმერთოო, იესო ქრისტეო, შენ დაამნე ეს მთები და მიწაში ჩაგვიტანე ყველანი, რომ გაწყდეს მთლიანი გასაგისი ხალხისა, რომელმაც ესენი შობა! — გაიქნია ხელები წინ, მიაყარა ის მტვერი მთებს. ადამიანისშვილი ვეღარ ნახავს ეგეთ საშინელ რამეს. მივუშვირე თოფი მე, მარილოშვილმა, — მარილისა და პურის მადლი გაუწყრეს იმას, ვინც ჩვენ, ცხრამეტი წლისანი, მთლად უჭკუონი, მოგვწყვიტა ჩვენს ხალხს, — მივუშვირე თოფი ბებერ დედაკაცს, გამოვწიე კიდეც სასხლეტს და ზედ იმ დროს განათდა და დაიშეკა! თოფი არ გამივარდა, ცამ გაანათა და

რევაზ ინანიშვილი
ეთნოგრაფოსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიუქეა, ცახცახი დაწყებინა დედამიწას. აი, მაშინ კი საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ ჩვენი გზა გათავდა.

ვაი, რა კარგები ყოფილხართ, ადამიანებო! თქვენც კი, ვინც ჩვენი ხელითა ხართ მკვდრები. აყალო მიწა გვეჯამა და თქვენთან ვყოფილიყავით, ნეტავ მიწაზე გვეხოხა და თქვენთან ვყოფილიყავით...

კიდევ ბევრი გვაქვს სალაპარაკო და სათქმელი, მაგრამ როდემდის, გული გაწვრილდა ამ ბიმუნური წერილ! ამ წერილის წამკითხველნო, ამ მთების მცხოვრებლებო, ჩვენ თვითონ ვისჯით თავს, თანაც ისე, რომ დავამტკიცოთ, ცხოვრება შეგვეშალა, თორემ ლაჩრები არასოდეს არ ვყოფილვართ. არც შენდობას ვთხოვლობთ არავისგან. შენდობას რომ ვთხოვლობდეთ, მაშინ დაბლა, სადმე ზეხის პირას ავასრულებდით ამ საქმეს. დაე, აქ, უპატრონოდ, ყვავ-ყორნებმა დაჯიჯგნონ ჩვენი ლეში. წერილს რომ დავამთავრებთ წვრილად დავახვევთ და არყის ბოთლში ჩავდებთ. ხალათებით აკიკრავთ თავლებს, ავიღებთ ჩვენ-ჩვენს კარაბინებს, ერთმანეთს მივებჯენთ გულზე, მე დავითვლი სამამდე, სამის თქმა იქნება და, ერთდროულად გავმოვ-ვეთ სასხლეტებს. უცებ დამშვიდდება და დაწყნარდება ყველაფერი. მარტო შენა გთხოვს შენი მიტრო პატიებას, დედი, შენა და მაგდანას, თქვე საწყლებო, თქვე ჩემგან გამწარებულებო! გიგია იმქვეყნად ჩაუვარდება თავის დედას ფეხებში. არ მიტირითო ხოლმე, დედი! ხელს ვაწერთ: შმაგური გიგია, მარილოშვილი მიტრო“.

●

კაცი, რომელიც პირველი წაადგა დახოცილებს, ყვებოდა:

შორიდან რომ დაგენახა, ყანიდან გამოსული დაღლილი მუშებივით იწვნენ ხმელ ბალახებში — ორივე გულაღმა, ორივე ხელებგაშლილი. შმაგურ გიგიას ტყვია მარცხენა ძუძუს ქვეშით ჰქონდა გავლილი, მარილოშვილს პირიდან — კეფაში. არც ერთსა და არც მეორეს თვალები არა ჰქონდა ახვეული. გაზდილი ხალათები იქვე ეყარა, ერთად. თოფი ერთი შორს ეგდო, მეორე — ახლოს. ზედ იმათ თავზე დაყარატალობდნენ ყორნები, მაგრამ ჯერ არც ერთს არაფერი ჰქონდა გაფუჭებული, არც სახეზე, არც ტანზე.

საყანე მიწები

სმა-ზამას მიბეჯითებული ხალხით ხავსე სახინკლეს ერთ კუთხეში, მაღალ, აწოწილ მაგიდასთან (თუ საყუდართან?!) დგას ორი კაცი: ერთი მეშურეკურთუკიანი თეორულვაში მოხუცი, — მოკუზული, ძველ-ტყავი, წანწყარასავით თავაწეული, — რომ ნიკაპი მაინც აიკლოს მაგიდის კიდეს; მეორე — ახალგაზრდა, კმაყოფილი თავისი ახალგაზრდობით, სიმაღლით, ყელის სისავსით, ჯანით. მაგიდის შუაში არყის ბოთლი და ქაბაბმოთავეტული მათლაფა უდგას, წინ, თავ-თავის მხარეზე, — ლუდის კათხები. მოიწაფებენ იმ კათხებს, ცოტას მოსვამენ, დადგამენ. მოხუცი ულვაშებს ჩამოიწმენდს დასტიდან ალებული პატარა მორუხო ქაღალდით და ადრე დაწყებულ სალაპარაკოს განაგრძობს:

— საყანე მიწები მაინც სხვა არი! იიჰ, რას ამბობ! მე რომ ვამიჭირდება, ძალიან რომ გამიჭირდება, ორმოცზე მეტი რომა მქონდეს სიცხე, ნაშუალამევს ავდგები, ყველს რომ ეძინება, მაშინ ავდგები, ავიპარები, ჩავიცვამ და წავალ, სუ ფეზით დავადგები გზას. წამომეწევა ვინმე მანქანიანი, ხომ კარგი, თუ არა, და, ეგრეევე, სუ ფეზით ჩავალ სიღნაღის გადასახვევამდე. აქა, იმ სიღნაღის გადასახვევთან, ხელმარ-

ჯვნივ, ალმა-ალმა წასული საყანე მიწები. როა, იქ მიწებში, შენც გეხსომება, მარტოხეები დგას აქა-იქ, — კოხტები, ღონივრები. თელები, ბერტყვნები. პანტებიცა დგას. იმ ხეებში ერთი ბერტყვნა აქედანვე მაქვს ამორჩეული. ჩავალ, სუ ფოფხვით მაინც მივალ იმ ხესთან, მივჯდები ძირში და იქ დავუცდი ჩემი სულის აღსასრულს: რა დროც არ უნდა იყოს, — გაზაფხული იქნება, ზაფხული, შემოდგომა თუ ზამთარი, — იქ, იმ საყანე მიწებში, იმ ბერტყვნასთან, ერთხელ კიდევა ვნახავ მზის ჩამოდგომას, მზე თუ არ იქნება, გათენებას მაინც. — თუ გაზაფხული იქნება, — მწვანე ჯეჯილებში, თუ ზაფხული იქნება, — თავთავდამძიმებულ ყანებში, თუ შემოდგომა, — შავად გადაბნელებულ ნახნავებში, თუ ზამთარი, — გადაქოქილებულ თოვლში, — გათენდეს, ერთი ჩამოანათოს მზეშ, ერთი ავიდეს თხელი ნისლი, და მერე, ფეხებზე არა მკიდია, მოვიდეს სიკვდილი, იმის... მოვიდეს ტოროლას ძახილში.

— რა ვერ იზამ მაგას? — ახლა უკვე თავისი გამჭრიახობითაც კმაყოფილია ახალგაზრდა, თავისი გამჭრიახობითაც და სისუსტის მკილავი, სიტკბოებით მიეუფუნებული თვალებითაც.

— რას ვერ ვიზამ?!

— მაგას ვერ იზამ. რასაც ამბობ.

— ვიზამ!

— ვერ იზამ!..

მოხუცი ლუდის კათხას პირიდან მოიხსნის, ასწევს, თავს მაღლა აიტანს და ღონივრად დაახეთქებს ფილაქანზე. კათხის ნამსხვრევები ჯახანით გაცვივდება აქეთ-იქით.

მოხუცი ჯერ ულვაშებს ჩამოიწმენდს, მერე თითებზეც გადაისვამს დაშმუშნილ ქაღალდს.

— თქვენ, შვილო, მარტო მაგითა საზღვრავთ ყველაფერს, სხვამ რა გააკეთა. მე კი სხვა არა ვარ. მე, მე ვარ. მე რას გავაკეთებ, არავინ იცის, ჩემს მეტმა.

კიდევ უფრო მოკუზული, დამუქრებულის ნაბიჯით წავა დახლისკენ.

ვიღაცანი არეულ ტაშს და სტვენას მიაყოლებენ მის ზურგს.

ი ა ლ ნ ო

იალნო მთა არის საგურამოს ქედის დასასრულში, თითქმის ივრის პირამდე მისული. დაბლა ტყიანია, მუქი. შუა კალთაზე, იმ ტყიანში, ორი დიდი ველი აქვს, მერე ისევ ტყეა. ის ტყე რომ გათავდება, ალპური მდელოებით შემოსილი მწვერვალები იწყება. ჩემი სოფლიდან სამ წვერად მოჩანს. აქეთ-იქით დაბალი წვერებია, შუაში — მაღალი. ის არა მარტო ჩემი სოფლიდან მოჩანს, მოჩანს ჩემი მეუღლის სოფლიდანაც, მამადავითიდანაც და, წარმოიდგინეთ, ვეძისიდანაც კი, სადაც ამკამად ვცხოვრობ.

მე იალნო ძალიან მიყვარს. უყვარდა ჩემს მამა-პაპასაც. — ჩვენი იალნოო, — იტყოდნენ ხოლმე. უყვარდა, უთუოდ, მათ მამა-პაპასაც. ვახუშტი ბატონიშვილი, მეთვრამეტე საუკუნეში მცხოვრები დიდი ქართველი გეოგრაფოსი, თითქოსდა ალერსით, „იალნონის“ ანუ ალიონის მთას უწოდებს. ალიონზე, მზე რომ ამოსვლას დაიწყებს, პირველი სხივები ამ მთას ეცემაო. მართლაც! ამოიწვერება თუ არა მზე აღმოსავლეთიდან, სასიამოვნოდ გაანათებს იალნოს წვერებს. მერე დგას მთელ დღეს ასე გაბრწყინებული! დასამახსოვრებლად ლამაზია — პირველად რომ შეიმოსება ოდნავ ოქროსფერდაკრული ქორფა ბალახით, დღ

რევაზ ინანიშვილი
ვოთხროგები

კიდევ — პირველი თოვლი რომ მოვა. პირველი თოვლი ოქტომბერში მოდის ხოლმე. დაბლა ტყეები ჯერ ისევ თალფრად არის აკრეფილებული, იალნოს წვერები კი თეთრად ქაფქაფობს. ცაც ძალიან ლურჯი იცის ხოლმე მის უკან და უკეთეს სამზერს ვეღარ ინატრებს ადამიანი.

იალნო ბრძენი მრჩეველია გლეხკაცობისა. დაინახავენ ფთილებად დაწყობილ თეთრ ღრუბლებს მის წვერზე და დაიწყებენ ქოთქოთს, — ქარს ამბობს, აბა, ცოტა ხელი წამახმარეთ, მწიფე გულაბი დამაკრეფინეთ, ძირს არ დამიცესო. ძველად ხომ არავითარ საქმეს არ დაიწყებდნენ, იალნოსთვის რომ არ შეეხედათ, — არც კალოს ჩაშლიდნენ, არც ხორბალს გაჰფენდნენ გასახმობად და არც ტყეში ან მინდორში წავიდოდნენ. ქარის ნიშანზე ხომ უკვე მოგახსენეთ, — თუ მიიმე ღრუბელი ქვემო ველებსაც ჰფარავს, უთოოდ წვიმა მოვა. სანამ თოვლი თეთრ ნაფლეთებად კიდევ დევს წვერებზე, ჭირნახულის თესვის დროა; სიმინდისა, ლობიოსი, კიტრის, აიკრიფება ის თეთრი ნაფლეთებიც და ვენახის პირველ შეწამვლას იწყებენ. წაჰფერფლავს თოვლი შემოდგომაზე და აჩქარდებიან ზამთრის სათადარიგოდ.

ჩვენთან, ჩვენს სოფლებში, როგორც მთელ კახეთში, სეტყვა ხშირად იცის, მაგრამ იალნოს მხრიდან — არასოდეს. სეტყვის აქეთ-იქით დამგზავნი მთა ცოვია. იალნო კეთილია. ის სამი გრილ ნიავს უბერავს ხოლმე ცხელ დღეებში. ზეკით, მწვერვალებთან, კოლმეურნეობების ძროხა აჰყავთ ხოლმე მენახირეებს. იმ მენახირეებს რამდენჯერმე უნახავთ, დიდი სიცხის შემდეგ, მთვარიან ღამით, დათვი რომ ასულა თხემზე. ზის ხოლმე, კაცია. მიშვერილი აქვს მკერდი და გრილდება ჩრდილოეთიდან წამოსული ნიავითო.

ესაც ძალიან ლამაზია, — ღამე რომაა და ცეცხლი ჩანს იალნოზე. იცი, — მენახირეები არიან, წამოწოლილნი არიან იმ ცეცხლთან ნაბდებზე და ლაპარაკობენ ათას რამეს, ღამის შესაფერს. კიდევ, იცით, რა? — თოვა რომ იწყება, თხელი თოვა. მაშინ მთელი მთა ნაზ, თეთრ ვუალში ეხვევა ხოლმე, სიმკვრივეს კარგავს და ოცნებით წარმოდგენილს ჰგავს.

ჩემს ყმაწვილობიდან წლეკვანდლამდე სულ ვყოყმანობდი, ავსულიყავი თუ არა იალნოს წვერზე. რაღაც მიზიდავდა და რაღაც მაკავებდა. მიზიდავდა, როგორც, ალბათ, ყველას, საკუთარი შესაძლებლობის გამომეცდავნება, — ავიდოდი და ძლიერად ვიგრძნობდი თავს, მაგრამ იქვე მაკავებდა მეორე ფიქრი, — მე ხომ ის მიყვარს, რატომ უნდა დავამცირო, რატომ უნდა დავადგა ჩემი ფეხსაცმლის უხეში ქუსლი მის ამაყსა და კეთილ მწვერვალებს?! თანაც, — შესაძლებელი იყო, სულაც დამეკარგა, დამეკარგა, როგორც ერთიანი, მთლიანი სილაბაზე, მაღალი აზრი, და შემრჩენოდა დანაწევრებული სანახები, — ცალკეული ხეები, ცალკეული ბუჩქები, ხრამები, ბალახები. ქვები და სხვა.

წინა კვირას, ოთხში, — ეს ოთხი დეკემბერი არასოდეს დამავიწყდება, — უჯარმას მეჩვენა უცნაური სიზმარი: ვიდექი იალნოს ერთ ველობში, მარტო, მარტოობით შემკრთალი, და ვხედავდი, რომ ფოთოლგაცვივნული ხშირი მაღალი ხეების იქით, მთვარის შუქში, ვრუბელის პანიკით იჯდა ვეება, შიშველი ბებერი კაცი, ქვითინებდა და მის ქვითინზე ცახცახებდნენ ხეების კენწეროები, — ზედ თავს ძლივს იკავებდნენ ფრთებჩამოფაფხუტული შავი ფრინველები.

გათენებული ჯერ არ იყო, — ავდექი, ჩავიცვი, ავიღე თოფი და დავადექი იალნოს გზას. ისე ვჩქარობდი, თითქოს სიზმრად ნანახი ბებერი კაცის შველა მქონდა განზრახული. ჯერ ისევ სიბნელეში წამომეწია ბორბლებიანი ტრაქტორი, გავყევი იმას ავალიანთ საყდრამდე, იქ უკვე გათენდა კი-

დეც, — მთელი ხეობები ჭირხლითა და ყინვის ბუტრუსით იყო სავსე, დაბლა ჭირხლი, მაღლა — კვამლივით ბუტრუსი. ჩამოვხტი ტრაქტორიდან და შევერეე ტყეს. მივდიოდი სულ აღმა-ადმა, შემოგარენის გაფაციცებული თვალთვალით, ყოველი უმნიშვნელო ჩქამის ყურისდგებით, სიზმრად ნანახ ხეებსა და ბერიკაცს მიმსგავსებული ნიშნების ძებნით, მაგრამ ისე აფეი-ფა-იქ თოვლშერჩენილ, ხმელ ქუხით გადარუხებულ მწვერვალზე, დიდხანს არაფერზე შემჭარდნია გული.

მწვერვალზე კი დამხვდა საოცრება: ის იყო ავიმაღლე, სახეზე ცივი წინწკლებით მომადგა ბუნტი ჩრდილოეთის ცა, და გავეხვივე იდუმალ გურგურში. ამ გურგურს თითქოს იალნოს გული გამოსცემდა სადღაც ქვემოთ, ჩემი ფეხების ქვეშ. გაიხსნა სულ პატარად ჩემს ზურგს უკან ღრუბელი, კალოსოდენად დაედგა მწვერვალს მზე, მისი ბრჭყვიალა სხივები და ჩრდილოეთიდან მომქროლავი ცივი წინწკლები ციცინათელებივით აირიგნენ ერთმანეთში. მე ხან თანთახა მზის სვეტს ავხედავდი ღიმილით, ხანაც ჩამრისხანებული ჩრდილოეთისკენ ვიყურებოდი. წამოიღო, ამოოშვა გულიდან იალნომ ის დაგუბებული ხმა, — ოჰოჰოჰოო! — მიაწყვიტ-მოაწყვიტა აქეთ-იქით, ხვიელით, კენწეროების ხათქახუთქით გამოატარა უკანა მხრის დაკოყრილ, ჭირხლით გაჯაღარავებულ ბებერ ფიჭვნარში და ჯანღის ტყლაშუნი ნაფლეთებად და ნემსებივით ჩხვლეტანა ნამქერად გადამატარა თოფზე დაყუდებულს. მე ამ ხვიელსაც, სახეზე ტყლაშუნსაც და ნემსების ჩხვლეტასაც ღიმილით შევხვდი. მაშინ იაღნომ სულ უფრო ღონივრად და ღონივრად გაიმეორა იგივე, — ოჰოჰოჰოჰოო! — თვითონაც ღონიერმა, დიდმა, მარტო მთად კი არა, იმედიან სიზვიადედ მდგარმა ქვეყანაზე. მე მაინც ეუღიმოდი. მაშინ ამ გურგურში და მღელვარებაში მაჩვენა გაყინული თოვლზე გადმომავალი მგლების ტოტყია ნაფეხურები, — მზე კი იდგა და მხიარულობდა, — კიდევ — შავი ქორები, უცებ გამოყოფილნი ჯანღიდან, ბოლოს — — პაწაწინა ყვითელი ნაგვიანევი თუ ნაადრევი ყვავილი ხმელ ბალახებში. დაგიწყე სხვა ყვავილების ძებნაც, ცოტა ხანში ვიპოვე ათიოდეც, და მხოლოდ მაშინ მოვწყვიტე ერთი. ჩამოვედი, ჩამოვიდაბლე იმ ყვავილის ფერად-ფერებითა და ისევ ღიმილით, და ჩაქრა მზე.

●

ახლა, მთელი კვირის შემდეგ, იალნო ისევ ისეთია, როგორიც ყოველთვის იყო. ისევ მშვიდად და კეთილად დაგვყურებს სახლებსა და ადამიანებს, თითქოსდა უფრო მშვიდად და კეთილადაც. მაგარმ მე, თვით ამ სიმშვიდეშიც, გამუდმებით მესმის მისი ხვიელი და ჩაგუბებული გმინვა, გამუდმებით ვხედავ შეშფოთებულ ჭალარა ფიჭვნარს, მგლების ძლიერ ნაფეხურებს პირშეყინულ თოვლზე, შიშველ, აქვითინებულ ბებერ კაცს ნაღალი ხეების იქით, შავ ქორებს... ყოველივე ამას ვურევ მთვარისა თუ მზის შუქიან ნამქერში, ვუმატებ თავაწეული მგლების ყმოილს, დამსხვრეული ყინულის ჩახაჩუხს, ზემოდან ვადებ პაწაწინა ყვითელ ყვავილს და, როგორც ძუნწი მილიონერი თავის თვალმარგალიტებში, ვნეტარობ და ვემუქრები კიდეც ვიღაცებს.

სიზმარი კი, შესაძლებელია, თურმე, ცხრა წლის მერეც კი აუხდეს კაცს.

რევაზ ინანიშვილი
მოთხრობები

ჩემი საწყალი სიყვარული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვა-სიტყვით, ჩაუსწორებლივ. ყოველგვარი განმარტების გარეშე, ვთვლიერებ ჩემს ერთ ახალგაზრდულ ჩანაწერს:

„თორმეტში, შაბათს, აქ, ჩემს სოფელში, მესტუმრა ჩემი ქალაქელი მეგობარი ო-ა. იგი მიმტკიცებდა, — თვითონ ძალიან გულისხმიერი და სათნო კაცი, მაგრამ ხანდახან მეტისმეტად ახირებული, — სიყვარული ადამიანების მიერ მოგონილია ისტორიის გარკვეულ ეტაპზე, როგორც, ვთქვათ, თმის ვარცხნილობა, ანდა კოსტუმის მოდა, და რაც უფრო მალე განთავისუფლდებიან მისგან და დარჩებიან ისეთნი, როგორებიც ბუნებამ შექმნა, — მხოლოდ არსებობისათვის მცდელნი, ყველგან და ყველაფერში გათელაზე დამყარებულნი, — მით უკეთესი იქნება მათთვისო.

მე, რა თქმა უნდა, საწინააღმდეგო აზრს ვადგენ, ესე იგი, იმ აზრს, რასაც ადამიანთა უდიდესი ნაწილი ადგას, სუფრაზედაც სულ ამას ვლიერნებდი, — „უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე, სიო არ დაპქრის, ტყე არ კრთება სასიხარულოდ“, — მაგრამ გულგიღ'ში მაინც ეჭვის ჭია მრღნიდა, — იქნებ მართლაც ასეა, იქნებ კაცობრიობა მართლაც მალე უნდა განთავისუფლდეს ამ ტბილ-მწარა ბანგისგან, რომელსაც ხშირად მეფე მონის ყმად უქცევია, ბრძენი კი გაგიჟებულივით ურბენინებია ტყე-ველად. განა ჩვენს გვერდითაც სწორედ ის ადამიანები არ აღწევენ წარმატებებს, ვინც ყველაფერს ივიწყებენ, გარდა თავიანთი მიზნებისა, ვინც გულგრილად ვასწევენ ხოლმე გვერდზე სხვებს, რათა პირველებმა მათ გაიარონ ვიწრო გასასვლელში?! არ მინდოდა, რომ ასე ყოფილიყო, ვიკავებდი თავს, მაგრამ ბოლოს მაინც ცუდ გუნებაზე დავდექი; განსაკუთრებით მაშინ, როცა ო-ა სადგურში ჩავაცილე, ქალაქისკენ მმავალ მკაცრადშეკრულ მატარებელს გავაყოლე, — ავიდა ვაგონის ჩაშვებულ კარში პატარა, როგორღაც დათრგუნული, — გამოვბრუნდი და სრულიად მარტო დავრჩი მშვიდი ცის ქვეშ ჩაყუჩებულ გორაკებსა და ველებში. მე ეს ძეძვშეფენილი გორაკები და ჯეჯილებად დავარცხნილი ველები ძალიან მიყვარს; გამორჩევით — ამ დროს, აპრილის მეორე ნახევარში, როცა ჯეჯილი თითქმის მუხლამდეა წამოზრდილი, ძეძვებს გამოაქვთ ნარინჯისფერი გამქვირვალე ფოთლები, ლბილია, მიბუნდოვანებულია ყვეელაფერი სილურჯემდე მისული სიმწვანით. ისე მეჩვენებოდა, თითქოს სამუდამოდ უნდა გაფშორებოდი აქაურობას.

ნოელიანი შემოვედი მაყვალწყლის ხევში, და იქ უცბად შევჩერდი, — მელას ხმა მომესმა, მელას ხმა, წკმუტული და ხვიელი, ხხვა დროსაც ბევრჯერ გამიგონია, მაგრამ ეს ძახილი სულ სხვანაირი იყო. — ბაა! — ამოძახებდა აშკარად უმწეო, შეწუხებული ნაღირი, წვიდოდა ხმა, მიიკარგებოდა სადღაც და მხოლოდ ამის შემდეგ მიადევნებდა მეორე ძახილს, თან უფრო გულსაკლავს. ამ გულსაკლაობას ის უფრო აძლიერებდა, რომ მზის ჩასვლის ნანი იყო და ყოველ შემაღლებას თუ ჩაღრმავებას მუქი, სევდიანი ჩრდილი გასჩენოდა.

შინ არ მეჩქარებოდა, არც მუხლები მემძიმებოდა და გადავუხვიე ბილიკიდან, — იქნებ თვალი დავკრა, საინტერესოა, რა აწუხებს-მეთქი მელას. ავიარე ძეძვნარი ფერდო, წამოვუარე ხევს ზემოდან, ჩავედი, ჩავიდაბლე, ვეძებე ბუჩქებში, გაკანკალმა, სუნთქვაშეკრულმა, და ბოლოს დავინახე: დაყუნთულა გამხდარი, წვრილი, ღიღაყურება, გვერდებზე ბეწვი რამდენიმე ადგილას თეთრად გამოსჩენჩია, წინ უდგეს მკვდარი, მთლად პატარა, მუცელგაბერილი ლეკვი, და დროგამ-

შვებით იძახის: — ბაა! ბაა! დაიხარა, წაავლო ქერმში პირი, აიყვანა, როგორც კატა აიყვანს ხოლმე თაგის კნუტს, წამოვიდა და წამოიღო პირდაპირ. ჩემკენ, თავაღებულმა, მგონია, თვალებდახუჭულმა.

მე უნებურად გადავდგი ნაბიჯი უკან. ის შედგა, მიბრუნდა და ნელა შეგვიდა გვერდით მდგარ ბუჩქებში.

ისევიც ცუდ გუნებაზე მყოფი, მთლად მომშალა ამ უცნაურმა გამოცხადებამ. ნერვიულად აკანკალებული იქვე ჩავჯექი და ვიჯექი ასე...

მერე მოვიკრიბე ძალა, ავდექი, აქედი ზევით, ხეკთან ნომდგარი ვორაკის თხემზე, და ვიყურებოდი იმ მხარეს, საითაც მატარებელი წავიდა.

მზე უკვე ჩასული იყო, დასავლეთის ცა წითლად ღუდღუდებდა, სიწითლეს შერეოდა მუქი ფერიც, ამ მუქა-წითელი ფერის ანარეკლი დაჰფენოდა ბრტყლად გაშლილ მოლურჯო დედამიწას, მატარებელი აღარ ჩანდა, მის გზაზე მიდიოდნენ, თითქოს მირბოდნენ შავი ბოძები, — ჯერ კანტიკუნტად, მერე ხშირად, მერე მთლად ერთმანეთს მიჯრილნი. ვიცოდი, რომ იმ ბოძებთან ერთად გარბოდა კიდევ უფრო დაპატარავებული და დათრგუნული ო-ა. — „მე არსად არა ვარ გამქცევი, ო-ა, მე ჩემს საწყალ სიყვარულთან ვრჩები, ჩემს საწყალ მელებთან, ჩემს საწყალ ძაძვებთან“, — ვთქვი ერთი ეს, გამოვბრუნდი, მაგრამ შინ არ გამოვჩქარებულვარ, ხშირი მუქი ბალახი ამოვირჩიე, ჩავწექი იმ ბალახში და გაშლილი ხელებითა და მარცხენა ლოყით დავეხუტე მიწას.

იმწამსვე ვიგრძენი, რომ მოვიღა წმინდა, კეთილი, სხეულის ყოველი ნაკვთის, ყოველი ნერვის დამამშვიდებელი, დამასვენებელი უჩინარი, უსახელო შუქი“...

სულ მცირე შენიშვნა: ამის შემდეგ ახალგაზრდული გამბედაობით ახსნილი მაქვს ამ შუქის რაობა, მაგრამ ღღეს ისეთ გულუბრყვილობად მიმაჩნია ესეკეთარი მსჯელობა, გადმოწერად არ ღირს.

წ ა ლ ო

ა ა ქ ღ უ მ ე ლ ი გვედგა, აქ — პურის კარადა, აქ — მაგიდა. ამ მხარეს იჯდა ხოლმე პაპა, ტახტის ბოლოში, გაღიმებული, წელში გამართული, მაგიდაზე ხელებდაწყობილი. ხელები ჰქონდა, — აუჰ, რა საინტერესო ხელები აქვთ მევენახეებს! — ხმელი, ხმელი, თითებმოკაუჭებული, ნაოკებში საფერავის ჭაჭაჩამკვდარი. შემოდგომიდან გაზაფხულამდე ეგეთი — საფერავით შეღებილი, გაზაფხულიდან შემოდგომამდე კიდევ შაბიამნით გამწვანებული.

ტახტი გრძელდებოდა, აი, აქამდე, ამ ფანჯრამდე. ზედ იყო გადფარებული დაძველებული, მაგრამ მაინც ლამაზი ფარდაგი, წითელგულიანი, აქეთიქიდან ყომრალბატკნებგაყოლებული. აქ, რაფის ძირში, ყოველთვის იდო ზოლიანი გრძელი მუთაქა. ჯერ იმ მუთაქაზე შევდგებოდი და მერე ისე ავდიოდი რაფაზე. შეხედე, როგორ არის დაკეჭნილი ფიცარი, რამდენი თაობის ბავშვებს უკაკუნებიათ ზედ!

ტახტი, აი, აქამდე მოსული სიგანით, ჩვენ გვეკუთვნოდა, — მე და ბებია. დაუკვირდი, რა კარგადაა ყველაფერი! — ღუმელიც აქვე, დილით რომ გაახურებდნენ, პირდაპირ ლოგინიდან ვუშვერდი შიშველ ფეხებს, წალოც აქვე, ფანჯარაც აქვე. ვიჯექი ხოლმე ცუდ ამინდში ამ რაფაზე და ვაკვიურებოდი გარეთ. გარეთ, აგერ იქ, საბურავები რომ ყრია, მიწური გომური იყო. შიგ ჭკვიანი, ძალიან კეთი-

---

რევაზ ინანიშვილი
მოთხრობები

ლი ძროხა და იმისი ბეწვგაბუეებული ხბო იდგნენ. ზამთრობით, ყინვებში, კარის ღრიჭოში, ან ძონძები ჰქონდა დაჩოგთული, ან წმინდა ბალახი. მაინც ორთქლი გამოდიოდა ხოლმე დილდილობით. აქეთ, ხელმარჯვნივ, ნაკელის გროვა იდგა. ავიდოდა იმ გროვაზე დიდი წითელი მამალი და ყიოდა. ქვემოდან, — აი, ისინი, კაკლებია, — იმ კაკლების ქვემოდან, წვრილი მაღალი კვამლი ამოვიდოდა და სულ მეგონა, რომ იქ ვიღაცა უცხო ტომის ხალხი ცხოვრობდა.

მაგრამ ყველაზე კარგი მაინც რა იყო, იცი, ამ სახლში? — აი, ეს, წალო, სალოგინე. ახლა წალო განჯინად არის გადაკეთებული. შეხედე, რეებით არის გამოსებული, — კომპოტები, მურაბები, მწნილები, საწებლები! წინათ სულ მთლიანი იყო, უამთაროობა, სუფთა, სუფთა გაჯით გამოლესილი, გამოპრიალებული, და შიგ მზეზე ხშირად ნამყოფი ლოგინები ეწყო. არ ვიცი, რით იყო გამოწვეული ეს, — შეიძლება იმით, რომ ოთახში მაღლა ყოველთვის უფრო თბილა, ანდა იმით, რომ ბავშვებსაც უყვართ მიმუდრობა, თავის საკუთარ სამფლობელოში ჩაკეტვა. — ეს წალო ძალიან მიყვარდა. როგორც კი შეცოტავებულს დავინახავდი ლოგინს, ავბობღდებოდი, ავიდოდი ზედ, ლოგინების თავზე და აღტაცებული აქეანდებოდი და დავქანდებოდი. ამაზე უფროსები წყრებოდნენ, — მოვედი მანდ. მოვედიო! — მაშინ ჩამოვიფარებდი ფარდას, დავწვებოდი, დაგხუჭავდი თვალებს და მივეცემოდი ნეტარებას, წარმოიდგინე, თითქმის ბნელში! ხშირად იქვე დამეძინებოდა და, რომ ჩამომიყვანდნენ, ისევ მაღლა მივწევდი. ვთქვათ, აქამდე ლოგინები იყო, რაღა რჩებოდა სიმაღლეში, — ერთი, ორი, სამი. ჰაი-ჰაი, ცოტა მეტი. სიგანეც — ერთი, ორი, სამი, ოთხი, ოთხი მტკავილი. წინ კი თეთრი მიტკლის ფარდა. სულ ეს იყო ჩემი საოცნებო სამფლობელო. და მაინც — რა შეჩვენება დღეს, იცი? — ასტრონომიული განზომილებებით არ ვლაპარაკობ. არა, უბრალოდ, შინაურულად, — მეჩვენება, რომ მე მაშინ დიდი ვიყავი, დიდი იყო ირგვლივ ყველაფერი, ეს ოთახი, ეზო, უბანი, — უამრავ რამეს იტევდა აქაურობა. შემდეგ და შემდეგ კი დავპატარავდი. დაპატარავდა ოთახიც, ეზოც, უბანიც, მთელი ქვეყნიერებაც. მე ახლა მთლად პატარა ვარ, ვეღარსად ავდივარ და ვეღარაფერს დავყურებ მაღლიდან. ძალიან ვცდილობ, რომ ასე არ იყოს, ვიჯიმები, ვფაფხურობ, რაღაცეებს ვეშვდები, მაგრამ არაფერი გამომდის.

მეთოვლეები

სამ დღეს შეუჩერებლივ თოვდა. რომ შეგვშინდა, ეს რამოდენა თოვლი მოვიდა, სახლების სახურავები არ დაგვინგრიოსო, — ქარი ამოვარდა. ჯერ თითქმის ბალღივით გვეცელქებოდა, წამოუბერავდა, თხელ ნამქერს მოგვაყრიდა და დაიმალებოდა. მერე და მერე გაძლიერდა, ზმეული დაიწყო და ისეთი თოვლის კორიანტელი დაადგა, თვალწინ აღარაფერი ჩანდა. ღუმელის კვამლი რა არის, ღუმელის კვამლსაც კი აღარ უშვებდა შინიდან. ისიც, ის კვამლიც, — მეტი რა გზა ჰქონდა, — — შეწუხებული ჩვენთან ბრუნდებოდა, ჩვენთანაც არ ედგომებოდა, ბოყირობდა, ბორიალობდა, აქეთ-იქით აწყდებოდა.

ძაღლი ხომ მართლაც გარეთ აღარ გაიგდებოდა. მოვიდა წკმუტუნით და კანკალით კართან, მოეკრა ზედ, — ეტყობოდა, კარს ცოტა სითბო მაინც ჰქონდა, — შემოვუშვით შინ, შემო-

ვიდა დიდად დამორცხვებული, დიდი ბოდიშების მოხდით, — რა ვქნა, ახალგაზრდა ალარა ვარ, მალე მცივდება, უნდა მაპატიოთო. მივიდა კუთხეში, კარადასა და კედლს შორის, — აი, იქ ვეგდები ჩემთვის, არავის არაფერში შეეუშლიო, — მიწვა, მიიკუნტა, თვალებიც კი დახუჭა. ხანდახან თუ გამოიხედავდა, მაშინაც ძვლები სტკიოდა მორიდებისაგან. მივედი, მივეფერე, — ნუ გერიდება, კაცო, განა ეგეთი გაუგებრები ვართ, შენს მდგომარეობაში არ შევიდეთ, აგერ, ხომ ხედავ, ბოლიც კი ჩვენთან არის შემოფარებული-მეთქი. — ჰოოთო, ჰოოთო, თქვენ ვენაცვალოთ ჩემი ბებერი ძვლებიო, — ძაღლმა, — ისევ მილულა თვალები და დაიწყო ჩვენი სიკეთისათვის ლოცვა, —მიცოცხლე ჩემი კარგი პატრონებიო. მივუტანე საჭმელი, დავუდგი ჯამთო, — არაო, რასა ბრძანებთო, ჯერ რა მესაჭმელებაო, — პირი არ დაიკარა.

ჭარმა კი, — იბობოჭრა, იონაგრა, — სდ თივის ბუღლუს მოაძრო წვერი და წაიღო, მიმოფანტა თივა აქეთ-იქით, სულ დაკარგა ცაში. სად საჭონელს ამოუქოლა ბოსლის კარი და მშიერ-მწყურვალნი დატოვა მთელ იმ დღეს. სად ფანჯრების მინები ჩალეწა, შეკარდა სახლში, დაიფორიაქა დიდები თუ პატარები, — ზოგი ბალიშით უნდოდებოდა, იმ ბალიშს ჩურთავდა გატეხილ ფანჯარაში, ზოგს საბანი ეჭირა, ზოგიც თვითონ ეფარებოდა ხან მკერდით, ხან ზურგით. წაეკცია რაც წასაკცევი იყო, ძირმობილი ხეები, ტელეფონის ბოძები, პარიკმახერის ბუდრუგანა, ერთიც — გაგულადებული მთვრალი ფშაველი, — კიდევ კარგი, რომ ვიდაცამ დაინახა ის ფშაველი და დროზე მიეშველინენ, თორემ უთუოდ ცოდვას დაიდებდა ქარი, — მოიღალა, მოიქანცა, შუაღამისას მთლად მისავთდა და შუაღამის შემდეგ, მამლის მეორე აყივლისას, — მამლებმა მაინც იყივლეს, — ჩაწყნარდა, ჩადგა. მაშინ ძლივს გაბედეს და გამოსხდნენ ცაზე ვარსკვლავები, გაკვირვებისგან აფახულებდნენ თვალებს.

ისეთი სუსხიანი დილა გათენდა, თითქოს ჰაერიც კი გაყინული იყო და ვერ იძვროდა. მაგრამ მოდგა აღმოსავლეთიდან მზე, გაანათა, გაბრწყინა ხმელეთიც და ცაც, მათ შორის ჩვენი სახეებიც, — ჩვენ თვალებს აღარ გვახელინებდა, თითქოს არ უნდოდა, დაგვენახა თოვლისა და მისი სხივების თამაში, — მეზობლები ერთმანეთს ვულოცავდით მშვიდობით გადარჩენას, ყველას ნიჩბები გვეკავა და ბილიკები გაგვყავდა ნაბუქ თოვლში; გახაოებულნი იყვნენ ცხოველები და ფრინველებიც. ახლაზარდა ძაღლები, — ჩვენი ბებერი ლაგაზა ჩვენთან იდგა ისევ დამორცხვებული, — ახალგაზრდა ძაღლები ქამმებს აწიოკებდნენ ხუმრობით. ქამბები თავს დიდად იფასებდნენ, ერთი ბენაისი და გაგან-გაგანი გაჭქონდათ, თუმცა მშვენივრად იცოდნენ ძაღლები არავითარ ცუდს არ უქადდნენ. ამოუჯდა ბედნიერებისაგან გული წყაროზე გამოგდებულ სახედარს. — მწიფეო, მწიფეო! — იძახდნენ წიმფეფეები, ხის ტოტებს ირგვლივ უვლიდნენ, მართლა მწიფე ხომ არაფერია საღმეო; კამათობდნენ, ჯაჯლანგბდნენ ბეღურები, — ალბათ ერთმანეთს წინა დღის ამბებს უყვებოდნენ, ზოგს უჯერებდნენ, ზოგს არ უჯერებდნენ. გალობდა ხმელი როკის წვერზე გასული ჭინჭრაქა, — ეს ყველაზე პატარა და ყველაზე უშიშარი ჩიტი. შუადღისთვის კი მოფრინდნენ ჩვენი ეზო-ბაღებისთვის უცხო ღაბუა ჩიტები— სტეგნები, რომლებსაც ჩვენთან ზოგი დრუნჩებს ეძახის, ზოგიც მეთოვლე ჩიტებს, — მოფრინდნენ ოთხნი ერთად; ორი თეთრი დედალი, ორიც ბოლოშავი, წითელგულა მამალი, დასხდნენ სახლის წინ, ნორჩ გარგარ-

რევაზ ინანიშვილი
მოთხრობები

ზე, ისხდნენ წყნარად, ნამდვილი სტუმრებივით, შეფიქრიანებულნი, შეწუხებულნი, — საღ მოვხედით საიდანაო, — გაუბედავად გადაფრინდებოდნენ ერთი ტოტიდან მეორეზე, გაუბედავად, მაგრამ მაინც კენკავდნენ რაღაცეებს. მეგონა, ძილქუშში წასულ ბუგრებს ჭამდნენ, მესიამოვნა ძალიან, მაგრამ მერე დავაკვირდი და დავინახე, რომ საყვავილე კვირტებს კორტნიდნენ. მოგლეჯდნენ წვრილი ტოტიდან გატიკულ პრიალა კვირტებს, სწრაფად გაარჩევდნენ, ჩენჩოს გამოყრიდნენ და ჩვილ გულს მიირთმევდნენ. თან უკვე ისე მარჯვედ, ისე ბეჯითად აკეთებდნენ ამას, — ერიჰა, ესენი ხომ მთელი წლის მოსავალს შეჭამენ-მეთქი! მაგრამ თუ კი კაცი ხარ, რა გინდა რომ ჰქნა! — სამ დღეს შეუჩერებლივ თოვდა, მეოთხე დღეს ჯოჯოხეთური ქარბუქი ბობოქრობდა, მეხუთე დღეს ყინვა აქახჭახებდა დედამიწის ძვალსა და რბილს, ჩვენ, ადამიანები ერთმანეთს ვულოცავთ გადარჩენას, ეს ჩიტები, ეს ლამაზი ჩიტები, ვინ იცის, საიდან მოფრინდნენ, გაჭირვებულნი, მშივრები, დაღუპვის შიშით დამონავებულნი, და ახლა ისეთ ავკაცობას გამოიჩენ, რომ გარეკავ შენი ეზოდან?! არა, მაგას როგორ ვიზამ, თუნდაც მართლა წლის მოსასვლელი გარგარი გამინადგურონ-მეთქი.

— იყავით ჩემს ეზოში მშვიდად! — ვუთხარი ლამაზ მეთოვლეებს (მე სახელი „მეთოვლეები“ მომწონს), თუმცა არ ვიცოდი, გაიგებდნენ თუ არა, ჩემს ნათქვამს. შევედი შინ, მივუჯექი ღუმელს და ახლა ფანჯრიდან გაყურებული ვტკბებოდი მათი სიმშვიდით.

●

მეორე დღეს ქალაქში მომიხდა გამგზავრება და მთელ კვირას ვეღარ ჩავბრუნდი სოფელში. კვირისთავს ჩამოვედი და ვნახე: თითქოსდა ფეტვის ნარჩევი მოეფინათ ნორჩი გარგარის ქვეშ, თოვლზე. ორიოდე საყვავილე კვირტიღა იყო დარჩენილი ტოტებზე. მაგრამ, ვიფიცავ წითელ მზეს, სასაყვედურო არ წამომცდენია არაფერი.

დაბრუნება

ქალი ფეხების საწმენდ ტილოს ასწორებდა და გაოცების ღიმილით აჰყურებდა.

— რატომ ჩამოხვედი ასე ადრე?

— გეწყინა?

ქალმა საყვეღურით ახედა, კაცმა ნაკლული ზურგჩანთა მიაწოდა, — მანდ ზღმარტლი და ტყის სხვადასხვა ხილია, — ტილოზე ფეხების წმენდას შეუღგა.

ქალმა ღიმილით შეათვალიერა ჩანთა, სამზარეულოში გაიტანა, ორი ხელით ასწია და მაგიდაზე დადო. კაკი შემოვიდა, ქურთუკი გაიხადა, საკიდარზე დაკიდა, ერთხელაც დაიხედა ფეხებზე.

— იქ დიდი ტალახი იყო. გუშინ და გუშინწინ სულ წვიმდა. აქა?

— აქაც წამოწვიმა ცოტა.

— ფლოსტები სად არის?

— ახლავე...

ქალმა საბაზანოს კართან ჩაიმუხლა, აბაზანის ქვეშ ხელი შეყო. ფლოსტები გამოიღო და კაცს წინ დაუწყო. კაცმა ზონრები შეიხსნა, ფეხსაცმელები დაიხადა და ფლოსტები აითრია.

— როგორა თბილა აქ! ეჰ, სხვაგანაც კარგია, მაგრამ შინ მაინც ყველაფერს სჯობია. შენ რა, ცუდად იყავი?

— რაზე მატყობ?

— გატყობ. ცუდად იყავი, არა?

— ისე, როგორც ყოველთვის. — ქალმა საუთოებელი მაგიდიდან თეირუული აიღო და პლასტმასის კალათაში ჩაუყუნა.

— არ შეიძლება თქვენი მარტო დატოვება.

— კაი ახლა!

— ჰო, ჰო. ბავშვები როგორ არიან?

— რა უშავთ.

— ხომ არ გაბრაზებდნენ?

ქალმა მხრები აიჩეჩა.

— ისე.

— გათავდა. ამის შემდეგ ვებმები ჩემს პალოზე და ვიტრიალებ იმ პალოს ირგვლივ.

— ნუ დაიწყებ ხოლმე რაღაცებს.

— რას დავიწყებ. აბა, შემომხედე! — ქალმა შეხედა.

— ვერ მატყობ, რამსისქე ვგავხდი?

ქალმა ერთხელაც შეხედა და უთხრა:

— პირიქით, გამხდარი ხარ.

— ასე გეჩვენება, გასაპარსი რომ ვარ. მე ხომ ვგრძნობ, აი. — კაცმა ხელები შემოიწყო გვერდებზე და აააქანავა.

— გინდა, ჯერ იბანავე და მერე ისაუზმე.

— თუ კი მაგ სიკეთეს იზამთ!

ქალმა შემბრალებლურად გაუღიმა, მეორე ოთახში გავიდა, გარდერობის კარი გამოაღო და იმ კარს მოეფარა. კაცი ყურნალების მაგიდაზე დაწყობილ გაზეთებს ათვალიერებდა.

— ამ პატიოსანი გვამის სიკვდილი იქვე გავიგე.

ქალმა პირსახოცი და საცვლები გამოიტანა. კაცმა გაზეთში მოთავსებული სამგლოვიარო განცხადება და სურათი აჩვენა.

— ჰოო?

— რა ამბავია, რამდენნი აცხადებენ. ჩვენი დებილი ალმასხანიც აწერს ხელს?

— კი.

— რატომ ღმერთი არ გაიცინებს.

კაცმა გაზეთი დადო, ქალს მხრებზე ხელები დაუწყო.

— ეს ერთიც, ეს ერთი სისულელეც მაპატიეთ და მორჩა.

— რა სისულელე.

— დაკარგვა.

— ოღონდ კარგად იყავი და ყველანი ყველაფერს ავიტანთ.

— მე გენიალურად ვარ. აი, ვიბანავებ, გავიპარსები და ნახავ!

ქალმა გაუხსნელი სპონიც მოუტანა — „Русский лес“.

კაცმა სპონს დახედა და ხელი ყელთან მიიდო.

— აქამდე ვარ, აი, ტყით. სამკერვიყავი სანავოზე. იცი, რა ტყე ყოფილა იმ სიმაღლეზე? ადრე მე ასე მეგონა, რომ სიბერისაგან დაკორძებული და დახავსებული ხეები იქნებოდა. კელპტრებივით კი დგანან, — სულ წიფლები. წიფლები, თამელები და შავრცხილები. რომ გახედავ — სასიამოვნოდ ანათებენ ყველანი. პატარა შავი კორბი თუ აქვს რომელიმეს, შორიდანვე ჩანს. მიწაც სულ სუფთაა, ბმული ფოთლებია დაგებული და იმ ფოთლებში ბრძამი და ხარის ჩლიქია ამოსული. ბრძამი ხომ გახსოვს — „ეფინნ ნატყვიარშია ლეგა საფეევ ბრძამისა“...

კაცი ზურგჩანთასთან მივიდა, ჯიბე გაუხსნა და ბალახების ბღუჯები ამოიღო.

— აი, ეს არის ბრძამი, ეს ნაზი, მოკიდე ხელი! ეს კიდევ ქუჩია, ქუჩი შენ ადრეც გაჩვენე, ეს ხარის ჩლიქი, ეს... ამას უყურე!

კაცმა ზურგჩანთის მეორე ჯიბეც გახსნა.

— ეს კიდევ ზღარბაა.

ქალი კაცის წინდებს ერთმანეთში ახვევდა და სევდიანი ღიმილით უყურებდა ბალახებს.

— ეს მართლა საოცარია. — თქვა ქალმა ზღარბაზე.

— ამან ყვავილები იცის — ველურ მიხაკებს მიმსგავსებული, გრძელყუნწა, პირისფერი ყვავილები. ისეა ხოლმე, თითქოს ვიღაცას ჩაურჭვია შიგაო.

კაცმა ზურგჩანთას პირი შეხსნა, ორივე ხელი ჩაყო შიგ და პეშვით ამოიღო ერთმანეთში არეული ზღმარტლი, კვრინჩხი, თამელი და ასკილი.

რევაზ ინანიშვილი
მოუსახლობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყველაფერი არეულია, მაგრამ, მე მგონი, ასე სჯობია. წიწიბოიც არის ცალკე, პატარა პარკით. წიწიბოს მოხლა უნდა.

ქალმა პეშვით გამოწვდილ ხილს ხელები შეუშვირა, მუხლებშიც ჩაიხარა, თუ დაებნეოდა, კალთაში ჩასცვივნოდა. მაგრამ არ დაებნა. ხილი მკერდთან მიიტანა და ახლა ისიც კმაყოფილი დაჰყურებდა.

— ბევრია, — სიამაყით შეატოკა კაცმა ჩანთა. — მეზობლებსაც გავუტანთ.

ქალმა ერთი ზღმარტლი ამოიარჩია და ჩაკბიჩა. ზღმარტლს სიმწიფე აკლდა, ცოტა მწკლარტე იყო, მაგრამ ამაინც ეამა.

— ტყისა მაინც სხვა არის. ბაზარში რომ იყიდება, ნამყენი, ის კარტოფილივითაა.

— აბა, რა!

კაცი პირსახოცს და საცვლებს დასწვდა, უცებ მობრუნდა და ქალს შუბლზე აკოცა.

— ნახვამდის. მე ხელად ვიბანავებ.

— ვედროში აგვეღო ცხელი წყალი, უცებ არ შეგიწყდეს.

— არ შეწყდება. უნდა გჯეროდეს, რომ არ შეწყდება და არ შეწყდება.

ქალმა ურწმუნოდ გამობუსხა ქვედა ტუჩი და თავი გააქნია.

კაცი ერთხელაც მობრუნდა და თქვა:

— ძალიან, ძალიან ბევრი რაღაცები მაქვს სათქმელი და, არ ვიცი, როგორ ვიტყვი.

— სამუშაო? სამუშაოს თუ მორჩი?

— არა, აბა, როდის. მაგრამ ეხლა აქ დავამთავრებ მალე.

კაცმა ონკანი მოუშვა. გაისმა უსიამოვნო ფშუტუნი.

— შეწყვეტილა.

— არ გადამრიო!

— კი.

კაცმა მეორე ონკანიც მოუშვა.

— ორივე შეწყვეტილა — ცხელიც და ცივიც.

— წარმოგიდგენია?! შენ რომ შემოხვედი, მოდიოდა.

ქალი სამზარეულოს ონკანთან მივიდა და იმან ის მოუშვა.

— ფუი, თქვენი!

კაცმა პირსახოცი და საცვლები დიანაზე დაყარა და დაქანცულივით დაჯდა.

— ყოველგვარმა რწმენამ დაკარგა თავისი ძალა, გარდა ერთისა. რატომ უფრო ჩამოვედი ასე ადრე, იცი? დღისით ვიტანდი უთქვენობას, ღამითაც ვიტანდი, სანამ მეღვიძა. მერიდება ამისი თქმა, მამაკაცი ვარ, მერიდება, მაგრამ, შენ თუ არ გითხარი, ვიღას ვუთხრა. მღვიძარი ყველაფერს ვიტან, ყველაფრის გაკეთებას ვაიძულებ თავს, მაგრამ ცოტა ხომ მაინც უნდა დაიძინოს კაცმა. დავიძინებდი და სულ მეჩვენებოდა, სიზმრებში, კიღაცება დასამარხი მყავდა. ხან საწყალი მამიდა, ხან ბიძაჩემი, ხანაც სხვები. ერთი დამეს ორი მკვდარი მყავდა დასამარხი ერთად. როგორია ორი გაჭიმული კუბოს ერთად ნახვა! თან მე ვიყავი პასუხისმგებელი, მე მეძახდნენ, მე უნდა დამემარხა ორივენი, ვერ ვასწრებდი, დავრბოდი, ხალხთან ვრცხვებოდი და ვიტანჯებოდი, ვყვიროდი. ცოცხლებს კიდევ უღალატებს ქართველი კაცი და მკვდრებს?! როგორია, მიდი და რამეში უღალატე ყველაზე უმწეოებს, მკვდრებს.

ქალი შიშმამდგარ თვალებს არიდებდა. როცა მაინც შეხედა, გაუღიმა და გაუიოლა.

— ერთი შენც! აგერ იმ გაზეთზე აგიხდა.

— არა, ძმაო, აღარსადა ვარ წამსვლელი. ვებმები ჩემთვის ჩასმულ პალოზე და ვიტრიალებ იმ პალოს ირგვლივ. არავისა აქვს უფლება, თავისი თავისთვის რაღაც გამორჩეული პიროებები შეიქმნას, რასაც არ უნდა აკეთებდეს...

ქალი გვერდით მიუჯდა, ფრთხილად აუსვა ხელი ლოყაზე.

— ეიმ ზღარბასავით იჩხვლიტები. ადექი, გაიპარსე!

ფრესკა — „შატილი“

მხატვარ გივი თოიძეს

მზე მთებზე მიდის შმაგი დუღილით,
ალისფრად ელავს ღრუბლის მანდილი.
თითქოსდა გულშიც ცეცხლი უდვივის,
ისე ბრიალებს მთები შატილის.

დასტვენებია ჯიქურ ერთმანეთს
ორი ვაჟკაცი და მოსისხარი,
მათ შორის უცვე ნაზი მერდინი
გაიფინება როგორც ცისკარი.

ეს მზექალია თუ მზევინარი...
ისმის ქოთქოთი და ჟრიამული,
კლდეებს მიჰკივის ზვირთი მდინარის —
როგორც ცოცხალი სული მამულის.

ეს შენ იხილე მთები ამგვარი,
აქ მხოლოდ შენი ნების წყალობით
შატილის მთები ისე დანდგარებს, —
თითქოს ვულკანის ცეცხლი ამოდის...

საკუთარ სახეს ვხატავთ და ვძერწავთ,
ვინ სტრიქონებით და ვინ პასტელით —
იმ დღისთვის, როცა ამ ქვეყნად ჩვენგან
აღარ დარჩება აღარაფერი!

ტაძრის ეზოში

რა ცხადი არის
აქ ქარების ნამუშაკარი!
რა დაყინებით,
ან რა ხანი უნდა ექროლათ,
რომ წაეშალათ
ჩუქურთმების თბილი ხაზები!

ცარიელია დღეს ტაძარი.
ვგონებ, ხავსიც დაბერებულა
და ლოცვებიც
ქარს გაუზიდავს მოუსავლეთში.

თითქოს ჩონჩხი მიყურებს ცივად
სამარიდან ამოღებული...
მინდა გავიქცე,
მინდა გავიქცე
მაგრამ ქარებს სად გაექცევი?
ეზივარ უხმოდ
ბებერი ტაძრის
ხავსითა და ქარით გამოხრულ,
დამდნარ ლოდებთან
და ნუგეშის სიტყვებს დავეძებ.

●

გათენდა დილა,
დასაწყისი დღისა და გზისა.

ეს მერამდენე დილაა ნეტავ
შენსკენ მომავალ
აღმართებზე გათენებული?

ამ გზაზე,
ეატყობ, გამეზარდა ტკბილის კუზი, —
ახე თანდათან
სტალაქტიდი იზრდება ბნელში,

არა ფესვებით —
ჩამოდენილი ცრემლებისაგან...

გათენდა დილა,
თითქოს მღვიმეში
შემოაშუქა უცებ სანთელმა
და მორიალე ღამის ლანდები
გაუჩინარდნენ ხოჭოებივით...

გათენდა დილა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცხრე სართულის ფანჯარასთან
თავისთვის მდგარი
გავცქერი ხოლმე
შორს,
დიდგორის დაბინდულ კალთებს...

ამ დროს
თუ დაბლა გადავიხედე —
შავად მბზინავი ქუჩის ასფალტი
ისე ახლოს მგონია — ლამის
ჩემი ფანჯრიდან
ძირს, ქუჩაში გადავაბიჯო...

●

რა ადვილია ლექსების წერა,
როცა ცხოვრებას შორიდან ზვერავ,
როცა დინებას აყოლებ მზერას
და მდინარეში ფეხს არ ისველებ.

მაგრამ ცხოვრება როცა მგელივით
მოგჩერებია პირდაფჩენილი,
როს ყელს გიღადრავს სისხლიან ლაშით —
ნამდვილად კვნესის სტრიქონიც მაშინ,
როგორც გახსნილი მწარე იარა...

და სიცრცეების თანაზიარი
აიქნევს ფრთებს **და** მიფრინავს ცაში!

ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲐ

დრო ადარ გადის.
ეკლათ სავსე საწოლში უკვე
ამაოდ ცდილობ მოგონების ხავსის ჩაფენას.
მზერას არიდებ ახლობელთა
ნაღვლიან თვალებს
და იცინი ნაძალადევად,
რადგან ახლა მხოლოდ **შენ** იცი,
რომ ის ახლოა —
შორეული **რაც** ჭგონიათ
და **პირბასრი** ცელის **შხივილიც**
გარკვევით **გესმის** —
რა სისწრაფით **გიახლოვდება...**

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

მუდამ ჩვენს ცხვირწინ მიაგორებს
ქაფიან ტალღებს —
ჩვენ კი ნაპირთან ვჭყუმპალაობთ
როგორც ბალღები,
სიღრმეში **შესვლის** გვეშინია,
თავს ვიტყუებთ,
ფეხისგულებს ვისველებთ **მხოლოდ**...

ხოლო მას,
ვინაც ამ მდინარეს
ჯიქურ **შეება**,
ვინაც თავისი სიმამაცით
ჩვენი **სიმხდალის**
დათრგუნვას ცდილობს —
ვისაც ახლა
ტალღა მიათრევს,
რომ მორევში **დაატრიალოს**, —
თვალს რად ვარიდებთ,
თითქოს სულაც არ დაგვენახოს?
მდინარის ზათქი
გულგრილად ახშობს
იმის განწირულ, უმწეო ყვირილს
და ჩვენამდის ხმაც ვეღარ აღწევს..
მუდამ ნაპირთან ვჭყუმპალაობთ,
მუდამ ნაპირთან... —

9 მაისი, 1978 წელი

თეთრი ცისკრები ამოფრინდება
გამარჯვების მთრთოლვარ გულიდან,
ცაც გათეთრდება ხანძრის მქისე
კვამლრამოცლილი...
დააწყვეთ ყველა ტკივილები
დაღლილ მამების,
დააწყვეთ სუსტი თალხი
დედების;
და ფიქრის მზერა გააყოლეთ
შემზარავ წარსულს —
კაცთა სამინელ სასაფლაოს.
მარადისობა!
მარადისობა!
მარადისობა
არი თვითონ მწვანე
ბალახი!
და ხორცის ფერფლი
იმ უწვერულ ჭაბუკებისა —
დღეს გაფრთხილების
არის ნიშანი, —
შენი და ჩემი,
მისი და სხვათა,
ყველასი ერთად!
მე, მეც ვაფრთხილებ
დედამიწის აბუჩად ამგდებთ:

იარაღთან მოეშვან თამაშს,
თორემ ისედაც ჩქარი გულის
ცემით დაღლილი —
არ გაპატიებს დედამიწა
ტანის შებილწვას,
ბავშვის მალიად მოხუცებას,
და ისევ იმ საშიშ წარდგნას
უბიწო სისხლით...
და ძვლების ტყეებს!..
არ გაპატიებს დედამიწა
და, საკუთარ ღერძზე მომწყდარი,
ბრმა ფრინველივით შეასკდება
სიკვდილის წყვდიადს...
... ხედავ? —
დროშები ფრიალებენ,
ხედავ? —
წყვდიადი
გახაფრულია თეთრი ცისკრებით —
ამოქროლილი ხალხის გულიდან.
ხედავ? —
სიკვდილის ტლანქი აჩრდილი
დედამიწის სიფხიზლეს ზვერავს.
ფრთხილად დავტვირთოთ დედამიწა,
ყანის სიმძიმით
და ბაღნარების ჭრელი ჩრდილებით!...

●

ყრმობიდან მოყოლებული
ფიქრი ვარ მოგორებული,
ალალმართალი, ნამდვილი —
თუ განა მოგონებული.

ნეტა საიდან სადაო,
ნეტა როდიდან როდემდე —
მკლავდე და ვერ გამათაო,
გაგირბოდე და მომდევდე.

ქარად მაქციე უბელოდ,
ან ქართლში ყანად მაღელვე,
ან ღრუბლად ამაღრუბელე,
ან წვიმად ჩამომამღერე.

ან ზღაპრად ამაზღაპარე,
გმირად მაქციე ჯაბანი,
ვარსკვლავად ამიყვავილე
ცად ჩემი მამა-პაპანი,

წვეთ-წვეთად დამახარჯვინე
სისხლი მდინარედ მდინარი,
ზომკალი, გადამარჩინე
ცრუ წუთისოფლის ბინარი.

თორემ სანამდე, სანამდე,
თორემ როდემდე, როდემდე,
ვწუხდე და — მახარხარებდე,
მიხარდეს და — ვგოდებდე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვანეთის მონატრება

თამაზ წიფწიფაძეს

ბტიან ფიქრები საგნებზე ბურთებივით,
მინდა აპრილის ხანძრით მოვინათლო,
ახლა მენატრება სვანეთის მთები,
ხვალ იქნებ აღარც მომენატროს.

ახლა მენატრება მხარე ალპიური
(ზმთებზე ასხლტილი ქარები უბელო)
და ასე მითიური და ასე ზღაპრული,
და ასე ნამდვილი და ასე უბრალო.

თორემ განათდება შორეულ ნისლში.
სურათი აბრაამისა და ბატკნის

და ვიღაც შეძრული გარდასვლის შიშით,
სულში თოვლივით იმედს ჩამიბეკნის...

ღას მხრებმილურსმული ზვიადი კოშკები,
უშგულზე დადგრილი მზის ცხელი
ჩქერალი,
ზხარაზე ნისლები — ღვთის თეთრი
დროშები,
ზხარაზე — ზვავები ვერანი.

სიზმრების ტევრი — დალის თმებივით...
მინდა აპრილის ხანძრით მოვინათლო,
ახლა მენატრება სვანეთის მთები,
ხვალ იქნებ აღარც მომენატროს.

●

ზესტაფონო,
ზესტაფონო,
ზესტაფონო...
გიცანი,
ზესტაფონო,
ზესტაფონო,
ზესტაფონო...
გიგრძენი,
გულში გარბის გარდასული გზები —
ცივი სივრცენი,

თვალში — სველი გახსენება ძველის,
დანავიწყარის.

ჩემს ყოფასაც გაიყოლებს დრო — ზღვა,
და იალქანი,
გაიყოლებს, არ ინანებს ცრემლით
შენაშფოთები,
და დარჩება მოგონებად შენი ძველი
ბაქანი
და სიმღერა
— ზესტაფონო, ზესტაფონო გშორდები!

სარკველთან

რაღაც სხვა მინდა,
რაღაც სხვა მინდა,
სიკვდილზე მძაფრი და უსაშველო.
შენ თოვლს სინაზე უნდა აჩვენო
და ჰქმნა ლამაზი თოვლი ამითაც.

მეტს მე არას გთხოვ... სარკმლის მიღმა
ვარ —
ბედნიერებით ზეცას წეული,
ჩუმად ვსაუბრობ ზამთრის ნიღაბთან,
ვით იჭვიანი პრინცი სნეული

მამის აჩრდილთან...
ჩემი ვედრებაც
აქ შენ გეკუთვნის, შენ და არავის,
და ჩემშიც მალე, მალე ბერდება
დაფარულიც და დაუფარავიც.

ზოგჯერ მაშინებს უფლის ხსენება
და მაკრთობს შენი თვალში ჩახედვაც...
გავყურებ სივრცეს და მეჩვენება, —
როგორ ტორტმანებს თოვლში კახეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ აყვავდა ცრემლის ბალახი
შენი თვალების ლურჯ ხნულებზე,
როგორ აყვავდა...
ბედნიერი ვარ, გიხილე, გიცან,
გადაიცრიცა წლები — ფარდები,
და შენი თბილი ტანის სიმღერა —
მოგყვება ბავშვი ხუჭუჭთმიანი.

ბედნიერი ვარ! გიხილე, გიცან!..

ანანურთან

გიახლოვდები სიმშვიდეო, უკვე გასრულდა,
უკვე გამთავრდა. მიხარია და მახსენდება,
ანანურს ზევით როცა რუხი ცა მაცქერდება,
ფრთხილად ვიძინებ სინათლესთან
და აღსასრულთან.

ფრთხილად ვიძინებ.
აგერ ცრემლი.
აგერ არაგვი.
აგერა ნისლი ცად ალეწილ მთათ
მონარაგვი,
ფრთხილად გიხსენებ სიზმარეთის თბილ
სინათლიდან
გაცანაზებულს... სინათლეა სიზმრის
არაგვიც.

ვაი, ისევე ჩემს მზერაში ჰყვავა ფშანები,
ლურჯი ყვავების ნამკალებზე ჰყრია
შვავები,
აქ ქარის ხმაა, უფსკრულების ფსკერს
ჩამყეფარი,
აქ ცის და ქარის წყვდიადია და
მდუმარება.

კვლავაც მოგიხმობ არყოფნიდან, ჯვარცმას
ჩვეული.
აგერ კედლები, აგერ ვარცლი — სავსე
პირამდე.
აქ ანანური.
აქ უფალი.
აგერ პილატე,
ნეტარ გვემისთვის აგერ ჩემი მიწა-სხეული.

გიახლოვდები სიმშვიდეო... უკვე გასრულდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ელგუჯა მერაბიშვილი

ლ ო დ ი

უმწეოდ მხრებჩამოყრილი იდგა გზაგასაყართან წეროსავით კანქმადალი, წვერმოშვებული, გრძელთმიანი კაცი, შავები ეცვა და მართლა წეროს ჰგავდა, — შორიდან მოფრენილ დაღლილ წეროს, თავჩაქინდრული იდგა, დადგეკილი იერი ედო მაღალ შუბლზე.

ბალახით შეზრდილი ძველი გზით წავიდა. მიდიოდა და ელანდებოდა ხალხის მდინარეში შეტივტივებული ფერადი კუბო... გზაზე დაცვენილი მიმქკნარი ყვავილები, შემაღლებულზე აწოწილი საყდარი...

ალბათ იმიტომ, რომ უკანასკნელად მათე პაპას დაკრძალვისას ნახა აქაურობა ალხაზმა.

გულისჯიბეებიანი სატინის ბლუზა ეცვა მათე პაპას, გულხელდაკრეფილი იწვა ძველი მცელავი, თავთან ედო სათუთუნე ქისა და წრიულად დახვეული ძველი ქამარი. მშვიდად მიირწეოდა, ალბათ საძნე ურემზე ეგონა თავი, სხვანაირად ვერც წარმოიდგენდა სიკვდილს... ეს იყო მისი ცხოვრების გზის გაგრძელება და მეტი არაფერი.

ალხაზმა ხელი მოისვა სახეზე, მოშვებული წვერი აიჩეჩა, თითქოს ამით უნდოდა მოეშორებინა აკვიატებული ფიქრი.

ძველი საურმე ვენახების თავზე გაჭრილ წყლიან რუს მიუყვებოდა, გზის ზემოთ კი, ვიდრე ტყიანი ქედის ძირამდე, საუკუნოვანი ყამირი იდო.

კბდლებდაფშვნილულ კოშკს უახლოვდებოდა, ქონგურებწაცლილ ბანზე შოშიები ისხდნენ და ნისკარტების ტაკუნით სტეენდნენ. მათი მოერიდა, არ დფრთხნენო, გზიდან არ გადასულა, ისე ჩაუარა კოშკს, მაგრამ რაღაცამ მაინც შეაჩერა, — მიახედა ძველი კოშკისაკენ...

საუკუნეთა ქარიანი სუნთქვით ბარხანებად აძრულიყო კორდი; აქ ერთ დროს ალბათ კაბდოთი გასწორებული და გადაფარცხული ნათესი ველი იდო, ახლა კი ყორღანებად, ლოდებად აგორებულიყო მიწა, ყანების ღელვას დანატრებული, მწუხრ ფიქრს ინახავდა მხოლოდ. თითქოს ობი მოჰკიდებოდა, ავშნით იყო გადაფიფქული.

გზა განაგრძო.

რუსხმულის გასწვრივ მოღაღანე ყვავლა ვენახი რომ მოთავდებოდა, ტირიფების ზღუდე უნდა გამოჩენილიყო და მათ შუა ჩიტის ბუდესავით ჩაშენებული, წალმით დადახურული ქოხი.

წყლიანი ხევის აყოლებაზეც ბევრი ტირიფი ედგა მამას, ადრიან გაზაფხულით პირწმინდად გადაკაფავდა ხოლმე, ქერქგაცლილ თეთრ სარს შეუდგამდა ვენახს და ერთ ხელ მანეულს წნელით მიიკრავდა წელზე...

ადრიანი გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე აქ ბინადრობდა სიბერეში გადამდგარი მამა.

კაკლის ჩრდილი იწვა გზაზე და იქვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოგირი იდო წყლიან რუზე, ალხაზი შეჩერდა და ცარიელ ორღობეს გახედა. სადღაც შორს თეთრად გადახუნებულ თავშალს მოჰკრა თვალი და გულმა რეჩხი უყო. ეგონა, დედა მოდიოდა სოფლიდან, მხარზე თოხგადებული, ჰწკლის კალათით ხელში... მერე მიხედა, რომ ფშატის ტოტი ქანაობდა ორღობის ერთიან სიმწვანეში... იმან მოალანდა დედის თავშალი.

ფეხათრეული წავიდა თავისი გზით, თვალსაწიერზე უკვე მოთავდა ვენახები, ხევიც ახლოს იყო უკვე, მაგრამ არც ერთი ტირიფი არ გამოჩენილა...

ალხაზი შედგა, უმწეოდ მიმოიხედა. მის გულს ბაგაბუგი გაჰქონდა...

და ესმოდა შემკრთალს, როგორ გუგუნებდა ძველ სამრეკლოზე გაკიდული სამოცდათმანიანი ზარი... იცოდა ალხაზმა, ეს ხმა შორიდან მოდიოდა, მთების იქიდან.

იქ, მტკვრის პირას გაჯიმულ თეთრი კარვის თოკზე საგანგაშო ალამივით ფრიალებდა მაწისას წითელი კაბა...

ამჯერად ნერთვისის სანახებთან იყო დაბანაკებული გადამღები ჯგუფი... იქიდან მოდიოდა ალხაზი. თვითონაც არ იცოდა, რამ წამოიყვანა, ნუთუ გულმა უგრძნო?..

ბოლო არ უჩანდა ავდრიან დღეებს, წვერმოშვებული, ჩოხებში და ბერის კუნკულებში გამოწყობილი, ძველი ქართულით მოუბარი ბიჭები ისე გრძნობდნენ თავს, თითქოსდა, მართლაც საუკუნეთა მიღმა იყვნენ დარჩენილნი...

ნიალის ველით საქართველოს მოადგა რუქნადინის ლაშქარი. ის-ის იყო უნდა დაწყებულიყო ბასიანის ბრძოლა... ავი მოლოდინით გათანგულებს, რიგიანად აღარ ეძინებოდათ ღამით...

ჟამმა დაჭკა და საგანგაშოდ აგუგუნდა ვარძიის სამრეკლოზე სამოცდაათმანიანი დედო ზარი...

მოდგა და მოდგა ლაშქარი და დადგა მათ წინ სახიერი თამარ... სამეფო ტანსაცმელი განეძარცვა, მიწამდე გრძელი ცისფერი დარაიის კაბა ემოსა მხოლოდ, აღარც თაჯი ეხურა სამეფო... ჯვრიანი ხელი აღეპყრა და სასოებითა ლოცავდა ლაშქარს...

აი მოვიდა პირმშვენიერი თამარ ვარძიას, მუხლი მოიყარა ღვთისმშობლის წინაშე, ცრემლით შეავედრა დავითი და სპა მისი; მერე მობრუნდა, სვიანი დროშა ხელთ მისცა მოყმეთ და ფეხშიშველი, თვალცრემლიანი წინ წაუძღვა ლაშქარს...

საგანგაშოდ გუგუნებდა ზარი ვარძიის სამრეკლოზე.

თაღიას, გრძელ, ცისფერ კაბაში გამოწყობილ თამარს, გვერდით ჰყავდა სეფექალი თვისი, ხორეშან... ეს მაწისა იყო, ნაზი და სახიერი; ნელიად მოროსინეს ღვთაებრივი დედოფლის გვერდით წელამდე სცემდა თავთუხისფერი თმა...

ქართველები დღის სავალზე მიუახლოვდნენ ბასიანს, სადაც უკვე დაბანაკებულიყო რუქნადინის ურდო. დავითმა წინა მებრძოლიად დაუყენა ლაშქარს ზაქარია მხარგრძელი და ორივ ძმა — შალვა და ივანე ახალციხელები...

თამარ მობრუნდა ომრახეს...

ახლა კი ალხაზს უწევდა თამარის პირმშვენიერ სეფექალთან ახლოს ყოფნა.

ომრახეს მოსულ თამარს ეახლნენ კაცი ფილასოფოსი და ლექსთა მთქმელი, შავთელი და ის... ალხაზი, ამჯერად როგორც გრძელ ქიტონწამოსხმული ვეფოგი, სალოსად წოდებული, წინასწარმეტყველების ღირსმყოფი...

ბასიანის ახლოს, ბოლოკიხესთან დაბანაკებული ქართველთა ლაშქარი ბუკის დაძახილზე აიშალა. ცხენკეთილი მხედრები დაცარიელებულ სოფელზე გავლით მიეშურებოდნენ ბრძოლის ველისაკენ. სახიზნო კოშკზე მაშხალა ენთო, მისი ბანდიან ქალებისა და ბავშვების ყრიამული ისმოდა. დედაკაცები სანოვაგით სავსე აბგებს უყრიდნენ მოლაშქრეებს, აბგებიდან ჩურჩხელები, ჩამიჩი და ხილი ცვიოდა...

აჰა, გამოჩნდა ბასიანი... მტრის ბანა-

ელგუჯა მერაბიშვილი
მოთხრობები

კი... თვლა აღარ არის ცხენისა, ჯორისა და აქლემისა, კარვებისა და სარაფარდებისა...

ქართველთა მოსვლა აუწყეს სულთანს და დაიწყო ბრძოლა ფიცხელი...

მოლოდინში... კეთილი მაცნეს მოლოდინში დადუმებულა სამოცდაათმეათიანი ზარი ვარძიის სამრეკლოზე. ლიტანიობისას თან ახლავენ თამარს შავთელი და ევლოგი. ცრემლიანი სახე აქვს ღვთაებრივ დედოფალს, ტაძრის ბინდბუნდში უფრო მიუწვდომელი და ნაზი მოჩანს ციური შუქით მოსილი... იქვეა ჰაერთანი მაწისა.

ანაზდად უეცარი ხილვით შეძრული, ზეწამოიჭრა სახეშეშლილი ევლოგი, ნაკურთხი წყლით სავსე ბარძიმი ზედ გადაიმხო და განწმენდილი ფეხებთან დაუვარდა დედოფალს... ქვებზე გაგორებული ცარიელი ბარძიმის ჟღერუნზე შეკრთა თამარ... „ჰა, წყალობა ღმერთისა, სახლსა ზედა თამარისასა მოიწია“, — შეჰხედადა ევლოგმა, კაბის კალთები დაუკოცნა დედოფალს, წამოვარდა და ყვირილით გაექანა არაგანის მთისაკენ.

ეს სცენა კარგად გამოუვიდა ალხაზს. მერე მტვრიან გზაზე გარბოდა, სველი ქიტონის კალთებზე იდგამდა ფეხს, ბორძიკობდა, ეცემოდა, წამოდგებოდა და ისევ გარბოდა...

მოახლოებული გამარჯვების შეგრძნებით გამოეცხლდა მლოცველთა ბანაკი, მაგრამ ჯერ სუსტი იყო იმედი ხსნისა. გამოკრთა და უმალ წაიშალა თამარის სახეზე ფერმკრთალი ღიმილი...

საღამოს კოცონთან ისხდნენ. ალხაზს მაწისას თბილი ხელი ედო მუშში და ფიფქივით აცვივოდა მხრებზე მისი მუშკივით ლბილი თმა. მერე კოცონის მეორე მხარეს იდგა მაწისა, გრძელი შიშველი მკლავი წინ გამოუშალა და ცეცხლს ულოცავდა:

„აქეთ თაფლო, იქით ბოლო, აქეთ თაფლო, იქით ბოლო!“ — ამბობდა და თან კისკისებდა.

ბოლი მართლაც ალხაზის მხარეს იხრებოდა, მაგრამ ალხაზი ადგილიდან არ იძვროდა. თვალებადეკეცული. კოცონის მეწამული ათინათი ნიმბივით ევლებოდა ლიშვილის გლუვ მხრებს, ოდნავ სრულ თეძოებსა და ჩამოქნილ ფეხებს.

უყურებდა ალხაზი და თამარის გვერდით ჩამუხლული, შშობელ ხალხზე მლოცველი სეფექალი ეგონა მაწისა... დიდებულის პირშშენიერი ასული.

„აი ამისთვის, თუნდაც მხოლოდ ამ ბედნიერი საღამოს გულისათვის ღირდა წამოსვლა ვარძიას, რომ აღარაფერი ვთქვათ ეკრანის ცთუნებებზე, რამაც ჭაბუკობიდანვე აიყოლია ალხაზი.

თბილისიდან წამოსვლის წინ შეიტყო მამის ავადმყოფობა. ადრე ამბავი მოსდიოდა ხოლმე, ნიქმიჟიანობსო, ხან წვავს, ხან ფეხზეაო, მაგრამ ახლა ისიც შეაპარეს ფრთხილად, შემძიმებულიაო...

●

ალხაზმა შუბლი მოიჩრდილა ხელისგულით და გზას გაჰხედა. არა, ტირიფები არ გამოჩენილა, არც ქოხი. ჩქამი არსაიდან ისმოდა. მზე დასავლეთით იყო გადახრილი და დაღლილი სხივებით დაჰყურებდა ცაცქნა ყვავილებით მოთვალულ კორდს, სახიზნო კოშკსა და ქუფრ აკლდამებს. ერთი კი მიჰხედა და უმალ მოაშორა თვალი, არა, მის მოგონებებთან არაფერი ჰქონდა საერთო ყორღანებად დაბურცულ ყამრს... ალხაზს ვენახში ეგულებოდა მამა, შესაძლო იყო, დედაც იქ დაჰხვედროდა...

ქოხის წინ, სანამ ვენახი დაიწყებოდა, ბოსტანი ჰქონდა დედას, ხახვის კვლებს ლურჯი კოპლებივით ჩაუდევდა ბეზოებზე ჩარიგებული კომბოსტოები, ღეროების მწვანე ტევრში მიმოფანტული ფერადი ქაშანურის დიდრონი ჯამებივით კრიალა პამიდვრები, მხედრებივით მწკრივად მდგარი წიწაკის ღეროები, წითლად მოლალაპე უქარქაშო ხმლებით. რეპანი ყვაოდა მელნისფერად და იქაურობას ბანგავდა მისი სუნნელი, აქ და იქ ენთო აყვავებული ქი-

ნძისა და კამის თეთრი და ყვითელი თაველები...

კოკონი ენთო ქოხთან და დედას მოთუხთუხე ქოთანი ედგა ცეცხლის პირს. მამა ნედლი სიმინდის ტაროებს არჩევდა ნაკვერცხალზე შესაწვავად...

ალხაზს ელოდნენ... ცოტას კიდევ წადგებოდა და, გამოჩნდებოდა ტირიფების ნაცნობი ზღუდე...

●

მწუხრისას მოთქვამდა დედო ზარი, მტკვრის სანახებში ლილისფერი ნისლის ფაჩუჩებით შემოდიოდა ღამე...

ჩამობნელდა და კიდევ ერთხელ ახმაინდა ზარი...

ზანზალაკივით წკრიალა მოძახილი ისმოდა სამეფო თეთრი კარავის მხრიდან...

ალხაზმა იცნო, ძილისპირულს მღეროდა მაწისა... თამარს უმღეროდა.

ალხაზი თვლემდა, ცეცხლის პირას მიმჯდარი და ეჩვენებოდა, რომ სიმღერა შორდებოდა მას, სადღაც ეკარგებოდა. გამოდევნება სცადა, უკან მიჰყვა ქალის ხმას. მტკვარზე გვირისტად გაკლებულ ჯაჭვზე მიქანაობდა, ბეწვის ხიდით მიდიოდა მაწისა — გაღმა გამოქვაბულისაკენ. ფრთებივით გაეშალა მკლავები, ყაყაჩოს თაველივით ტოკავდა და მანიც წინ მიდიოდა. გამოქვაბულს მიადგა, სადაც აკვანი ელოდა. სახეებიანი წითელი საბანი ეხურა აკვანში მწოლარე ჩვილს.

თმაჩამოშლილი იჯდა მაწისა ჩვილის აკვანთან, საგოგავზე ედო ფეხი, არწევდა აკვანს და სულშიჩამწვდომად მღეროდა ძილისპირულს...

კოკონთან ლანდი მოდგა და თვალებში ჩაჰხედა ალხაზს.

— ძმურად გეტყვი, მაგდენ ფიქრად არ ღირს ეგ გოგო.

ალხაზმა დაეკვეთით შეხედა მოსულს, ისევ სიმღერას მიუგდო ყური.

— უბრალოდ მიდი, კარვის კალთა ოდნავ ასწიე, ხელი შეყავი და მაჯაზე ოდნავ მოუშვირე... თავისით გამოვა, ისევ ამეტყველდა ლანდი.

ალხაზი მუგუზალს დასწვდა, მოიქნია და ჰორიზონტალურ სტყორცნა ლანდს...

— რას შვრები, ალხაზ, გადაირიე?!

ალხაზი გონს მოეგო, ბეკარ ალგეთელი იცნო. ბატალური სცენების გადამღები ოპერატორი. ხელები ძირს დაუშვა, მაგრამ ისევ ძალუმად აუდ-ჩაუდიოდა წინ წამოწეული მკერდი.

—თვითონ რატომ არ სინჯავ? — კბილებში ვამოსცრა.

— ადარ მცალია, — უბრალოდ უპასუხა ბეკარმა და გაბრუნდა.

უარესად შემოეხვია ალხაზს გულზე მისი სიტყვები, უნდოდა წამოსწეოდა და ერთი ლაზათიანად ეპეთქა სახეში, მაგრამ უეცრად მოეშვა, ხელ-ფეხი წაერთვა... ისეთი გასცდა ჰქონდა, თითქოს სასიკვდილოდ ყოფილიყოს დაგესლილი, სადაც იდგა, იქვე ჩაიკეცა და დიდხანს უაზროდ უყურა მოღუდღუდე ცეცხლს...

უკვე ყველას ეძინა, როცა წამოდგა, ადარც ძილისპირული ისმოდა სამეფო კარვიდან. დამძიმებულ გულზე მიიდო ხელი და იქით წავიდა...

ეგონა, უფსკრულისაკენ მიდიოდა თავის მოსაკლავად, ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდა სასიკვდილო საფრთხეს, ერთი გაუფრთხილებელი მოძრაობა და...

გულაჩქროლებულმა ოდნავ ასწია კარვის კალთა და მიაყურადა. საკუთარი გულის ბაგაბუგი ესმოდა ძხოლოდ...

„მაწისა... მაწისა... მაწისა“... ზარივით მოთქვამდა გული.

ქალის ჯანმრთელი სხეულის, მოვლილი თმის სურნელით და სუნამოებით გაჯერებული თბილი ჰაერი მოელამუნა სახეზე, ნესტოები აუთრთოლა, საამოდ მოთენთა... ადარ იცოდა, რა ექნა... გაბედა და ფრთხილად შეაცურა ხელი.. ნაზბუსუსებიან თოთო მკლავს მიაგნო... მაჯაზე სალტესავით შემოაკდო თითები

ელგუჯა მერაბიშვილი
ბოთანიკოსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ძალუმად მფეთქავ ძარღვზე მოუხვდა ცერი. მიხვდა, რომ ქალიშვილს არ ეძინა...

„ნუთუ ვინმეს ელოდა?“

ბარბაცით გაეცალა კარავს, შორიახლო გაჩერდა და დაელოდა. იდგა და შეციცვნულსავით აცახცახებდა.

სულ მალე კარვის წინა კალთა გაიწია, თეთრი ლანდი გამოკრთა სიბნელეში და მისკენ წამოვიდა...

— მაწისა... სად მიდიხარ?.. მაწისა... ვისთან? — წინ წადგა ალხაზი.

გოგომ იკივლა და უკან შეეკრა კარავში.

„მაწისა... მაწისა... მაწისა...“ — ბაგუნობდა გული.

●

უკანიდან ცხენის ფლოქვების თქარათქური მოესმა, მიიხედა — ვიღაცა მოაჭენებდა თეთრ ცხენს. ჯერ ისევ ფიქრში მყოფს, ხელშუბიანი მხედარი ეგონა, მერე თანდათან მიხვდა, რომ კაცს სარები აპოჭარა იღლიაში და ალბათ ვენახისაკენ მიიჭქროდა. გვერდით ჩაუქროლა, სალამი მისცა და წინ წავიდა.

ალხაზმა თვალი გააყოლა და საღღაც იქით, შავქერქა ფშატის თეთრად მოქანავე ტოტი კვლავ დედის მანდილად მოეჩვენა. თითქოს დაინახა კიდეც ჰწკლის კალთისთვის სახელურში გაეყარა ხელი და მსუბუქად მოდიოდა, კალთა ხილით ჰქონდა სავსე დედას, ზემოდან კი ალხაზის საყვარელი, მზით დაჭორფლილი ატმები ეწყო.

ალერსიანი ღიმილი ვმჩნია ნაოვებით დაღარულ, გამხდარ სახეზე, დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი მოდიოდა შინისაკენ... დედამ არაფერი იცოდა ოჯახის ერთგულებისა და გარჯის გარდა...

რა კარგი ქნა ალხაზმა, რომ აქეთ წამოვიდა...

ანაზდად კვლავ აგუგუნდა სამოცდაათმანიანი დედი ზარი... უკან მიახედა ალხაზი...

●

შფოთიანად გუგუნებდა ზარი ალაზანს ველზე...

მერე ცხენების ფლოქვების თქარათქური გაისმა და სახიზნო კოშკს მიადგა მარბიელი ლაშქარი... კოშკის თავიდან ანთებულმა მაშხალებმა იწყო ცქენა...

ქურდბაცაცებივით უკან იხედებოდნენ მარბიელები, მთავარ ბრძოლას ასხლეტილებს, მდევრის შიში ჰქონდათ. რაკი ვერა დააკლეს რა, მალევე გაეცალნენ კოშკს...

ალხაზი ადარც ევლოგი იყო და ადარც სალოსი... ყველა ღირსებაყრილი მიდიოდა გზაზე. ახლა იგი მხოლოდ უბრალო მაყურებელი იყო, თუმცა აქ მაყურებელსაც სულ არ ადელვებდა, თუ რა ხდებოდა მის თვალწინ...

გზაზე ურემი მიდიოდა. კოფოზე თეთრთმიანი მოხუცი იჯდა და, რაც შეეძლო, მიერეკებოდა ლოხ კამეჩებს. ჰატარა ბიჭი პაპის ზურგს უკან იდგა, ცალი ხელი ჭალზე ეკიდა, მეორეთი კი ხის პაუნა ხანჯალს იქნევდა.

ლასტდაგებულ ურემზე ღვინით სავსე რუმბები ეწყო...

უცაბედად მტევრი ავარდა გზას და ფლოქვების თქარათქურმა წინ გაახედა მოხუცი, ფეხზე წამოიგდო.

— ღმერთო, შენ შეგვეწიე... ნამდვილად გვიმარჯვეთ და ეგ არი... მახარობელი მოდის ბასიანიდან! — თქვა მოხუცმა, კამეჩებს შეეხმიანა და გზა განაგრძო...

უცხო შეძახილმა შეაკრთო, გვიანლა იცნო მტერი, ბიჭი კოფოს ქვეშ დაძალა, წამოდგა და სახრით გაეკეფწლავა მომხვდურთა...

ცხენოსნებმა გვერდით ჩაუქროლეს, ორივე მხრიდან ხმლები გადაჭრეს მეურმეს და მერე დაბერილ რუმბებზე გასინჯეს ორლესულები ფხა...

ითქრიალა შავმა ღვინომ დაჭრილი რუმბებიდან, სისხლივით დაიღვარა მტვრიან გზაზე...

სახეგაჩეხილი მოხუცი ჯერ კამეჩის ზურგს გადაეკიდა და მერე ნელა დაცურდა გზისპირა კორდზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჭმა იკივლა და ურმიდან ისკუპა. მხედრები თვალს მიეფარნენ. კამეჩები სევდიანად შეჰყროყინებდნენ ცას...

ბასიანიდან ჭენებით მომავალი მაცნე მოადგა სახიზნო კოშკს, გამარჯვების ყიჟინამ გადაუარა ცარიელ სოფელს, კოშკის ბანებზე ცისფერი ალმები გამოჰკიდეს...

მტერიან გზაზე ისევ იმავე ადგილას იდგა ურემი, კამეჩები ისევ შფოთიანად შეჰყროყინებდნენ ცას.

ყვრიმალგაჩეხილ მოხუცს სისხლით მოსვრილ ბალაწში უღონოდ გადაეგდო თავი და თვალდახუჭული იწვა...

— ვიმე, პაპილო... ჩემო პაპა! — ტიროდა ბიჭი და გარს უვლიდა მოხუცს, მერე ჩაიმუხლა და გულზე დაადო ყური.

ბერიკაცმა ნელა ააცოცა ხელი ბიჭის მხარზე.

— ნუ გეშინია, შვილო, ჯერ ისევ ცოცხალია... არ წავსულვარ... — დაამშვიდა მიმქრალი ხმით.

— თვალებს ნუ ხუჭავ, პაპილო, გეხვეწები, კიდევ მიყურე... არ წახვიდე! — ქვითინებდა ბიჭი და თან თვალთა უკეებში ჩაგუბებულ სისხლს უწმენდდა ხელისგულით.

— ნუ გეშინია, ჩემო იმედო, შორს არ წავალ... აქვე ვიქნები, შენთან ახლოს... — ოდნავ ანძრევდა ფერწასულ ტუჩებს მოხუცი.

— არა, პაპილო, არ წახვიდე... — ევედრებოდა ბიჭი და აწეწილ, თეთრ ქოჩორზე ალერსით უსვამდა სისხლით მოსვრილ ხელისგულს.

— ცოტა ხნით წავალ, ჩემო გვრიტო. სადმე შევესვენებ ამ დაღლილ სულსა და ისევ მოვბრუნდები... ჩემიანები მობაპრუნებენ... ან ვაზი მომწვდება ფესვით და სამშეული რქად გამიტანს მზით გამთბარ ზვარში, ან თქვენი ძახილი მოგაგნებს და მხრებს წამომიწევს. მე მეტი არ მინდა... ან ხედ ამოვალ... ახ ლოდად ამოვიწევი მიწიდან... რომ კიდევ ერთხელ შევხედო ჩემი შვილების ქვეყანას... მოვალ, შვილო... ისევ მოვალ... გული არ დაიჩაგრო...

სახიზნო კოშკიდან წამოსული მეუმენი მოადგნენ ურემს, ერთი მათგანი მტერიალ ბიჭთან დაიხარა, წამოაყენა და დამშვიდება დაუწყო, მეორემ მოხუცს წამოუწია თავი.

— ბიჭს მიმიხედეთ... — დაიჩურჩულა მოხუცმა. — მიეპატრონეთ... თუ მამა არ დაუბრუნდა... ვენახს მიმიხედეთ... არ აიჩეხნინოთ ურჯულოსა.. იქით წავიდნენ...

— ნუ გეშინია, პაპა, ეგენი გაქცეულები იყვნენ. ბასიანიდან უკვე ბრუნდება გამარჯვებული ქართველი ლაშქარი.

იმედი გამოკრთა მოხუცის ხმაში.

— რუმბებით მათთვის მომჭრნდა ღვინო... დაჭრილების სისხლის შესასვებათთა, დაღლილი ბიჭების გასამხნევებლათა... თავანკარა თავკეური იყო... ცუდ დროს მომასწრეს ურჯულოებმა... ქვევრებში კიდევა მაქვს ღვინო... იქით გაატარეთ ლაშქარი... ბიჭი მიგასწავლით... — თქვა მოხუცმა და დადუმდა.

— არა, პაპა, არსად წახვიდე... გეხვეწები, ჩემო პაპილო! — მკერდზე დაეკონა პატარა ბიჭი.

მოხუცს უნდოდა კიდევ ერთხელ შეეცოცებინა ბიჭის მხარზე თავისი უძალური ხელი, მაგრამ მოწყვეტით დაუვარდა ძირს...

ალხაზი ფიქრებიდან გამოერკვა და დაეკვებულმა დაუწყო ცქერა იმ თეთრცხენიან კაცს, რამდენიმე წუთის წინ რომ გვერდით ჩაუქროლა, კაცი ცხენიდან ჩამოსულიყო და სწორედ იმ ადგილას ფუსფუსებდა, სადაც მათი ვენახი უნდა ყოფილიყო.

ვინ იყო ნეტა? მამას დავალებას ხომ არ ასრულებდა? თუ ასე იყო, მაშინ ალხაზიც წაეხმარებოდა. ნაბიჯს აუჩქარა.

ლაშქრის საგზალი... ჩურჩხელებით გატენილი აბგები... ჩამიჩი... ჩირი... რუმბებით ღვინო... თურმე რამდენს ნიშნავდა ვენახი გლეხი კაცისათვის, მთლიანად საქართველოსთვის.

ელგუჯა მერაბიშვილი
ამოუხსნელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიდიოდა ალხაზი და გონების თვალით უკვე ხედავდა თავიანთ ვენახს, მამა ედგა თვალწინ, ხან სასხლავი მაკრატლით ხელში, ხან აპარატწამოკიდებული და შაბიამნით მოსცრილი, უფრო გამოკვეთილად კი ერთი დილა გაახსენდა...

მამას ვენახი შეეწამლა, შეეფურჩნა კიდეც, ახლა დადიოდა ვაზებშუა და გოგირდს აფრქვევდა. როგორც ყვავილის მტვრით გაგუნგლული ხოჭო, ისე იყო მამა ლურჯ-ყვითლად მოსცრილი... ვენახს მტვერავდა და თვითონაც იგუნგლებოდა. საქმე რომ მორჩა, მიჯნას ჩაუარა, დაისრიმებულ მტევნებს მიეალერსა და თავისთვის წაიღიღინა:

გენაცვალე, ბრუნდე ვაზო —
შენი ძირი ვალამაზო,
ცოცხალი შენ შემინახო,
მოვკვდები და შენ დამმარხო...

ალხაზსაც უყვარდა ვენახი, მაგრამ უფრო შემოდგომისას, როცა მოძალებული ჯერ ისევ თბილი წვიმები ნელ-ნელა ხსნიდნენ ვაზის ფოთლებსა და კუტალა მტევნებზე შერჩენილ შაბიამანს და ნამდაკრულ შეცივებულ ყურძენს უკვე ალარ დაჭკვავდა გოგირდის სუნი. ავდრებს მზიანი წყნარი დღეები მოსდევს, საიმედოდ ისარკება ცა და ღუის მზეზე გაკიდულ ქარვასავით მარცვლსრული მტევნები...

ალხაზმა სულ ზეპირად იცოდა კანთხელი და ნაზი ბუდეშორის, თაფლივით ტკბილი მეჩხერმტევნები ბუზას, მკვრივმარცვლები თავკვერისა და დამრეხული ჩინურის ასავალ-დასავალი...

მამა გულუხვი კაცი იყო, სამი ბიჭი ჰყავდა, მაგრამ არც ერთისთვის არ დაუშლია ვენახში თავიანთ ნებაზე სიარული. ზოგჯერ ალხაზის უფროს ძმებს სხვისი ბიჭებიც კი მოჰყავდათ ყურძნის საშველად...

ალხაზი უნებურად შედგა.

ვენახები მოთავებულიყო, ხევამდე მცირე მანძილიღა იყო დარჩენილი, მთი ვენახი სადღაც აქ უნდა ყოფილიყო, მაგრამ წყლიანი რუს ქვემოთ, გაპირა ბაღიდან, ვიდრე ხევამდე, გადახნული და დაფარცხული მიწის ზოლი იდო. თეთრი ცხენი რუსპირთან ფუსფუსებდა, ერთ-ერთ ბალიანი ბაღიდან ერთ-ერთ ბალიანი ბაღიდან ერთ-ერთ ბალიანი ბაღიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეს... ერთმანეთს კი არა, უფრო ნაბოლარა ძმასა, იმის წილია, იმას უნდა დარჩეს და ჩვენ რათ უნდა მოვუყროთო. ი ნაბოლარა ძმაი კიდევა, მალხაზა ჰქვიან თუ რაღაცა ეშმაკები, მთლათ უვარგისი ჰყოლიან, მე იმის ხსომა არა მაქ, ვითომ არტიჰტიანო, აგრანომიულზე უსწავლია, თავი დაუნებებია, აბრო კარგი ჰქონია და იმის იმედითა... კინოში ერთგანა სახედარზე შეუსვამთ და ისე გადაუღიათ, რადიოში კიდევა. აქაოდა, ხალხი ვერ დამინახამო, ძაღლის მაგივრათა ჰყეფამს თურმე... როგორც ამბობენ, არც ისე პატარა ყოფილა, საცაა ორმოცს უნდა მიუკაკუნოსო; შინაურები ამობენ, დაოჯახებას არც აპირებს, ისევ ფარშავანგის ჭრელ ბოლოებს დასდევსო... ჰოდა, ენგრე ამოვარდა ე უკვდავება ვენახი... ვენახი ვენახათ არი დასასანი და ხილი ხილათა, სამძღვრებზე რა ხილი გინდოდა, აქ არ გენახა, ესაო ხეეეჭეურიო, სუნიანი მსხალიო, ვულაბიო, ესაო ღორქლიავაო, დამასხიო, ოტურიო, არახილაო, ჭანჭურიო, ღოღინაშოო და, ვინ მოსთვლის კიდევ, რა აღარ ედგა საწყალ შაქრუასა.

— ხეები თითონ მოსპო?

— ხეებსა თითონ ძმებმა წამოუყარეს ცულებითა... სარიც იმათ გამოუყარეს და ქოხიც იმათ დაშალეს... ახლა კი ჩემ გამგებლობაში გადმოვიდა.

— შენ ვინა ხარ?

— ვინ უნა ვიყვე, მეველე ვარ სოფლისაი, — ცხენი აუშვა და გზაზე გაიყვანა. — წავიდე, თორემ ორგან კიდევა მაქვს დასაყორეველი, — არც დამშვიდობებია, არც უკითხავს, ვინა ხარო, ისე წავიდა.

ალხაზი უმწეოდ მხრეჰაამოყრილი იდგა რუს პირთან და ხნელს გაჰყურებდა.

აქ ვენახი იყო დამარხული, უპატრონობით მკვდარი, ერთ დროს ათას ხმაზე მოშრიალე, ნაირფერად მოღიღინე. სადა იყო წვიმაში იდუმალ მოჩუქრჩულე ფოთოლკუწუა ვაზები, კბოდესთან მიმლოდინე მდგარი კალოს მსხალი, ტოტზე გაკიდული ძველი უარაკი. ქოხის მოდარაჯე თვალი — ალიანი კოკეცინი და მაჩვებს დადარაჯებული ფოლთა თოფზე ჩამოყრდნობილი მამა...

აგერ ის ჯიკა რომ მოჩანს. თურაშაულის ძირია, მაგას ეყრდნობოდა ქოხის თავხე. იქ, ცეცხლის პირს, ბეერჯერ მჯდარა მამა.

ერთ საღამოს ნომიჯნავე ეწვია, — დიდპირა, ღორივით წვრილთვალება კაცი. გვიანობამდე შეჰყვნენ ლაპარაკსა და ღვინის სმას. ალხაზი იქვე იჯდა და სიმინდებს სწვავდა ნაკვერცლებზე. გიგუცა ხელისგულებში მოიქცევდა, ციბრუტივით დატრიალებდა ხოლმე შემწვარ ტარის, მერე ფხვნიდა და მუჭით იყრიდა პირში.

ალხაზი მამას უნებურად გიგუცას ადარებდა და გრძობდა, რომ მოხდენილი კაცი იყო მამა, შვენოდა ოდნავ მოღუნული ცხვირი, ნაბდის ქუდში აკრეფილი ქოჩორი და დაკუნთული მკლავის გაშლა სიმღერის დროს.

გიგუცა ბანს აძლევდა მამას, შეწყობილად მღეროდნენ მაყრელს. მერე მამამ სადღეგრძელო წამოიწყო, ქართულ ვაზს გაუმარჯოსო, ვაზსა და ქართველ კაცსო. ამ ორ კარგ ძმაკაცსაო, სიტყვა რომ მიუცეიათ ერთმანეთისთვისა და სიკვდილამდე ხელიხელგადახვეულები მიდიანო.

ეს რა მაგარი სადღეგრძელო გცოდნიაო, გულწრფელად გიკვირვა გიგუცამ და ჭიქა ჭიქაზე მიუჭახუნა მამას.

— თურმე იმ არსახსენებელმა ბაჭ აბაზმა, ირანში რომ გარეკა ქართველები, იმისთანა ადგილზე დასახლა, რომა სულ ხირხოტი ყამირი და ჭაობი ყოფილა. უნდოდა ვაზი წაერთმია და რჯული დაეკარგვინებინა... აქ კიდევა ცალკე გაჩეხა ვენახები და თავისი ტამაზლუხის ხალხი ჩამოაზიარა...

— ჰაი გიდი! პატარა იყო საქართველოი და... — ამოიხვნეშა გიგუცამ.

— ჰოდა, იმას გეუბნებოდი, — განაგრძო მამამ, —ჩაურეკია ფერეიდანის ჭაობებში ეს ჩვენი ნაბდისქუდიანი ბი-

ელგუჯა მერაბიშვილი
ბოთხროტელი

ჭები და დაუნებებია თავი. აბა რა იცოდა ურჯულომ, რომა ძველი ძმაკაცები არასოდეს მიატოვებდნენ ერთმანეთსა. უბით უტარებიათ ანეხილი ვენახებიდან აპრილი რქები და იმ ჭაობებთან ჩაუტანიათ ტყვეებსა. ამ დალოცვილსაც არ უღალატნია, იმ ჭაობიან ადგილებში უძალავია ჰატრონიეთია და მაინც გაუტანია ლერწი... შაჰს რომ ეგონა, ეს არი და გავთათარეო, სწორეთ მაშინ გაუტანიათ ქართველებსა ირანის ბაზრებზე ქართული ღვინოო...

ეს სადღეგრძელო რომ დალია, მამა წამოდგა, კოცონის შუქით განათებულ მსხმოიარე ვაზს სათუთად მოჰხვია ხელი და ერთი თავისებური ჩაუდიღინა, გენაცვალე ბრუნდე ვაზოო.

●

ალხაზს ფიქრი გაუწყდა და ისევ ის, გადაფარცხული, ჯერ ისევ უბალახო ხნული დაინახა.

„გამოდის, რომ ჩვენ ქართველები აღარ ვყოფილვართო, — არც ვალიკო, არც თენგიზა და არც მე... რაკი ვაზს ასე ვუღალატეთ... სიკვდილს წინ ნეტა რას ფიქრობდა მამა, რას აკეთებდა თავის შვილებს... უწინ ალბათ ვენახს გაიხსენებდა“, — გაიფიქრა და უკვე ბინდდაკრული სივრცეს გახედა.

ხნულის პირას დარჩობილი სარი, ზედ ჯვარედინად მიკრული ხმელი ბალახით, საღებავგაცლილ ფუნჯს ჰგავდა. ა ეჩვენებოდა ალხაზს, ვიღაც მოშურნეს ხელში აიღო ეს უსაღებავო ფუნჯი და ჰირწმინდად წაეშალა იგავმიუწვდენელი სილამაზის დიდი მხატვრული ტილო, რომლის შექმნას მთელი სიცოცხლე შეალია მამამ.

წასვლა დაეპირა და, სამოლოოდ კიდევ ერთხელ მოავლო იქაურობას სევდიანი მზერა. ანაზდად, გზის ზემოთ, სულ ახლოს ვიღაცა დაალდა. კბოდეზე ჩამომჯდარიყო დაღლილი და ცის ტატნობისათვის მიეპყრო თვალი, ალბათ იმ დიდ მეწამულ ღრუბელს თუ გასცქეროდა, თანდათან რომ ჰკარგავდა მხიარულ ფერებს...

მამას ჰგავდა... არა, ნამდვილად ის იყო, გუდურა გამოეტანა ხვეულ-ხეულა იჯდა და მხრებს ასვენებდა. ალხაზი ადგილს მოწყდა და მისკენ გაექანა.

სწრაფად უახლოვდებოდა და თანდათან რწმუნდებოდა, რომ ის იყო. ი ყბებშეკვეცილი მოგრძო სახე, მზედაკრული ძაღალი შუბლი, ოდნავ ჩაძვეულ კისერი და წელთა სიმძიმით მოხრილი მხრები...

— მამა! — იყვირა აქაქანებულმა და იქვე მიხვდა, რომ მოლანდება სულიერი არ უნდა ყოფილიყო.

დიდი კაკისფერი ლოდი ამოწეულიყო მიწიდან. განიერი მხრები განზე გაეწია, ყვრიმალებიანი მზით გარეკილი „სახე“ ცისთვის მიეპყრო და თითქოს დაისის ფერთა თამაშით ტკბებოდა.

გულდაწყვეტილმა ალხაზმა ხელი მოჰხვია ლოდს, ზედ მიეხუტა და დიდხანს იყო ასე. ლოდი ისევ თბილი იყო და მოეჩვენა ალხაზს, რომ ყელთან ძარღვიც უფეთქავდა ლოდს და სუნთქავდა კიდეც. მამამაც ასე იცოდა, არაფერს არ შეიმჩნევდა, უბრად იდგა ხოლმე და თვალებით ესიყვარულებოდა შვილს...

ალხაზი დიდხანს იყო ასე და რაც უფრო ბნელდებოდა და მოხაზულობას ჰკარგავდა ლოდი, მით უფრო სჯეროდა, რომ მამასთან იყო.

როდის-როდის წამოდგა და ნელა გაუყვა გზას. გული უკან რჩებოდა, მაგრამ რა ექნა?..

ბოგირქვეშ სხვანაირად ხმაურობდა წყალი, ამან თუ მიახედა. მიახედა და სოფლისკენ მიმავალი ორღობე დაანახვა.

მთვარე ამოწეკერა და ხეთა ფოთლები მქრალი ციმთ მოაზარნიშა, მოქანავე ჩრდილებით მოხატა ორღობე.

სოფლისკენ გაუწია გულმა, დედის ნახვა მოენატრა, ახლა უფრო მეტად მოენატრა მისი ხილვა, ვიდრე ოდესმე. რა იყო ეს. მარტობით გამოწვეული სისუსტე თუ ნამდვილი სიყვარული?

ალხაზმა ბოგირი გადაიარა და ჩრდილად ორღობეს გაუყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამე ნარმართებთან

თეთრთმიან, ხნიერ მეეტლეს დაფხავებული ნაბდის ქუდი ქამარში გაეჩარა, გვერდულად ჩამომჯდარიყო კოფიზნე და თვალმოჭუტვით შეღრიტინებდა უღრუბლო ცას.

ორშაბათობით აშენდა
ციხე-ქალაქი ქვაზედა,
გარს გალავანი არტყია,
ცანი დაჰყურებს თავზედა.
სამშაბათ იყო ყრილობა
დიდი მეუფის კარზედა.
გლეხი კაცისა შენახვა
არავინ იდო თავზედა.
წამოდგა ხარი რქიანი:
„მე დამაწერეთ მხარზედა“.
მისცვივდნენ ანგელოზები,
აკოცეს ორთავ თვალზედა...

ურემი შემოეყარათ გზაზე, დასიცხულ ნიშა ხარებს ქაფი ეკიდათ ლაშებზე, უხალისოდ მიითრევდნენ საძნე ორთვალას.

ეტლში მჯდომი ერთადერთი მგზავრი ფიქრიანად გასცქეროდა გვალვისაგან გადატრუსულ ავშნიან გორაკებს, გადახუნებულ შორეულ მთებსა და რაზმითის მხრიდან გამოკაწრულ ხეხმელის ხეობას. გული უჩქროლავდა მღელვარებისაგან.

ხოვლე... ხომლის ციიგი თრიალეთის თავზე, ჭრიჭინების გაბმული მოთქმა ზაფხულის წყნარ ღამეებში, დუმილში გარინდული სახიზნო კოშკი კვართასთან, დედო ზარის ზავთიანი ბუბუნი მიმწუხრისას...

მეეტლე ხალისიანად მიერეკებოდა ცხენებს, სევდისმომგვრელად ყღერდნენ ზანზალაკები. ყარადაჯი ისე გაიარეს. გზაზე არავინ შეხვედრიათ, ხალხი მინდვრად იყო გაკრეფილი. ხეხმელისაკენ რომ გაუხვიეს, საძნე ურემს წამოეწივნენ. მახვილ ჭალებზე ფთილებად დაგებული ძნა მწიფე ყანის სურნელს ავრცელებდა. ნელა მირწეოდა გზაზე ვეება ზვინი და თან მიჰქონდა სურნელდაკრული მაღლი მიწისა — დოლის პური.

მერე ორი პაწია ჭრელი პერანგი და წითელი კაბა მამოკრთა გზაზე: სახეგაქერცლილი, თმაგაკრეჭაკი ბიჭუნები და მზედაკრული გოგონა თავთავს კრეფდნენ და ხელეურებად წნავდნენ.

გოგონასაც ხელეურივით წშინდად დაწნული, რიკებივით გაშვერილი მოკლე თმა ჰქონდა. ბავშვები ეტლის ხმაურზე შეედგნენ და ცნობისმოყვარეობით ანთებული თვალებით მიაჩერდნენ მგზავრს.

სოფლის განაპირას, კალოებთან უკვე ბლომად ძნა მიეზიდათ და მაღალ კოშკებად დაეზვინათ. მგზავრმა ეტლი გააჩერებინა, ბარგი მეეტლეს გაატანა, თვითონ კი ნელი ნაბიჯით შეუყვა აღმა, კალოებისაკენ.

ქალები ძნას შლიდნენ, ზოგან ხარებიც შეებათ კევრში. ჭიღარათმიანი ბერიკაცი გამოეგება მოსსულს, თვალმოჭუტვით მიაჩერდა და მერეღა გახსნა წარბი.

— ვანო, შვილო... როგორ დავაყაკაცებულხარ, ღამის შევრცხვი კაცი და ვეღარ გიცანი, — მოხუცი მოწიწებით მიესალმა და დაუმატა: — როგორა ხარ, შენ გენაცვალოს უფლისა პაპა?— სწორნაკვთებიანი სახე ჰქონდა ახოვან ბერიკაცს, თეთრი თმაწვერი ერთობ შვენოდა შავგვრემანსა და შავთვალწარბას.

ივანემ მხარზე ხელი გადახვია, მოესიყვარულა და მერე კალოსპირს წინ წამომდგარ ქალებს მიესალმა, ერთ მათგანს საბრე გამოართვა და კევრაბმულ მურეშა მოზვრებს წამოუარა, კალოში შერეკა და უკვე ძნაზე მოსრიალე კევრზე შეჩტა. კევრი, როგორც ნავი ბობოქარ ზღვაში, ისე შეცურდა ტალღებად დაყრილ ძნაში, ხან დაყრილადებოდა და დაბლა მიექანებოდა, ხან მაღლა ავარდებოდა ტალღის თხემზე...

ივანეს თავისი პატარაობა გაახსენდა

ელგუჯა მერაბიშვილი
მოთხრობები

ის და დემირი, უფლისა პაპას შვილი-შვილი, თავაწყვეტით დაარბენინებდნენ ხოლმე ფიცს მოზვრებს და ხშირად გადმოცვივნილან კევრიდან.

ნალეწ ნამჯას მწიფე ყანისა და გამხმარი ბალახის შერეული სურნელი უდიოდა, კევრის ჭრილში ხან ღიღილოს მიმჭკნარი ზანზალაკი გამოკრთებოდა, ხან ყაყაჩოს ხმელი თაველი. აქაიქ ქინძარაც ჩნდებოდა თეთრ ნაფიფქად და ღუღდა კალო ველის სურნელებით.

უფლისა პაპა სახრემოღერილი ერეკებოდა კუდვარდა ხარებს და თან ჰოროველას ღიღინებდა...

ხარმა თქვა, ხარი ვერ მომკლავს,
თუ მეხრე მიღგა ღვთიანი,
ხშირ-ზშირად უნდა დამძახოს
სიმღერა ლაზათიანი.

ოდნავ გაბზარული ტკბილი ხმა ჰქონდა მოხუცს, მღეროდა კისერგადაგდებული, თითქოს ცას შესჩიოდა თავის მძიმე ხვედრს.

ანაზდად თავი აიწევიტეს მოზვრებმა, კალოს გარეთ გაიტაცეს კევრი და ივანეც თან გაიყოლეს. მეხრე არ დაბნეულა, კევრიდან გადახტა და წინიდან უყელა მოზვრებს.

— იყვნენ, შვილო, ნუღარ შემორეკავ, აქცევის დროა, — გამოსძახა უფლისა პაპამ, ხარებიც ნაპირზე გადმოაყენა და ივანესაკენ წამოვიდა.

მხიარული ჩითის თავშლებით პირაბუდნულმა ქალებმა ფიწლებს წამოავლეს ხელი და ნალეწი ძნის გადაბრუნება დაიწყეს.

— შენ წადი, შვილო, ნამგაავრი ხარ, დასვენება გეჭირდება. კალოს ჩვენც ვეყოფით. ჩვენსას შეიარე.

— დემირი სახლშია?

— მიღი, გაიღვიძე, მადლი მოგივა... გაიბერება ძილითა.

— რა დროს ძილია?

—წუხელ სარწყავში იყო. ამ ღილით ამოვიდა და მას შემდეგ გაუნძრეველად გდია აივანზე.

ივანე უეცარმა დაძახილმა გაახედა ქვემოთ. დემირი მორბოდა კალოსკენ.

— ძილში ამბავი მომიტანეს, — მეზვრეს ვიღაცა ქალაქელი სტუმარი დაარბენინებსო და მაშინვე გამოვიქეცი, — ამბობდა აკომინებული, ივანესთან მიიჯრა და ძმასავით გადაეხვია, მერე უკან დაიწია, ერთხელ კიდევ შეხედა და გახარებულმა შეჯანჯღარა, — ძაან ვაკეკეი დამდგარხარ, მე და ჩემმა ღმერთმა!

დემირი პაპას ჰგავდა, მასავით სწორნაკეთებიანი, მზედაკრული სახე ჰქონდა, ჯიქურ მომზირალი შავი თვალები და დაფანრული წარბები, ოღონდ თეთრი თმის მაგიერ შუბლზე ბღუჯად ეყარა ქოფორი.

— უამბოდ არ გაირჯებოდი, — დემირმა დაეჭვებით შეხედა სტუმარს.

ივანემ ხმა დაიდაბლა.

— ამ საღამოს დანახვისზე უნდა ამიყვანო.

— ასეც ვიცოდი... შენ ხომ სანავარდოდ და საქეიფოდ ვერასოდეს მოიცლი, — დემირს ჩრდილმა გადაუბნინა სახეზე.

—გიორგისჯვრობაზე გეპატიჟები, უკეთეს ადგილს სად წახვალ, — ივანეს ღიმილი უკრთოდა ოდნავ მოჭუტულ თვალთა უპეებთან.

— ეუჰ, ბიჭო, სულ არ გამახსენდა. ზალიკა დილადრიან წავიდა ურმითა, კურატი წაიყვანა იმისთანა, ბეწვი რომ გამოაცალო, ქონი გამოჰყვება, — მაშინვე გაახიარულდა დემირი.

— ცხენები გყავს?

— არხეინად იყავი, ახლავე აქ გავიჩენ, — დემირმა ცალი წარბი აზიდა და ჩაცმულობა შეუთვალიერა, — ეგრე წამოხვალ?

— ტანსაცმელიც უნდა გამოვიცვალო და სახელიც. არ მინდა, ვინმემ მიცნოს. გახსოვს ჩემი ღვინისფერი ჩოხა? საღდაც წუღებიც უნდა მქონდეს...

— სწორეა, რახან არ სვამ, ჩოხა მაინც უნდა გეცვას ღვინისფერი, — დემირი დაუფარავად შეეხაროდა წლობით უნახავ მეგობარს.

ივანეს ანაზდად კალოს ქვემოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგარ ძველი საბძლისაკენ გაექცა მზერა, ნაბიჯი წადგა და დემირიც იქით გაახედა: საბძლის საყვავეზე ხარის შუბლის ძვალი იყო დამაგრებული ზედ გარჩენილ ჯოტა რქებიანად.

— აბა ცის იერზე გახედე, ნამგალა მთვარეს არა ჰგავს?

— ვთთომ რაო, რის ნიშანია? — დასერიოზულდა დემირიც.

— ახლა მაგის დრო არ არის, გაიქეცი, ცხენები მორეკე. დანახვისზე რომ ვიქნებით, გამახსენე და იქ გეტყვი.

●

კალოსთან ფრუტუნით შედგნენ ნაალაღარი ცხენები. ორივე კოპწიად იყო შეკაზმული. უფრო კი თეთრ ულაყს შვენოდა ტყავის ახალი უნაგირი და პრიალა ბალთებთ შემკული ალვირი. გრძელი ფაფარი საგანგებოდ დაევარცხნა მისთვის დემირს და კუდიც გამოეწანსაკვა. ცხადი იყო, სპეატიო სტუმრისათვის ჰყავდა განკუთვნილი.

უფლისა პაპამ სანოვაგით სავსე ზოლებიანი ხურჯინი გამოიტანა სახლიდან. რაკი სტუმრმა სადილზე უარი თქვა, იფიქრა, გზაში ჭაიხემსებენო. დემირმა ჩამოართვა, თავის ლურჯას გადაკიდდა და ჯავახიშვილების სახლისაკენ წაუძღვა ცხენებს.

ქვის განიერი კიბის თავზე, რიკულებიან მოაჯირთან ივანე გამოჩნდა. მართლაცდა ლამაზად ადგა ტანზე თეთრი საპირიწმალეებით გაწყობილი დვინისფერი ჩოხა, რომლის შიგნით თეთრი ღილებით შეკინძული შავი სატინის ბლუზა მოუჩანდა. პირთხელს, ოდნავ წვერშეზრდილს, გორაზად მომზირალს, ხანჯლის ტარზე ედო ხელი. მერე ჯინჯილი ქუდი დაიხუცა, კიბე მარდად ჩამოირბინა, დემირს თეთრი ულაყის სადავე ჩამოართვა და ცხენს ზედ მოეკვლო.

ზესკორის მინდორი ხეხმელის ხევამდე ჭენებით განვლეს და მერე ნაბიჯით შეუყვნენ აკვეთის აღმართებს. კარგა რომ შეიმაღლეს, დემირმა ცხენი შეაჩერა, ჩამოხტა და ბერმუხის ძირას სუფრის გაშლა დაიპირა. ივანე თავის ქნევით დაეთანხმა, თუმცა რიგიანად ეჯდა ეს გაუგია, რა ჭკითხეს, სოფლის სანახებს გადაჰყურებდა.

ხოვლე... გალავნიანი ღვთისმშობლის ტაძარი, აქვე პეტრე-პავლეს მცირე ეკლესია, იქით ნაბელიანთ თეთრი საყდარი და მის ზემოთ წმინდა მარინეს სამარტვილე, მათ შორის სულ რამდენიმე სახლი იყო მიმოფანტული. ხალხი მეტწილად მიწურებში ცხოვრობდა. მთისძირა ფერდობს ალიზის ყვითელ ლქვებად აჩნდა გადატკეპნილი დარბაზის ბანები. მიყოუებულ სოფელს ჯერ არ ეგრძნო რუსეთის ტრაპალებზე აძრული რეკოლუციის შფოთიანი ქარტეხილის მოახლოება.

სოფლის ზედა საზღვრად ზესხეევი ითვლებოდა, ხევი ქვახიდით იყო გადაკეტილი. ქვახიდის თაღქვეშ ვიწრო გზა შეუდევდა წყლიან ხევს, — დრისს ციხისაკენ მიმავალი. ჯავახიანთ საგვარეულო ციხე რა ხანი იყო, არ ენახა ივანეს, იქით გაუწია გულმა...

დემირის ძახილმა გამოიყვანა ფიქრებიდან, ცხენიდან ჩამოხტა და მუხის ჩრდილისაკენ წავიდა.

●

მზე შუბისტარზე იდგა, როცა ავკეთის მთაზე ავიდნენ და გაჯერტილი კლდიდან გადახედეს ატენის ხეობას. ვიჩქარითო, უთხრა ივანემ მეგზურს. ჩამოქვეითდნენ და ისე ჩაუდვნენ ცხენებს დაკიდულა თავდაღმართებზე. დაბლა შედარებით გრილოდა, ერთხანს წყალწყალ მიუყვებოდნენ გზას. მერე კლდოვან აღმართებს შეუდგნენ.

წყლიან ხეობაში გრილი სიო უბერავდა, რიყეზე და ბუჩქნარში დაქსაქსულ ბილიკებზე ბლომათ ხვდებოდათ ადმა, დანახვისისაკენ მიმავალი ხალხი. მოდიოდნენ ურმებით, ცხენებით, ქვეითად. მოჰყავდათ ზვარაკები, მოჰქონდათ შესაწირავები.

— ურმებს ცოტა ქვემოთ, ველიანში

ელგუჯა მეიასვილი
მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიჰყრიან, ხარ-კამეჩსაც`იქ დატოვებენ, წავალ, ნაცნობს ვნახავ ვინმეს და ცხენებს მივაბარებ, — ამბობდა დემირი.

მცირე თათბირის შემდეგ დაჩრდილულ ველიანში შეისვენეს.

●

დანახვისის წმინდა გიორგის ეკლესიას მინავლული მცხრალი შუქით დანათოდა მკვდრის მზე და წითლად ღებავდა მის დაფშვნილულ კედლებს.

მლოცველები სვენებ-სვენებით მიდიოდნენ გოლგოთასავით დაუსრულებელ ალმართზე. მიჰყავდათ თოკმობმული ტურატები, ერკემლები, გაბაწრული წითელი მამლები. მიდიოდნენ თმამოშვებული, ყელზე ავგროზშებმული წმინდა გიორგის მონები.

დემირმა სულ სხვა ბილიკით წაიყვანა მეგობარი, ისინი პირველები აივიდნენ დანახვისზე, მაგრამ ეკლესიასთან არ გამოჩენილან, შორიდან ადევნებდნენ თვალს ატენის სიონიდან ამოსული მღვდლისა და დიაკვნის სამზადისს.

მორწმუნენი თანდათან გროვდებოდნენ ეკლესიის ირგვლივ. თეთრებში გამოწყობილი ქალების გუნდი გალობით დაიძრა საყდრის შემოსავლელად, მათ უკან მიჰყვნენ ქედმოხრილი მამაკაცები. „წმინდა გიორგი, ცხოველო... შენს სალოცავად მოველო...“ — ბუბუნებდა ექო.

მზე ჩაესვენა და ლილისფერმა გადაჭკრა მუხნარს. მგალობელთა გუნდი მეშვიდედ უვლიდა საყდარს, ცოტა აქეთ თმამოშვებულ ვაჟებს თოკებით ეჭირათ ზვარაკები, აქა-იქ გოგოებიც ერივნენ. დემირი და ივანე მათ შეუერთდნენ და იქიდან ადევნებდნენ თვალს ხატობის მსვლელობას. ივანეს გაშლილი ოსური წიგნაკი ეჭირა და ზოგიერთ ჩანაწერს უკითხავდა ძმობილს.

„მთვარის ტაძარი იბერიის მახლობლად მდებარეობს. ვინც ტაძარს ემსახურება, დიდსა და მჭიდროდ დასახლებულ ხატის მამულს განაგებს და ითვლება უფროსად ხატის ყმებისა, რომელთა შორის ბევრი ქადაგად დაეცემა. ... ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ად ატაცებული ტყეებში მარტოდა დაეხეტება, ქურუმები იქერენ, კისერზე ჯაჭვს ადებენ, ერთი წლის განმავლობაში ზვარაკად ასუქებენ და მერე, სხვა საღმრთოებთან ერთად, ღმერთს მსხვერპლად სწირავენ“.

— ამას სტრაბონი წერს ჩვენი წელთაღრიცხვის ოსაწყისში, — თქვა ივანემ და წიგნაკი დახუა.

ეკლესიის კარზე მცირე ხარი დაარისხეს. მლოცველებმა მეშვიდე შემოვლა დაამთავრეს და კვლავ ეკლესიის კარს მოადგნენ. ამ დროს ერთი თეთრებში გამოწყობილი კაცი უსულოსავით დაეცა კარის ზღურბლთან.

— ხედავ, დემირ, როგორ დაეცა? ისე წევს, რომ თუ ტაძარში შესვლა უნდა ვინმესს. ზედ უნდა დაადიოს. აბა ახლა სტრაბონს მოვუსმინოთ:

„...ერთი კაცი, რომელსაც ლახვარი ამარია, ხალხიდან გამოვა და ხერხიანად ლახვარს შიგ გულში დაკრავს, ხოლო როცა მსხვერპლი მიწაზე დაეცემა, ქურუმები სხვადასხვა ნიშნების მიხედვით მკითხაობენ და საჯარიოდ ხმამაღლა აცხადებენ, მერე გვამს ერთ დანიშნულ ადგილას მიიტანენ და ყველანი თავის თავის გასაწმენდად. ფეხს დაადიჯებენ ხოლმე“.

მეგობრებმა წინ წაიწიეს და საყდრისკენ დაიწყეს ცქერა. ჯერ მღვდელმა დაადიჯა ზღურბლთან დაცემულ მონას და ზედ გადაიარა, მერე დანარჩენებმა სათითაოდ იგივე გაიმეორეს. მონა არ იძვროდა და არც სიცოცხლის ნიშანწყალს ავლენდა. ფეხი არავის აუარიდებია, გამეტებით ამიჯებდნენ ზედ.

— ეგ ის მსხვერპლია, გესმის, დემირ? მთვარის ტაძარს შეწირული ქურუმთა მიერ... იმ ძველ რიტუალს იმეორებს გიორგისჯვრობა, — ივანეს ხმა უთრთოდა მღელვარებისაგან.

მერე ეკლესიიდან კვლავ გარეთ გამოიკრიფა ლოცვის ექსტაზში შესული, ღმერთთან მიახლოების ცოუნებას აყოლილი ხალხი. ანაზდად თეთრებში გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწყობილმა მხეკალმა დაიწყო როკვა, როკვა კრუნჩხვებში გადაიზარდა, მერე მოსხებელი დაეცა ძირს და უფლის პირით ქადაგებას მოჰყვა...

მღვდელმა და დიაკვანმა მრევლი ქადაგს შეატოვეს და ზვარაკებით ხელში მდგარ მორწმუნეებისაკენ წამოვიდნენ. მღვდელი საცეცხლურით ხელში ახმახი გლეხის წინ შედგა და რაღაცა ჰკითხა, მერე შუბლზე ბალანი აუტრესა კურატს და ღაღადაყო: „წმინდაო გიორგი შეიწირე საღმრთო მონის შენისაი, შიოსი“.

ახლა სხვამ მოაგდო მღვდელთან გათოკილი ბოჩოლა...

დიაკვანი, წვერმეჩხერა ქერა ბერიკაცი, ყელზე ავგაროზშებმულ მლოცავებს მიეტანა. ისინიც რიგრიგობით მოდიოდნენ მასთან. დიაკვანი ლოცვასავით ტუტუნებდა რაღაცას, ერკემლებს მატყლს აჭრიდა და მათ პატრონებს — წმინდა გიორგის მონებს, ავგაროზებს ხსნიდა ყელიდან და თავიანთ ხელში და-ძმა დადგა დიაკვანთან. გოგო უფროსი ჩანდა, ლურჯად მოწინწკლული თეთრი კაბა ეცვა, თმაგაშლილსა და ტანშოლტას წითელი ნაჭრისაგან სამკუთხად შეკერილი ავგაროზი ეკიდა ყელზე. წედან დემირის რომ ესაუბრებოდა, ივანეგ ორჯერ გაიხედა მათკენ და ორივეჯერ ამ გოგოს დადარაჯებულ მზერას წააწყდა.

ივანე და დემირი ამჯერადაც ახლოს იდგნენ მათთან, უცნაური სუნი სცემდათ, დამწვარი ბალნისა და საკმეელის შერეული სუნი. ვიდრე ეკლესიისაკენ გაბრუნდებოდნენ, ივანემ ერთხელ კიდევ გაიხედა და-ძმისაკენ: გოგოს თეთრ ყელთან ობობასავით დაცოცავდა დიაკვნის დაჭორფლილი ხელი... ალბათ ავგაროზს თუ ხსნიდა. ბრაზი მოერია, თვითონაც ვერ ახსნა, რატომ...

გოგო მისკენ იყურებოდა მომწვანო, მეტყველი თვალებით და ღიმილი ემჩნია დაბუშტულ ტუჩებზე...

დემირმა ხელი მოჰკიდა მეგობარს და საყდრისაკენ გაანელა. თეთრკაბიანი მხეკლები ეკლესიას ჩოქით უვლიდნენ გარს, ნაზი ხმით გალობდნენ და ანრეულ სანთლებს კედლებზე აწებებდნენ. სულ მალე ეკლესია ბინდში აკაშკაშებულ მნათობს დამგვანა.

— აბა შეხედე, დემირ, ხომ ჰგავს მთვარეს, — ივანემ ეკლესიისაკენ გაიშვირა ხელი. — გიორგისჯვრობა, ისევე როგორც თეთრი გიორგის ხატობის ჩვეულება, მთვარის დღესასწაულის ნაშთია. მთვარე ქართველი ხალხის წარმართულ სარწმუნოებაში უმთავრეს და ძლიერ ღმერთად ითვლებოდა, ქრისტიანობის მიღების შემდეგ კი ჩვენი ერის სარწმუნოებრივ აზროვნებაში მისი ადგილი წმინდა გიორგიმ დაიკავა. ამადამ, თოთხმეტ აგვისტოს, მთვარის აღსვების ჟამია და ეს ხატობაც ამის აღსანიშნავი დღესასწაულია. ხედავ, როგორ ქათქათებს მთვარე?

— მაშინ ეკლესიებიც მთვარის სახელზე იქნებოდა აგებული, — დაეკვებით ჩაილაპარაკა დემირმა და პასუხს დაელოდა.

—რა თქმა უნდა. სტრაბონი ამბობს, ალბანიიდან იბერიაში მიმავალი უწყლო და უსწორმასწორო გზა კამბეჩიანზე დევსო. ის მთვარის ტაძარი, რომელიც გამოჩენილი გეოგრაფის სიტყვით, იბერიის საზღვარზე მდებარეობდა, შეიძლება სწორედ კახეთში ყოფილიყო. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს იყო განთქმული სამლოცველო, ხოლო საქართველოში, ცხადია, იქნებოდა მეტნაკლები მნიშვნელობის ტაძრებიც, რომლებიც შეიმუსრა ახალი სარწმუნოების ზეგავლენით და მათ ადგილზე აიგო ჯვრიანი ეკლესიები. ყველა ჩვეულებანი: ზვარაკის შეწირვა, ქადაგად დაცემა და სხვა, წარმართობიდან მოგვდევს.

— ეზე დედაა ჩემი, მთვარე — მამა ჩემი... — დემირმა ცას შეხედა.

მეგობრები მხარიმხარ იდგნენ და ღაფიქრებულები გასცქეროდნენ სხივსა-

ელგუჯა მეტაგიშვილი
ეთნოგრაფები

ვსე მნათობს. საყდრის ირგვლივ მოფუსფუსე ხალხის მიმართ რატომღაც სულ სხვა ინტერესი აღეძრა დემირს. ეი ამის გამო უყვარდა ივანეს თავისი ძმადნაფიცი, ამ თანდაყოლილი ცოდნისწადილისა და მიხვედრილობისათვის.

სამსხვერპლოსთან მკლავებდაკაპაწეული და სისხლით მოსვრილი ნატი იდგა მახვილით ხელში. დაკლული საქონლის ხრიალი, ფრინველების ფართხალი ისმოდა, მერე იქითაც გამოჭკრა თბილი სისხლის ოხშივარმა, სადაც მეგობრები იდგნენ, ივანეს უსიამოდ გაატრეოლა, მაგრამ ფეხი არ მოუცვლია ადგილიდან. ფხიზლად აღევნებდა თვალს მოგლენათა მსვლელობას.

აქა-იქ ალი აბრიალდა ეკლესიის შემოგარეგნში და ნამდვილ წარმართებს დაემსგავსნენ ფერხულის რიტმში მოტორტმანე, კოკონების ალით დაფერილი ახმახი ლანდები. სამსხვერპლოსთან რიგი დაკოტაღდა, სისხლში გასვრილ ნატთან ახლა მამლები მიჰყავდათ. ღამის მეხოტბე ჩითელბიბლიოანი, თავლებბრიალა ფრთოსნები ღამით ეთხოვებოდნენ წუთისოფელს. კოკონების შუქზე სასიკვდილოდ აფართხალებულებს, ათასფრად უელავდათ სადაფსა თუ გიშერში გავლებული ფრთები და ნამგალა ბოლოები, სისხლი ემატებოდა ბიბილოების სინგურს...

— დემირ, ხედავ, რამდენი მამალია! აბა თუ მიხვდები, რატომ?

დემირმა მხრები აიჩეჩა.

— მამალი ამ ღვთიების ფრინველად ითვლებოდა, ღამით ყივილი მთვარისადმი ხოტბად ჩაუთვალეს ალბათ.

— კურატები რატომღაა ასე ბევრი? — არ დაუთმო დემირმა.

— ყოჩაღ, რომ გამახსენე. ის კი დაგავიწყდა, პაპაშენის საბძლის საყვავეზე რომ ვნახეთ. ხარის რქებიც, ჩვეულებრივ, მთვარის ნიშნად ითვლებოდა. ხშირად მთვარე-ღმერთი ადამიანად არის გამოსახული და, მილეულს, წვეტები რქების მსგავსად მოუჩანს.

— მაშ, უფლისა პაპასაც სცოდნია... — გაუკვირდა დემირს.

— არა, — ივანემ თავი გაქნია, — უფლისა პაპამ არც ის იცის, არფგრმის შემდეგ, ორშაბათობით რატომ არ მუშაობს ხოლმე მკის დამთავრებამდე.

— შენ იცი? — დემირმა ეჭვით შეხედა თავის სწავლულ მეგობარს.

— ორშაბათი წარმართებს უქმე იყო... მთვარის დღედ ითვლებოდა. მთვარის დღე! მეგრულად— თუთაშხა, სვანურად — დოდიშ.

დემირი ვეღარ მალავდა გაოცებას.

— აბა, საერთოდ არ ყოფილა ღმერთი და ეგ არი, — დაიჩურჩულა.

— მაშ, რა ვეგონა,—ბაეცინა ივანეს და მხარზე ხელი გადახვია ძმობილს,— ნაბდები რა უყავი?

— ხალიკას მივაბარე. აგერ, ის განაპირა კოკონი მათია. გარდატენელი ქალი ჰყავს ცოლად. ვერც ის მიხვდება, ვინ ხარ, ვერც მისი ღები და მამა.

— აქ სწორზეც მოდის ხოლმე არა ხალხი? — სიტყვა გაწყვეტინა ივანემ.

— სწორზეც და სწორის სწორზეც.

— ეგ სწორები, ჩემი დემირ, მთვარის ფაზები. ღღეს, მთვარის აღვსების ყამს, მნათობი მეორე მეოთხედშია, ერთი კვირის შემდეგ მესამე მეოთხედში იქნება, ხოლო სწორის სწორზე კი მცხრალი დახვდებათ ხატის კარზე ღამის მთევლებს...

ზალიკას კოკონს მიაღწენენ. სუფრისპირის გაშლილ ნაბადზე ორი მუთაქა ეგდო. სტუმრებისათვის საპატიო ადგილი მიეჩინათ.

ეკლესიის შემოგარეს კოკონების ცეცხლი და ბრიალა მთვარე ანათებდა. ივანე და დემირი მხარიმხარ ისხდნენ. დემირს დიდი ყანწი ეჭირა და ილოცებოდა, ზალიკა ლურთ ხორცს სჭრიდა და სტუმრებს სთავაზობდა. სუფრის თავში ბერიკაცი იჯდა, ბეჭის ძვალი ეჭირა კოკონის გასწვრივ და შიგ იხედებოდა.

ივანემ მუჯლუგუნი წაჰკრა დემირს და იქით გაახედა.

— ხედავ, ქურუმივით შეწირული მსხვერპლის ბეჭით მკითხაობს. ეგეც

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქიდანაა... მთვარის ტაძრის რიტუალიდან.

სუფრაზე დუმილი ჩამოვარდა. ყველა გულისყურით უსმენდა მოხუცს.

— ჭირნახულის მოსავალი კარგი ჩანს... ცხვარ-ძროხაც იმრავლებს... წვიმიანი ტაროსი იქნება... სეტყვა წაახდენს ვაზსა და ხეხილსა...

ისმოდა ბუტბუტი. დედაკაცები პირჯვარს იწერდნენ. შორი სუფრიდან დუდუკის ხმა ისმოდა. ვიღაცა მღეროდა, თითქოს მოსთქვამდა: „კარგი ხარ, კარგო ყოფაო, ბევრო ცხვარო და ძროხაო... საწუთროთ სანახევრო ხარ, მოსასხამო და ჩოხაო“.

აქეთ, სულ ახლოს, ბიჭები შელაპარაკდნენ, სუფრიდან წამოცვივდნენ და ხანჯლებზე გაიკვლეს ხელი. მათ შუა ახმახი მამაკაცი ჩადგა და ხმამაღლა შეუწყრა:

— ამას რას სჩადით ხატის კარს. აბალ მთვარეზე ხომ არა ხარი!..

ივანეს ბიჭების კინკლაობისათვის ყურადღება არ მიუქცევია, იმ ახმახი კაცის სიტყვებმა დაფიქრა.

— ხედავ, დემრი, ქართველ წარმართთა წარმოდგენაში, მთვარე უშუალო გავლენას ახდენს ადამიანის გონებაზე. ბნედას ქართლში სამთვარიო სენს ეძახიან და სჯერთ კიდეც, რომ ეს სენი ადამიანს მთვარის განახლებისას ან გავსებისას მოუვლის ხოლმე... მეორენაირად ცისად-ცისად გვემას ეძახიან. მეგრელები სიცხიანის ბოდვას თუთაშის უძახიან, რაც ასევე მთვარის ავადყოფობას ნიშნავს. არ გიკვირს?

დემრმა თავი კი დააქნია, მაგრამ დიდხანს მონუსხულივით შეჰყურებდა თავის ბევრისმცოდნე და ბევრისმზედველ მეგობარს.

„ი ასე, ნამცეც-ნამცეც აგროვებს ხალხის ყოფაში, ხალხის მეხსიერებაში გაბნეულ მარგალიტებს“, — გაიფიქრა დემრმა, სუფრას მოავლო თვალი და მის მიღმა ბინდში გამოკვეთილი თეთრი სილუეტი დაინახა, თმაჩამოშლილი ტანადი გოგო ივანეს უმზერად მალვით.

ჯინჯილა ქუდი აღარ ეხურა ჭაბუკს, კოცონის ალით დაფერილ ლამაზ სახეზე ფიქრიანი იერი ედო.

— სვანურ წმინდა გიორგობაზე ვიყავი შარშან, მეკერმისა და ფარისევლის კვირაკ. რამდენიმე სოფლის მცხოვრებნი, დიდით პატარამდე, მიმწუხარესას ერთბაშად დაიძრნენ წმინდა გიორგის საყდრისაკენ. ყოველ მათგანს ანთებული არყის ტოტი ეჭირა ხელში... წელან ეკლესია რომ ანთებული სანთლებით შემოსეს, სწორედ ის სვანეთში ნახული ლამპიარი, ანუ ლამპრობა გამახსენდა...

ივანეს სიტყვა გაუწყდა, უცნობი მამაკაცები წამოადგნენ თავს, სუფრა შეავიროთოთო, სთხოვდნენ. დემირმა ზალიკას არ დაიცადა, სიამოვნებით დაეთანხმა. თედო პაპა გაგრძელებული სუფრის თავში გადასახლეს თავის ბეჭიანად და დიდი ყანწი გაუვსეს. მხიარული სმა გაჩაღდა. დემირი, რითაც კი შეეძლო, იცავდა მეგობარს ყანწების იერიშისაგან: „ჩემს ძმას გივარგის ხატი უკრძალავსო ღვინის სმას“,— ყველას ეუბნებოდა.

მაგრამ მაინც მოუვიდა დიდი ყანწი ივანეს და თან ამბავიც მოჰყვა, აბილაჰვრიანთ გოგოს სირჩაიო. ივანემ წამოიწია და ტანშეპარნოულმა გაიხედა იქ მხარეს, საიდანაც ყანწი გადმოჰყვა წინ გამოწვდილ ხელებს...

ის გოგო დაინახა, ლურჯად მოთვალული თეთრი კაბა რომ ეცვა წელან, აწლა წითელი მოსასხამი ჰაიჰარად მოეგდო მხრებზე და ჩამოშლილი თმაც ეკერიფა... წითელი ნაჭრისაგან შეკერილი სამკუთხა ავგარიზი აღარ ეკიდა გულზე, ირიბად გაჭრილი გუგებიდან მომზირალი მომწუხარ თვალებით, თხელი პირისახითა და გლუვი თმით ტაძრის კედლიდან მომზირალ ფრესკას ჰგავდა...

ივანემ ოდნავ დაუკრა თავი უცნობ ასულს, უსურვა კაი ქალობა და გაიფიქ-

---

ელგუჯა მერაბიშვილი
მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა, ეს ერთი ყანწი თუნდაც საწამლავით იყოს სავსე, უნდა დავლიოო. ფრთხილად მიიყუდა და მაშინვე იგრძნო — სასმისი შარბათით იყო სავსე. ბოლომდე დასცალა და მერიქიფეს ეს-როლა ცარიელი ყანწი. გაამოსო, შესძახეს აქეთ-იქიდან და ლანგრით ცხელი ხორცი შესთავაზეს. დემირმა ჯერ გაიოცა, მაგრამ მერე ყველაფერს მიხვდა.

— ამდენ ხალხში მხოლოდ მაგან გიცნო, უბრალო ვინმე არ უნდა იყვეს, სახელი მაინც გაგვეგო, — წაუტუტუნა მეგობარს.

„შენ ქერქში დაეტიეი“, — შეუუწყო ივანე, თუმცა თვითონაც მოხიბლული იყო უცნობი ასულის გარეგნობით, უფრო კი საქციელით.

მემუსიკენი დაბარებულივით დადგნენ მათ უკან, დუღაკებს ხმა დაუტეხეს და სიმღერა წამოიწყეს... „საყდარს ანთია ალები, გარს ახვევიან ქალები, ერთი შეხედვით შეეატყობ, რომელსაც შეეებრალება...“

სმა გაჩაღდა. მთვარე რაზმითს გადასცდა და ახლა ნელა ეშვებოდა დასავლეთისაკენ, თითქოს არ ეთმობოდა დანახვისი და საყდრის ირგვლივ მინავლულ კოცონებთან მოქეიფე ლამისმოვლები.

თედო პაპამ ეკლესიის ხუროები მოიხსენია, ჭიქა წაუქცია და წმინდა გიორგის შეავედრა მათი სული.

ინათლა. მედუდუკეებმა ახლა სხვა სუფრაზე გადაინაცვლეს. ღამენათევი მლოცველები, ვინც კი გადაურჩა ღვინოს, კვლავ ეკლესიისაკენ გაიკრიფნენ და დილა-ბინდში ერთხელ კიდევ გაიბადრა სანთლების მოციმციმე შუქით ძველი საყდარი.

ივანე და დემირი გვერდიგვერდ იწვნენ გაშლილ ნაბადზე. ივანემ ჯინჯილა ქუდი თავქვეშ ამოიდო, სასოუმალი შეიმაღლა და უკვე ალიონით აფერადებულ ცისკიდურს მიაპყრო თვალი, რომლის ფონზე მნათობივით ჩანდა გაჩაღებული ჩახეხული ტაძარი.

— საკვირველი მსგავსებაა. ცხრამეტმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, როცა სტრაბონმა პირველად აღწერა მთვარის დღესასწაული. ქართველმა ხალხმა ჯერ ცეცხლთაყვანისმცემლობა მიიღო, მერე კიდევ ქრისტიანობა. ამ ორმა სარწმუნოებამ ხანგრძლივი, ძლიერი გავლენა იქონია ჩვენ ეროვნულ აზროვნებასა და ზნე-ჩვეულებებზე, მაგრამ მაინც ასე საუცხოოდ არის შემონახული ძველი წარმართობის კვალი... ეჰ, რამდენ გრდემლზე კვერა ჩვენმა ხალხმა, რამდენ ქურაში გამოატარა და გამოაწრთო თავის ეროვნულ დამკვიდრებაზე ფიქრი...

უცბად ჩაეძინაო. დილით გამოღვიძებულ დემირს სუფრასთან აღარავინ დახვედრია, ეკლესიის შემოგარენშიც აღარავინ ჩანდა.

ივანე გვერდულად იწვა ნაბადზე, მკლავი თავქვეშ ამოედო და ტკბილად ეძინა. გაშლილ ხელისგულზე წითელი ნაჭრისაგან შეკერილი სამკუთხა ავგაროზი ედო, წვრილი ძეწკვი ება ავგაროზს და ამით მიხვდა დემირი, ვისიც უნდა ყოფილიყო. ხელში აიღო, გადაბრუნა და ოქრომკედით ამოქარგული ლამაზი ასოები დაინახა: „ა ნ უ კ ა“.

„რას გაუგებ ქალის გულს... კარგი გოგოა, მაგრამ ვეჭვობ, ივანემ მისთვის მოიცალოს... სხვა ცეცხლი უკიდია მის გულს, მარადი და გაუქრობელი... მამულის ტრფობა უნთია წმინდა ლამპრად და მას ევლება გარს ფარვანასავით“, — გაიფიქრა დემირმა, ავგაროზი კვლავ ხელისგულზე დაუდო მეგობარს და მისი გამოღვიძება სცადა.

ნამდაკრული დილა იდგა. დანახვისიდან ყველა კოცონი თან წაედო მთვარეს და მოუბრუნებლად წასულიყო ციდან. მხოლოდ ერთი ნაკვერცხალი დარჩენოდა — წითლად მღვივარი შანა მძინარე ჯაბუკის ხელისგულზე.

აახმაურე

მზეზე ანთია ჩემი სულის დამშრალი რიყე
და მოდის ჟამი —
ულმობელი დიდი ცხაური...
ო, გევედრები...
გევედრები, ვინც უნდა იყო,
აახმაურე ეს სიჩუმე,
აახმაურე!
შემომაფეთე გაქცეული მოზვრების ჯოგი,
გადაუქროლეს სამრეკლოებს ოქროს
ჩიტებმა...
ო, ჩქარა-მეთქი, გევედრები...
ნუღარა მზოგავ,
ვიდრე სახურავს ყინულები დაეკიდება.
ქარი არა სჩანს
და უმწეოდ ჰკიდია ტოტი,
ამ წუთს ვერავინ ვერ დაარქმევს
ყალბ სათაურებს..
ვინც უნდა იყო,
ოღონდ ახლა უთუოდ მოდი,
აახმაურე ეს სიჩუმე,
აახმაურე!

ზაფხულის ღამე ქალაქში

ვით გატენილი კედელზე თოფი,
ქალაქი ღამეს ისე ჰკიდია...
გალექებული ხარივით დგანან
სართულები და ვერსად მიდიან, —
რომ შეაფარონ ნანატრ სიგრილეს
სიცხე, ვნებები და რია-რია,
და ის სინათლე, რაც მორჩათ სახლებს,
ქუჩაში ხურდა ფულივით ყრია.

ვიდრე მე წავალ

და ვიდრე წავალ,
მე უნდა შევძლო
შენარჩუნება ცხმორის, ლარგვისის,
თორემ დრო ისე, ვით ჭოპოსანი,
თავის ხორკლიან თათს გადაგვისვამს,
არ გვაპატიებს ჩუქურთმას წაშლილს,
ან ნამომტვრეულ ქვას და ლორფინოს,
სამრეკლოებქვეშ ღამურა წივის
და ნაბზარებში ქარი ორპირობს.
და ვაზის გულით გამოთლილ კართან,
ქსანზე საღამო დადგება როცა,
ზის მეროჭიკე ბერივით ქარი
და ფურცლავს
ხმელი ფოთლების ლოცვანს.

და ვიდრე წავალ, მე უნდა შევძლო
შენარჩუნება ცხმორის, ლარგვისის...

ნაწვიმარ ქუჩაზე

ფეხს არიღებდა ქერა ბავშვი
უამრავ მთვარეს,
ასე უხვად რომ დაბნეოდა
გზებზე ღამეს და
ეძინა ქუჩას
უპატრონო ლოთივით გარეთ
და სველ გუბეებს
თვალებივით ახამხამებდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საღამო ქნის ციხესთან

მირეგვ-მორეგვა შალაფები
    მაღალმა ქარმა
და შავ მუხებთან წაიყარა
    რისხვით ლაგამი...
ციხემ ნატყვიარს წააფარა
    ნისლების ნარმა
და პერანგივით გადაიცვა
    ტანზე საღამო.

მთებზე ისროლა
    მთვარემ ციხის ვეება ჩრდილი
ხელუკუღმა და
გაიხადა მთები მსახურად...
მუხრანის ველზე მძინავს ახლა
    ყივჩაღის ძილით
და ქნის წარსული
    ნაბადივით ტანზე მახურავს.

მყვირალობისას

მყვირალობისას ქალაქში ქონავს
ირმის ხავილი და მკერდი მტკივა...
მზეს უეცარი აიტანს ერქოლა
და ციდან მწვანე კვირტები ცვივა.

დაითენთება ჰაერი ვნებით,
ცხელი თვალებით ქუჩას ავივლი
და მოვარდნილი აპრილის ხმებით
ქალაქში ქონავს ირმის ხავილი.

ოცდამეხუთე ზაფხული

ოცდამეხუთე ზაფხულს ვთიბავ,
    ძვირფასო, ახლა,
ყოველ მოჭრილ ღერს
    მკერდი კვნესით ეხმაურება...
კაპილარების დაგრეხილი,
    გამძლე ულოთი
შეკარი დარდი
    მომცრო-მომცრო ხელეურებად.

და მინდორივით
    ფეხებშუა ბავშვობა გარბის
თვისი სილაღით, სიალალით,
    ბილილას ღერით
და დატირებად, —
    მოთიბული სიმწვანის გამო, —
გამომაცილებს
    ჩუმზე-ჩუმი ქვითქვითი მწყერის.

●

მე ზოგჯერ მინდა გაქცევა მიწით
და მომტვრეული მტკივა რტოები,
ჭაობისფერი მერევა იჭვი
და მენატრება განმარტოება.

მე ზოგჯერ მინდა მარტო ნუგეში,
სიტყვა, სიკეთის მზით რომ იალებს,
ერთ მუჭა მიწას ვიყრი უბეში
და გავურბივარ ადამიანებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიქტორ კახნიაშვილი

ეს არის ჩემი ლოცვა და ფიცი

ჩემი სიცოცხლე რა არის, იცით? —
გული წრფელი მაქვს და სული წმინდა,
მე ამ ცხოვრების ქარცეცხლში ვიღწვი
და პოეზიად დავიწვა მინდა!

ჩემი ოცნება რა არის, იცით? —
აი, მისმენენ მაღალნი ხენი, —
ეს არის ჩემი ლოცვა და ფიცი,
რომ სიყვარულში დავლიო დღენი.

ჩემი ცხოვრება ეს არის მხოლოდ,
მეტი არ მინდა ქვეყნად ღირსება.
რა არი კაცი, ბოლოს და ბოლოს,
თუ ამ საწადელს ვერ ეღირსება.

ვერელ ვანოას სიმღერა

(იეთიმ გურჯის ხმაზე)

ციკლიდან „ვერა და ვერელვბი“

სახლში ცოლი გამიგიჟდა,
ეზოს ძაღლი გამიავდა,
რაც ვანოას ფული ჰქონდა, —
ძმაბიჭებში განიავდა.

სიმღერის და ლექსის თქმაში
თუგინდ იეთიმ გურჯთან გავალ,
ღმერთმა ჭირი აგვაცილოს,
ლხინებში კი ყველგან წავალ.

დარდს და ვარამს მტკვარს გავატან,
სატიოზე ყოჩად დავალ,
გავებუტო ხარბ ქვეყანას? —
დასრულდება ჩვენი დავა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ ცხოვრებას ვენაცვალე,
პირში გეტყვით, არას ვმალავ,
სანამ ვარ, სულ ვიმღერებ,
საფლავშიაც ასე ჩავალ.

ღმერთმა აგრე დაგვაბედა:
ყველა თავის გზაზე წავა,
სახლში ცოლი იწუწუნებს,
ეზოს ძაღლი იწკმუტუნებს, —
ვანო აღარ იქნება და
სიმღერები ხალხში გავა.

●

სარკმლიდან მოჩანს სიმშვიდე შორი,
სივრცის ღიმილით თბება კედლები;
როგორ უხდებათ ხეივნებს თოვლი
და სახურავებს — ჩრდილი მტრედების!

ჩვილის თვალებში იის ნამია;
ღედის ხელებში — სიკეთე ღმერთის:
ეს სიცოცხლეზე ტკბილი რამეა
და უკვდავების წყაროზე მეტი!

●

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲓᲣᲛᲑᲐᲫᲔᲡ

მესიზმრა გველის თვალების წვიმა,
ბასრი კლდეები,
ჭირხლიანი ციხარტყელები
და სათიბები
ელდისაგან გაფითრებული...
მდინარე იყო ჩუმი, მგლისფერი
და იელები ტოტების ჩრდილში
ახარხარებულ ეშმაკებს ჰგავდნენ,
დასალიერზე ჩანდა ღრუბელი,
როგორც ირემი რქამოტეხილი
და ნახტომში გაქვავებული...

შეუცვლელი მზე იყო მხოლოდ
და გიზგიზებდა ქედების თავზე,
ვით ყვავილებში
ჩაწოლილი ავაზას გული.

ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘ ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲖᲔ

ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲔᲡ

უცხო ლაქვარდი გამოჩნდა ისევ,
ცამ გაიღიმა და მნათი იძრა...
ღმერთო,
რა დიდი ყოფილა სივრცე!
ღმერთო,
რა თბილი ყოფილა მიწა!

უცხო ხომალდი მოცურავს შორით,
რაღა უცხოა...
ჩვენია! ჩვენი!..
და სასწაულზე მეტია, მგონი,
მისი აფრების
სუნთქვა და ფერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...მაგრამ შენ მაინც გადაგარჩინე,
ბავშვური ფიქრო, პირველი წვიმის
გალობასავით ხალისიანო!..
შენ ისეთი ხარ, როგორც სინათლე
გამთენიისას
სამრეკლოში დავანებული.
შენ ისეთი ხარ, როგორც შრიალი
ვენახიდან ველზე გასული
ლურჯი მდინარის
საამბორებლად...

ᲛᲨᲝᲒᲚᲘᲣᲠᲘ ᲥᲔᲓᲘᲑᲘ

აქ სულ ერთია,
მაღლა ახვალ თუ დაბლა ჩახვალ—
მაინც სიმაღლის მკვიდრი იქნები!

აქ სულ ერთია, სად შეისვენებ —
მაღალ ბალახში ყაყაჩოები
ფეთქავენ, როგორც მზის ნაღვერდლები.

აქ სულ ერთია, საით შეუხვევ —
ყველა ბილიკი
წმინდანების გაკვალულია...

შენ გვიან გაგიკვირდება
ჩემი ვენახის ნათელი.
გაიღიმებენ დარდები,
ვით შემოდგომის კალთები,
სიზმრისნაირი დღეები
იქნება თანაც რამდენი!...
მერე დაღლილი, ფერმკრთალი,
აკვნის და გუთნის გამთელელი —
შენს მიწას გავუსარდები,
ვით ეკლესიას — სანთელი.

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ

ჩემი თეთრი ოცნება —
ნაზამთრალი ფიქრები,
ზეციურო ნათებავ —
მუდამ შენი ვიქნები.

ჩემი გულისწადილის
აუხდელი მანდილი,
მიდის, მიიცოცება
ზეციური ოცნება.

იმერეთის ჭალების
შორეული პანგები,
თვალთა აცისკროვნება,
წითელი ეშმაკები.

ჩემი თეთრი ოცნება —
ოდეს ჰყვავის ეგრისი,
ჭინკით სავსე სათიბი
და ჩემი მარელისი.

ჩემი თეთრი ოცნება,
ნაზამთრალი ფიქრები, —
ზეციურო ნათებავ,
მუდამ შენი ვიქნები.

●

ღამეა ბნელი, მიუსაფარი,
ცას მიბჯენილან მთანი ზვიადნი.
ტყეს, ნაღვლიანად ჩაფიქრებულსა,
მეხად ატყდება ღამის წყვდიადი...

დიმილჩამქრალი ხენი ტირიან,
ვერა ჰგუობენ უკუნს ღამისას,
ალვის ტოტები ცას შესჩივიან,
მოგაგონებენ დუმილს ხარისას...

რძისფერი ნისლი მოილტგის შორით,
ნაწამებია უმთვარო ღამე,
განთიადს ეტრფის მიწა ყომრალი,
მისი საუნჯე ოდით ვიწამე.

●

მაშინ, როდესაც თრთოდნენ დაფნები,
როცა ღმერთებმა ისროლეს ბადე,
როცა დაეშვნენ ირგვლივ აფრები,
მე დავიბადე...

მე დავიბადე საქართველოში,
ყაყაჩოების ცეცხლის ამარა,
როცა ინათა ცამან ლაჟვარდმან,
როცა არწივმა შეკრა კამარა.

მე დავიბადე ლურჯ ალიონზე,
როცა ერიათ მგოსანთ ჭაღარა.
თუ მე ამ სოფლად ლაღად ვმღეროდი, —
ყაყაჩოების ცეცხლის ამარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუმისის ყვავილები

...და დაღამებულს ამოვალ კუმისს,
ყვავილნო, ისევ თქვენა გთხოვთ შველას,
თითქოს დამიჭკნა მე საზრდო სულის,
და ნაღვლიანი, შთენილი ველად,

ყვავილნო, ისევ თქვენა გთხოვთ შველას...

●

მზემან შეუნთო ცეცხლი განთიადს,
წვიმამ დაათრო გზა წიწამურის,
ჩემს სულში ლექსი ისევ ანთია
და ხოხობს ასდის ფერი ალმურის.

ერკინებიან ვერხვები ზეცას,
ღამე ხოხბებმა ცრემლით დანამეს,
ვისაც ხოხობა არა სწყურია, —
ღმერთო ანანე...

მიხო მორჩილაძე



I

იმ პირველი დღის შემდეგ თხუთმეტი წელი გავიდა... ზუსტად თხუთმეტი! ახლა მანამდელი ამბებიდან მხოლოდ ცალკეული მოგონებები დამრჩა, სოჯახო ალბომში ჩაკრული გაცრეცილი ფოტოებივით ბუნდოვანი, არამკაფიო და დაუსრულებელი. მაშინ მამა-ჩემი ჯერ კიდევ არ იყო ის, ის „ვიღაც“, არამედ მამა იყო, მამა, რომელზეც ხუთი-ექვსი წლისას ხშირად და დაჟინებით მიფიქრია უსაზღვრო სიყვარულითა და აღფრთოვანებით.

დღეს „ბავშვთა სამყაროს“ მაღაზიებში ათასჯერ უკეთესი და მრავალნაირი სათამაშო იყიდება, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ ჩემს ბავშვობაში სათამაშოები და საერთოდ ყველაფერი, უფრო მიმზიდველი და საინტერესო იყო. ხანდახან მგონია, ისინი ფერით იყვნენმეთქი უფრო მსუყენი ან იქნებ იმის გამო მეჩვენებოდა ასე, რომ კონვეიერული წარმოება ჯერ არ იყო ათვისებული და ყოველ სათამაშოს განუმეორებელი, თავისებური შნო და ლაზათი ჰქონდა, არჩევა შეიძლებოდა!.. უსულგულოო, რომ იტყვიან ხომ კარგი ნათქვამია, არაჩ კონვეიერმა ყველაფერს, განსაკუთრებით კი სათამაშოებს, სითბო და, სული დაუკარგა, ადამიანის ხელით მინიჭებული საიდუმლო ჩამოაცილა. ალბათ გულუბრყვილობაა ასე თქმა, მაგრამ იმის მთავარი მიზეზი, რომ ჩვენი დიასახლისები ბაზარში ამჯობინებენ სურსათის ყიდვას — არჩევის შესაძლებლობაა, ერთნაირობამ და ერთფეროვნებამ ყველაფერს დაასვა თავისი დაღი და ეს სტანდარტული ზომისა და წონის, ერთნაირად შეფუთული საქონელი ისე მიკარგავს წარმოსახვის უნარს, რომ ვეღარაფრით წარმომიდგენია, მაცივარში ერთმწკრივად ჩალაგებულ-ჩაწნეხილ ქათმებს თუ ოდესმე ბუმბული ჰქონდათ ან კრიახით შეეძლოთ ეზოდან ეზოში გადაფრენა.

ასევე, ხიდან მოწყვეტილ ხილს სხვა გემო აქვს და ფეხით დაწურული წლეგანდელი, ჯერ დაულექავი ღვინოც ოცმედალოსან სამარკოს მირჩევნია.

მიბაძვა, სხვისი ნაკეთობის ზუსტი გამეორება, კაცს არასოდეს სიამოვნებდა. მე ბევრი მიფიქრია ამაზე... ოცი წლის შემდეგ კონვეიერზე ალბათ საგანგებოდ დააყენებენ მხატვრებს იმისთვის, რომ სტანდარტულს ორიგინალობა შესძინონ. ჯიჯგერობით კი უსულგულო ნაწარმი კატასტროფულად მატუტლობს..

ჩემი დისწულებისათვის ახალი სათამაშო რომ მიმაქვს, უცნაურ დაძაბულობას ვგრძნობ და ჩემი ბავშვობა მაგონდება. დღევანდელმა ბავშვებმა სათამაშოების სიყვარული და მათი ფლობის სიხარული სამუდამოდ დაკარგეს. მგონი, ის საჩუქარი, რომელიც პატარებისათვის მიგვაქვს, ჩვენ უფრო გვართობს და გვახარებს. უხალისოდ გამოგართმევენ, ერთი ორჯერ (შენი ხათრით უფროს) შეატრიალ-შემოატრიალებენ, ზანტად დაამძვნარებენ და გუნებაში ალბათ შეგიცოდებენ კიდეც მიამიტობისათვის. კარგიაო, უფრო ზრდილობისათვის გეტყვიან და ისევ თავის გასართობს მიუბრუნდებიან.

— ხომ არ გინდათ, საჭირელია ჩამოგიბათ, ან ზოოპარკში წაგიყვანოთ? — შეცბები და ყალბი რიხით უკანასკნელად გაიბრძოლეს შენ, ისე გამოგხედავენ, თითქოს ამქვეყანაზე ყველაზე მოცალილი და უსაქმური კაცი იყო. თვალებზე ფრანგულის ფიგსს ან ნოტებიის რვეულს აგაფარებენ და მშვიდად, ზანტად ამოიოხრებენ...

შეიძლება აქ უბრალო გამეორებაა: პაპაჩემს არ ესმოდა მამამისის, მამამ მე ვერ გამიგო; მეც ვერა გამიგია რა მომდევნო თაობისა. აკი ვთქვი, სათამაშოს ეშხი დაკარგა-მეთქი. არ მოსწონთ დღევანდელ ბავშვებს ისინი... რაა გაუგებარი? რად ვღიზიანდებით?.. ჩვენ მათ თითქმის ყველაფერი შევუსრულეთ, რაც ბავშვობაში თავად გვენატრებოდა. მაგრამ ამით ხომ მარტო საკუთარი ნატვრა-სურვილი ავისრულეთ, ისე, რომ მათთვის არაფერი გვიკითხავს... მათაც ხომ აქვთ თავიანთი სულიერი სამყარო—შეუდწეველი და შეუცნობი, საკუთარი პრობლემები — მათთვის გადაუჭრელი და ყოველად გაუგებარი ჩვენთვის. ჩვენს ბავშვობისდროინდელ სურვილებზე გაცილებით მძაფრი და ამდენადვე შეუსრულებელი ნდომაც. შეიძლება, და ალბათ ასეც არის, ხანდახან მეც ვარ მათთვის ის გადაულახავი ჯებირი, ბოლო ზღუდე, რომელიც მათი წადილის ასრულებას, ნებით თუ უნებლიეთ, წინ ეღობება. ამიტომაც არის, რომ ზოგჯერ უეცრად ვიგრძნობთ ხოლმე პატარების ბრაზიანსა და უმეწეო გამოხედვას, თითქოს ნადირი გაებაო მახეში. ჩვენს შორის ნახევრად გამქვირვალე, უცნაური კედელი აღმართულა, კედელს აქედან ისინი მხოლოდ ბრძანებებს, აკრძალვებს, მითითებებს, გულის გამაწვრილებელ დარიგებებს ისმენენ; კედელს იქიდან კი ხან ბავშვების ტირილი და ხან, ჩვენი აზრით, ყოვლად უსაფუძვლო ბრალდებები გვესმის. ჩვენ არ გვჯერა მათი, ისინი არ გვენდობიან და, უმჯობეს შემთხვევაში, ჩვენც და ისინიც უსიტყვო ნეიტრალიტეტს ვიცავთ.

ერთხელ, ჩვენს დიდ კარადაში ქექვისას (ძიების სურვილი ბავშვებს არასოდეს მოეშლებათ), გვანცას ძველი სასკოლო ჩანთა მოიხელთეს. გახსნეს და სამიანებით გაჭედილ დღიურთან ერთად კინომსახიობების სურათების მთელი დასტა ნახეს. დღიურის გასინჯვისას მეტად გაიხარეს, მსახიობებისთვის კი თითქმის არც შეუხედავთ. გვანცამ სურათები გამოართვა, გადაათვალიერა და სიცილით გაიხსენა, რა წვალებით მოუყარა თავი ამდენ ფოტოს. ჰარი ბელაფონტეს სურათისთვის თურმე მთელი კვირა ირბინა და რომ ვერსად იყიდა, დიდი ხვეწნით გაუცვალა ვიდაცას გრეგორი პეკში, რაჯ კაპურისა და სიმონა სინიორეს ფერადი ფოტოების დამატებით.

— რად გინდოდა? არ გერჩივნა, იმ ფულით ნაყინი ან საღეჭი რეზინი გე-

ყიდა? — გაეწყვეტინეს სიტყვა ბავშვებმა. გვანცა შეცბა, ხმა ვეღარ ამოიღო, ბავშვები უპასუხოდ დატოვა... მათთან შედარებით, მე სულ სხვა იპოქნდნიერი გამოხდომები მქონდა. ყოველთვის ჩემი გამოგონილი გმირების სამყაროში ვცხოვრობდი. გულწრფელად მჯეროდა ექიმი ანიბოლიტის და პაპა კარლოსის... დაუსრულებლივ ვეძებდი ქერაამინან მალვინას, ოქროს გასაღებს, უთვალავჯერ გავქცევივარ საშინელ მეძებრებს და სიამოვნებით მომიდენია ტყაპანი მატყუარათა ქვეყნის გომბეშოთა გუბეში.

ერთი მარტოხელა, მსოფლიომოვლილი, მოხუცებული სომხის ქალი ცხოვრობდა ჩვენს მეზობლად. უაღრესად უწყინარი და კეთილი ადამიანი, ლუსია პაგლოვნა. გემრიელ ნამცხვრებს აცხობდა და ხშირად მეპატიჟებოდა ხოლმე. —თქვენ ნამდვილი კუ ტორტილა ხართ! — ვუთხარი ერთხელ მისი მეფური მასპინძლობით აღტაცებულმა. ქალმა ჩემი საეჭვო ქათინაური ღირსეულად მიიღო და ტკბილეულით უხვად დამასაჩუქრა. ღმერთმა აცხონოს იმისი კეთილი სული. სათავგადასავლო ნაღვლგარეული ზღაპრებს მიყვებოდა და ერთი ფრანგული საბავშვო სიმღერაც შემასწავლა... სხვათა შორის, დღესაც ზვავდიღინებ ხოლმე.

ახლა ჩემი დისწულები მთელი დღე ტელევიზორთან სხედან, ან წიგნს ჩასჩიჩინებენ და ზღაპრის მოყოლას თუ შევთავაზებ, ქედმაღლური ღიმილით მთანხმდებიან. ხელუხლებელი სათამაშოების გორები ჩვენი სახლის ყველა კუთხეში თანდათანობით იზრდება და ჩვენი ნივთებისთვის ადგილი აღარა რჩება. ეს იმის გამო კი არაა რომ ვინმე სათამაშოებს უფრთხილდება. უბრალოდ, ბავშვებს სათამაშოების კირკიტი აღარ აინტერესებთ.

— გახსოვს? — ხანდახან მკითხავს ხოლმე ჩემი უფროსი და, თან რომელიმე სათამაშოს ხელში შეატრიალებს.

—მახსოვს! ძალიან კარგადაც მახსოვს! — ალბათ ასევე ახსოვს ომის დროს დაბადებულ ყველა პატარას სათამაშოების სიმკირე.

მე და ჩემ დას ორად ორი თოჯინა გვყავდა—„თინათინი“ და „ტარიელი“. თოჯინები ხამი ტილოს ნაკრისგან იყო შეკერილი და ნაკერებიდან ნახერხი სცვიოდათ. ჩვენ მთელი დღეები მათი ნახერხით გატიკვნასა და გალამაზებას ვუნდებოდით. ნახერი ორივეს აკვარელის ღია ფერებით ჰქონდა მოჩითული. მახსოვს, საღებავი ძალზე გაუფერულდა და ჩვენც დიდი სიამოვნებით ხელახლა ვუხატავდით სახეებს ფერად ფანქრებით. ფანქრით ნახატი კი მალე იშლებოდა და თამაშის ბოლოს თოჯინებს ძლივს ეტყობოდათ სახის ნაკვთები...

ასე შეგვიყვარდა ხატვა.

„თინათინი“ ჩემი დის საკუთრება იყო, „ტარიელი“ — ჩემი. სიმართლე უნდა ვთქვა, თოჯინის მორთვა-მოკაზმვაში გვანცა ყოველთვის მჯობნიდა. ამას ისიც ემატებოდა, „თინათინი“ ხშირად იცვლიდა კაბებს, „ტარიელს“ კი ჩოხა-ახალუხი ტანზე შემოეკონა. მე მის ჩაცმულობას ისევე არ ვაქცევდი აუარადღებას, როგორც ჩემს საკუთარს და ეს ცუდი ჩვევა სამწუხაროდ, დიდობაშიც გამომყვა.

„ტარიელს“ თავისი სკამი ჰქონდა, თავისი მაგიდა, ყოველთვის გაწყობილი და გაწმენდილი იარაღი: ფარი, დამბაჩა, ხანჯალი, ხმალი. ეს ყველაფერი ნაძვის ხის ქერქისგან გამოვთალე. ექვსი წლისამ „ტარიელს“ მწვანედ შეღებილი ფირფიცრის ტანკიც დავუმზადე და შიგ ჩავსვი. ტანკს უზარმაზარი, წინ გაშვერილი ლულა ჰქონდა, გვერდებზე კი წითელი ვარსკვლავები ეხატა. ეს იყო თითქმის მთელი ჩვენი გასართობი. გადიოდა კვირეები, თვეები და გარეთ ვერც კი ვიხედებოდით. ძალზე იშვიათად წაგვიყვანდა ხოლმე დამა ზოოპარკში ან ცირკში, დანარჩენი დღეები სახლობასას ვეთამაშებოდით „ტარიელს“ და „თინათინს“, ან თუ

ბიბლ. მორჩილაძე
ნინას ოთხი დღე

არ წვიმდა და არც ქარი ჰქროდა და არც ბამა იყო შინ, ჩვენი სახლის კარგად შემოღობილ ეზო-ბაღში დავრბოდით და დამალობანას ვთამაშობდით. ამის მეორე, შესამე დღეს ან მე ამიტყდებოდა ცხვირის ცემინება, ან ჩემს დას და ისევე ჩაბინეულებულ საწოლში, სიცხის საზომებით ველოდით ექიმის გამოჩენას. ასე მიემატა ჩვენი თამაშის ღარიბულ არსენალს ექიმობანაც. ხან დედა ექიმობდა, ხან გვანცა, ხანაც მე. ერთმანეთს სიცხეს ვუსინჯავდით, სტეტოსკოპით ვუსმენდით და გრძელ ვიწრო ქაღალდზე რეცეპტებს ვწერდით. უფრო მეტად გვანცას უწევდა ექიმობა— დედას სინჯავდა ხოლმე.

— აბა, ენა მაჩვენეთ, გეთაყვა...

— ახლა ზურგი მომიშვირეთ, უნდა მოგისმინოთ...

— მუცლის მოქმედება ხომ ნორმალურია?

—დიახ, ქალბატონო ექიმო!

— ანალიზისათვის მომიტანთ ხვალ, ასანთის კოლოფით...

—კარგი, ქალბატონო!

— მუცლის არეში ტკივილებს ხომ არ უჩივით?

— არა...

— მე მეგონა, ხელახლა აპირებდით ბავშვის დაბადებას, ქალბატონო...

დედა გაფიორდა და წამოჯდა.

— რა სისულელეებს ლაპარაკობ, ეს რა ექიმობანას თამაშია?..

— მოგვიყევი რა, ჩვენ საიდან გავჩნდით?..

— ჰო, ჯერ ჩემზე მოყევი! — მივუბრუნდი მეც.

— საიდან გავჩნდით? — ჩვენს უწყინარ კითხვაზე, დედაჩემი ჯერ სულ აილანძა, მერე კი დიდი ალგზნებით რწმუნება დაგვიწყო: ბაღში, კალათაში გიპოვეთო, გვანცას უკვე მოყოლილი ჰქონდა ჩემი „ბაღში“ პოვნის ამბავი. მაშინ ოთხი წლისა იყო და ყველაფერი კარგად ახსოვდა, თითქმის დაწვრილებით მომიყვა, რა დიდხანს დადიოდა დედა უზარმაზარი მუცლით, მერე როგორ წაიყვანეს სასწრაფოთი და როგორ დაბრუნდა ჩემთან ერთად. ეს ჩემი და გვანცას უდიდესი საიდუმლო იყო. გვანცასი მჯეროდა, მაგრამ მაინც დიდი ინტერესით ეუსმენდი დედას. დედამ საოცარი მოყოლა იცოდა. ისე მეჩვენებოდა, თითქოს კი არ გვიყვებოდა, ფერადებით გვიხატავდა სათქმელს. ცუდს არაფერზე იტყოდა, მგელიც კი მის მონათხრობში ბატკანივით ნაზი და უწყინარი იყო.

ერთხელ რადიოში იყო რაღაც გადაცემა და ბაღლინჯო ახსენეს.

— ბაღლინჯო რა არის? — ვკითხე მამას.

მამამ დამიბღვირა, რა სისულელეებს მეკითხებიო, მადლობა თქვი, რომ არ იცი, რაღაც ლექსი მომცა საზეპიროდ, და ამით მომიცილა თავიდან.

დედას რომ ვკითხე, უკვე დასაძინებლად მამზადებდა. — ჭიაქია ხომ გინახავს? იმხელააო,—მითხრა დედამ— ოღონდ, უფრო ბრტყელია, კიბოსავით წითელი და პაწაწკინტელა ფეხებით ძალზე სწრაფად დარბისო.

ეს პაწაწკინტელა, სწრაფი ფეხები ისე მომეწონა, რომ მეორე დღესვე სახატავი რვეულის მთელ გვერდზე უზარმაზარი ბაღლინჯო დავხატე, უთვალავი პაწაწკინტელა ფეხით.

— მაჩუქეო, — მითხრა დედამ. მე სიამოვნებით მივაწერე ქვემოდან: ბაღლინჯო... დედას, — ჩემგან-მეთქი და მივეცი.

დედამ დიდი სასოებით გამომართვა საჩუქარი და განძეულობის კარადაში შეინახა. იქვე ინახებოდა ჩემი და გვანცას პირველად მოჭრილი ოქროსფერი კულულები, ჩვენი სურათები, პირველი მოცვლილი კბილები და ათასი სხვა რამ, საინტერესო და ტკბილმოსაგონარი ნივთი.

ახლაც დედა ისევ იმ განძეულობის კარადასთან მივიდა, ჩვენი ფოტოები გადმოიღო და პატარა ბიჭის სურათი გვიჩვენა, ბიჭი განცხრომით იწვა დაწნულ კალათაში და იქიდან მთელი ოთხი კბილით გვიცინოდა.

— აი, როგორი იყავი მაშინ...

— არაფერიც! — გამწარებით შეესიტყვა გვანცა — არაფერიც. მე კარგად მახსოვს, ულვაშა ფოტოგრაფმა ნიკას ეს სურათი რომ გადაუღო!

— ეჰ, რა უნდა გელაპარაკო!...

გვანცას განსაკუთრებით ჩემი მიამტობა ამწარებდა. — ვერ უკურებ, ყველა შენ რომ გატყუებს? ასე ჩერჩეტი სადამდე უნდა იყო?!..

დედას მაინც მოვაყოლე ჩემი ბაღში პოვნის წარმტაცი ამბავი.

გვანცას ვერაფერით გაეგო, რატომ მსიამოვნებდა ასე ამისთანა ტყუილების მოსმენა. არ ვიცი, მაშინ კი არადა, ახლაც არ ვიცი, რით მიზიდავდა ასე დედის მოყოლილი გულუბრყვილო, ლამაზი ამბების მოსმენა.

— მაშ, კალთაში გვიპოვე და იქამდე არ გვიცნობდი? — ხელახლა გადავიდა შეტევაზე ჩემი და.

— გაზაფხული მოვიდა, ჰაერში ყვავილების სურნელი იდგა, მე ჩიტების ჟივილ-ხივილმა გამომღვიძა, აივანზე გავედი და...

— ეგ უკვე ვიცით! — გაბრაზებულ-ნაბრაზებ გვანცამ, — ხომ შეიძლებოდა სხვას ვენახეთ?..

—როგორ არა? ბავშვები ხომ სხვებსაც უნდათ?!

— მაშინ, სჯობია, ისევ კალთებში ჩავვალაგოთ და ქუჩაში გაგვიყვანოთ, იქნება უკეთესმა ვინმემ წაგვიყვანოს... —თქვა გვანცამ.

დედამ ფერი დაკარგა.

— ჰასანას შვილობა ხომ არ გირჩევნია? — დაცინვით ჰკითხა. — მასთან ხომ არ მიგიყვანოთ?

— ძალიან კარგს იზამთ! — იმავე კილოზე მიუგო გვანცამ.

— მე შენგან ორსადაც არ წავალ! — ვუთხარი დედას და რატომღაც ტირილი მომინდა.

გვანცამ თავში ჩამაფარა და გაიქცა. გავეკიდე, მე დედა გამომეკიდა, ორივე დაგვიჭირა და შეგვარიგა.

ჰასანა ჩვენი სახლის წინ, მიწაზე ცხოვრობდა თავისი უზარმაზარი ოჯახით. ჭრელჭრელში გამოწყობილი მისი შვილები თითქმის მთელი დღე ქუჩაში „ეყარნენ“. შორიდან ყველას ვიცნობდით. ერთი რამ უცვ ბ გეცემოდა თვალში (ჩვენი ფანჯრებიდან განსაკუთრებით) — ჯანსაღად იცინოდნენ, ჯანსაღად ტიროდნენ, მთელი ხმით ღრიალებდნენ, დაუფარავად, როცა ჰასანას ცოლი ვართუშა რომელიმე მათგანს წაუთაქვდა. ხშირად ჰასანა თავის პატარებს კურტანზე შემოისვამდა და ისე დაარბენინებდა, ხანაც ბავშვებს მოსაჩვენებლად უბდეერდა. (ზემოდან კარგად ჩანდა). ხშირად ბავშვების მალულად ფაშფაშა ცოლსაც ეხვეოდა და რაღაცაზე აცინებდა.

როგორ არა ჰგავდა ეს ყველაფერი ჩვენსას. როგორ გვშურდა ამ „ქუჩის ხალხის“. უმთავრესი ის იყო, ამ ბავშვებს არავინ უჩიჩინებდა, არ დაგავიწყდეთ, ვისი შვილები ხართო!..

ვართუშა კვირაობით დადიოდა ჩვენთან იატაკის მოსარეცხ-მოსაპრიალებლად. დიდ სარეცხსაც ის გვირეცხავდა. დედა ფულსა და ზოგჯერ ჩვენ გამონაცვლებსაც აძლევდა. მაინც, როგორ უხდებოდათ ჰასანას ბავშვებს ჩვენი ტანსაცმელი...

მე და გვანცა შუბლით ფანჯრის ცივ მინას ვეკოდოდით და თვალები ორთავეს ცრემლით გვევსებოდა.

ჩემი და უკვე მესამე კლასში სწავლობდა და ჩემზე მეტი ესმოდა, მაგრამ ერთ და იგივე მოვლენას მაინც ერთნაირად აღვიქვამდით: ჰასანას შვილები თავისუფლად და ლაღად, მართლაც რომ ბედნიერად იზრდებოდნენ, არც არავინ უწყალებდა გულს ისე მოიქეცით, როგორც თქვენ მამას ეკადრებაო, არც ქუჩაში გასვლაზე აბვეწნინებდნენ (ჩვენ სახლის ეზოშიც კი არ გვიშვებდნენ), არც ვინმე აყვედრიდა ლუკმას...

ამიზო მორჩილაძე
ნიკას ოთხი დღე

მოკლედ, ძალიან, ძალიან გვშურდა მათი...

●

ჩვენი სახლის გარეთ „ქუჩის ბიჭები“ და „ქუჩის გოგოები“ ცხოვრობდნენ, ჩვენ სასტიკად გვეკრძალებოდა მათთან რაიმე ურთიერთობა. ამხანაგები, რა თქმა უნდა, არ გვყავდა.

ერთხელ, მახსოვს, დიდი კაცის შვილის დაბადების დღეზე წაგვიყვანეს. წინასწარ გამოგვაძღეს და ლიმონათით გაგვეყიპეს, რომ იქ ზედმეტი არ გვეჭამა. საგანგებოდ გაგვაფრთხილეს, არაფერი გაგვკვირვებოდა, არ გვეხმაურა, არ გვერბინა, რამე არ დაგვემტვრია, ჭირვეულობა და პრანჭვა არ დაგვიწყო და სხვა კიდევ იმდენი „არ გააკეთოთი“ დაგვაშინეს, რომ სახლიდან გასვლამის შეგვაზარეს კიდეც.

ამის შემდეგ დაგვბანეს, ფრჩხილები დაგვაჭრეს, დაგვვარცხნეს და ახალ ტანსაცმელში გამოგვაწყვეს.

ახალი ტანსაცმელი ყოველთვის მეჯავრებოდა და ახლაც ვერ ვიტან, — შენი დაგემართება, სანამ რაიმეს მოირგებ; თანაც პატარაობიდან სულ მესმოდა: არ დაჯდე, არ დაშეუჭნო, არ დაისვარო და სხვა ამისთანები. თუმცა, თითქმის ყოველთვის, რაიმე ახალს ჩაცმისთანავე ვხვევი, ან ვსვრიდი. ამ დროს დედის შეხედვისა მეშინოდა,— არა, კი არა მცემდა... ხმას არ ამოიღებდა, ჩუმად, სწრაფად გადმომხედავდა და საჩქაროდ გამომიცვლიდა ტანზე, რომ ნამას არ დაენახა...

მეშინოდა, იმ გამოხედვის მეშინოდა... -ისე შემხედავდა, თითქოს მეუბნებოდა: — როგორ გენდობოდი და რა მიყავიო... მოკლედ, საშინლად მეჯავრებოდა ახალი ტანსაცმელი...

როგორც იქნა, სახლიდან გამოვეტიეთ და იმ კაცის ეზოსთანაც მივგრიალდით. (თუ სტუმრად მივდიოდით, მამას ყოველთვის მანქანით მივყავდით, სულ ორ ნაბიჯზეც კი).

ზარი რომ დავრეკეთ, თვითონ მასპინძელმა გაგვიღო კარი და დიდის ამბით შეგვიპატიჟა. დედაჩემმა დიასახლისს საჩუქარი გადასცა და ხვევნა-კოცნის შემდეგ დავნაწილდით — დედა და მამა საღილასწაულოდ გაშლილ სუფრასთან მიიწვიეს, მე და გვანცა კი იუბილართან შეგვიყვანეს.

●

დიდ ოთახში თორმეტამდე ბავშვი წრიალებდა. მასპინძელი, ბუთხუზა, კეთილი სახის ბიჭი საქმიანად დადიოდა თავის სტუმრებში და ტკბილეულობას არიგებდა. ირგვლივ უამრავი სათამაშო იყო მიმოფანტული: მატარებელები, ფასაქონი მანქანები, ზამბარიანი თოფები, სასაცილო თოჯინები და ველოსიპედი.

ავეჯიდან მხოლოდ დაბალი, კოხტა დივანი და სამავშვო წიგნებით გამოუდილი პატარა კარადა იდგა. კარადაში პატეფონი იყო დამონტაჟებული.

იქვე სამი შეუხედავი გოგო ჩაცუცქულიყო და ფირფიტებიან ყუთში იქექებოდა. ნიკას და გვანცას ეს „ბელომანები“ პიეროს სევდიანი არიით შეხვდნენ.

—ვინ არიან? — ბუთხუზა მასპინძელს დაჰკრაბა ერთმა ძმაკაცმა.

— რა ვიცი! — აიმრიზა ის, — მგონი, მამას ახალი მოადგილის შვილები უნდა იყვნენ.

— მამამისიც თუ ამ ბიუვითი დებილია, კარგად მეყოლე...

— არა მგონია... ვერა ხედავ, სუყველა ელაციცება!..

— შვილს მაინც დებილის გამომეტყველება აქვს, თითქოს გუშინ გაჩენილაო, ისე იყურება.

— შენ ჭკ ბიჭი რამდენი წლისა გგონია, პატარაა, ჯერ სკოლაშიც არ დადის!

— ვაა, მაშ ამ სიგრძე რამ გაზარდა?

— მამამისის შვილი არ არის? შენხელა რომ გახდება, ათ შენისთანას მოტეხავს!..

— ერთი მაგის!..

— არ აურიო ახლა შენებურად... არ

აწყენინო! ხომ იცი, მამამისს ჩაუკენჭავს და მე მომხდება!.—გაუბრაზდა მასპინძელი, სტუმრებს ღიმილით მიუახლოვდა. გაეცინა და სხვებსაც გააცინო, ტკბილეულით გაუმასპინძლდა და მერე „ველომანებთან“ მივიდა ნაღვლიანი მელოდიის შესაცვლელად.

ოთახში დიასახლისმა შემოიხედა.

— გოგი, შეიცო! თორმეტი წლისა ხარ, აღარ შემარცხვენ ალბათ ამ საპატიო სტუმრებთან...

—არა, დედა, ნუ გეშინია!

— რაიმე ხომ არ გაკლიათ?

— არა, დედა!

— აბა, შენი იმედითა ვარ! — განსაკუთრებით, ეს პატარა ბიჭი არ მომიწყინო!—ქოჩორი აუწეწა ნიკას.

— ყველაფერი კარგად იქნება, დედა!

—აბა, შენ იცი!..

დიასახლისმა დერეფნიდან ლაღიძის ლიმონათიანი ყუთი შემოაჩოჩა და გავიდა.

გოგიმ ლიმონათები გახსნა, თანაკლესილი ბიჭები ეხმარებოდნენ. სავსე ბოთლებს არიგებდნენ, ცარიელებს უკანვე აწყობდნენ ლიმონათის საფირმო ყუთში.

გვანცა ენად გაიკრიფა და გოგოები აიყოლია. საერთოდ, საცა არ გაჩნდებოდა, ყველგან პირველობას იჩემებდა.

ნიკას არ აინტერესებდა დის მონაყოლი. თითქმის ყველაფერი ზეპირად იცოდა. ისიც წინასწარ შეეძლო ეთქვა, სად და როგორ აუწევდა ხმას გვანცა. ან სად, რა ამბის მოყოლაზე გაიქნევდა თავს, რომ შუბლზე ჩამოშლილი თმა უკან გადაეყარა.

რით აინტერესებდა გვანცა ირგვლივ მყოფთ? ნიკას მობეზრდა ამაზე ფიქრი. მაინც ვერაფერს გახდა, ეს ერთ-ერთი იმ კითხვათაგანი გახლდათ, რომელზედაც პასუხი ვერაფრით გაეცა. უბრალოდ, ყველაფერი ისე უნდა მიგეღო, როგორც იყო. ეს იყო და ეს.

ნიკას ლიმონათი და კრემიანი ღვეზელი მიაჩეჩეს და თავი დაანებეს. ნაღვლიანი ჰანგი სწრაფმა ჩარდაშმა შეცვალა, მაგრამ ნიკამ უფრო მოიწყინა და სიმარტოვე უფრო მეტად იგრძნო.

სახლში გვანცა იყო მის გვერდით. ეზოში ჰასანას ბავშვები დარბოდნენ. ხან დედა მოყვებოდა ხოლმე რამეს, იქ ფიქრს მაინც არავინ უშლიდა. იჯდა თავისთვის კუთხეში და ოცნებობდა...

„საზოგადოება“ სულ სხვა იყო, აქ თავი უნდა დაგეჭირა. ყველა მოგეხიბლა და დაგეძმაკაცებინა.

ნიკა რამდენჯერმე შეეცადა გვანცასათვის აება მხარი. სცადა ხასიათი გამოეჩინა... ზედმეტად ჭირვეულიაო, თქვეს, გამხიარულება სცადა, — დასცინეს, მის მეტად ჩახლართულ ხუმრობაზე კი გაღიმებაც არავის უფიქრია. არც იყო გუნებაზე. მითავაზებული ნამცხვარი ტკბილეულის პატარა, საგორავებიან მაგიდაზე შემოდო. არც ლიმონათისთვის დაუკარებია პირი. გარიყულივით დაბორიალებდა ოთახში და უეცრად ველოსიპედს დაადგა თვალი.

ვართუშას შვილებსაც ჰქონდათ ველოსიპედი. ამას წინებზე მოუტანა ჰასანამ. მთელი დღეები დაგრიხინებდნენ ნიკას ფანჯრების წინ. მაგრამ ეს სულ სხვა ველოსიპედი იყო, ჰასანას ველოსიპედზე უფრო დიდი და გაცილებით ლამაზი. ნიკამ დრო შეარჩია, დარწმუნდა, არავინ მიყურებსო, ველოსიპედთან მივიდა და ლაპლაპა ნიკელზე ფრთხილად, მოფერებით გადაუსვა ნამიანი ხელსაგული. მიმოიხედა, არავინ უყურებდა. ყველა გვანცას მისჩერებოდა, ის სამი შეუხედავი გოგოც კი.

ნიკამ თავისკენ გამოსწია ველოსიპედი და ორი ნაბიჯით წინ გაასრიალა. მერე ისევ უკან დააბრუნა, კედელს მიაყუდა და შემობრუნდა.

ზუტგს უკან გოგი იდგა და იღიმებოდა.

— გინდა ვიკატაო? — შეთქმულივით ჩასჩურჩულა ყურებზე ცეცხლმოდებულ ბიჭს. ნიკამ თვალი გაუსწორა და დასტურის ნიშნად გაუღიმა.

ვიქტორ ბოურჩილაძე
ნიკას ოთხი დღე

— მაშ წავიდეთ!

— გოგოები აქ რჩებიან, ბიჭები ჩემ-კენ! — გემის კიჩოზე მდგარი კაპიტა-ნივით ბრძანა გოგიმ და ეზოში ჩასასვ-ლელი კარი გააღო.

ბიჭები ყივილ-ხივილით ჩაცვივდნენ კიბეზე და ველოსიპედიც რახრახით გა-იყოლიეს.

ნიკა ყველაზე წინ გარბოდა. ორ-სამ საფეხურს სკუპ-სკუპით ახტებოდა. ჯერ მასპინძელმა შეისვა და გააქროლა, მე-რე გოგის სტუმრებმა. სახლი პატარა გორაკზე იდგა, იქიდან ეშვებოდნენ და ალაყაფის კართან ამუხრუჭებდნენ. ყველამ გული რომ იჯერა ველ-ოსიპედზე ქროლვით, ნიკა ისევ გოგიმ შემოისვა და ნელა გაატარ-გამოატარა.

— არა, ახლა მე თვითონ!

— როგორ? — ვერ გაიგო გოგიმ, — შენ ხომ ფეხით ვერ დაწვდები, ასეთი ველოსიპედი შენთვის ჯერ ადრეა!

— გადმოვარდები! — გააფრთხილეს საქმეში ჩახედულებმაც.

— თქვენ ოღონდ მიბიძგეთ, დაბლა მე თვითონ დავეშვები...

— რომ ვერ დაამუხრუჭო?

— ჩვენ ხელით დავიჭერთ ქვევით!— თქვა ერთმა.

— ჰო, ქუჩის კართან დამიჭირეთ! — გაიმეორა ნიკამ და ველოსიპედს წაე-ტანა.

— ეს არა ხუმრობს, — უჩურჩულა გოგის ამხანაგმა, ნიკას რომ თავიდან დებული უწოდა.

— აბა, შენ რა გეგონა! სისხლი ძმაო, სისხლი! — მრავალმნიშვნელოვნად აი-შვირა სალოკი თითი გოგიმ და ორ ბიჭ-თან ერთად ნიკას დასახვედრად დაეშ-ვა.

ნიკას ველოსიპედი დაუჭირეს, ზედ შესვეს და დაელოდნენ, სანამ გოგი ამ-ხანაგებით ალაყაფის კართან ჩავიდოდა.

— საერთოდ მჯდარხარ ორთვლიან-ზე? — ჰკითხა ვიღაცამ.

— არ დაგვემტვრეს, კაცო!..

— გამიშვით!...

— გინდა, ასე ჩაგყვებით სირბილით, მხოლოდ უკნიდან დაგიჭერთ?

— არა!

გოგი ამხანაგებით ალაყაფის კართან მივიდა და ხელი დაიქნია.

— გამიშვით, უკვე მელიან! — მოუ-თმენლობა დაეტყო ნიკას და საჭეს მა-გრად ჩააფრინდა.

ბიჭებმა ერთმანეთს უხმოდ გადახე-დეს. მერე ველოსიპედი გააგორეს და ოდნავ უბიძგეს.

ნიკა წელში გაიმართა და თავი ასწია, ველოსიპედმაც თითქოს გაუგო თავის მხედრას! ერთი ორჯერ ასფალტის ნა-წიბურებზე შეხტა და სისწრაფემომა-ტებული, ქვევით დაეშვა.

გაუბედაობის სულთამხუთავი შიში გაქრა... ნიკა ჰასანის ყველა ბავშვზე უფრო ბედნიერი გახდა. ყველა კაცსა და ქალზე უფრო ლაღი... თავისუფა-ლი... თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი!..

●

მსუბუქად, ძალზე მსუბუქად იჯდა. გაიზარდა და კიდევ დიდხანს შემორჩა უწონადობის ეს საკვირველად ტკბილი, მათრობელა გრძნობა. ამის შემდეგ ხშირად ესიზმრებოდა: ბუმბულივით მჩატე ველოსიპედზე იჯდა და თავდავიწ-ყებით ატრიალებდა პედალებს.

ველოსიპედი მიჰქროდა... სწრაფად.. უფრო სწრაფად...

ზოოპარკი, ცირკთან მისასვლელი კიბე, კოჯრის გზა, პატარა ტყეები ერთ-მანეთს ენაცვლებოდა და ნიკა გრძნობ-და — ცაში დაჰქროდა!.. გამქრალიყო ველოსიპედი, აღარც ნაცნობი ადგილე-ბი ჩანდა გარშემო და მიდამოც უჩვე-ულოდ შეცვლილიყო. ნიკა ჰაერში მი-ჰქროდა. ქვემოთ, სულ დაბლა, ტყეები და სახლის წითელი სახურავები ჩანდა. მხრები ფრინველივით გაეშალა და სი-ვრცეში ძერასავით ფარფარებდა, წრე-წრეს უვლიდა. ან კამარას ჰკრავდა, მე-რე მოწყვეტილ ქვასავით ეშვებოდა, რომ სულ დაბლა, მიწასთან, ჰაერში ამოტრიალებულიყო და ფრთების მძლა-ვრი მოქნევით ისევ აჭრილიყო უკიდე-განო ლაჟვარდში.

ჯერ ეუბნებოდნენ, იზრდები, ასეთ სიზმრებს იმიტომ ხედავო. მერე ზრდა დასრულდა, დაკაცდა და მაინც ხანდახან მიჰქროდა ველოსიპედით... გამალებით ტრიალებდა პედლები. მერე აღარც პედლები იყო, აღარც ველოსიპედი... ცა იყო, ლაჟვარდი ცა და ძლიერი, თავისუფალი, სიყვარულმოძალებული სხეული. ქვემოთ კი ჩანდა მთები, ტყეები, ცრკის მისასვლელი კიბე, ლამაზი, ცისფერი ტბები, აბიბინებული მინდვრები, მთის მდინარეები და ხეობებში ჩაღვრილი ნისლის ქულები...

ქვევით ბიჭები იდგნენ: გოგი და იმისი ძმაკაცები. ცდილობდნენ დაეჭიერათ. შეეჩერებინათ ქროლვით მიმავალი, მაგრამ ვერ იჭერდნენ, თუმცა ძალზე ცდილობდნენ.

ველოსიპედი დამფრთხალი ულაყივით მიჰქროდა, მხედარი მალაყით გადაგდია... გამსკდარი შარვლის ტოტიდან სისხლი წითლად მოქონავდა... ყველა ოხრავდა, დიასახლისი კიბეზე კისრისტეხით ჩამორბოდა, მას დედა მოსდევდა, დედა ყველას ასწრებდა და მერე სხვებს აჩუმებდა, მამამ არ გაიგოსო და რაც იყო და რაც არა, ყველაფერს თავად იბრალებდა.

სიზმარში უფრო სწრაფად თავდებოდა ყველაფერი, მაგრამ უფრო მეტს განიცდიდა, უფრო მეტად იტანჯებოდა. ჯერ მაშინ, როცა პატარა იყო, მერე მაშინ, როცა დაკაცდა. სიზმრის დამთავრებას თავის მოკვლა ერჩივნა. ფრენა ცოტა ხანს, წამის რაღაც მეათედი გრძელდებოდა. ნიკა ჯერ ზევით მიჰქროდა, ვერც კი ასწრებდა იმის გაფიქრებას, რა ბედნიერება განიცადა და უკვე ხვდებოდა — ეს ზმანებები იყო.

ნიკამ იცოდა, ფრენა საცაა დამთავრდებოდა, წამის რაღაც მეათედებია იყო დარჩენილი უკიდეგანო სივრცეში ნავარდის დასასრულამდე და თვითვე, დაღუპვამდე, შეგნებულად ამთავრებდა ფრენას. წყნარად, საშინლად წყნარად... სამუდამოდ გაჩერებას ისევ ეს ერჩია, თვითვე დაინგრია და დასრულებინა ყველაფერი.

ქვემოთ ტყეები, მაღალი სახლები მოჩანდა. ნიკა ერთ-ერთ სახლს, პატარას, კლდეს, ან მაღალ ხეს ამოირჩევდა და კამარაშეკრული, მოწყვეტილ ქვასავით ეშვებოდა მისკენ.

ხის კენწერო ვერ უძლებდა მის სიმძიმეს, იღუნებოდა და ტყდებოდა, უკვე ნანობდა, ეცოდებოდა თავი, ებღაუჭებოდა ფოთლებს, წვრილ ტოტებს, ებღაუჭებოდა ყველაფერს, რაც კი ხელში ხვდებოდა. სახეში ხშირი ფოთოლი და ტოტები სცემდა. ყვიროდა და ვედარ დაიყვირა, ხმა აღარ ჰქონდა, აღარც ხის ტოტები იყო სადმე, უცნაურად ტრიალებდა ჰაერში და მიწასთან ახლოს, სულ ახლოს, როცა წვეტიან ქვებს უნდა დანარცხებოდა, როცა ქვის ხაოიან ზედაპირს უნდა დასცდომოდა, სწორედ მაშინ, სწორედ მაშინ ჩერდებოდა. ისე მკვეთრად, რომ უეცრად ვნებადამცხრალს სული ეხუთებოდა. სწრაფი ლიფტი რომ გაჩერდება უცებ და გული ჩაგივარდება, თითქოს ინერციით განაგრძობს მოძრაობასო, ასეთი ინერციით ქრებოდა მის სულში აბობოქრებული გაბრძოლების ყიყინა.

ეს ფარდის დახურვას ჰგავდა. დამარცხებული კაცის სულერთიაობა იყო და მეტი არაფერი.

ეღვიძებოდა.

გაწვალებული, ვნებით გათანგული, სწრაფად სტოვებდა ქვეშაგებს და იცვამდა.

თხუთმეტი წლისამ ცურვა ისწავლა და ყველაზე მეტად ყვინთვა, ზულქვეშ ცურვა შეიყვარა. წყალში ტრიალისას სშირად უბრუნდებოდა სიზმარისეული ეწონადობის განცდა. თუმცა ნიკა ამ დროისათვის უკვე სხვა სიზმრებს ხედავდა. უკვე იშვიათად თუ მოაგონებდა თავს ქრუანტელისმომგვრელი სწრაფი ქროლვა.

მერე ველოსიპედიც იყიდა. ეს უკვე დიდი ხნის შემდეგ მოხდა. ისიც მალე მობეზრდა. მერე მიხვდა, არ უნდა ეყი-

---

ᲛᲘᲮᲝ ᲛᲝᲜᲐᲩᲘᲚᲐᲫᲔ
ᲜᲘᲙᲐᲡ ᲝᲗᲮᲘ ᲓᲔᲓ

და. სჯობდა, სურვილი სურვილად დარჩენილიყო...

მერე ზოგი სხვა სურვილიც შეისრულა და ეზიც ინახა. ამის შემდეგ ყოველნაირად ცდილობდა სურვილის მისაღწევად რაც შეიძლება უფრო ძნელი, რთული გზა მოენახა. ბოლოს მიხვდა, რომ აქაც ცდებოდა...

მაშ რა იყო სწორი? რა გზით მიაღწევდა ნამდვილ ბედნიერებას? რა იყო ბედნიერების ნამდვილი წამალი?

როცა ყველაფერი ნახა და ყველაფერი შეიგრძნო, როცა ყველაფერი მობეზრდა და თითქმის ყველა ძნელი გზა განვლო, მოულოდნელად მიაგნო, რასაც ეძებდა... მიაგნო და გაჩერდა.

უკვე გვიან იყო.

სხვადასხვა ფერის ნაზავით მოღებულმა თეთრმა სიკაშკაშემ თვალი მოსჭრა და უცებ ყველაფერი დაავიწყდა.

თითქოს თავიდან დაიბადა და ისევ მისხალ-მისხალ, ცოტ-ცოტაობით დაიწყო ყველაფრის დაგროვება.

II

დიახ, ეს თხუთმეტი წლის წინათ მოხდა. მაშინ ნიკა ძალზე იშვიათად ეჯყაოდათ ქალაქში. იმ გაზაფხულის მზიან დღეს კი დედამ დილიდანვე ეამოაწყო და დილის საუზმის შემდეგ, მამასთან ერთად გაუშვა სასეირნოდ. ნიკას რატომდაც ეჩვენებოდა, ქალაქიც სადღესასწაულოდ მორთულიყო.

ჯერ პარკში გაისეირნეს, საქანელაზე იქანავეს, ტირშიც შეიარეს, მერე ნაყინით გაგრილდნენ და „ბავშვთა სამყაროს“ მაღაზიას მიაშურეს საჩუქრის ასარჩევად.

●

— „უკვე დიდი ბიჭი ხარ, დღეს შვიდი წლისა გახდი! შენ იცი, რა კარგად მოიქცევი“... — მესმის ყურებში დედის ჩურჩული. მამა ვეება გემოვით არღვევს შემხვედრი ხალხის ტალღას, დახლისაკენ მიბიძგებს, რომ არავინ ჩამომეფაროს და სათამაშოს არჩევანში ხელი არ შემშალოს.

დახლს იქით ფერადი ბურთების პირამიდებია, სამთვლიანი ველოსიპედები, დიდი თოჯინები, დასაჯქი ავტომანქანები და მოტოციკლები.

კედელთან მიდგმული თაროების თავზე რკინიგზის ლიანდაგია დაგებული, პატარა მატარებელი ბორგავს, ნამდვილივით უსტვენს, ნელ-ნელა უმატებს სიჩქარეს და ჭვენთია და რახრახით მოაგორებს ზურგზე გამობმულ ვაგონებს; ფანჯრებიდან გამომზიარალი სასაცილო თოჯინები კი ბორბლების რიტმული ხმაურის ტაქტში ნელა ირწყვიან. მატარებელი უკვე მესამე წრეს უვლის, მხარზე მძიმე ხელის შეხებას ვგრძნობ.

— ამოირჩიე სათამაშო? — მეკითხება მამა.

მე მატარებლის ცქერამ გამიტაცა. ბორჯომისკენ მგზავრობა გამახსენდა და ოცნებით პატარა მატარებლის ვაგონში ამოვყავი თავი. დამავიწყდა კიდეც, რისთვის ვიყავით მოსულნი. საერთოდ, დავიწყებული მქონდა ყველაფერი—ისიც, რომ გვერდით, ჩემსავით პატარები სათამაშოებს საქმიანად სინჯავდნენ, უმრავი ხალხი რომ იდგოდა გარშემო და ზურგს უკან მამა რომ მედგა. მამის ხმამ გამომაფხიზლა, სინამდვილეს დავუბრუნდი და ნელ-ნელა დავუწყე თვალიერება დახლებს.

შიგადაშიგ მალულად ვუყურებ სათამაშოთა ამ სიმრავლეს, რომ მისმა ბრწყინვალებამ ერთბაშად თვალი არ მომჭრას და ამორჩევა შევიძლო. ბევრი, ძალიან ბევრი სათამაშოა, მთელი ზღვაა სათამაშოებისა, დახლს მიღმა კი, შავგვრემანი, ლამაზი სახის გამყიდველი ქალი დგას და ძლივს იკავებს ღიმილს.

— როგორც ვხედავ, ბევრი რამ მოგწონს! — მეუბნება ის და განაღდებულ ქვითრებს მუყაოს ყუთში ყრის. უპასუხოდ არავის სტოვებს, ნაყიდ საქონელს ნახატებიან ქაღალდში ახვევს და მაინც არ მშორდება, სულ წინ მიტრიალებს.

გუმანით ვხვდები, ეს ღიმილი, ლამაზი მიხრა-მოხრა და ქათინაურება

მთლად მე არ მეკუთვნის, მამისაკენ უფროა მიმართული. მამის სახეს ვერ ვხედავ. მამა ჩემს უკანაა, მაინც ვგრძნობ, რომ მამაც უყურებს ამ ქალს, გამორჩევით, განსაკუთრებულად... ამას ვფიქრობ და სახე მიხურდება, ვწითლდები, მეჩვენება, თითქოს ტანსაცმელი შემომეძარცვა და შიშვლად ვრჩები...

— როგორაა საქმე, უკვე ამოირჩიე? — მაჩქარებს მამა.

მონუსხული ვდგავარ, ჩემი ეშვებით გარშემორტმეული და უხერხულობის დასაფარავად წინ მდგარ ველოსიპედს ვათვალიერებ.

— ეს ველოსიპედი ორთვლიანადაც გადაკეთდება! — ამბობს ლამაზი გამყიდველი და წითელი ფერის ველოსიპედს ცალი ხელით ატრიალებს. ჰედლებს უსინჯავს და ზარს აწკარუნებს.

მე იმწამსვე წარმომიდგება დედას და გვანცას გახარებული სახეები. ეს ველოსიპედი მართლაც ლამაზია, გოგის ველოსიპედსა ჰგავს, მაგრამ უფრო პატარაა. თითქოს საგანგებოდ ჩემთვის დაემზადებინოთ. მე ხომ დღე და ღამე ვაბოდებდი ამისთანა საჩუქარზე. ძილის წინ ზოგჯერ ფეხებსაც ისე ვატრიალებდი, თითქოს ველოსიპედი მიმყავდა. მერე კი ყოველთვის ჩემი სიზმარი მესიზმრებოდა, ჰოდა, დღეს სიზმარი გათავდება, ერთი ჩემი თავის დაქნევა და, ნამდვილი, სამთვალა ველოსიპედი, რომელსაც მერე ორთვლიანად გადავაკეთებ, ჩემი საკუთრება გახდება.

ველოსიპედის თავზე ზამბარიანი თოფი ჰკიდია, გვერდზე კი წითელი ბურთების პირამიდაა აღმართული. მე ყველაფერი მომწონს, მაგრამ ერთი რამ უნდა ავირჩიო. მამა უკვე დიდი ხანია დამპირდა, შენი დაბადების დღეს მაღაზიაში წავალთ და ერთ სათამაშოს, რასაც ამოირჩევ, გიყიდიო.

მზიანი კვირა დღე გათენდა და მამამ დაპირება ამისრულა. ახლა ერთი ამოსუნთქვა, ერთი სიტყვაა საჭირო და ბედნიერი, ნამდვილად ბედნიერი გავხდები.

როგორც იქნა, ველოსიპედს თვალს ვაცილებ და დახლის მინინან კარადაში ვიცქირები. პატარა თოჯინები, ვერცხლისფერი ალუმინის კონსტრუქტორი, სამაგვარო ლოტო და ფერადნახატებიანი წიგნები მიღიმიან იქიდან.

გამყიდველი მამას რადაცას ეკითხება, მამა ორჭოფულად პასუხობს. ორივენი იცინიან.

ეს ის დროა, როცა ორივეს ვავიწყდები და საკუთარ თავთან ცოტა ხნით, მაგრამ მაინც მარტო ვრჩები. სულაც არ მსიამოვნებს, ყოველ წუთს თავს რომ მაბეზრებენ, თუმცა როგორც კი მარტო დამტოვებენ, თავს მიგდებულად ვგრძნობ და საშინლად მწყინს, ვბრაზდები ხოლმე. ამჯერად თითქოს მესიამოვნა კიდეც, მცირე ხნით ჩემს ფიქრებთან რომ დამტოვეს.

მამა და გამყიდველი რადაცაზე ისევ იცინიან, მე კვლავ ველოსიპედს ვუბრუნდები.

რასაკვირველია, ველოსიპედი უნდა ვიყიდო. სხვა სათამაშო მასთან როგორ მოვა... ეს ისე, ვჯიუტობ ცოტას. მამამაც ხომ შშვენივრად იცის, რომ ველოსიპედი მინდა! ეს არჩევანი ხომ ჩვენი თამაშია, ჩვენი ძველი თამაში. იმდროინდელი, მამა ოთახში დამალობანას რომ მეთამაშებოდა და მეკითხებოდა: სადა ხარ, სად დაიმალეო, როცა მშვენივრად მხედავდა, — სკამის ქვეშ ვიყავი შემძვრალი...

უეცრად ვგრძნობ, ის ქალი და მამა აღარ იცინიან. მარჯვნივ ვაპარებ თვალს, მამის გარეგნულ, ძლიერ ხელს ვამჩნევ, იგი ქალის მაჯას ზემოდან ეფარება და ხელში რადაც ქაღალდის ნაგლეჯს უდებს. ჩემს შეხედვაზე მამა ნელა სცილდება გამყიდველს და ჰალსტუხს ისწორებს. ქალი სწრაფად ბრუნდება ზურგისკენ და იხრება, ალბათ ქაღალდის ნაგლეჯს სადღაც მალავს, მერე ისევ მიღიმის და დახლის პატარა კარს მიღებს.

— გინდა, შემოდი, თავად გასინჯე.—

მიხო მოკრიელაძე
ნიკას ოთხი დღე

მეპატიჟება და მსუბუქ ხელისგულს ნაავივით მაკარეს მხარზე.

— არა! —ყოველ ვამბობ, ვიშორებ ქალის ხელს და კიდევ უფრო ვწითლდები.

— ო! რა უკარება ვაჟკაცი გყოლიათ! — სიცილით ამბობს და ჩემს ჯიბრზე დაუფარავად უღიმის მამას.

— არც ისეთი უკარებაა, როგორც გგონიათ! — ღიმილით პასუხობს მამაც.

— მამას ჰგავს ალბათ..

— არ ვიცი, — ისევ პასუხობს მამა და ნაზად მკიდებს ნიკაპზე ხელს, თვალებში მიყურებს და როცა ჩემს ანთებულ სახეს ხედავს, გამომეტყველება ეცვლება და ჩუმად მეკითხება:

— რა მოგდის?

— არაფერი..

მამა ისევ მიყურებს. დაფიქრებულია, სახეზე ზრუნვა ეხატება.

„ნეტა ახლა რამე დამემართოს, — ვფიქრობ, — ან ფეხი მოვიტეხო, ან გრძნობა დაკარგო.. მაშინ მამა ხელში ამიყვანს და ასე სირბილით წამიყვანს სახლში, ჩვენთან, ჩვენს დიდ სახლში და იქ სუფეველანი ერთად ვიქნებით.

ეს ქალი ჩვენი მტერია! — მიპყრობს ეს საშინელი აზრი. — უნდა მამა მოგვტაცოს! მე ხომ თავად ვხედავ, ყველანაირად ცდილობს, ყველა ღონეს ხმარობს, ისი ყურადღება მიიპყროს, თავი მოაწონოს. ის კი არადა, მეც მეფერება, მეც საალერსო სიტყვებს მეუბნება, ვითომ არ ვიცოდე. რომ ეს სულ სიყალბეა, თვალთმაქცობაა, სიბოროტეა და მეტი არაფერი..“

„თანაც უნდა მაინცდამაინც ველოსიპედი მოგვყიდოს.. — მიეღვების თავში ახალი აზრი.—არა, არ მინდა ველოსიპედი!... მამამ ხომ უნდა იგრძნოს, როგორ მიყვარს, როგორ გავწირავ მისთვის თავს. ავიდგან და მეც ყველაზე უკარგის, იაფ სათამაშოს ამოვირჩევ ამ ცბიერი გამყიდველის ჯიბრზე. მამა მიხვდება ყველაფერს, სხვა რა?.. — სხვა? დაბნეული ვფიქრობ და აქეთ-იქით ვაცეცებ თვალებს. — ბურთი? არა, ბურთი უკვე მაქვს, თანაც ეზოში მაინც არავინ მათამაშებს.. თოფი? არა, თოფი არა! — მამას ეგონება, ალბათ, უფრო მომწონს ველოსიპედზე და ვეღარ მიხვდება, რატომ ვამბობ ველოსიპედზე უარს... ლოტო?.. ლოტო ისედაც მეჯავრება, ვერ ვიტანს! კონსტრუქტორი!.. ძალზე სამწუხაროა, რომ კონსტრუქტორი და არა სხვა რამ, ეს ხომ ყველაზე იაფია...

კარგად მესმის, რომ ველოსიპედი დიდებული რამაა და მისი შეძენაც შესაბამისად იქნება შეფასებული დედასა და გვანცას მიერ. ისინი ხომ დარწმუნებულნი არიან, რომ მე ველოსიპედით დავბრუნდები შინ.

— აბა, რას აირჩევ?...—მერამდენედ მეკითხება მამა და მოუთმენლად დაჭყურებს საათს.

— მე კონსტრუქტორი მინდა! — ვამბობ ჩუმად.

მამა გაკვირვებული მიყურებს.

— კარგად დაფიქრდი, ბიჭიკო! — მარიგებს გამყიდველი. — მე ხომ კარგად ვიცი, კონსტრუქტორს ველოსიპედი რომ გირჩევნია? მჯდარხარ ველოსიპედზე? — მეკითხება მერე გამომცდელად. — შეხედე, ნამდვილი რეზინის ბორბლები აქვს, ხელის მუხრუჭებიც..

— ზარიც.. — ვამატებ მე.

— დიახ, ზარიც! — მეთანხმება ლამაზი ქალი და ზარს აწკარუნებს.

ჩემი ველოსიპედი ისევ ცოცხლდება. თვალებს ვხუჭავ და ისევ მივჭრი ტყეებისა და სახლების თავზე. ისევ ის ტკბილი, ერუანტელისმომგვრელი გრძნობა მივლის ტანში.

თვალებს ნელ-ნელა ვახელ და მამას ვეკიდები ხელზე.

— ძალიან მომწონს, მაგრამ... მაინც კონსტრუქტორი მირჩევნია!.. — ჯიუტად ვიმეორებ.

გამყიდველი გაკვირვებულია, დახლუკან მეპატიჟება და ნებას მაძლევს, ველოსიპედზე დავჯდე.

— გაანებეთ თავი! — ამბობს მამა. — რასაც ამოირჩევს, იმას ვუყიდი, გინდა ველოსიპედი ყოფილა, გინდ კონსტრუქტორი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ კარგი, მამა მეხმარება. გამყიდველის ეჭვმა კონსტრუქტორის ყიდვის სურვილი კიდევ უფრო გამიძლიერა.

არავითარი ყოყმანი და აზრთა' სხვადასხვაობა! მეტიც, მინდა, რომ ის უცნაური მანქანები, რომლებსაც კონსტრუქტორიდან ჩემის ხელით გავაკეთებ, მომწონდეს, მომწონდეს ნებისმიერ საჩუქარზე მეტად.

— ყველა ბავშვი ველოსიპედზე ოცნებობს, — უფრო თავისთვის ამბობს გამყიდველი.

— მე კონსტრუქტორი მინდა! — ვიმეორებ მტკიცედ, დამაჯერებელი ხმით და ამით ლამაზ გამყიდველს მორიგი ველოსიპედის გაყიდვის უკანასკნელ იმედს ვუკარგავ. მამას ეღიმება.

„გესმის, მამა! მე ხომ ამას შენთვის ვაკეთებ“. — ვზეიმობ გულში.

მამა მიღიმის და მძიმე ხელებით მიჩეჩავს აქოჩრილ თმას.

ღრმად ჩამჯდარი, მუქი ყავისფერი თვალები შინაგანი თბილი შუქით უბრწყინავს. საფულეს იღებს და სასიამოვნო, დაბალი ტემბრით მიმართავს გამყიდველს:

— კონსტრუქტორი შეგვიხვიეთ' გეთაყვა!

მე ფეხზე ვეხვევი. მერე ვხედავ, რომ შარვლის უზადოდ გატკიცულ ზოლებს ვუქმუშენ და ხელებს ვშლი. არ ველოდები, სანამ მამა საფულეს ჯიბეში შეინახავდეს, პრიალა, თეთრ, ჭრაჭუნა ქაღალდში გახვეულ უზარმაზარ კოლოფს დახლიდან ვიღებ და გულზე ვიკრავ. გამყიდველი თვალს მიკრავს და მამას ჩემს არჩევანზე ეხუმრება. მამასაც ეცინება, გამყიდველს ემშვიდობება, ხალათის საყელოში მკიდებს ხელს და ასე გამოვდივარო მაღაზიიდან.

ველოსიპედი, წითელი ველოსიპედი კი იქ რჩება.

ველოსიპედი მინდა! მინდა ისე ძლიერ, როგორც დღემდე არაფერი არ მნდომებია. თანაც, რა ადვილია ამ სურვილის შესრულება. ჩვენ ხომ ამისთვის მოვედით... აქა ვართ, მასთან ასე ახლოს... ან გამყიდველი რა შუაშია, გაგონა იგი ყველას არ უდიმის? მერე რა, თუ მე და მამას სხვებზე ცოტა მეტი დრო დავგვითმო? შეიძლება ამისთანა სისუფლლისათვის ველოსიპედი დაკკარგო?.. ანდამატურად მიზიდავს მისი მსუბუქი, კრიალა კონტურები. ნაღვლიანი თვალებით უკანასკნელად ვეფერები და თავბრუდახვეული, მკერდზე მიხუტებული კონსტრუქტორით გამოვდივარ ქუჩაში

— ასეთი უცნაური ბიჭი პირველად ვნახე! — უკან მოგვდევს გამყიდველის ხმა.

— გინდა შევბრუნდეთ? — მეკითხება მამა. — გატყობ, ველოსიპედზე მაინც გრჩება თვალი!..

— არა! — ჯიუტად ვიქნევ თავს და შეფუთულ ყუთს უფრო ძლიერ ვიკრავ მკერდზე. რაღაც შეუცნობი სიამაყისა და სიხარულის გრძნობა მეუფლება.

— „გავიმარჯვე“!

შემდეგ ხშირად მიფიქრია ამ ჩემს პირველ გაბრძოლებულ საქციელზე.

— გავიმარჯვე კი? — რაზე? ვიზე? ვის ან რაში ვაჯობე?.. უარი ვთქვი და განდეგილი ბერივით თავი დავისაჯე, თვითდათრგუნვის სიამოვნება ვამჯობინე ჩვეულებრივი ბავშვური სურვილის დაკმაყოფილებას. რატომ?—არ ვიცი, მართლა იმ ლამაზი გამყიდველი ქალის ბრალი იყო ყველაფერი თუ, ამ ხუთსიტყვიან წინადადებას: ასეთი უცნაური ბიჭი პირველად ვნახეო, — ვანაცვალე ჩემი ველოსიპედი?... არ ვიცი, მაგრამ შინაგანად ყოველთვის მაინც ვამაყობ, ჩემი „მეს“ ამ პირველი ხმობით განსაკუთრებით კი მაშინ, როცა მიბერის, როცა კვლავ სასწორზე ვდებ მორალურ, მატერიალურ ფასეულობებს და უნდა გადაეწყვიტო, უნდა სასწრაფოდ ავირჩიო რომელიმე ერთი...

რუსთაველზე მივდივარ. ასე მეჩვე-

ეიგო ეორჩილაკ
ნიკას ოეთხი დღე

ნება, თითქოს ყველა შემხვედრი მხოლოდ მე მიყურებს და ჩემს შინაგან სულიერ ბრძოლას დაუფარავად ხედავს. ვწითლდები, მაგრამ მაინც ვცდილობ. ფეც არ გამოვტოვო არავინ, ვინც, ასე თუ ისე, შემომხედავს.

უმრავლესობა მიღიმის და გამამხნევებლად მიქნევს თავს. ეტყობა, ჩემი არჩევანი მათაც მოსწონთ. მათ ღიმილს მე ჩემი გამარჯვების უტყუა აღიარებად და მოწონების ნიშნად ვიღებ. მამას ნაცნობები ხვდებიან — ალბათ ახალი ტრესტის თანამშრომლები. დიდის ამბით გვესალმებიან და გადამეტებულ ყურადღებას მაქცევენ. სიმართლე რომ ვთქვა, ჩემმა ბოღმამ და დარდმა ლამის გამხეთქოს. მაგრამ, მაინც ვუღიმი ამ ხალხს და ხელსაც ვართმევ. კონსტრუქტორი კი თანდათან მძიმდება, ხელები მიბუდდება. განსაკუთრებით მარცხენა ხელი მაწუხებს, თუმცა მაინც არ ვუთმობ მამას ჩემს საჩუქარს. სახლამდე კი ჯერ კიდევ დიდი მანძილია. დროის გასაყვანად და დაღლილობის დასაფიწყებლად, მამას რაღაცას ვეკითხები და საუბარს ვუბამ. ბევრს ველაპარაკები, შეგნებულად ვეუბნები სისულელეებს, რომლებიც, ჩემის აზრით, ჩემხელა ბავშვებმა უნდა ილაპარაკონ დიდების წარმოდგენით. ქვეშეცნეულად ვგრძნობ, რომ ჩემი ბავშური ტიტინი მამაჩემს სიამოვნებს. ეღიმება, სიტყვებს მისწორებს და თითების ოდნავი ცვაცუნით, ყელყინტორა მამალივით წაწერილებულ კისერზე მეფერება.

მამა ოშვიათადაა ჩემთან და უფრო ოშვიათად მეფერება. მე კი ვცდილობ, რითიმე გამოვიჩინო თავი, რამეში მოვეწონო მამას!.. ჩვენ რუსთაველზე მოვდივართ და მამა მეფერება! კისერზე მამის ხელის შეგრძნებისას ერთი ათად ვმაღლდები ჩემს წარმოდგენაში. მართლაცდა, ვინ არის ჰასანი, ვინ არიან მისი შვილები?... მართალს ამბობს დედა, — არ დავივიწყდეს, ვისი შვილი ხარო!.. ისი ჰასანი ერთად რომ დააყენო, მამაჩემთან მაინც ვერ მოვა!.. მერე რა, რომ ზურგზე აკიდებულს არ დამატარებს. კურტნის მუშა კი არაა, ტრესტის მმართველია!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთაველზე კიდევ ერთ კვარტალს გავდივართ და ჭავჭავაძის აღმართისკენ ვუხვევთ.

— მომეცი შენი ყუთი, ბოლო-ბოლო, ხომ არ შეგიჭამ! — დატუქსვით მეუბნება მამა და კონსტრუქტორს მართმევს.

—როგორც გინდა! — ვპასუხობ გაბუტული ხმით და დაბუეულ ხელებს ვისრეს.

მამას ეცინება, კონსტრუქტორს მარცხენათი იჭერს, მარჯვენას მკლავში მკიდებს და აღმართზე ასვლაში მეხმარება.

ეტყობა, მეტად საინტერესოდ გამოვიყურებით მამა-შვილი. მოკლე, მუქი ყაბისფერი შარვალი მუხლებამდე მწვდება და ისედაც გამხდარ ფეხებს ასანთის ჩხირებივით მიჩენს, ყაბოიანი პერანგი, რომლის ზემოთაც შარვალი ორი გადაჯვარედინებული ბრეტელით არის დამაგრებული, პიერის სვედიან გამომეტყველებას მაძლევს. მამასთან შედარებით მართლა ყარაბას ბარაბასის სკოვრიდან ამოყვანილ თოჯინას ვგავარ.

თავჩაქინდრული, თითქოსდა გაბუტული, გვერდით მივდივ და ცალი თვალით ძალულად ვთვალიერებ.

ვხედავ შავ, მბზინავ, მაღალყელიან ფეხსაცმელს, რომელსაც დედა შტიბლეტებს ეძახის. უზადო გაწკიპულ შარვალს, ტყავის ვიწრო ქამარს, ჰუქ ყელსაბამს, ინგლისური ქინძისთავით გულდამშვენებულს, რომლის შიგნით ქეიფუანი ქვა ბრწყინავს. მძლავრ, მზემოკიდებულ კისერზე ქანდაკივით უძრავად დადგმულ ლამაზნაკვთებიან თავს. გემოვნებით შეკერილი, მოდური პიჯაკი მას ყველასგან გამოარჩევს და ამას ისიც ემატება, რომ მამაჩემი თითქმის მთელი თავით მაღალია შემხვედრ მამაკაცთა უმრავლესობაზე და მე ცუდად დაფარული სიამაყით ვადარებ მათ ერთმანეთს. სასიამოვნოა მამასთან სიარული. არ შემძლია, სიტყვები არ მყო-

ფნის, გამოვხატო ყველა ის გრძნობა, რასაც ახლა განვიცდი. კარგია, როცა ერთად დავდივართ ქუჩაში, როცა ასეთი ძლიერი დამცველი მომყვება გვერდით. ჩემდაუნებურად ვცდილობ, ყველაფერში მივბაძო: ჭამის დროსაც მასავით ვიჯდე, მასავით მძიმედ ვილაპარაკო და ქუჩაში ზურგზე ხელებდაწყობილმა გავიარო... სასიამოვნოა იცოდე, რომ შენ შვილი ხარ ამ ზედმიწევნით სუფთად ჩაცმული, ელეგანტური, ყოველთვის წმინდად გაპარსული, ძლიერი მამაკაცისა, რომელიც მშვიდად უყურებს და განსჯის ამ ცხოვრების ყველა მოვლენას და რომლის სიტყვასაც გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ყველგან, სადაც კი უხდება ყოფნა.

აღმართი თავდება და კოტე მესხის ქუჩაზე გავდივართ, მეზობლები ერთმანეთს ასწრებენ მამაჩემთან მისალმებას, მე კი სიამაყის გრძნობამ ლამის დამახრჩოს. ცხეირს მაღლა ვწევ და ვცდილობ, მამას არ ჩამოვრჩე, მასავით თავის ოდნავი ფაკვრით და მშვიდი ღიმილით მივესალმო ყველას.

— ნახე, რა მამაილა იზრდება, კაცო?!. — მესმის ვიღაცის ჩურჩული და ჩვენი ზარის ღილაკს ვწვდები. კარს დედა გვიღებს და დინჯად შევდივართ სახლში.

როგორც მოველოდ, ჩემი არჩევანი არც თუ ისე ძლიერ მოწონთ. დედამ ჩაილაპარაკა, მამამ იძუნწა და ველოსიპედისთვის ფული დაინანო. გვანცამაც ეს გაიმეორა. მე მამას ვემხრობი. ალპათ მეათეჯერ ვყვები, როგორ ავირჩიე კონსტრუქტორი.

—რატომ?.. რით სჯობია კონსტრუქტორი ველოსიპედს? — მაწყვეტინებს გვანცა.

აქ კი ვჩუმდები. ცოტაც და ან ყელში მოწოლილი ცრემლი დამახრჩობს, ან კაპარჩხანა გოგოსავით ავორიალდები. დედას და გვანცას ეტოვებ და მამასთან გავრბივარ კაბინეტში. მამა მაშვიდებს, არ მეკითხება, კარგადაც ხვდება. რატომ ვარ ასე ადუღებული. გრძელ, საინტერესო ზღაპარს მიამბობს და ატანებელ კამთის სრულიად მავიწყებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, კაცებო, მოდით, მოდით! პური ვჭამეთ! — სასადილო ოთახიდან გვეძახის დედა.

მამა ზღაპრის მოყოლას წყვეტს.

— მერე, მერე! — მამშვიდებს, ზღაპრის გაგრძელებას რომ ვთხოვ და ხელების დასაბანად სააბაზანოში მაგზავნის.

სუფრა მხოლოდ ორისათვისაა გაწყობილი. მამას უხმო შეკითხვაზე დედა ამბობს, მე და გვანცამ თქვენს მოსვლამდე ვისადილეთო.

სასადილოდ ვსხდებით, გვანცა თავის ოთახში რაღაცას აკეთებს, ჭირვეულობს და დედა მისკენ მიეშურება. სუფრაზე თვითონ მამა მემსახურება. დედას გაკეთებული სადილი ხომ ყოველთვის გემრიელია და დღეს კი ისეთია, სულ თითებს ჩაიკვნეტ... მამა ჯერ ქაფქაფა ჩიხირთმას მისხამს. ცხელია, ლაჟის ჩავითუთქო ყელი. ბოლოკსა და ხახვს ვეტანები. ჩიხირთმა მოიცდის, ხომ უნდა გაცივდეს ცოტა. წაწმატს ვკრეტ და სამარილეში ვაწებ... მეორე კერძად ჩემი საყვარელი ტოლმაა, ჩვენი ბაღის ვაზის ფოთოლში გახვეული. მიუხედავად გვიანი გაზაფხულისა, საზეიმოდ გაწყობილ სუფრაზე თითქმის ყველანაირი ხილია. დედის გამომცხვარი ლამაზი შუებიც აქაა და სხვა ნამცხვრებიც. ეს დიდებისათვის გაშლილი სუფრაა, ვერცხლის მძიმე დანა-ჩანგლით, ალფრედ მეაკინის «BLOSSOM»-ის ფირმის ინგლისური ფაიფურითა და ბროლის სასმისებით გაწყობილი. სხვა დროს ახლოსაც არ მიმიშვებდნენ ამ მაგიდასთან, მაგრამ ეს არაა მთავარი. ამას აღარ აქვს ისეთი დიდი მნიშვნელობა... დღეს სუფრაზე მამა მემსახურება! ასეთი რამ კი ალბათ გვანცასაც არ დირსებია!...

დღეს ჩემი დაბადების დღეა! ეს ჩვენი, მამაკაცების დღესასწაულია და ალ-

---

ვიქტორ ბოლკვაძე
ნიკას ოთხი დღე

ბათ ამიტომაც ვზივართ აქ ორნი — მე და მამა!

საღამოთი სტუმრები მოვლენ, მამა კი უკვე სადილზე მოლიცავს ამ დიდ დღესასწაულს. დიდმუცლიან ბროლის ჭიქაში ლიმონათით გაზავებულ ქინმარაულს მისხამს და მადღეგრძელებს. ჭიქას ჭიქაზე მიჭახუნებს. ასეთი ბედნიერი დღე ჩემთვის ძალზე იშვიათია და თავს არ ვზოგავ, ოღონდ კი მაგას რითმე ვასიამოვნო...

ამ დიდი პატივით უზომოდ გაამაყებული, ბევრს ლაპარაკობ. მამა ამხანაგურად მექცევა, მეც მინდა მეგობრობაში დავარწმუნო (დღევანდელი საჩუქრის არჩევისა არ იყოს). მაინც რა სჯობია იმას, როცა მამა შენი მეგობარია, როცა ასეთ ძლიერსა და წარმოსადეგ კაცს შენ საიდუმლოებებს ანდობ...

მამა სიტყვას არ მაწყვეტინებს (დღევანდელი ზეიმის გამო, თორემ ათასწელ გამაჩერებდა ალბათ), თუმცა, უფრო საპმელს მაძალებს, ვიდრე მისმენს. უეცრად დაფიქრებას ვამჩნევ, ცოცხლდება და ერთ მონაყოლს ხელახლა მამეორებინებს. მე აღარ ვყვები, ენას ვეკიდე, მერე სულაც ვჩუმდები და შეშინებული გაპარავს ეცდილობ. მამა ხელის შეუმჩნეველი მოძრაობით ისევ სუფრასთან, ჩემს თეფშთან მაბრუნებს, და დედას ეძახის. მე უკვე მიეხვდი, რომ გადავამლაშე და საშინლად მოვიქეცი. დედას ვუღალატე და დედასი და ჩემი დიდი ხნის საიდუმლო უცაბედად გავეცი. გავეროე და მამას ისიც მოვუყევი, მე და დედამ ერთად როგორ გავალეთ მისი საწერი მაგიდის უჯრა და როგორ აღმოვაჩინეთ... იქ წერილებისა და სურათების მთელი დასტა. დედას ეტყობა, ესმოდა ჩვენი საუბარი. გაფითრებული შემოდის და მაგიდასთან დგება.

— არაა ეს მართალი, არა! — ვამბობ გუნებაში, — ეს ყველაფერი სიზმარია! საშინელი, უკმური სიზმარი!.. ახლა ველოსიპედი გაქანდება, ტრიალით წავა უფსკრულისაკენ და კლდეს შეეჯახება. მე გონს დავკარგავ და სადღაც, ქვეყნის ბოლოს, ბინდიანი ადგილიდან გადავეშვები...

— არა, არა! — ვჩურჩულებ და მთელი ტანით ვცახცახებ.

მამას უნდა დედის თანდასწრებით გავიმეორო ნათქვამი. დავმუჭვდი. ხმას ვერ მაღებინებს, მერე ჩემს მაგვარად ყვება და ჩემს კილოს იმეორებს...

ვეღარ ვუყურებ დედის თვალებადქცეულ სახეს, ჰაერი არ მყოფნის, მესლოკინებს, გულს მეზიდება და მაგიდის ქვეშ მიეძვრები.

— ჯალათი! მე, მე ამოვიღე და მე ვნახე შენი ბოზების სურათები! ბავშვს რას ერჩი, ჯაშუშად გინდა აქციო?!.. — ყვირის ხმაწართმეული, უეცრად დაბერებული დედა.

მამის უზარმაზარი მუშტი ბრაგუნრობს და მუხის მაგიდა ცოცხალივით კვნესის.

— კმარა!..

მამის ფეხები მაგიდის კიდე! სცალდებიან და კარისკენ მიდიან. ფანჯრის მინები დამსხვრეულ ჯურჭელთან ერთად ზრიალებს კარის ჯახუნზე. დერეფანში ბათქაშის ნატეხები ხმაურით ცვივა, ნელ-ნელა წყდება მინის წკრიალის უსიამო ხმა და უჩვეულო, საშინელი, აუტანელი სიჩუმე ისადგურებს. დედას მაგიდის ქვეშიდან გამოვყავარ და ჩემთან ერთად ტირის, ვვანცა ღრიალით გამორბის თავისი ოთახიდან და ჩვენს მოთქმას უერთდება.

— მე ხომ არ მინდოდა!.. მე ხომ არ მინდოდა!.. — ვიძახი გაუთავებლად და დედის მუცელს თავით ვეკარი.

ტირილს ვწყვეტ, ისეთი ძლიერი სლოკინი მიტყდება, ლამის გულ-მუცელი ამოიტანოს, თანაც მთელი ტანით მაქანავებს... მეშინია!.. მეშინია მამის დაბრუნების... სტუმრების მოსვლის... მეშინია სხვა ოთახში გასვლისა... ბაღში გადახედვის, ქუჩაში გახედვისაც მეშინია, ვცახცახებ და სახეს დედის კალთაში ვმალავ...

მერე და მერე, რომ გავიზარდე, დედა ხანდახან გამახსენებდა ხოლმე ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღღეს. მას რატომღაც ჰგონია, რომ ამ შემოხვევის შემდეგ უარვყავი მე მამა.

დედა არაა მართალი. არც ისაა სწორი, რომ იმ დღეს ძალიან სერიოზული და ვაჟკაცური გამომეტყველება მქონდა.

მე უბრალოდ მეშინოდა, ჩემი თავის მეშინოდა, მეშინოდა მამის დაბრუნების, მეშინოდა სტუმრების მოსვლის, მეშინოდა, რომ ვინმეს არ გაეგო, რა საშინელი სისაძაგე ჩავიდინე...

არა, გარდატეხა ჩემში იმ დღეს არ მომხდარა... ყოველივე ეს უფრო გვიან მოხდა, მთელი რვა წლის შემდეგ.

III

●

— დაიცა კიდევ ორი წელი, ნანავ როგორ შეგჯავრდეს სწავლა! — დამაიმედა გვანცამ, როცა ჩემს ფრიადებიან ნიშნის ფურცელს „სამიანი და ჯანმრთელობა“, მერვე კლასის დამთავრების საბუთი ამოუღო ქვეშ.

დედას არც გვანცას სამიანებზე უხეხუია, არც ჩემი ფრიადები გაკვირვებია, დარწმუნებულიც იყო, ასე დავამთავრებდით სასწავლო წელს. ნიშნის ფურცლები განძეულობის კარადაში შეინახა და მესამე დღეს კოჯორში წაგვიყვანა დასასვენებლად. მამამ მხოლოდ აგვიყვანა, დაგვაბინავა და იმ დღესვე უკანვე დაბრუნდა; შვებულება ჯერ არ აეღო, მხოლოდ შაბათ-კვირას ამოდიოდა, თოვლის პაპასავით დახუნძლული ჩვენს დასახედად.

თბილისს ბუღი ასდიოდა, აქ კი, ყოველ მეორე დღეს წვიმდა, აგვისტოს ბოლოს ჩამოცხა და წვიმის გუბეები ამოაშრო. კარგ ამინდში სახლისპირა პატარა ტყეში მივდიოდით. ღილიდანვე ჰამაკებს ვაბამდით. შიგ ორ-ორ პლედს ვაფენდით და მკვდარ საათსაც იქ ვატარებდით.

ყოველწლიურად ერთი და იგივე დამსვენებლები ამოდიოდნენ და ამიტომ ერთმანეთის სტუმრებსაც ვიცნობდით. სიმწვანეს დანატრებული ბავშვების ჟრიამული და გოგლი-მოგლის კეთების ხმა ტყეში არ წყდებოდა. იშვიათად სოფლელი ბიჭებიც გვეწვეოდნენ ბურთის, ლაჰტის ან გრძელი ვირის სათამაშოდ. ისინი ტანად ჩვენზე მომცრონი იყვნენ, მაგრამ გაცილებით მარდნი და მოსაზრებულნი. მათი საუბარიც უფრო საქმიანი და პრაქტიკული იყო. თან ყოველთვის, როცა რაიმეს გამოძალვას ცდილობდნენ, თავისი ხეპრული ყალთაბანდობის იმედი ჰქონდათ და მაინც მეცოდებოდნენ ისინი. იმ ადრე დადინჯებულის ნაღვლიანი გამომეტყველების გამო, რომელიც მათ სახეზე იხატებოდა, როცა საქმეში გართულნი ჩვენს თამაშს უცქეროდნენ და არც არავის აწონებდნენ თავს.

დასასვენებლად წასვლა მე და გვანცას იმიტომაც გვიყვარდა, რომ თუ თბილისში სახლისა და სკოლის მეტს არაფერს ვხედავდით, აქ შედარებით სრული თავისუფლება გვქონდა. ერთი ის იყო, შუადღისას უნდა დაგვეძინა უსათუოდ, ან ერთი-ორი საათი ლოგინში მაინც ვწოლილიყავით. სოფლელი ბავშვები შეჩვეულნი იყვნენ ჩვენ „მკვდარ“ საათს. ნაბრძანები ჰქონდათ, ამ დროს არ ეხმაურათ. მართალია, ერთი ასაკისანი ვიყავით, მაგრამ, მაინც რაღაც უხილავი ჯებირი გვყოფდა და ვერ ვმეგობრობდით. ისინი ყოველთვის, ცალკე იკრიბებოდნენ; საღღაც სოფლის გარეთ, ბალებში იპარებოდნენ, დაცინვით „დედას ბიჭებს“ გვეძახდნენ. მათ ჩვენი ქალაქელობისა შურდათ, ჩვენ კი მათ თავისუფლებას შევნატრობდით. არც ჩვენი შმობლები იყვნენ უქმად, ღღენიადაგ ცდილობდნენ, „ქუჩის ბიჭების“ ცუდი გავლენისაგან დაეფარათ თავიანთი ანიზრად აღზრდილი შვილები. დედაჩემი ხომ ყველას აჭარბებდა, სოფლის ბიჭებზე ისეთ საშინელებებს იგონებდა, ედგარ პოსაც ჩამოიტოვებდა უკან. არც მე, არც გვანცას ამ საშინელებების ალარ გვჯეროდა, ჩუმად გავუცინებდით ხოლმე ერთმანეთს,

---

მიხო ბოკრაძელაძე
ნიკას ოთხი ღღე

როცა დედა აღრე ნაოქვამს ახლებურად გაალამაზებდა და ახალ ამბად შემოგვაპარებდა.

— მერე, მერე? — შეშფოთებული სახით ჰკითხავდა ხოლმე გვანცა და რომელიმე ამბავს თავიდან ყოლინებდა

—ეს ასე კი არა, ისე იყოო!... — ეტყოდა მერე და დაუწყებდა მტკიცებას. დედა ჯერ ვერა ხვდებოდა, თავგამოდებით ეკამათებოდა. ბოლოს მე ვეღარ ვითმენდი, გვანცას შეგუძახებდი. რაც მოავარია, ორივე მე მიბრაზდებოდა. გვანცა ხომ გაავებული მეცქინოდა, აბუტეს და ჩერჩეტს მეძახდა. გვანცაზე გაბრაზებული დედა კი ჩემზე იყრიდა ჯაერს. ასე ერთფეროვნად, ზანტად მიიზლაზნებოდა ზაფხული. მართალია, წონაში ბევრს არაფერს ვიმატებდით, მაგრამ გარეგნული ცვლილებები მაინც აშკარა იყო. რადაც ფანტასტიკური სისწრაფით ვიზრდებოდი, ტანსაცმელი მთლად დამიმოკლდა. გვანცაც გამოიცალა, უფრო კი ხასიათი შეეცვალა. სულ კრიჭაში ედგა დედას. ერთ სიტყვასაც არ შეარჩენდა. მე პირიქით, სიტყვის შებრუნება მიჭირდა. ჩხუბის საზიფათო ზონას მალულად გავეცლებოდი ხოლმე და ჰამაკში მოქანავე „გრაფი მონტე კრისტოს“ ვკითხულობდი. ჩხუბის დროს დედას უფრო ვემხრობოდი, ის კი, რაც თავი მახსოვს, სულ იმის ცდაში იყო, ცუდი არავისგან გამეგო. ამხანაგებისაგან, მეზობლებისაგან ცუდი ჩვეკა არ გადმმოეღო. ყოველდღე დამყვებოდა სკოლაში და კალათბერთის სექციის მეცადინეობასაც შეობლებდან მარტო დედაჩემი ესწრებოდა. დრო კი გადიოდა და ყოველ ახალ დღეს რაღაც ახალი მოჰქონდა. გაკვეთილებს სხვებზე მეტად მე ვაცდენდი. მასწავლებლებსაც ვეურჩებოდი. ვერავინ ხვდებოდა, რატომ მიტაცებდა ამხელა ბიჭს ბავშვური თამაშობანი.

— ვერაფერით ამიხსნია ეს გაჭიანურებული ბავშვობა, — იტყოდა ხოლმე ხშირად დედა. ის კი აღარ ახსოვდა, პაპანასა ბიჭები ერთმანეთს ხის პისტოლეტებით რომ დასდევდნენ, მე ასეთ ბავშვობა გამომწყვდეული.

ეზოდებოდი, სიმაღლით დედას გავეტოლწარი და ოთხ კედელს შორის ვეღარაფერი მაკავებდა.

აღრინდელი ოცნებები მომეძალა და ვცდილობდი, წინათ აკრძალული სიამოვნება თამაშისა ახლა მაინც განმეცადა. სკოლის ამხანაგები ჩემს ბავშვური თამაშებით გატაცებას ხასიათის უცნაურობითა და ახირებულობით ხსნიდნენ. ჰაეაც მარტო ვიყავი, თითქმის სულ მარტო. სკოლაში სიარული გვანცაზე უფრო ალბათ მე მძულდა. ყველაზე მეტი ვიცოდი და მაინც რე დამცინოდნენ, ღონითაც კლასში ვერავინ მჯობნნდა და მაინც მე ვიჩაგრებოდი. დედაჩემის ბრალი იყო ყველაფერი ეს, ასე მწამდა, ასე ვფიქრობდი... ოღონდ გვანცასგან განსხვავებით, ამაზე არასოდეს სუტყვა არ დამცდენია არც დედასთან, არც სხვასთან.

დედას ხომ კარგი უნდოდა ჩემთვის, შეცდა? რა ვუყოთ, მაინც ხომ კარგი უნდოდა?.. მოსახდენი ხომ მომხდარი იყო და, ვეღარაფერი შეიცვლებოდა... თუ რამ შემეძლო, ჩემ თავს, ჩემს გრძნობებს უკვე თვით მოვუვლიდი. იმის გაგება კი, რომ სულ ტყუილად დავკარგეთ ამდენი წელი, დედასთვის ხომ სატანჯველი იქნებოდა...

გვანცა სხვანაირად ფიქრობდა, ყველაფერს ამბობდა. ამაზე უფრო მეტს, გაცილებით მეტს, რაც სინამდვილეში იყო. შეიძლება ამასაც ჰქონდა თავისი ახსნა. გვანცა ყოველდღიური წვრილმანი ჟინიანობით ფარავდა და ზღიდა ნამდვილ მიზეს.

დღეში რამდენჯერმე ატყდებოდა ხმამაღალი დავა ან კამათი, გვანცასათვის კი ერთი სიტყვა კმაროდა, თვალებიდან ცრემლი წამოეფრქვია. როგორც შემეძლო, ვაშველებდი და ვაწყნარებდი ორივეს... აგვისტოც მიიწურა. ცოტაც და, ქალაქში უკან დაებრუნდებოდით. დასვენებისგან გადავიღალეთ კიდეც. სოფლის ბიჭები თხილის წნელებით დაწნული გოდრებით ეზიდებოდნენ ტყი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან პანტას და საარაყე ქვევრებში ყრიდნენ. პანტა, ჭერამი, ნაყარი ვაშლი, ყველფერი ერთად დუღდა, თუზთუზებდა ამ უზარმაზარ ქვევრებში, აქა-იქ არაყის გამოხდაც დაიწყეს. საღამოობით კი, პანტის ზიდვით დაღლილი ბიჭები სოფლის განაპირას, ძველი ეკლესიის ეზოში კოცონს ანთებდნენ და დოლ-გარმონზე უკრავდნენ. ახალგაზრდობას ჩვენი მასპინძლებიც აპყვნენ, იმათ — უსაქმეობით დაოსებული მდგმურები და მალე მთელი სოფელი საღამოობით ეკლესიის ეზოში იყრიდა თავს.

ჩვენი მასპინძელი, ძია თედო ყველაზე ადრე გაუდგებოდა ხოლმე ეკლესიისაკენ გზას და ამიტომაც დედა გულდაშვიდებით გვიშვებდა მე და გვანცას ეკლესიის ეზოში გასართობად. მთავარი ის იყო, ძია თედოს არც ერთი წუთით არ მოვშორებოდით. დედაჩემი მაინც უნდობლად უყურებდა „პანტაკრეფია“ ბიჭებს და ცდილობდა, რაც შეიძლება შორს ყოფილიყავი მათგან. ერთხელ დედას ვთხოვე, ტყეში გამიშვი, პანტას მეც მოვკრეფ-მეთქი. თხოვნისათვისაც ცოტა უხერხული დრო კი შევარჩიე, ის იყო გვანცასთან დავა დაემთავრებინა და ვალერიანის წვეთებს ითვლიდა ჭიქაში. ეურჩაური ატეხა, რაც გვანცას, დაიკლო, მე შეშისრული და ის დღე, სამაგალითოდ დასჯილმა, საწოლში მწოლიარემ გავატარე. დედაჩემის აზრით, ყველფერი იქიდან, სწორედ იმ ნავსიანი დღიდან დაიწყო. ჩემი ხასიათის შეცვლასა და გაფუშვებას, „პანტაკრეფია“ ბიჭების აყოლასა და მათ ცუდ გავლენას მიაწერდა. სწეროდა, რომ სახლიდან გაქცევის აზრი ბიჭებმა ჩამაგონეს, ჩემი „სამაგალითო“ დასჯა კი ის ბოლო ბიძგი იყო, რომელმაც გადამადგმევინა ეს ნაბიჯი. არასოდეს მითქვამს არა-მეთქი, არც ვეტყვი, ან კი როგორ უნდა ვეუბნა, როცა მინდა ვიოწყუნო, რომ დედა მართალია. მეორე დღეს კი... მეორე დღეს ალარც მახსოვდა თუ დამსაჯეს, მთელი დღე მწოლიარემ „გრაფი მონტე კრისტო“ ვიკითხე და, ბოლოს და ბოლოს, შევიტყვე, ვილფორი და დანგლარი როგორ დასაჯეს.

საღამოს ეკლესიის ეზოდან ისევ გაისმა დოლ-გარმონის ხმა. მე და გვანცა ძია თედომ იმ პირობით წაგვიყვანა, რომ არც იქითობას და არც აქეითობას წუთიერაც არ მოვშორდებოდით.

დედა ვიხშმის თადარიგში იყო. თბილისიდან მაძას ელოდებოდა. სანამ „პანტიკრეფია“ ბიჭებს კოცონის სანახავად გამიშვებდა, ეზოში ჩვენი ქოჩორა ვარიკა დამაკვირინა... იმას ჰუტაკდა, ეკლესიისკენ რომ დავეშვიო.

სახლიდან სამნი გავედით. ძია თედო გვანცას ყველის ამოყვანის საკუთარ წესს უხსნიდა, მე უკან მიეჩანჩალებდი. ზურგიდან ძველი, ალბათ ომის-დროინდელი ამერიკული ვილისი წამოგვეწია და ნაგვალაგ გზაზე მტვრის კორიანტელი დაიყენა. რახრახით მიმტტუნავ მანქანის მარაოსავით მიჰყვებოდა მტვრის სქელი ფენა და გზისპირა მაყვლის ბუჩქებს ნაცრისფრად ეფინებოდა. აქ მაყვალი უფრო მწიფე და ტკბილი იყო, ვიდრე სოფლის გარეთა მთის ფერდობებზე, მაგრამ მტვერი ისე შესჯდომოდა, წყალში გაგლების შემდეგაც კბილებში მიწას სულ ენაწყენაწი გაჭაოდა... მტვერს თავი ავარიდეთ, გზიდან გადავუხვიეთ და წყაროსთან ჩავედით. მყავე წყალი ბუყბუყით ამოდიოდა კლდეში ამოკრილ პატარა აუზში, მერე ნაკადულად მიწაწყარებდა და ფსკერზე მოწითალო-მოყავისფრო კვალს სტოვებდა. იქვე ალუმინის დაჭყლეტილი, უყურო ტოლჩა ეგდო. სათითაოდ მოვიგუდეთ და დაველიეთ. ისეთი ცივი იყო, სუთქვა მეკეროდა, „ბორჯომის“ ვემო დაჭკრაკდა, ოღონდ მაღიზიანი ნაყიდი, მაცივრიდან ამოღებულისა და არა ნამდვილი ბორჯომ-პარკის თბილი წყლისა, რომელსაც არც გაზი აქვს და რკინის ცისტერნის ჟანგიანი ვემოც დაჰყვება.

— ნება-ნება დალიე, შვილო, ნება-

ნება, თორემ ამ წასვლისას რაღაც ოხერი ანგრევა, ის თუ ყელში ჩაგიჯდა, დედაშენს ვერ დადგურჩები... — მარიგებდა ძია თედო.

ეკლესიიდან დოლის ბრაგუნისა და ზურნის ჭყვეტინის ხმა მოიტანა ნიავმა. გზაზე იქითკენ მიმავალმა ხალხმა იმატა.

— დღეს ზემოუბნელები ჩამოვლენ, ხომ არ დაეჭიდები?..

— ჯერ ერთი... — დავიწყე მე.

— ამდენი ზომეა და წონა რად უნდა? — გამაწყვეტინა ძია თედომ. — შენ ხელას, საქიდაოდან ძალით თუ გამომაგდებდნენ, თორემ...

ზუმად ჩავფლაპე წყენა. ჭიდაობა როგორ არ მინდოდა. ხშირად ძლივს ვიკავებდი თავს, რომ მოედანზე არ გავსულიყავი და პატარა საქიდაო ჩოხსოფელს მეც არ დამეკლო ხელი, მაგრამ შერცხვენის შიშს ვერა ეძლია. ესენი ყველა აქაურები იყვნენ. იშვიათად თუ უცხოს ეპოდვა. მათთან ბომბვდფურეს და განსაკუთრებით კი ქალაქელებს ეჭვით უყურებდნენ მედამ. ერთი „დინინკი“ გამოსულიყო თურმე და ყველა წაქცია, ბოქიდავე ყოფილიყო, თანრიგოსანი. მეორე კვირას მისი ძმა გაეწვიათ საქიდაოდ და მხარი ამოეგდოთ. მოელი ზაფხული იმ ქალაქელ „დამპალოზე“ იყო ლაპარაკი. იმის გამარჯვებულ ძმას კი არავინ ახსენებდა. მეშინოდა, მხრის ამოგდების კი არა, — დაცინვასა მეშინოდა. ისეც ხომ „დედის-ბიჭი“ ვიყავი და ახლა „ქალაქელი დამპალოც“ გავხდებოდი. მე ხომ მათი არ ვიყავი, ხელგადახვეული მეკოცნა გამარჯვებულისთვის და ასე დამეტოვებინა მოედანი. ამაზე ვფიქრობდი ხოლმე საქიდაოსკენ მაცქერალი და ფეხები უკან მრჩებოდა...

წყლის დასალევად სხვებიც ჩამოვდნენ და ძია თედოს თამადობით პატარა, ელეჯაცური საუბარი გაიმართა. მე იმათ სალამ-ქალამს ავერიდე და ეკლესიისაკენ გავუყვეი გზას. გვანცა გამომყვა. მაყვლის ბუჩქებში ფხოჭიალით მოკლეზე გადავეჭერით გზა. ეკლესიის ჩამონგრეულ გალავანს მივადექით და ზემოდან გადავიხედეთ. საქიდაო მოედანზე უკვე სახელოვანი ფალავნები დაპაჭაჭარონგბოდნენ. ეშხში შესული დოლი და ზურნა სისხლის ამღელვებლად უკრავდა საქიდაოს. მე და გვანცა დანგრეულ გალავანზე ავფეერით და ჩვენი ძველი, შერჩეული ადგილები დავიკავეთ. ჭეშდან ყველაფერი კარგად ჩანდა, თან არავინ მეძახდა — ქალაქელო, თავი მოუფერიო... არც არავინ გაგვკრავდა მზარს, შეც შემახედეთ, ცოტა გაიწიეთო, არც არავინ ამეძიძგილავებოდა, რომ მერე ვინმეს ეთქვა, მაგის და რომ არა, მე ვიცოდი, როგორ დავულილავებდი სახეს.

გვანცამაც ხომ მეტისმეტი იცოდა, ყველგან წინ ჩამეკრეზოდა და ამოსუნთქვასა არ მაცლიდა. ახლა კი წყნარად ვიჯექით და მოკიდავეებს ვუყურებდით. სახელოანი წყვილები ძალზე ფრთხილობდნენ, ადვილად არ რისკავდნენ. არც შუკაურს ხმარობდნენ, არც სარმას, ალარც კისტულიად მიფრინავდა ვინმე. მე მოელ ტანზე ბურძგლებს მაყრიდა, ლამის იმათ მაგივრად მეჭიდავა, ან ფეხი გამომკარა, მოგვედოდ წამომეღო ვინმე.

— გაჩე, ნუ ცმუკავ, სირცხვილია, ხალხი გიყურებს, — ტეხების ოდნავი მოძრაობით მაჩერდება გვანცა. ისე იტყოდა, ყველაფრის ხალისს მაკარგვინებდა. სახეც მიმშვიდებოდა, ტანიც. რადაც სუფლრთიაობას ვგრძნობდი და მწყინდებოდა, საშინლად მბეზრდებოდა აქაურობა. „რა ჯანდაბა გვინდოდა, რისთვის მოვედით, თავასა და ნახერხში ტორღიალა ან ორი გაოფლილი ბიჭის სანახავად?“ — ვფიქრობდი გვანცას გამო ფრთებჩამოყრილი. ყურებზე ხელისგულებს ვიბერდი და ასე ვუყურებდი საქიდაოს მოედანს. შუილი და ყრუ გუგუნის მეტი არაფერი მესმოდა. გვანცასაც მალე მობეზრდა აქაურობა — მართლა რა უაზრობაა ამის ცქერაო. დამეთანხმა და ნათქვამის დასადასტურებლად ნაზად დაამთქნარა.

გვანცას მაღლიერებით შევხედე და ისევ საქიდაო მოედანს მივუბრუნდი.

გვანცა ერთადერთი ადამიანი იყო, უსიტყვოდ რომ ესმოდა ჩემი და ხანდახან იმის თქმასაც მასწრებდა, რაც ჯერ კარგად არ მქონდა გააზრებული, მაგრამ ვიცოდი, უნდა მეთქვა. სიტყვებს ვეძებდი, გვანცა კი გამზადებულ აზრებს მომაგებებდა და თან შეკითხებოდა, შენც ხომ ამას ფიქრობდი... ამის თქმას აპირებდიო და თან იცინოდა, — იცინოდა ისე ლამაზად და ისეთი ყელმოღერებით, რომ მფარიოქვებდა მინდობილს და დამშვიდებულს. დიდრონი და ლამაზი თვალები ჰქონდა გვანცას, ტუჩებზე კაკლის წენგოს ისვამდა და გაცინებულს და გამხიარულებულს კინოში ნახულ უცხოელ კინოვარსკვლავს მიუგავდა სახე. ეს სიცილი არ მომწონდა, მეშინოდა კიდეც ასეთი უმიზეზო სიცილის. იმწამსვე მაღაზია, ჩვენი წითელი ველოსიპედი მახსენებებოდა: ის ქალიც ხომ მიცინოდა, თუმცა ასე ლამაზად არა, მაგრამ მაინც. ის ქალიც ხომ მეფერებოდა? არა, აქ ღალატი იყო. არც ეს ღიმილი იყო ჩემი, გვანცაც ვიღაცასთვის მიკრეჭდა კბილებს. ვიღაცებზოდი, ერთი სურვილი მქონდა, ტეჭებში გამელაწუნებინა, მაგრამ გვანცა რისი გვანცა იყო, მატყობდა, უცაბ ყველაფერს ხედებოდა. სულ სხვანაირად, თბილად, სიყვარულით გამიღიმებდა და — უჰ, შე საძაგელო, რა ეშვიანი ოხერი ხარ, საწყალი შენი ლამაზი ცოლიო, — მეტყოდა, დამამშვიდებდა, და ისევ მორჩილსა და თვნიერს გამხდიდა. იცოდა, რასაც ამბობდა. ჯერ ხომ სულ პატარაობიდან თეფშზე საკმელს თუ დაკტოვებდი, ლამაზი ცოლი არ გდომებია, შენი თეფშივით უსუფთაო და უშნო შეგხვდებაო, — მაშინებდა. სულ ერთიანად ვაპრიალებდი თეფშებს, ის კი არა, სტუმრად ყოფნისას, ხანდახან შემრცხვებოდა კიდეც. მასპინძელი რომ იტყოდა, ამას კიდევ დაუმატოთო! არაო, — ამბობდა მაშინ გვანცა. — ნიკას ლამაზი ცოლი უნდა, ამიტომაც ასუფთავებს; ასე გულმოდგინედ ყველა თეფშსო.

საქიდაოზე უკვე აღარაფერი იყო საჭაჭავი. ზედიზედ რამდენიმე ფრე ალბანიანში. ორიგენი კარგი ბიჭები ხართო... ამბობდა წრეში ჩამდგარი ჭიდაობის თავკაცი. ხალხი კი უსტვენდა, ლამის ჩხუბიც დაეწყოთ ნამეტან საღერღელაშლილებს. აქეთ ჩამოდითო, ეპატრეკებოდა მათ საჭიდაოდან მომრიგებელი. ისინი თავჩაქინდრული იმალებოდნენ, გაწზე გარბოდნენ და როცა ბოლო წყვილმაც სანახაობის იმედი გაიცრუა, გარნინმა ქართული საცეკვაო გაიარა. ჭიდაობის მოყვარულებმა ყასიდად გარბრძოლეს, მერე ისინიც გაჩერდნენ. უკვე კარგად მოსაღამოდა, მე და გვანცამ ველოსიპედ მივატოვეთ, საცეკვაოზე მისვლისას ერთი სოფლელი ბიჭი აგვეტუზა და გვანცა გაიწვია. იქვე სოფლელი გოგოები იდგნენ და ყურში რაღაცას ჩურჩულებდნენ ერთმანეთს.

ესეც შენი საცეკვაო... გული მიგრძნობდა, არ მინდოდა მოსვლა და უცებ ამიხდა კიდეც. სისხლი სახეში მომაწვა და მუშტები ჩემდაუნებურად დამეძაბა.

— კარგი, ჰო, რა მოგვიდა, — დედის ხმით დამიყვავა გვანცამ, — ტყუილუბრალოდ ნუ წრეშატობ, — ხელი მომკიდა და ჩხუბის ხასიათზე მოსული ერთბაშად მომმოეკა.

ძია თედიმაც ხომ ხელი დაჰკრა?..

— გადი, გოგო, ეცეკვე, ერთი შენებური ხელის გაშლაც დაგვანახე, ამ მატრაკვეცებს მაინც აღარა სჯობიხარ?.. — უთხრა და გოგოებს გადახედა.

— ტანგოს კი არ უკრავენ, ან როკენ-როლსა, ძია თედო, ჩვენებური კი, მაგან არ იცის... — გამოეპასუხა ამხანაგების სიცილ-კისკისში ერთი შავტუხა გოგო და თავისიანებს მიეფარა.

იმ შავტუხას თვალი მოვაცილე და გვანცა დამეკარგა. ეტყობა, ბევრი აღარ ახვეწნინა უშნოდ აწრწილს, თამამად გავიდა წრეში და ნაზად გაშალა ხელი. დღელი უფრო გამეტებით აბრაგუნდა და გარმონიც მეტი მონდომებით გაიწვალა.

მიხო მოკრიელაძე
ნიკას ოთხი დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვანცა და ვიღაც ოტროველა... გვანცა და ის ხიხო ერთად წრეში... აი თურმე, ვისთვის იცინოდა ეკ. ვისთვის კაკასებდა ასე გულიანად,—გამიელვა წამით. მაგრამ, არა, ეს ბიჭს მოცილე გამოუჩნდა. იმას კიდევ სხვა ჩაერთო ცეკვაში. ძია თედო სხვებთან ერთად აღტაცებული უხთქუნებდა დაკოცრილ ხელისგულებს. სოფლის გოგოები გულს გამაწვრილებლად ყალბად კაკასებდნენ. გვანცას სამი ბიჭი ერთად ეცეკვებოდა და მე უეცრად მივხვდი, გაოგნებული ვაცივით ნელა წამოვწიე თავი და საცეკვაო წრეს დავაკვირდი. ეს ყველამ იცოდა, დიდი ხანია ჩანდა ეე კი, როგორც ყოველთვის, ბოლოს გავიგე! ბოლოს გავარკვიე, რომ გვანცა გაიზარდა. გვანცა ჩემხელა აღარ იყო. ბერე რა, რომ ჩემზე უფროსი იყო, მაინც ყოველთვის ჩემხელად ვთვლიდი და ზოგჯერ კარგადაც მიმიბეგვია. აქაც დამასწრო, აქაც მაჯობა! მე ყველასგან მივიწყებული ვიდექი წრის გარეთ. წრეში კი ყველაფერი გვანცასი იყო. ყველაფერი გვანცას ეკუთვნოდა. —დოდ-გარმონიც, ძია თედოს ოტოცებაც, გოგოების მუშაი ჩაცინებაც და სოფლელი ბიჭების ხარბი მზერაც. ისევ მარტოდმარტო დავრჩი. გვანცამაც მიღალატა. წრეში ტაშმა და შეძახილებმა იმატა, ზოგჯერ გვანცას სახელიც გაისმოდა, მაგრამ ყურადღება აღარაფრისთვის მიმიქცევია. შევბრუნდი და სახლის — კენ წავედი. ეკლესიის ეზოში ბიჭები დარბოდნენ და ერთმანეთს ეძიებდნენ. საცეკვაოს გვერდით ფიჩხის კონა მატულობდა. სადაცაა, კოცონს ააგიზგიზებდნენ.

ვიღაც დამეჯახა და — ბოდიშით, ჩაილაპარაკა, პასუხი არ გამიცია. ისე ჩავიარე, გალავანთან განგრეულ ნიშში გავიქვრი და გზა ისევ მოკლეზე გადავჭერი. უმთვარო ღამე ჩამოწვა. ეკლესიის ეზოდან კოკონის ტკაცატკაცისა და დოდ-გარმონის ხმა ისმოდა. გრილმა ნიავმა დაუბერა, მაყვლის ბუჩქები ცოცხალივით მეტანებოდნენ და თავისკენ მეწეოდნენ. სხვა დროს ალბათ შემეშინდებოდა და გავიქცეოდი. ახლა კი შეშინდებოდა და გავიქცეოდი. ახლა კი შეშინდა. ჩამოწოლილმა სიბნელემ პირქით დამამშვიდა. წყაროზე ჩავედი, მაკვე წყლით გული გავიგრილე და მხოლოდ მაშინ მივიხედე უკან. ეკლესიის ეზოს ცა წითლად განათებულიყო. კოკონის ალი ეკლესიის გალავანს ასცილებოდა. იქიდან კანტიკუნტად სიცილის, ტაშის, საცეკვაოს ხმა მოისმოდა. გზაზე გავედი და სულ მალე სოფელში ვიყავი.

მიღალატა, გვანცამაც მიღალატა! — ზარივით რეკდა, მუსმდა ეს აზრი. მერე გავიხსენე, რამდენი საერთო მოგონება, საერთო საიდუმლო გვაკავშირებდა. პირველად დავშორდი ასე. პირველად და მგონი საბოლოოდ.. ხელი მოვისვი, ცრემლი მოვიწმინდე და ცხვირი ხმაურით მოვიხოცე. ეგდა მაკლდა, დედას ატირებული დავეხახე!

სახლებში უკვე სინათლეები ციმციმებდნენ. ცრემლი შემაშრა. ჩაბნელებულ გზაზე უცნაური ჩრდილები მოძრაობდნენ... ნაბიჯს მოვუმატე. ცოტაც და, სახლში ვიქნებოდი. რა მეთქვა დედასთვის? გამიგებდა? არა მგონია. მე ყველა მიყვარდა. მათ კი სათითაოდ მიღალატეს.. არარაფი ჩამაგდეს... სახლს მივუახლოდი, მაგრამ არ გავჩერებულვარ. ნაბიჯს უფრო ავუჩქარე და გავიქეცი.

სოფელი უკვე შორსაა. ძაღლების ყეფა დიდი ხანია მიწყდა, — მაინც გავრბივარ უცნაურად ამსუბუქებული და აშლილი. სიზმრიივით ენაცვლება ერთმანეთს მინდორი თუ ჭალა. თავქვე ვეშვები, გველებივით მეხვევა ხვიარა ბალახი. ვბორძიკობ, ისევ გავრბივარ, ხის ფესვები ფეხებში მეხლართვიან, ქვევით, დაღმართში მივგორავ და რაღაც ცივს ვაწყდები, კეფასთან მწვავე ტკივილსა ვგრძნობ...

...წითელი ველოსიპედი, ჩემი წითელი ველოსიპედი მიჰქრის...

პატარა მინდორს ვუვლი გარს. ხან არწივივით მაღლა-მაღლა მივფრინავ, ხან დაბლა ვეშვები. ირა, ფრინველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარა ვარ, ვეცემი, ტყვიასავით ვეცემი მაღლიდან და გრძნობას ვკარგავ...

წითელი ველოსიპედი, ჩემი წითელი ველოსიპედი მიჰქრის...

პატარა მინდორს წრე-წრე ვუვლი, ველოსიპედი ისევ ქრება და უეცრად ვგრძნობ, რომ წყალში ვდგავარ, ლიფსიტები წვივებზე ბალანს მწოწკნიან, მეღიტუნება, ვიცინი, დაოსებამდე ვიცინი. მეტი აღარ შემძლია. წყალი პირამდე მწვდება. მერე მთლიანად მფარავს. თევზებით გარშემორტყმული, ფეხებდაბმული ვზივარ დიდი შუშის აკვარიუმში და ამოსუნთქვას ვცდილობ, მაგრამ ჰაერი არსადაა. წყალია ყველგან, წყალი! ვიხრჩობი, ნამდვილად ვიხრჩობი! თევზები? არა. ეს დაგეშილი ძაღლებია. ნაწილ-ნაწილ მგლეჯენ. მე კი ხელ-ფეხი შეკრული მაქვს...

— დაგორებული, ხრამში დაგორებული! — მესმის საიდანღაც ძია თედოს ხმა. მერე ლურჯად შეღებილ ოთახში ვწევარ და ვაკვირდები სინათლის ვიწრო ზოლს, ფარდის ჭრილიდან რომ შემოდის.

თეთრხალათმოსხმული ლამაზი ქალი დაჭინებით მიყურებს და რაღაც გაუგებარს მებუტბუტება.

ვუკვირდები, კარგად ვუკვირდები,— ეს ხომ გვანცაა!

— გვანცა! — მინდა დავიყვირო, მაგრამ ენა არ მემორჩილება და უცნაური ხმით ვხავი.

გვანცა მკვეთრად იმართება წელში, ფეხზე დგება. ოთახში დედა, მამა, კიდევ ვიღაც უცნობები შემორბიან და მე ხელახლა ვიძირები უზარმაზარ აკვარიუმში.

IV

ეს ჩემი პირველი გაპარვა იყო სახლიდან. სამი წლის შემდეგ კიდევ გავიქეცი. იმიტომ, რომ მამამ ხურდა ფულის მითვისება დამაბრალა. ჩვენ თითქმის აღარ ველაპარაკებით ერომანეთს. უმეტესად დედაა ჩვენი თარჯიმანი.

— არა გრცხვენია, რა მოგდის? — მეკითხება ხშირად. — წინათ ძალიან ვერ მოგაცილებდი მამაშენს. ახლა ბრძის დანახვაც აღარ გინდა...

— გამანებე თავი!

— ჰო, ეგეთები ხართ, შენც და შენი ქარაფშუტა, უმადური დაც. გაანებეთ თავი!.. განებებული არა გვაქვს? როდის იყო ან მე, ან მამაშენი გაწუხებდით. ასე მაინც რამ გამოგცვალათ, არ ვიცი... ნუთუ აღარაფერი გახსოვთ?

— მახსოვს დედა, ყველაფერი მახსოვს. დამანებე თავი!

— დანებებული მაქვს, ბატონო, დანებებული! — იქნებ ის მაინც მითხრა, რომ იცვამ, სად მიბრძანდები?

— თათიასთან მივდივარ, ფირფიტებს დავპირდი.

— თათია მასა და ჭირი.. ყველაფერში ასეთი უმსგავსი როგორა ხარ, რა შენი ამხანაგია თათია?.. ძალიან კარგადაც ვიცი, უცხო ენებიდან ეგ გათახსირებული რახე გამორიცხეს!.. თუმცა, იმას რა უშავს, მეორედ დასვამს მამამისი. შენ უნდა იკითხო, შენ! მეათე კლასიდან რომ გამოგაგდებენ და ატესტატზედაც უარს გეტყვიან... მაშინ ნახავ, ეგ შენი თათია სახლშიც აღარ შეგიშვებს...

— წავედი!

— იცოდე, არ დაიგვიანო, თორემ მოვალ და თმებით..

— დედა!...

— კარგი, კარგი... არ დაიგვიანო. საღამოთი სულ ბანდიტებითაა ჩვენი ქუჩა სავსე. თუ დაგავიწყდა, შარშანწინ რომ გცემეს...

— წავედი!..

— დაიცა! — მეუბნება დედა. წინაყარის ჯიბიდან ფულს იღებს და რამდენინე მანეთს ტყაპუჭის ჯიბეში მიკუჯავს.

— ტაქსით წამოდი! ესეც გქონდეს, მაგრამ არ დახარჯო! — დასძენს მკაცრად და მეორე ჯიბეში ხუთმანეთიანს ჩიდებს.

მიხო მოგრილაძე
ნიკას ოთხი დღე

ძლივს გამოვდიგარ და გაჯავრებული, მამაჩემივით კარს ვიჯახუნებ.

— ალარ შემიძლია! ამომივიდა ყელში. როდის იქნება ამ სკოლას რომ მოვახრჩობ და თავისუფალი გავხდები... რუსეთში სადმე ან ლენინგრადში წავალ. იქ ჩავბარებ, რომ ამ ყოველდღიურ დავიდარაბას მოვრჩე და ადამიანურად ვიცხოვრო.

თათია მელოდებოდა, სახლის წინ, ბაღში გამოსულიყო და თოვლის ბაბუას აკეთებდა. რომ დამინახა, გახარებულმა ხელი დამიქნია, მანიშნა პირდაპირ ღობეზე გადმოდი, ნუღარ შემოუვლიო!... თუჯის ყვავილებიან დაბალ მესერზე გადავედი. დათოვლილი ბუჩქის ძირიდან პატარა, ცხვირშეუჭყლეტილი იაპონური ფინია ყეფით გამომიხტა და მხიარული ჭკაჭკაცით გამიგორდა ფეხებთან.

— შენია, თათია?

— არა, ამისა! — მხარზე ხელი დაჭკრა „თოვლის ბაბუას“ გვერდით უმრავად მდგომ ჯოხი კაცს.

— გაიცანი, ჩემი მეგობარია!

კაცი შეტოკდა.

— ეჰ, არ გაინძრე! სალამ-ქალამს მერეც მოასწრებთ... უნდა გამოვაქანდაკო, — დამნაშავედ გამიღიმა და თოვლის პატარა გუნდი ხელში შეათამაშა.

კაცი ისევ გაუნძრევლად იდგა.

— თამაზი! — მითხრა და თავი ოდნავ დამიკრა.

— ნიკა!..

კაცმა ისევ ოდნავ დამიქნია თავი და გაშშდა.

ვის მაგონებს, ღმერთო, სად მინახავს ეს კაცი? ღრმად ჩამჯდარი უფერული თვალები, უკეხო, სათავესთან ოდნავ გასქელებული, პატარა ცხვირი და გულზე ჩამოდებული, მსხვილი ნიკაპი... ნაცნობი, ძალიან ნაცნობი სახეა!

— ნიკ, როგორ ველოდი! ხომ იცი, ყველაზე მეტად შენ ეზრის ვენდობი... — თათია თავის სტენიაში იყო. — მითხარი, რა აკლია ახლა ამას? — მკითხა და თოვლის ბაბუას ნიკაპი შეუსწორა, თან თამაზის უჩუმრად თვალი ჩამიკრა.

— იცი, ძლივს დავთანხმე!... დღე ერთხელ შემოუარა გარშემოსავლელის ქანდაკებას.

— რომ ვუთხარი, შენგან ბაბუას გამოვაქანდაკებ-მეთქი, ლამის გაგიდა!.. — თათიამ ბაბუას ნიკაპი კიდევ უფრო გაუსქელა. — მე ნაპოლეონს მამსგავსებენო, მითხრა, — ნაპოლეონს შენი ძალი უფრო ჰგავს-მეთქი!.. მოკლედ, გამაწყმა, სანამ დავთანხმებდი, ლამის მატირა!.. დილით კომპანიით მომადგა, მთაწმინდაზე ავიდეთო! ეგენი გაყარე, მარტო მოდი-მეთქი... ეგ კი, რა ულინდისოა, არა?.. ჯერ ხომ აქ დადგომა არ უნდოდა... მაშ როგორ ფიქრობ, რისთვის დაგიბარე, მარტო მოდი-მეთქი, ჰა? — გაუცინა თამაზს. — იქნებ შენ სხვა რამე გეგონა? — თამაზს ეტყობოდა, ეგონა და თან არც ეგონა — იქნებ სხვანაირად ფიქრობ ჩემზე? — ჯიქურ ჩააშტერდა თათია თვალებში.

— არა... — ძლივს ამოღერღა თამაზმა.

— მაშ განვაგრძოთ!..

— თათია, შემცივდა! — ვთქვი მე.

— მითხარი, რა აკლია თოვლის ბაბუას და წავიდეთ!

— ყავა გაქვს?

— ყავა, კი.

— ერთი სირჩა კონიაკიც გექნება!

— მოვნახავთ!

— წავიდეთ ახა და ეს ნათიხნი უფრო თბილ ვითარებაში განვიხილოთ.

— კონიაკს მე მოვიტან! აქვე მაქვს, მანქანაში! — გაუხარდა თამაზს და ბაღის ბოლოსკენ გაიქცა. თათიამ ნაღვლიანად გააყოლა თვალი.

— დიდსა ჰგავს, არა? იცი, რამდენი წლისაა! ოცდაექვსისაა სულ!

— რატომ დასცინი?

— რა?

— რად დასცინი-მეთქი ამხელა კაცს, რატომ ამაიმუნებ?

— შენთვისაა დიდი, ჩემთვის კი ირა! — გაეცინა თათიას.

— საწყალი რომეო... შეყვარებულია?

— ახა, ბიჭო! ჩრდილივით დამდევს... თუმცა, ისე, რამეს კი ვერ მიბედავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისიც კი ვერ მოუხერხებია, მიყვარხარო, მითხრას.

— საწყალი...

— ვინ, თამაზი? ნახევარ თბილისს მიყიდის, ერთი სიტყვა რომ დამცდეს!

— არა, თამაზი არა.

— მაშ ვინ?

— შენი ქმარი...

თათიას გაეცინა, დაიხარა, თოვლის ფიფქი სახეში შემაყარა და გაიქცა. რომ ნახა, არ მიეღებინა, გაჩერდა, ნელა, დაბნეული ნაბიჯით დაბრუნდა, ზურგს უკან დამიდგა, მხრებზე ხელები შემოგვაკრა და ამოიოხრა.

— ნიკ!

— ჰა...

— ჩემს ქმრობას ხომ არ აპირებ?

— არა!

თათია ზურგზე მომეკრო და მისმა თბილმა სუნთქვამ ბუსუსები დამაყარა მთელ სხეულზე.

— ვერ ვიტან შეყვარებულებს!.. რაღაც საშინლად დებილური გამომეტყველება აქვთ... თან არასოდეს იცი, ვის როგორი სიგიჟე მოუვლის...

— საშინელი ხალხია!..

— ჰო, საშიში!

— მე? — ვიკითხე ჩემდაუნებურად და ტანზე ისევ ამბერძგლა.

— შენ... არა, შენც გიჟი ხარ, სხვებზე ჭკვიანი და ვერაგი... მაგრამ, მე მაინც ასეთი მირჩევნიხარ!.. შენ ყველა გეცოდება... დამთხვეული თამაზიც კი, შენ კი არავინ შეგიცოდებს... არ შეიცოდებინებ თავს და იმიტომ! — თათიამ ყურის ბიბილოზე მაკოცა, მერე თავი აღარ აუწევია. ასე ვიდექით.

იაპონური ფინია ყეფით მოგვეკრა და თამაზიც გამოჩნდა კონიაკისა და შამპანურის ბოთლებით ხელში. უაზრო, უსიამო ღიმილით მოდიოდა და ჩვენს ზემოთ ხის კენწეროებისაკენ იყურებოდა. ცდილობდა, ისეთი გამომეტყველება მიეღო, თითქოს ვერაფერს ხედავდა და ამჩნევდა. მეგონა, თათია მის დანახვაზე შეკრთებოდა, ხელს გამიშვებდა. თითია კი უფრო მომეკრო და ყურთან ხელმეორედ ვიგრძენი მისი ცხელი სუნთქვა.

თამაზი გვიყურებდა, თათია კი მის დასანახად უფრო მეკვროდა.

— შენ ჩემთვის არ გიკოცნია, თათია... — ვგრძნობდი, თანდათან ვდუღდებოდი და სახე ამიჭარხლდა. — თუ სხვის გასაჯავრებლად კიდევ მოგინდეს კოცნა, საამისოდ მე ნუ ამომირჩევ...

— არ გინდა და უკან წავიღებ! — მითხრა და ნაკოცნხე ენის წვერი ამისვა. — ბუტია ხარ! — ნაწყენი კილოთი ჩამჩურჩულა და ყურის ბიბილოზე ოდნავ მიკბინა.

— თამაზ! თამაზ! — დაუძახა მომავალს. — მოდი აქ! მოდი, შე ბეყე! — ჩურჩულით დააყოლა, — ახალ ამბავს გეტყვი, თუ გინდა...

თამაზი ჩვენს წინ იდგა. ბოთლებს ვულზე იხუტებდა და საღდაც იყურებოდა.

— თამაზ!.. მე ნიკას სიყვარული ავუხსენი!

— ჰა?

— დიახ, და, იცი, რა მიპასუხა?

— არა... — ჩაიჩურჩულა გაფითრებულმა.

— შენნაირ დამთხვეულს ცოლად როგორ მოვიყვანო!..

— ჰა? ჰოო?.. ეს როგორ?.. — სიცილი აუვარდა და უცებ პატარა ბავშვივით გაიხარა ამხელა კაცმა.

მერე ჩვენ ყველა ვიცინოდით — მეც, თათიაც, თამაზიც. იაპონური ფინია, ჩვენდა გასაკვირად, მალაყზე გადავიდა და ახლა იმაზე ვიცინეთ. მერე ყოვას ვსვამდით და კონიაკს, მერე — შამპანურს. თამაზი უცებ დამიმეგობრდა. ხელგადახვეული იჯდა ჩემთან და ასე ვიმღერეთ „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა“ და „დადიანო“.

სახლში რომ მივედი, დედა დამხვდა ფანჯარას აკრული. ჩემი მისვლა გაეხარდა, მაგრამ ფანჯარას არ მოშორებია.

მიხო მორგილაძე
ნიკას ოთხი ღღე

— გვანცა არ მოსულა! — ჩამჩურჩული.

— დიდი ხანია, რაც გავიდა?

— ექვს საათზე წაიყვანა დოდომ ვიღაც ოხრის დაბადების დღეზე და ხომ უყურებ, გელოდებით! — გაჯავრებით მითხრა.

გარეთ ისევ თოვდა. დიდი, ფარფატა ფანტელები წვრილმა, ხშირმა თოვამ შეცვალა. აღარაფერი ჩანდა. ჰასანას ბინაც კი თოვლის სქელ ფარდას დაეფარა. დედა მაინც ფეხმოუცველელად იდგა, იდგა და ელოდა.

ჩემს ოთახში ფეხაკრეფით შევედი. სინათლე ავანთე. გაშლილი ქვეშაგები და დიდი ფინჯნით მაწონი მელოდებოდა. მაწონი შევეშეე, გავიხადე, გრძელი, ნაქსოვი ხალათი ჩავიცვი, რითაც საცურაო აუზში, სტარტზე გასვლის წინ თავს ვიწონებდი და აბაზანაში შევედი. ცხელი ონკანი ბოლომდე გავხსენი. ქაფქაფა წყალი წამოვიდა, ორთქლმა ნისლით გაავსო საბაზანო. ცივი წყლიც გავაჯერე. ნისლი უმალვე გაქრა, ორთქლი წვეთებად ჩამოეცვენთა კარის დიდ სარკესა და კაფელის კედლებს. გასაძლისამდე ცხელში ნახევარი წიწვოვანი ექსტრატი ჩავასხი, ხელით ავურდავრიე. მოყავისფრო, მუქ მომწვანოდ ალაპლაპებელმა წყალმა სასიამოვნო ოზშივარი ამოუშვა. ორივე ონკანი გადავკეტე და ჯერ ერთი, მერე მეორე ფეხით აბაზანაში ფრთხილად ჩავაბიჯე. ფეხები მეთუთქებოდა, მუხლზემოთ კი შემაცივდა, ტანი ამებურძალა. ხელებით აბაზანის კიდეებს დავეყრდენი და ნელ-ნელა დავიწყე ჩაჯდომა. მილიმეტრ-მილიმეტროზით, შენელებული კინოკადრივით, სვენებ-სვენებით ჩავჯეჯი აბაზანის ხაოიან, ბლანტი ექსტრატით დაფარულ ფსკერზე. კანი შეუჭჩნეველად დამიმშვიდდა, დაძაბული ფეხები მუხლებში გავმართე და გავწექი... ჩვენებიდან მარტო შვილები ვიყენებთ აბაზანას. მამა სამხეიროსავით სწრაფად ბანაობს შხაპის ქვეშ, დედა უფრო მანქანაში გარეცხილი სარეცხის გასალაგებლად ავსებს აბაზანას. მე და გვანცას კი გამუდმებული ჩხუბი გვაქვს ერთმანეთს ერთმანეთის ვეჯიბრებით, ვინ უფრო მეტ ხანს ინებივრებს აბაზანაში.

საერთოდ, ასეთი ჩვენი მაქეს, ათას რაღაცას უნდა მივედ-მოვედო, ავიტეხავ რამეს, მოვინდომეტ, თან გადავყვები, ყველაფერს გავაჩენ, გავაკეთებ და იმწამსვე მავიწყდება. ასე ავაწყვე თვითმფრინავის პატარა მოდელი. მოკლე ტარიზისტორული მიმღებიც, ჩვენს ბაღში კი, მთელი ორი კვირა თავს იმაზე ვიტეხდი, როგორმე ისე გამეყვანა არხები, რომ ყველა ხეს ერთნაირად მისწვდენოდა ერთი მთავარი არხიდან ჩიგდებული წყალი. გავაკეთე და დამავიწყდა, არხებს ხანდახან ლამისაგან ამოწმენდდა უნდოდა და მთელი ბაღი ირწყვებოდა. მივანებე თავი... ახლა ისევ გრძელი რეზინის მილით ვრწყავთ ხეებს. ასეა ყველაფერში. ჩავიფიქრე და არა მაქეს მოსვენება. დღე და ღამე გადავყავები, მაგრამ, დავამთავრე თუ არა, იმწამსვე მბეზრდება... აღარ მაინტერესებს, მერე რა ბედი ეწვევა მას, რა მოუვა, სად იქნება და ვინ გამოიყენებს...

ამაზე და სხვა ათასნაირ სისულელეზე ვფიქრობდი, თამაზი რომ გამახსენდა. არ მესიამოვნა, დანახვისთანავე არ მომეწონა! რატომ?.. იქნება ვიეჭვიანე? არა, ამიტომ არა! თათიასთან ბევრი სხვა მინახავს და არც ერთს ასე უსიამოდ არ ავუფორიაქებივარ! თანაც, მე და თათია ხომ მეგობრები ვართ. ამას წინათ თათიამ თვითონაც მითხრა: რომ იცოდე, როგორ მომბეზრდა ყველა და ყველაფერი. კიდევ კარგი, შენთან მაინც რომ არ მჭირდება გაპრანჭვა და რაღაც-რაღაცეები, ბედნიერები ვართ, ასეთი სუფთა ურთიერთობა რომ გვაქვსო...

თათია! რამდენჯერმე ვეცადე ჩვენი ურთიერთობა სხვანაირად წარმომედგინა, მაგრამ არაფერი გამომივდა. თათიამაც გიხსენი ერთხელ. სიზმარში ვნახე, შეყვარებულები ვიყავით და შიშისგან იმწამსვე გამეღვიძაო. — რისა შეგეშინდა-მეთქი? — კითხე და არ მიპასუხა. — ამას ვერ ვეტყვი, წმინდა ქალური საიდუმლოებაო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ხომ მეგობრები ვართ და მაინც ყველაფერს ვერ ვეუბნები. მეც ჩემი საიდუმლოებები მაქვს...

— შენ რაღას ხედავ სიზმრებშია, რომ მკითხა, არაფერს-მეთქი: მოვატყუე... გაუკვირდა. ჩემი წითელი ველოსიპედი რომ მეხსენებინა, მაშინ ხომ სულ გაგიოგდებოდა... ჩემი ველოსიპედი... საინტერესოა, შემხვდება კი ოდესმე ვინმე, ჩემი ყველაზე დაფარული სურვილები, ოცნებები და ფიქრები რომ გავანდო?

თათია და თამაზი? არა! — ეს შეუძლებელია! უბრალოდ, თათიას უყვარს, რომ ყოველთვის ვინმე ჰყავდეს გვერდით, მისთვის თითქმის სულ ერთია, ვინ იქნება, ოღონდ ზედმეტს არ ლაპარაკობდეს და მისი ახირებული სურვილები აასრულოს... მე? — არა, მე მისთვის სულ სხვა ვარ... დღეს კიდევ ალბათ თათიამ გამომცადა, მეც რაღაც სულელური კითხვა დავუსვი... დღეს მომეჩვენა, რომ ჩვენი მეგობრობა უეცრად შეირყა, ჩვენს ურთიერთობაში რაღაც დაიკარგა, მაგრამ ეს წამით, უეცარი აფეთქებასავით მოხდა და მერე ისევ ჩვეულებრივ, ყველაფერი თავ-თავის ადგილს დაუბრუნდა...

თამაზი არ ამოდიოდა ჩემი გონებიდან და უეცრად გამახსენდა! გამახსენდა, ვის მივამსგავსე და თითქოს წუმპეში ამომხვარესო, ისე შემეზიზღა თავი. უკვე ორ წელზე მეტმა გაიარა იმ შემოხვევის შემდეგ და აქამდე ისეთი შეგრძნება დამრჩა, თითქოს ლაფი მომეცხო და ვერ მომიცილებია.

ეს შემოდგომის მიწურულს მომხდა. სავარჯიშოდ მივდიოდი და სანაპიროსთან ჩემი კლასელი გოგო შემეჩეხა. ვიღაც ჯმუხა კაცთან ერთად მოდიოდა. ერთმანეთს მივესალმეთ და გზა განვაგრძე. ხუთგზს უკან ძახილი მომესმა. შეტრიალდი, ის კაცი მეძახდა. ვარჯიშზე მაგვიანდებოდა და მაინც მივედი, რაც უნდა იყოს, უფროსი კაცია-მეთქი. მივედი. თან რაღაც ისე იდეოტურად ვუღიმოდი, ბაგშვები დიდ ძიებს რომ უღიმიან ხოლმე. მივედი თუ არა, მარცხენა ყბაში მთხლიშა. ეს ისე უეცრად მოხდა, სახიდან ღიმილის ჩამორეცხვაც ვერ მოვასწარი. მთხლიშა და შემეხედა. მერე იფიქრა, ალბათ ეს ცოტაო და კიდევ მიმეჩანაცვლა ხელი. მე კი გაშტერებული ვიდექი. სხვა რომ ვერაფერი მოვახერხე, მარჯვენათი ნატკენი ყბა მოვისვრისე და ვკითხე, თქვენ მართლა მირტყამთ თუ მეხუმრებით-მეთქი?— ამან სულ გააცოფა, მომვარდა და დაუზოგავად დამიწყო ცემა. მერე მილიციელები მოვიდნენ და გაგვაშველეს. უფრო სწორად, როგორც მოწმეები ამბობენ, მე გამომგლიჯეს იმ კაცს ხელიდან. არც ხელი, არც სიტყვა (ის კაცი საშინლად იგინებოდა) არ შემიბრუნებია. რამდენჯერმე უბრალოდ ხელი დავუჭირე და სულ იმას ვეუბნებოდი, გაჩერდით, არა გრცხვენიათ ამხელა კაცს-მეთქი?.. ის კი ისევ დაუზოგავად ცემდა.

მერე ერთმა „ქუნის ბიჭმა", რომელიც ცურვაზე სიარულისას დამიამხანაგდა, მკითხა: — ძალიან გეშინოდაო?. არა-მეთქი. აბა ხელი რატომ არ შეუბრუნე? მე ხომ ორივეს გიცნობთ, იმას შენი ნახეკარი ძალა არ ექნებაო... ჰოდა, გავიოდა, მოკვდა სიცილით, არაფრით არ დამიჯერა, როცა ვუპასუხე, უფროსისთვის ხელი როგორ შემებრუნებინა-მეთქი?.. ეს არც ახლა სჯერა არავის. ყველას ჰგონია, რომ მე მისმა სახელმა შემაშინა (თურმე სადაც ძალა არა ყოფნდა, იარაღს ხმარობდა). მე იმ ამხანაგმა მითხრა, ხმამაღალ სიტყვას მაგას კი არა, მამაჩემს არ შევეჩეჩენო. ეს რომ თქვა, უსიამოდ გამეკენწლა. მერე კი, რაც უფრო მეტად დავფიქრდი, იმ აზრამდე მივედი, ეს იმ კაცმა კი არა, მამაჩემმა მცემა-მეთქი, მამა კი არ მცემდა, მსჯიდა, მსჯიდა ყოველთვის, ყოველთვის უმიზეზოდ, შეუბრალებლად... მე კი ვითმენდი (ესეც ხომ დასჯის რიტუალის წესი იყო).

„რატომ მცემ, რისთვის?" — ამის კითხვას გადამაჩვიეს. —თვითონ უკე-

ᲛᲘᲩᲝ ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲐᲫᲔ
ᲜᲘᲙᲐᲡ ᲠᲝᲣᲗᲘᲜ ᲓᲔᲓᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თესად იცინო, მეუბნებოდნენ. ბაავშვი მტკუანდა გაზარდეო! — მორტყამდნენ და ჩამჩიჩინებდნენ. უფროსმა იცის! ის მართალია! დაემორჩილე! დაემორჩილე და არ წაადგებ! მორჩილებაა ამ ცხოვრების თავი და ბოლო! უფროსი და მისი აზრი, მისი მოქმედება ეშვეშეუვალი ჭეშმარიტება უნდა გამხდარიყო ჩემთვის. ასე გავიზარდე სახლში, უფროსისადმი უსიტყვო მორჩილებისა და ქედმოდრეკის გარემოში.

გაიარა რამდენიმე თვემ იმ სამახსოვრო დღის შემდეგ და უკვე აღარ ვიცოდი, რა დამერქმია მისთვის — ტრაგიკული თუ ბედნიერი.

ამის შემდეგ უსათუოდ მახსენდება ხოლმე ის ზაფხულის ნავსიანი სალამოც, როცა გვანცაზე გამწარებულმა, ეკლესიის ეზო მივატოვე და ის ცემაც, რის შემდეგაც თავიწეულ სიარულს დაეჩვივე. აღარავის ვერიდებოდი და არც მეშინოდა. თქვენი ბიჭი გთოვსხენდაო, ეუბნებიან ხშირად დედაჩემს ჩემი მასწავლებლები ან ნაცნობები, ჩემს თავდახრილ სიარულს, მოთმინებას და უსიტყვო მორჩილებას დაჩვეულნი. ყველა ზე საშინელი კი ისაა, რომ დედაჩემმა, მამაჩემის დესპოტური ხასიათით წამებული, დღეს თვითონ მიქადაგებს, მორჩილი და გამგონე უნდა იყოო.

შეიძლება ძალზე კატეგორიული ვარ ჩემს მოთხოვნებში, მაგრამ მე უფრო ურთიერთპატივისცემის მომხრე ვარ და ჩემს შვილებსაც ამ გაგებით აღვზრდი.

ერთხელ ყველაფერი ეს დედას ვუთხარი. ჯერ გაეცინა, მერე კი მთელი კვირა მეკითხებოდა, რა გაწყენინეო?.. ვერ გამიგო! დედაჩემისათვის ყოველთვის, ალბათ ისევ ის (როგორსაც მზრდიდა) უნინიციატივო, პატარა ბიჭი ვიქნები.

●

შემცივდა. სიცივემ გამომაფხიზლა. იტყობა, ჩამთვლიმა. წყალი სულ გაცივებულიყო. წამოვდექი, აბაზანის სარქველი გავხსენი და ცივი წყალი გავუშვი. ბილო შხაპი სწრაფად დავიბანე ტანი. მერე ცხელი წყალი გადავატეხ. რამდენიმე წამს გავუძელი ცივი... ... წვიმას, დაფუფქულივით ამოვხტი აბაზანიდან და ხაოიანი პირსახოცით გაწითლებამდე ვიმშრალე ტანი.

გვერდით საპირფარეშოში, ავზიდან დაშვებული წყლის ჩხრიალიც მოისმა, მერე კარმაც გიიჩხაკუნა. გვანცა მოსულა! — გამიელვა გუნებაში. — ეს ნამდვილად გვანცა იყო, მხოლოდ გვანცამ იცოდა ასე, საპირფარეშოში შესვლა — ჯერ წყალს ჩაუშვებდა, მერე კი ჩაიკეტავდა კარს.

ხალათი გადავიცვი და ჩუმად გავედი ჩემს ოთახში. არ მინდოდა დედას და გვანცას ჩხუბისთვის დამეგდო ყური, ანდა უარესი, ამ ჩხუბის მონაწილე გავმხდარიყავი. „დაგწყდით ლოდინით! შენმა ძმამ ნახეგარი თბილისი შემოირბინა შენს ძებნაში“ და ასე და სხვა ამგვარი... რაც არც გვანცას სჯეროდა და, რაც მთავარია, არც დედა იყო დარწუნებული, რომ ეს სიტყვები რაიმე გავლენას მოახდენდა გვანცაზე. თუმცა მაინც ყოველთვის ყველაფერი თავიდან მეორდებოდა. ჩემს ოთახში შევიყუჟე, სინათლე ჩავაქრე და ჩავწექი. ახლა აქ რომ შემოსულიყვნენ ჩხუბის გასაგრძელებლად, ალბათ თავს მოვიმძინარებდი. — რატომ? მე ხომ არც დედაჩემისა მეშინოდა, არც გვანცასი? შეიძლება სხვებისთვის მეთქვა, ეს ჩემი საქმე არ არის, ქალების ჩხუბია და ჩარევის უფლება არა მაქვს-მეთქი. მაგრამ ეს ხომ ტყუილი იყო. მე ჩემ თავს ვუფრთხილდებოდი. მერე სად?.. სახლში! ჩემიანებში, სადაც არავითარი საფრთხე არ მელოდა. მაშ, რით ვჯობდი მე იმ „პატიოსან“, „სუფთა“ მოქალაქეებს, რომლებიც ქუჩაში ჩხუბის დროს სასწრაფოდ გმანავდნენ ფანჯრებს და სანთლეს აქრობდნენ? ან კიდევ იმათ, ვინც ქუჩაში ყოველგვარ უმსგავსობას ჩიუვლიდნენ გვერდს, თითქოს მოძალადეს, ქურდსა თუ ავაზაკს უსიტყვოდ ეთანხმებოდნენ ყველაფერში და თავისი წესიერი უმოქმედობით უფრო

მეტად აგულიანებდნენ და ასასტიკებდნენ?

დედაჩემი ყოველდღე ჩამიჩიჩინებდა: ეგ შენი საქმე არ არის! მაგისთვის მილიცია არსებობს, შენ სხვა მიზნები გაქვსო! მაგრამ მე მისი არ მჯეროდა და თუ შესაძლოა იმის თქმა, რომ შვილმა დედას აპატოს, ამნაირ გრძნობებს განვიცდიდი, სწორედ მაშინ, როცა დედა ასეთ ქცევას მიქადაგებდა. ეს ხომ დედა არ იყო, მე მისი შიში იყო. შიში ლაპარაკობდა, დედა თავისებურად მიცავდა და ცდილობდა, ყოველივე ცუდისაგან იმთავითვე დავეფარე...

დედა ყოველთვის ჩემ გვერდით იყო... მე მუხლებგაყვლეფილი ვეგდე. ნიკელდაფხაჭნილი ველოსიპედი მეორე მხარეს ბორგავდა. დედა კი ყველას ასწრებდა, პირველი მორბოდა, ყველაფერს თავად იბრალებდა.

მაშინაც იქ იყო, მაგიდის ქვეშ რომ ვიყავი შემძვრალი, მამა მაგიდაზე მუშტებს აბრაგუნებდა, დედა კი მიცავდა, იბრალებდა უჯრების გაღებასაც და ყველა ჩემს ნამოქმედარს, რისთვისაც დასჯა მელოდა. დედა იქ იყო, ჩემს გვერდით, მე რომ შემეშინდა ავი ძაღლისა და გულით იგრძნო, საფრთხეს ამარიდა... დედამ ცურვა არ იცოდა და დასახრჩობად განწირული გამომტაცა მდინარეს... ქუჩაში სამნი ერთსა სცემდნენ და წაქცეულს იმდენ ხალხში მხოლოდ ის გამოესარჩლა.

მაშ რისგან იყო ასეთი სხვაობა მის სიტყვებსა და მოქმედებაში? ქვეშეცნეულად ალბათ დედასაც სჯეროდა ჩემი. ხომ ხშირად დამინახავს, რა სიხარულით და აღფრთოვანებით მიცქერდა საცურაო აუზიდან გამარჯვებით ამოსულს და როგორ ექებფრებოდა სახე თუ ვინმე მჯობნიდა, წინ მისწრებდა ან მჩაგავდა. რა სასოებითა და სიამაყით უჩვენებდა სტუმრებს ჩემს ყველა სიგელსა თუ დიპლომს!...

სასადილო ოთახიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოისმოდა დედას და გვნაცას აღგზნებული ხმები. ხმაური თანდათან მატულობდა. ასე თუ გაგრძელდა, მამას გაალვიძებენ! — გავიფიქრე და გაშაყრელა. მე ხომ უკვე მზად ვიყავი, დიდი ხანია, შურისძიებისათვის ვემზადებოდი. ყოველდღიურად სხეულსა და სულს ვიკაჟებდი, ვივარჯიშებდი... ჯერ სახე არ მქონდა მორჩენილი, ჩალურჯებულ კანზე „კრემპუდრის“ ვიდებდი, ნაგრამ უკვე მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, აღარავის არაფერს შევარჩენდი. განსაკუთრებით მათ, ვინც ყველაზე მეტად მატკინა გული...

ის კაცი, მე რომ მიმბეგვა, უნდა მეცემნა, გამეხადგურებინა და მერე, ისიც — მამაც, დიახ მამაც! არც ერთ სიტყვას აღარ ვარჩენდი, არც ერთ კუშტი გამოხედვას, მბრძანებლურ კელოს... ჩვენ თანაბარნი არ ვიყავით, არც გავხდებოდით, მაგრამ ჩვენს შორის პატივისცემა უნდა ყოფილიყო და არა ასეთი დამამცირებელი, უტყვი მორჩილება ჩემი მხრივ.

უამისოდ ვერ გავხდებოდი კაცი. უამისოდ ვერასოდეს გავიმართებოდი წელში. შინ დაბეჩავებული და დამცირებული, სხვაგან უარესის მოლოდინში უნდა ვყოფილიყავი. ჯერ სახლიდან წასვლა და ახალი ცხოვრების დაწყება მინდოდა, თუმცა ეს ხომ გაქცევა იყო. მამას გავექეცოდი, მის მბრძანებლობას თავს დავაღწევდი, მაგრამ საკუთარი თავი, საკუთარი შიში და მორჩილება ხომ თან გამყვებოდა? ჩემს თავს, ჩემს სისუსტეს, სიძაბუნეს ყველას ვუჩვენებდი.

ქუჩა აღრინდელივით საიდუმლოებით მოცული, მომნუსხველი აღარ მეჩვენებოდა. „ქუჩის ბიჭებიც“ გავიცანი და დავიიმახანაგე. ბევრს ვჩხუბობდი. მიზეზი უამრავი იყო. ქუჩაში ჩხუბის მიზეზი ყოველთვისაა თუ ჩუმად არ ხარ, თუ არ გეშინია დაინახო ის, რასაც თითქმის ყველა თვალს არიდებს,

მიხო მორჩილაძე
ნიკას ოთხი დღე

თუ ძალა მოგეცა, გულთან მიიტანო სხვისი ტკივილი, სხვისი ცრემლი...

არ მეშინოდაო, — რომ მესმის, გული მერევა. ამის მთქმელ კაცს არაფერში ვენდობი, არაფერს დავუჯერებ! მეშინოდა, მეშინოდა და მერე როგორ! პირველად, როცა აბრჯყვიალებული დანის პირი დავინახე; ლამის მუხლები მომეკეცა, დამბრა დამეცა. კიდევ კარგი, ეს იყო წამით. ჩემდაუნებურად ხელი ვტაცე დანიან მაჯას. ამასაც შევეჩვიე. ალბათ ასევე ეჩვევიან ზმამიან გველებს. გამოწერილი მქონდა პოლონელი კულტურისტების ჟურნალი «Sport dlia vhistkich» და იქიდან სამბოს ილეთებს ვსწავლობდი. ცურვის წინ, მოიელვისას, მე და ის „ქუჩის ბიჭი“ ვამუშავებდით სხვადასხვა ხერხს. ცოტა ხანში მთელი ჯგუფი აგვყავა. ისედაც თხელ ქაღალდზე დაბეჭდილი პოლონური ჟურნალები სულ შემოგვეძენძა ხელში. მერე ჩვენ თვითონ ვუმატებდით სხვადასხვა ილეთს და დანებით ვარჯიშიც დავიწყეთ, მაგრამ ერთხელ მწვრთნელი შემოგვესწრო და სასტიკად ავგიკრძალა ასეთი გართობა. ყველაფერი კი იმ ცემიდან ერთი კვირის შემდეგ დაიწყო. დედამ პურზე გამგზავნა. შუადღე იყო. პურის მაღაზიები ყველგან ვაჭრობდნენ. მაგრამ მე მანც ჩემს ყველაზე საძულველი უბნისაკენ გავწიე. იქ, პურის მაღაზიის პირდაპირ ყოველთვის ერთი და იგივე ბიჭები იდგნენ. ყველა ჩემზე უფროსი იყო. ერთი ორი ჩემი ასაკისა კი დამხმარედ ჰყავდათ. უმეტესად გამელეგამომვლელს, ვინმე ათვალისწინებულს ამოირჩევდნენ და თავისებურად დასცინოდნენ. პატარა ბიჭებს არჩეულ მსხვერპლს მიუგზავნიდნენ და მერე თვითონ მიჰყვებოდნენ. მე შორიდანვე მცნობდნენ. ხან რას მიგონებდნენ, ხან რას. უმეტესად, საწყლად ვუღიმოდი და თავის დაძვრენის ათას ხერხს ვიგონებდი. ან თვითონ რომ მობეზრდებოდათ ჩემი წვალება, წრეს გახსნიდნენ და გზას მითმობდნენ. ყველაზე უარესი კი მერე ხდებოდა, თავი სამშვიდობოზე გასული რომ მეგონა, უეცრად ან ვინმეს ოსტატურად ნასროლი სიგარეტი მომხვდებოდა, ან ვაშლის ნაფაქვენი, ან ვიღაც მომეპარებოდა და მწარედ ამომარტყამდა პანღურს. პირველად საჩხუბრად გავიწიე, მაგრამ უცებ გამაკავეს, მეგობრულად გამიდიმეს, რამე ხომ არ გეწყინოს? მკითხეს და ასე ტკბილათათაფლული ენით იმდენს მელაპარაკნენ, სანამ ხელები არ მომიდუნდა და ერთი სურვილიღა დამრჩა — სასწრაფოდ გავცლოდი იქაურობას. საქმე ის იყო, რომ მერჩივნა ვეცემე, სისხლი დაედინოთ, ოღონდ ჯავრის ამოყრის საშუალება მქონოდა. არავითარ შემთხვევაში... ჯერ გამამწარებდნენ, მერე განქრევის საშუალებას არ მაძლევდნენ და დაყვავებითა და ტკბილი ენით უარესად მაცოფებდნენ. სამ-ოთხს ვეშირე. დანარჩენები სიცილით იფხრიწებოდნენ. ვერაფერს გავხდი. მერე, ლამის ჩემი თავი დავარწმუნე, მათი მომრევი რომ არ ვიყავი და სულ იმას ვცდილობდი, იმ ადგილას არ გამეელო... იმ დღეს, ცემის შემდეგ პირველად ქუჩაში გამოსული კი, პირდაპირ მათკენ გავემართე. შორიდან დამინახეს, ჯერ სიხარული შეეტყოთ, ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს და დასახვედრად გაემზადნენ. ასეთ შემთხვევაში მე ქუჩის მეორე მხარეზე გადავდიოდი. ისე ვიქცეოდი, თითქოს ვერავის ვხედავდი და ჩემს საქმეზე მიმეჩქარებოდა და ხანდახან ვუსხლტებოდი ხოლმე ხელიდან ჩემს მწვალებლებს. მაგრამ ის დღე სულ სხვა იყო. მე მთკენ მიგდიოდი და არათუ თვალს ვარიდებდი, პირიქით, დაკვირვებით ვათვალიერებდი, ყველა ჩემი მწვალებელი იქ იყო თუ არა.

ჩემს დაჟინებულ მზერას ვერ გაუძღეს. შეიძლება ჩემი ჩალურჯებული, ნაცემი სახის ბრალიც იყო. ყველამ თვალი ამარიდა. წრეში შევედი (იმ წრეში, სადაც თავის დაძვრენა ხშირად ნატვრად მქონდა გადაქცეული),

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილი მოვიტკეპნე და გამარჯობა ვთქვი. რამდენიმემ მიპასუხა. მერე პერის მაღაზიაში პური ვიყიდე და სახლში წავედი. ამის შემდეგ აღარავის დავუცინივარ.

ბნელი ოთახის დუმილის ბევრს ეშინია. მეც მეშინოდა. დედაც ბევრს მეხმარებოდა, ყოველგვარი შიშის გაღრმავებაში. აქ მთავარია, ერთხელ გაბედო და ამ სიბნელეში შეაბიჯო. პირველი ნაბიჯია ყველაზე ძნელი, ყველაზე გადამწყვეტი, მეშინოდა, ჯერ მეშინოდა. მერე პირველი მე ვიცინოდი. შიში დავძლიე, მაგრამ ეს არ იყო მთავარი. მე დაბმული ვიყავი. ათასი მცირე და დიდი ჯაჭვით შებოჭილი. ჩემს შიშზე ახალი გამარჯვება ამსხვრევდა ამ ჯაჭვებს და ახალ დაბრკოლებათა გადასალახავად მიბიძგებდა.

ამბობენ, ძაღლი გრძნობს, მისი შიში ვისა აქვს, და ზუსტად იმას კბენსო. ამაში დარწმუნებული ვარ, იმტომ რომ ზშირად ჩემს თავზე გამომიცდია ნათქვამის სისწორე. რაც უნდა დამერწმუნებინა თავი, არა, ეს ძაღლი არაფერს მერჩის-მეთქი, მაინც მიიახლოებისას თმა ყალაზე ამიდგებოდა და სახის კანი ამეწვებოდა ხოლმე. ძაღლი სხვებს ზედაც არ უყურებდა, მე კი მიღრენდა. ხანდახან მკბენდნენ კიდეც, ერთხელ, ქუჩის კუთხესთან, ჩიხში ღრენით შემიმწყვდია ერთმა ღოჯებგადმოყრილმა ჯარაში ნაგაზმა. რამდენჯერმე ლამის შემახტა, გაავებული მიღრენდა და კბილებს მიკრეჭდა. უკან დასახევი გზა რომ მომესპო, ჩემში რაღაც უცნაური გარდატეხა მოხდა. შიში გამიქრა და სასოწარკვეთილების მაგიერ ნიაღვარივით მომსკდარი ბრაზი ვიგრძენი. აღარ მახსოვს, როგორ ვეცი. ძაღლი შეშინებული წკმუტტენით გაიქცა, მე კი გაკვირვებული ვათვალიერებდი ძაღლის ქეჩოდან ამოგლეჯილ ბალნებს, ხელში რომ შემრჩენოდა. ადამიანებიც ალბათ ასეთები არიან. შენ რომ გეშინია, მოწინააღმდეგე ამას შორიდანვე გრძნობს. თითი არ დაუკარებია შენთვის და უკვე მისი ტყვე ხარ, ოღონდ ეს-ეს უნდა, იმას გიზამს. ასეთ ძალთა-რეობაში მყოფს, ყველა დაგიმორჩილებს. მნიშვნელობა არა აქვს, ფიზიკურად ვინ უფრო ძლიერია. ალბათ ძალადობის ნახევარზე მეტი იმიტომაც ხდება, რომ ერთნი ნებაყოფლობით ეგუებიან მსხვერპლად ყოფნას, ხოლო მათი შიშით გათამამებული მოძალადე ათასჯერ საზარელ მხეცად იქცევა, ვიდრე ეს მას თავად ჰქონდა ოდესმე წარმოდგენილი.

ამ დროს ერთადერთი წამალი გამწარება. იმ ქეციან, ღოჯებგადმოყრილ ნაგაზს ასე რომ არ გავემწარებინე, ალბათ დღემდე ძაღლების შიშს თავს ვერ დავაღწევდი. კიდევ ერთი რამ ალმოვაჩინე: ჯერ არ მინახავს უზარმაზარი, თავის ძალებში დარწმუნებული, მეფურად მოსიარულე დოგი ვინმეს საკბენად გაჰკიდებდეს, ან უმიზეზოდ ყეფა დაეწყოს. პატარა, სუსტი ფინი კი, სულ წკავწკავებს და ერთი სული აქვს, სანამ თავისი ნემსა კბილებით ვინმეს შარვლის ტოტს ჩამოახევდეს (ეს განსაკუთრებით მაშინ, თუ შეგაშინა!...) შეიძლება ვცდები, მაგრამ ადამიანებშიც ასეა: ფიზიკურად და სულიერად ძლიერი, მასზე სუსტის დაცინვას არასოდეს იკადრებს. პირიქით, ბევრს ვიცნობ ზშირად უმიზეზოდ რომ აუტეხენ ხოლმე ჩხუბს ბევრად უფრო ძლიერს (და, რაც მთავარია, მართალს), მხოლოდ იმიტომ, რომ მათზე გამარჯვებით თუნდაც ცოტა ხნით მაინც დაარწმუნონ საკუთარი თავი — ისინიც რაღაცას წარმოადგენენ. თუკი ასეთ ძლიერს ჩხუბის ატეხა გაუბედეს ანდა, რაც არც თუ ისე ზშირად ხდება, გაიმარჯვეს კიდეც. ბევრი ამიტომ მთვრალებს უტეხს შფოთს, დაბაცალებულ კაცს, აბა, რა შეუძლია?! ზოგჯერ რამდენიმე კაცი ერთს ესხმის თავს. ერთი კბენს, სხვები კბილებს აკრაჭუნებენ, შესაზარი

მიხო მორჩილაძე
ნიკაა ოთხი ლღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანახაობაა, ხომ? თურმე, არა! საკმარისია, მათ შორის ყველაზე გაბედულს ხელგრა აბრუნებინონ, ან უგრძნობლად დასცეს, რომ დანარჩენი წამსვე შემოგეცალონ და ხვალ მოწიწებით დაგიკრან თავი. მაგრამ უნდა გაბედო, "შიშსა სძლიო და...

სასადილო ოთახიდან ხმაური უეცად შეწყდა.

— რა ამბავია, რომ არ მაძინებენ!

— გაისმა მამის ბუხუნა ხმა და უნებურად თავი ბალიშში უფრო ღრმად ჩავრგე, შევკრთი და ტანში შიშის ჟრუანტელმა დამიარა.

—არაფერია, არაფერი! ნერვები აღარა მაქვს, საკუთარ შვილებს წყნარად ვეღარ ველაპარაკები!... — დედა ამბა რა დედაჩემი იქნებოდა, სხვანაირად რომ ეპასუხა.

გამეღიმა ბალიშში თავჩარგულს. მგონი, ყველაფერი კარგად უნდა დამთავრებულიყო, რომ უეცრად გვანცამ ისევ ამოიღო ხმა და ორივეს ეცა, სიტყვების ისეთი კორიანტელი დააყენა, რომ მეც უნებურად წამომაგდო ლოგინიდან.

„რას აბრაზებს ეს სულელი მამას!“— გავიფიქრე და გაღიზიანებულმა დავიწყე ჩაცმა. საქმე ის იყო, მართალს ამბობდა, თითქმის ჩემს სათქმელს ამბობდა, მაგრამ მე ისე ვიყავი შეშინებული, ხმის ამოღებას ვერ ვბედავდი.

— ყოჩაღ, გვანცა, ყოჩაღ! — ვბუტბუტებდი, თან პერანგის ღილებს ვიკრავდი. ფეხსაცმელს ვიცვამდი. გვანცამ საოცრად რომ აუწია ხმას — ახლა თითქმის კიოდა — ახლავე, მეც ახლავე გამოვალ-მეთქი — ვამბობდი ჩემთვის. კარი რომ შევაღე, დედა გვანცასა და მამას შუა იდგა და მამას ემუდარებოდა, დამშვიდებულიყო.

— ერთი ამ ქრისტეს მოციქულს დაეხედეთ! შენ რაღა გინდა აქ?! — ჭკაცრად მკითხა მამამ და დაცინვით ამითვალიერ-ჩამათვალიერა. მამა მიყურებდა, თვალებით მბურღავდა. სახე ამეწვა და თმა ამეშალა.

— ნიკა მე მეთანხმება. დიახ, დიახ! სულაც არ არის ისეთი ლენინი, [illegible] რომ მეგონა! — აყვირდა ისევ გვანცა.

მერე ყველაფერი აირია, კარუსელივით ატრიალდა. მამა გვანცას ეცა, დედა ისევ იმათ შუა გაჩნდა. სამივენი იქვე, დივანზე დაგორდნენ. დედა გვანცას ეფარებოდა, მამა კი ორივეს გამეტებით ურტყამდა. მე მამას დავწვიო, დედას ავგალიჯე, ჩემკენ შემოვატრიალე და მთელი ძალით გავუქნე მარჯვენა. მამა უკან გადაქანდა, მხრით ოთახის კარი გაიტანა და დერეფანში ზურგზე დაეცა.

— არ მინდოდა მამა, არ მინდოდა! — ვიყვირე და მისკენ დავიხარე, რომ წამომეყენებინა. გაწეგდილ ხელებზე დამეჯდა, ეტყობა, სამაგიერო უნდა გადაეხადა. ხელები გამოვგლიჯე, ტაატუში საკიდიდან მოვიტაცე, ქუდს ხელი დავავლე და ქუჩაში გავვარდი.

მე ხომ არ მინდოდა. ხომ არაფრით ასე არ მინდოდა, ვემზადებოდი, დიდი ხანია ვემზადებოდი... მაგრამ სულ სხვანაირად მქონდა წარმოდგენილი ჩემი და მამაჩემის დაპირისპირება. მე ბრძოლა მეწადა, ნამდვილი ბრძოლა და არაფრით არ მინდოდა მამა ასე დაცემული, დამცირებული მენახა. რატომღაც მეგონა, რომ ჩვენ საუბარში გადავწყვეტდით, მერე კი მამაკაცურად. გავრკვევდით ყველაფერს.

თოვას უკვე გადაეღო, მე მივრბოდი, ფეხები კოჭამდე მეფლობოდა თოვლში.

რაღაც შეიცვალა! რაღაც გარდატეხა მოხდა.

რუსთაველზე ჩავრბინენ და გავჩერდი. მივხედი, მამაჩემის აღარ მეშინოდა. მეცოდებოდა მხოლოდ. აღარც ჩანელებული კუთხეების, აღარც საეჭვოდ მოქანავე გამელვლებისა არ მეშინოდა და აღარც არავინ ძძულდა! სიძულვილი, შიში, თვითდამცირების გრძნობა და შეპობილობის წლობით გამჯდარი მსახვრალი ტკივილიც სადღაც გამიქრა, პირველად ვგრძნობდი

ისეთივე მსუბუქად და თავისუფლად თავს, როგორც სიზმარში, წითელ ველოსიპედზე ამხედრებული. მე კეთილი ვიყავი, არაგითარი სიძულვილი აღარ იყო ჩემს სულში, ისევ მივრბოდი. თოვლზე მივსხიალებდი, ვიცინოდი და რაღაც კარგსა და საამო სიმღერებს ვმღეროდი.

თათიას სახლის წინ თოვლით შეფიფქული ნაცნობი მანქანა იდგა.

„თამაზი?! — არა, ეს შეუძლებელია!“ — გავიფიქრე. ხომ შეიძლება, მანქანა ამი იყოს? მინაზე თოვლი ხელით ჩამოვხეტეტე და შიგ შევიხედე. მანქანა ცარიელი იყო, ნომერს დავაკვირდი, კიდევ არ მჯეროდა. ნომერიც თამაზის იყო და მაინც არ მჯეროდა, არ მინდოდა დამეჯერებინა.

ალბათ თამაზმა მანქანა სახლამდე ვეღარ აიყვანა და აქ დატოვა... როგორ მინდოდა, რომ ასე ყოფილიყო. როგორ მინდოდა, რომ თათიაზე ცუდი არაფერი მეფიქრა. ფანჯრებს ავხედე. სინათლე არსაიდან გამოდიოდა. „თათია მარტოა და სძინავს, თათია მარტოა და სძინავს“! ვარწმუნებდი თავს, — თათია მარტოა და სძინავს! — გავიმეორე ხმამაღლა.

მეშინოდა, აქაც მეშინოდა. მარტო ბაღლისა და კაცის, ან ჩაბნელებული შუასის და მობანცალე ჩრდილების ხომ არ ეშინია ადამიანს. უფრო საშიშ საკუთარი რწმენის გაქრობის შიშია. ამ შიშმა გამაქვავა და ზუერგი მაბრუნებინა. მივდიოდი და ვგრძნობდი, რომ შიშის ადგილს უფრო სხვა, მძლავრი გრძნობა იჭერდა. „ბევრს ეშინია ცუდის გამეღვიძებისა, მე კი ძლიერი ვარ, ძლიერი ვარ! — გავიფიქრე, — ყველაფერი უნდა ვიცოდე! ყველაფერს ავიტანთ!“ — მეტკინა, ძალიან მეტკინა გული და ალბათ ამან გამათამამა ასე.

— თათია, თათია! — დავიღრიალე და მისი სახლისკენ გავექანე.

— თათია, თათია!—ვყვიროდი და კიბეზე მუშტებშემართული ავრბოდი. კარი გაიღო და ზღვრბლზე თათია გამოჩნდა, გრძელი ღამის პერანგი ეცვა და ერთიანად ცახცახებდა.

— რა მოხდა, ნიკა? რა იყო? — მე კი არ მომმართა, უფრო დავისთვის იკითხა.

ხელი მოკიდე. ბუმბულივით მჩატე აღმოჩნდა, ერთი მოქნევით ჩოგაშორე გზიდან და ბნელ დერეფანში შევალაჯე.

— გამოდი! — დავიღრიალე რაღაც არაადამიანური ხმით და ოთახის კარის სახელურს ვწვდი. თამაზი შარვალში იტენიდა პერანგის ბოლოებს, მე რომ შევვარდი.

— ეს შენა ხარ, ლაწირაკო! —წამისისინა და ირიბად მომიქნია დანიანი ხელი. მომეჩვენა, თითქოს მარჯვენა ლოყაზე წყალი შემასხეს, მეორე მოქნევა აღარ დავაკალე და დანიან ბაჯას მარცხენა ხელი ვუტაცე. მარჯვენა იდაყვს ქვემოთ ამოვუტარე და მაჯაში მეორე ხელითაც ვწვდი. დანა გაუვარდა ხელიდან, სამაგიეროდ, ფეხი ამმარტყა ლაჯებში. კიდევ კარგი, გვერდით ვედექი და ფეხი მაგრად ვერ მოიქნია. მაჯაზე ხელი არ გამიშვია, უფრო ძლიერ დავქაჭე და თამაზი ბღავილით დაეცა, უმოწყალოდ ვურტყამდი და იმან უფრო გმაცოფა, როცა შეგატყვე, წაქცეულს მეორედ უნდოდა ლაჯებში ფეხის ამორტყმა. ჯერ მიჭერდა, მერე ხელები მოუდუნდა, განზე გადაყარა და წინააღმდეგობა შეწყვიტა. გაფითრებული თათია დირეს მიყრდნობოდა და უაზრო თვალებით გვიყურებდა.

ავდექი. თამაზი თრევა-თრევით გავიყვანე დერეფანში და თოვლით სახე მოვწმინდე. ეტყობოდა, მოსულიერდა, მაინც თავს იკატუნებდა, მერე საკუთარ მანქანამდე მივიყვანე და უკანვე მოვბრუნდი. კარი ჩავკეტე, ტყაპუჭი საკიდზე ჩამოვკიდე და ოთახში შევედი. თათია სადაც იდგა, იქვე ჩამჯდარიყო და სლოკინ-სლოკინით ტიროდა. გვერდზე დავუჯექი, თავზე უხერ-

ბიჩო ბოკრილაძე
ნიკას ოთხი დღე

ხულად გადავუსვი ხელი და შეგკრთი. ერთხანს ასე ვიჯექით, მერე თათია წამოდგა და გაბნეული ნივთების მოწესრიგება დაიწყო. რამდენჯერმე მომიახლოვდა, ეტყობოდა, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ გამიბედა. ოთახის მილაგებას რომ მორჩა, ჩემთან მოვიდა და ხელი მომკიდა.

— წამო, პირი დავიბანოთ!

ცივი წყლით სახე რომ ჩამოვიბანე, ლოყა მაგრად ამიწვა.

— მე მეგონა, მოგკლავდა, დანა რომ მოგიქნია, — მითხრა თათიამ და ლოყაზე ლეიკოპლასტირი დამაკრა...

— მერე?

— არ გახსოვს, როგორ წაართვი? აი,—მიჩვენა ფერადტარიანი, ოდნავ პირ მრუდი დანა. ორი თითით ზიზღით გამოვართვი, აივნის კარი გამოვაღე და თამაზის მანქანის მიმართულებით ვისროლე.

— არაფერი არ მახსოვს! არ მინდა მახსოვდეს, გაიგე? — გაჯავრებით შევხედე და ხელები საპნით დავიბანე.

— აბა, რა გახსოვს? —

— თამაზი იგინებოდა!..

— ჰო, იგინებოდა! მართალი ხარ... არასოდეს მეგონა, თუ ასეთი ჩხუბი შეგეძლო... შენ რომ შემოგვივარდი, ის იყო სუფრა ავალაგეთ და თამაზი იხდიდა...

— არ გინდა. თათია!..

— კარგი, აღარ ვიტყვი, არ გატყუებ!.. მე იქნება, ჩემს თავს უფრო ვატყუებ... თამაზმა ბეჭედი მომიტანა. ვიცოდი, რომ მატყუებდა, ის ი მ ი ს საფასური იყო და მაინც... შენ ხომ არ იცი, რა ძნელია... შენ ხომ არ იცი, როგორ უნდა ყველა ქალს, რომ ცოტათი, ოდნავ მაინც ვინმეს უყვარდეს... ტყუილა მაინც... ხანდახან მოგატყუოს მაინც ვინმემ... უფრო მაშინ, როდესაც გული სავსე გაქვს სიყვარულით... უსასყიდლოდ მისცემ ყველაფერს, ოღონდ ერთხელ მაინც... ოღონდ რითიმე იგრძნო, რომ ეს ვინმესთვის საჭიროა, ვინმეს უნდა...

— ყავა გაქვს? — უმისამართოდ ვიკითხე.

— მაქვს, ყავა მაქვს!

მერე მე ყავას ვფქვავდი, თათიამ გახეული პერანგი დამიკერა, სისხლიანი ლაქები ამორეცხა და უთოთი ამოაშრო.

მერე ქუჩისპირა ოთახში, დივანზე ქვეშაგები გამიშალა და სინათლე ჩამიქრო. დიდხანს მესმოდა სააბაზანო ოთახიდან შხაპის მონოტონური შეილი.

უეცრად რაღაცა ცივი შემეხო მკლავზე და გამომაფხიზლა. თათია დედიშობილა იჯდა დივანის კიდეზე და ცახცახებდა.

— მეცივა! — კბილების წკაპუნით მითხრა, — შენთან მინდა!

კედლისკენ მივიწიე და სუნთქვა შეწყვეტა. თათია საბნის ქვეშ შემოძვრა, გაიჯიმა.

ასე ვიწექით, მისი ტანის ცახცახი ლამის მეც გადმომედო. მისი თმა სახეზე, მხრებზე მეხებოდა და უსიამოდ მბურძგლავდა.

— გეზიზღები?.. მითხარი, ჰო-თქო! ხომ გეზიზღები? ხომ არ შეგშინებია, თამაზის ხომ არ შეგშინებია, ხომ სცემდი, ხომ უყვიროდი, ახლაც ამოიღე ხმა, რამ გაგაჩუმა?!.

თათია მეცა, მეხვეოდა და მკოცნიდა, ხვევნიდან ცემაზე გადავიდა. მკბენდა, თავს მირტყამდა. საბანი ძირს გადაგვივარდა. მაინც გატრუნული ვიწექი. თათია წამოიჩოქა და უეცრად თამაზის სიტყვებითა და კილოთი გინება დამიწყო.

აქ კი ვეღარ მოვითმინე. ჩემი მოქნეული მარჯვენა სახეში მოხვდა და ტუჩნიკაპზე სისხლი შავად დაეღინნ.

— კიდევ, კიდევ დამარტყი! — შემეხვეწა და მარჯვენა ხელისგულზე მაკოცა.

წამოვდექი, თათია ხელში ავიყვანე და ონკანთან მივიყვანე. ცივი წყლით ჩამოვბანე სისხლი. მერე სამზარეულოში გავედი, ძმარ-წყალში ჩემი ცხვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რსახოცი დავასველე და სახე მოვწმინდე. პატარა ბავშვივით ატატებული ოთახში შევიყვანე და ისევ დივანზე დავაწვინე.

— არ წახვიდე!

— კარგი.

— დაწექი!.. — საბანს დასწედა. — ასე ჩაგეხუტები და დავიძინოთ...

— კარგი...

— ჩემი თმა ხომ არ გიშლის?

— არა...

თათია კიდევ უფრო ჩამეკრა, ჩამეხლართა და ტუჩებით ყურის ბიბილო მოძებნა.

ტკბილმა ქრუანტელმა ნელი ცეცხლით ამიწვა სხეული. სითბო ტალღტალღა მოდიოდა და ტერფიდან თმის წვერამდე უჩვეულო, ტკბილ ბურანში მხვევდა. დაძაბულობა გამიქრა. ტანი ნელ-ნელა მომეთენთა, მომეშვა. წონა დავკარგე, საოცრად ავმსუბუქდი და დიდი ხნის მივიწყებულმა მათრობელა შეგრძნებამ ამიტაცა და გამაქროლა. ალარ იყო სულთამხუთავი შიში გაუბედაობისა. შებორკილობის გრძნობაც გამქრა...

...ველოსიპედი მიჰქროდა. სწრაფად, უფრო სწრაფად...

სურათები: ზოოპარკი, ცირკის მისასვლელი კიბე, კოჯრის გზა, პატარა ტყეები ერთმანეთს ენაცვლებოდა და ანაზდად ვიგრძენ, ცაში მივქროდი. გარშემო ალარც ნაცნობი ადგილები იყო და მიდამოც უჩვეულოდ შეცვლილიყო. ჰაერში მივქროდი, ქვემოთ სულ დაბლა, ტყეები და სახლის წითელი სახურავები ჩანდა.

ფრენა ცოტა ხანს, წამის რაღაც მეათედები გაგრძელდა. მე ვიცოდი, ვიცოდი, რომ ეს სიზმარი იყო ბედნიერება თავისუფალი ყოფისა ჯერ ვერ შემეგრძნო, ვერ ამეთვისებინა და უკვე ისევ სინამდვილე, მკაცრი სინამდვილე მესახებოდა. ფიქრი ასწრებდა სიზმარს. ჯერ ისევ ჰაერში ვქროდი, რომ უკვე **ვგრძნობდი, ეს ჩემი ქროლვა არაფერს** ნიშნავდა, სინამდვილე იქ იყო, ქვემოთ, მოსაწყენ ყოველდღიურობაში...

მერჩინა მოვმკვდარიყავ, დავშლილიყავ, ოღონდ ეს ქროლვა ოდნავ მაინც გაგრძელებულიყო. არ შეჩერებულიყო ასე საშინლად, წყნარად, მოუბრუნებლად...

ვერ მოვასწარი!.. თათია შეირხა და ღია თვალებით უსიამოდ შევიგრძენ ჩაბნელებული, ვეომტრიულად სწორი, მართკუთხა ოთახის დამცინავი ტყვეობა.

თბილი, დამდგარი ჰაერი ჩავისუნთქე და თვალი სწრაფად დავხუჭე, მაგრამ ზმანება გაქრა, ალარც ლურჯი ცა, არც თავბრუდამხვევი ქროლვა, ფრთებდამწვარ იკაროსივით გულალმა ვეგდე, ზემოდან თათია დამწოლოდა, მარჯვენა ფეხით ნებიერად ჩამხვეოდა. ბუხარს მიფიცხებული კატასავით კრუტუნებდა და ამოს ხდიდა ჩემს უბადრუკ ცდას, ისევ ზმანებებს დავბრუნებოდი, სატუსაღოს ჭერი ამეხადა და აქაურობას გავცლოდი. უნებურად ხელი მოვუჭირე და გვერდზე გადავაწვინე.

— ნიკ! მტკივა ეგრე, ნიკ!..

— ჰა?

— გეძინა! რა ტკბილად გეძინა!.. ძილშიაც მეფერებოდი... რა ნაზი ხელები გქონია, ნიკ... რა ნახე სიზმარში?

— ველოსიპედი.

— რა?

— ველოსიპედი, წითელი ველოსიპედი!..

— ოჰ, ეს რა მითხარი, ნიკ! მართლა პატარა ბიჭი ყოფილხარ... თუ მატყუებ?..

— არა! მართლა ველოსიპედი ვნახე...

— მერე?

— ცაში დავქროდი.

— იზრდები... ბედნიერი ხარ, ნიკ!..

— კიდევ რა ნახე?

— ცა, სუფთა ცა!..

— მეტი არაფერი?

ბიჯო მორჩილაძე
ნიკას ოთხი დღე

— არა.

— მე მეგონა, სიზმარშიც ჩემთან იყავი, რომ მეფერებოდი...

— არა!..

— მომეფერე! მომეფერე ისევ, ნიკ! მეც ნინდა, მეც მინდა შენი სუფთა ცა!.. ცოტა ხნის შემდეგ დაგვცხა და საბანი ისევ ძირს გადავუშვით.

— ნიკ!..

— ჰა?..

— იცი, რა მინდა, ნიკ? ოღონდ არ გაგეცინოს!..

— არ გამეცინება, მითხარი.

— ქალიშვილი მინდა გავხდე ისევ, ნიკ, და მხოლოდ შენ გეკუთვნოდე. მარტო შენ!..

— ...

— ნიკ!..

— რა?

— სულელი გოგო ვარ, არა?

— ...

— ნიკ, გახსოვს? ...

— რა?

— გახსოვს, რომ მომიყევი ქრისტეზე, კეთროვანი, გახრწნილი კ ა ტ ა ნახესო გზაზე... ყველამ თვალი რომ აარიდა, ქრისტემ კი გააჩერა მოციქულნი, — შეხედეთ, რა ლამაზი თვალები აქვსო...

— კატა კი არა, ძაღლი... — გავუსწორე მე.

— ნიკ, შენ ქრისტე ხარ და მე ის კატა! ასე არ არის?..

— ასეა, ასე, ჰო.

— ნიკ! როგორ მინდა, ხელახლა დავიბადო, ყველაფერი დავიწყო, ნიკ! მხოლოდ შენთვის, მხოლოდ შენთვის ვიყო!..

— ...

— გეძინება?

— არა!

— გინდა, ყველაფერს მოგიყვები, ნიკ! არასოდეს არავისთვის არაფერი მითქვამს, მხოლოდ შენ გეტყვი.

— არა!

— მიჯავრდები?

— ?..

— მართალი ხარ, ნიკ!.. ვუყვებოდი, თითქმის ყველას ვუყვებოდი, ყველას, ვინც მკითხავდა... მერეო? მკითხავდნენ, მერეო?!.. მე, მე როგორი ვარო?.. მერე მცემდნენ, თუ ვინმეს სიმართლეს ვეტყოდი... შენ არ მეკითხები და მაინც გეტყვი, ნიკ!.. შენ ყველაზე უკეთესი ხარ. მართლა, ნიკ!... მტკივა, ნიკ!.. კარგი, კარგი... მეტს აღარ გეტყვი... ნიკ... ჩემშიც ხომ არის რაღაც კარგი; შემხედე, კარგად დამაკვირდი... იმ კატას მაინც ხომ ვჯობივარ, ნიკ... — აცრემლებული თათია გულზე მომეკრო. — ნიკ! როგორ მინდა ბედნიერი ვიყო!..

— ნუ ტირი, თათი, ნუ, ნუ!..

— კარგი, კარგი.

ოთახი თანდათან განათდა. თათია მოკუნტული, ჩემს მკერდზე მოხუტებული იწვა და სახეზე ჩემი მარჯვენა ეფარა. ქუჩაში შრიალით ჩაიარა რამდენიმე მანქანამ.

— მეძინა?

— არ ვიცი.

— რა ძმიმე ხელი გაქვს, არ გეშინოდა, რომ გაგეუყლიტე? საერთოდაც ძმიმე ხარ. მთელი ღამე ვვეფდით მეწეში და ერთი ტკბილი სიტყვა არ გითქვამს...

— თათია!..

— მაპატიე, ნიკ, მაპატიე!.. ნიკ, რომ იცოდე, შენზე რამდენჯერ მიოცნებია!.. შენ კი მხოლოდ მმეგობრობდი... აი, ასე რამდენჯერ ჩაგხუტებივარ ოცნებით!.. ის დებილიც ხომ შენი გულისთვის დავიბარე, რომ გეეჭვიანა, რომ გენახა, შენს გამო სხვებს როგორ ვაწვალებდი... თამაზი იმწამსვე დაბრუნდა, როგორც კი შინ მიგიყვანა, ქუდი დამრჩაო... ვიცოდი, რა ქუდიც დარჩა, მაგრამ შენ ხომ უარი მითხარი...

...

— კარგი, მეტს აღარ გეტყვი!.. მართალი გიყვარდი, ნიკ?..

— არა.

— ტყუი, ხომ ვიცი. ისე ჩემთან ღამე რად მოხვიდოდი!..

— არა! — გავიმეორე ისევ ყრუდ.

— აბა, რატომ მოხვედი? რად გაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დე თამაზი? რად მოკალი ცემთ? ჩემი გულისათვის სცემე, ხომ?

— თათია! თათია! — გაისმა ქუჩიდან გვანცას ხმა.

თათია ზლაზვნით წამოდგა, ტხვირზე მაკოცა, დასირმული ეარდისფერი ხალათი გადაიცვა, ზემოდან ჩემი ტყაპუჭი მოისხა და აივანზე გავიდა.

— თათია!

— ჰო. ჩემთანაა, ამოდი! — დაღლილი, მოქანცული ხმით ჩასძახა გვანცას და თოთხმეტი შემობრუნდა.

— შენს დას სამზარეულოში გავიყვან, ყავას ავადუღებთ. მანამ ჩაიცვი.

ამჯერად ხელისგულზე მაკოცა თათიამ, მერე ნიკაზზე, მერე ზედა ტუჩზე.

ზარის ხმა გაისმა და მომწყდა, კარისაკენ გაიქცა, გზადაგზა ხალათის შეხსნილ ღილებს იკრავდა.

ძლივს მოვაბენე მთელ ოთახში მიმოფანტული ტანსაცმელი. ჩავიცვი და საბაზარაში გავედი. ხელახლა გავიხადე, ტანი ჩამოვიბანე და ისევ ჩავიცვი.

სამზარეულოში გვანცა და თათია საუბრობდნენ. ქუჩიდან რამდენჯერმე გაისმა მანქანის გაბმული საყვირის ხმა.

— ტაქსაა! — თქვა გვანცამ და სიგარეტის ბოლი წრე-წრე გამოუშვა.

ყავას რომ მოვრჩით, თათიამ ჩემი ტყაპუჭი შემოიტანა და ორივემ მზრუნველად ჩამაცვეს. გვანცა წინ წავიდა.

თათია ჩემს წინ იდგა. ყურადღებით მაკვირდებოდა. მერე ფეხის წვერებზე აიწია, მომეხვია და მაკოცა.

— თათია...

— არაფერი მითხრა, ნიკ! ის აქ აღარასოდეს მოვა. ალბათ სხვაც... არ გგონია?!.. თუმცა, სუსტი ქალი ვარ, ნიკ, შეიძლება, ყველაფერი პირიქითაც მოხდეს, არ ვიცი. არაფერი მითხრა. ვიცი, აქ აღარ მოხვალ. ისიც ვიცი, არასოდეს რომ არავის ეტყვი, თათიასთან ვიწექით... მე მეყვარება... ისე არა, როგორც გუშინ!.. უფრო ძლიერ, უფრო... მაგრამ, შენ მაინც არ მოხვიდე. არ გაფუჭდე, ნიკ...

— ...

— სულელი ვარ, არა?..

— ნუ ტირი!..

— შენ თვითონ ნუ ტირი!

ჩვენ ერთდროულად შევხედეთ ერთმანეთს და უეცრად სიცილი აგვვარდა.

— აღარ მოდიხარ? — გაისმა ქვემოდან გვანცას ხმა.

— მოდის, მოდის!

— დღეს ხომ თამაზის დაბადების დღეა! თავის სტუმრებს რა სიფათით შეხვდება?!. — აუვარდა ისტერიული სიცილი თათიას.

— წავედი!

— ჰო, წადი, წადი...

კიბეზე ჩავედი. გვანცა მანქანაში მელოდებოდა. ახალ ნათოვლზე ტაქსი ზიგზაგებით მიდიოდა. ჭავჭავაძის ალმართამდე მიგვიყვანა და ძრავა გამორთო. მანეთ-ნახევარი ეწერა. სამმანეთიანი გავუწოდე. ეტყობა, ეცოტავა და კარი მიიჯახუნა.

— შეეშვი! — დამასწრო როგორც ყოველთვის გვანცამ და მკლავში ხელი წამავლო. ნელა, ტაატით ავუყევით ალმართს. სახლთან რომ მივედით, ჰასანას უფროსი გოგო ნარგიზა დაგვხვდა ნიჩბით ხელში. კარგი ქართულით მოგვესალმა, თოვლის მომყვანს შეუკურთხა და ტანის ნაზი რხევით განაგრძო თოვლის ხვეტა. კიბეზე რომ ავდიოდით, კიდევ რამდენჯერმე გამოგვხედა.

— მაგასთანაც რაღე ხომ არ გაქვს! — მკითხა გვანცამ და იდაყვზე მხარი გამკრა, — როდის მოვესწრები, რომ ნორმალურ გოგოსთან გავლილი დაგინახო...

— ძალიანაც ნორმალური გოგოა თათია!..

— შენთვის კი!.. თუმცა, თათიას მეასედი წესიერება რომ გქონდეს, დღეს ასე არ გაამწარებდი დედას! შენს ძებნაში ლამის გაგიყდა!..

— შენ?

— წამო, წამო!..

— არა!

მეზო მორჩილაძე
ნიკას ოთხი დღე

— მამა უკვე წასულია, სამსახურშია, რა გინდა?

— მე კი არ მეშინია!

— ვიცი. მე დედას ჩავაბარებ და მერე რაც გინდა, ის ქენი.

დედამ, ეტყობა, უკვე დაგვინახა, კარს უკან იდგა. ვვანცას სიტყვებზე კარი გააღო და სახლში შეგვიყვანა.

— ხომ არსად წახვალ, შვილო? — შიში და მოლოდინი იკითხებოდა დედის თვალებში. — თუ ძალიან გინდა, ჯერ მომკალი და მერე წადი... აქ იცხოვრებ, შენს ოთახში. არავინ ხელს არ შეგიშლის!.. მამაშენიც კაცია, შვილოსიიც ცოდოა... არ შეხვდები, თუ გინდა, სულ აღარ შეგახვედრებ...

— არა, დედა, არა!..

— აბა რა შვილო? რა გინდა, მითხარი!

— არ ვიცი, დედა, არ ვიცი...

●

ნიკამ მართლა არაფერი იცოდა. ცოტა ხნის წინ ჰქონდა სახლი, ჰყავდა მამა, იყო თათია. დედა და გვანცაც იყვნენ, მაგრამ მათ გარკვეული ადგილი არ ჰქონდათ. განსაკუთრებით დედას. „დედა ისეთივე განუყოფელი ნაწილია ჩემი, როგორც ქვა კლდისა". თანაც, დედა იყო ნიკას ნაწილი და არა პირიქით, როგორც ჰგონიათ ხოლმე... მამა არ იყო ნიკასი. არც გვანცა იყო ნიკასი, არც თათია. „ჩემი სახლი". სახლი კი, ნაწილობრივ მაინც იყო. ნიკას სახლისა სჯეროდა. „ეს მე ვარ თავიდან ბოლომდე. თითო ქვა. ბზარი კედელში გაჩენილი. კარზე ერთიმეორის მომდევნო ნაკუდევი. მე ასე ვიზრდებოდი. ეს ორი ხე ჩემს სახელზეა ჩარგული. ეს ტოტი მე მოვტეხე. ბაღის მოსარწყველი ღარებიც ჩემი გაყვანილია. აქ თავისებური, განუმეორებელი სურნელი იდგა ზამთარ-ზაფხულ, ქარში გაკიდულ სარეცხს მზის სუნი რომ აუვა ისეთი — სუფთა, ძალიან სუფთა და სიცოცხლიანი. ნიკას სახლისა სჯეროდა. ამიტომაც დაბრუნდა. სხვა ყველაფერი არამყარი გამოდგა, აირია, მოულოდნელად მოხდა ეს? — არა! მოულოდნელად არა..

ეს დიდი ხნის წინათ დაიწყო. იმ საღამოს, როდესაც ნიკა სხვის წითელ ველოსიპედზე დაჯდა პირველად. ასე ძლიერ როცა მოუნდა თავისუფალი, დამოუკიდებელი გამხდარიყო და ნამდვილი, სანდო მეგობარი ჰყოლოდა.

პირველი ნაიარევი მალე მოუშუშდა, მხოლოდ ზღვის პირზე გაახსენებდა თავს, როდესაც მზემოკიდებულ სხეულზე ფერმკრთალ, ნაზ ლაქებად გამოანათებდა. ესეც მალე დაივიწყა ნიკამ. სხვა კიდევ ბევრი იარა დაიმჩნია ტანზე, მაგრამ აღარ ახსოვდა. მეგობრის დაკარგვა იარას არ უჩენდა, ტკივილი კი რჩებოდა. მამა!.. ჯერ მამა დაკარგა. მერე გვანცა, დღეს — თათია. დღეს სხვაც დაკარგა — მამისადმი რწმენა. მამა არ უნდა წაქცეულიყო, არ ჰქონდა უფლება. მამა დაბერდებოდა, მოკვდებოდა კიდეც. მაგრამ თუ საცოდავი გახდებოდა, ვერ წარმოედგინა, ამაზე ფიქრიც კი ზარავდა. დღეს მამა უკვე აღარ იყო ის, ვისთვისაც ბევრჯერ სიამაყით თუ მორჩილებით შეუხედავს; ვისაც, რაც თავი ახსოვს, ჰბაძავდა თუ ეჯიბრებოდა. მამა დაეცა!.. დაცემული მამა კი ჩვეულებრივ, საშუალო პიროვნებად იქცა. შეუცნობი თუ ამაღლებული ერთბაშად, მოუბრუნებლივ დაკარგა. მამა-მეგობრის ღალატს დიდი ხანია შეეგუა მტრის და მოწინააღმდეგის დამცირება კი უფრო ძნელი გასაგები შეიქმნა. „მამა ყველაფრისაგან დამიცავდა, ყველაზე გაბედული, ყველაზე სამართლიანი, ყველაზე ძლიერი..." ასეთი მამა აღარ არსებობდა. არ იცოდა, აღარ იცოდა, მომხდარი როგორ აღექვა. „არსებობდა კაცი, რომელიც მამა იყო, ჩემი მამა და მეტი არაფერი, სრულიად არაფერი". დღეს ის ტკივილი დარჩა, მეგობრის დაკარგვის, რომ დაარქვა თავიდან. მაგრამ ეს ტკივილი ცალკე იყო და მამა — ცალკე. ნიკამ უზარმაზარი სიცა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიელე იგრძნო. ახლა თავისუფალი იყო. აღარავინ იტერდა. ადარ არსებობდა შიში გაუბედაობის. მორჩილების მწკლარტე გემოც გაქრა, მაგრამ ვერაც სიხარული შეიგრძნო. დედა ელოდა. დღემდე სხვები ფიქრობდნენ მის მაგივრად. საწყენი იყო, გასაძღისად საწყენი. ნიკა ყოველთვის ცდილობდა, შედარებითი თავისუფლება მოეპოვებინა, შედარებით დამოუკიდებელი ყოფილიყო, მაგრამ ეს ყველაფერი უფრო თამაში იყო, სახლიდან გაქცევა თამაში არ ყოფილა, მაგრამ არც ეს ისტერიული გამოხდომები ჰგავდა სრულ თავისუფლებას.

დედა მოთმინებით იდგა და ელოდა. სიცარიელე, დიდი სიცარიელე რაღაც მძიმემ და შეუცნობმა შეცვალა, დედა ელოდა. გვანცა? გვანცაც ელოდა. პირველად ხდებოდა—მას ელოდნენ. ნიკას ანდობდნენ რაღაცის გადაწყვეტას, ნიკას უნდა ეფიქრა და მხოლოდ საკუთარ თავზე კი არა. ნიკას ოჯახის ბედიღბალზე უნდა ეფიქრა. ის კაციც ცოდო იყო, — მამა იყო ცოდო, ნიკას ასე ეუბნებოდნენ. არ იყო საკმარისი—„მე მსურს,“ დღეს დანარჩენ სიტყვებზე უფრო ხშირად აგონებდა თავს სიტყვა — „საჭიროა.“ იგი უცნაურად აკვიატებულ და მერე უცებ დავიწყებულ სიმღერას როდი ჰგავდა. თავისუფლება, საკუთარი მეობის დამტკიცებაც უნარი, — ბურმე ამ სათქმელად იოლ და სამოქმედოდ ძნელი სიტყვიდან იწყებდა მოძრაობას.

ნიკას პასუხი არ გაუცია, ისე გავიდა თავის ოთახში. მძიმედ, ნელა გაიარა და ფრთხილად მიიხურა კარი. სათქმელი ჯერ არ ჰქონდა მზად. ათასი აზრი უტრიალებდა თავში. ერთი რამ, მხოლოდ ერთი რამ სწამდა. ამიერიდან იგი თავისუფალი იყო, არავინ არაფერს დაუშლიდა, ზედ არ გადაეფარებოდა. ოვითონ რჩებოდა საკუთარი თავის ანაბარად და არა ნარტო საკუთარი თავისა. სიმძიმე, ასე უჩვეულო სიმძიმე, რის შეგრძნებამაც პირველად დაანძინა და გააკვირვა, ახლა საამოვნებდა კიდეც. პასუხისმგებლობა არა მარტო მძიმე და სასიამოვნო ტვირთია. „გაიზარდა. გაუტოლდა?“ — არა! თავად გახდა საჭირო და აუცილებელი, როგორც გუშინ ღამით.

ნიკამ ტანსაცმელი გამოიცვალა, ხელები გადაიბანა და სასადილო ოთახში გავიდა. დედა სუფრას სასაუზმოდ აწყობდა. გვანცა პიტნიანს დღევებავდა. ნიკა მაგიდასთან მივიდა, საკუთარი სკამი მონახა და ჩამოჯდა.

— ყველაფერი კარგად იქნება,—გაუღიმა ორივეს. — ესლა კი მაჭამეთ რამე, ძალიან მშია! . .

ჩემი ილია

ეროვნული ბიბლიოთეკა



სინამდვილედ იქცა, რასაც ოცნებობდა დიდი ილია. დღეს მის იუბილეს აღნიშნავს თავისუფალი, გეფნიერი საქართველო, სოციალისტური საქართველო, რომელმაც არნახულ აყვავებას ჰიალწია: ერთ დროს ჩამოჩენილი ქვეყანა დღეს მოწინავე ინდუსტრიულ-აზრარული რესპუბლიკაა, ხოლო მისმა ხელოვნებამ და მეცნიერებამ მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი.

დიდი პოეტის საიუბილეოდ „ცისკარი“ სიტყვას აძლევს ახალგაზრდა მწერლებს.

„შენ ხარ აღმზრდელი დვთაებამდე კაცთ გზნებისა!“

პირველი გონისმიერი შეხვედრა ილიასთან, მის პოეტურ მემკვიდრეობასთან საშუალო სკოლის მეოთხე თუ მეხუთე კლასში ხდება.

აყვავებულო მდელო,
აყვავებულან მთები,
მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?

ლექსის წყობილი სტრიქონები ყურთასმენას ეხმიანება, ისმენ ბგერათა მელოდიურ მდინარებას, უჩვეულოდ გიზიდავს ლექსის კეთილხმოვნება და გაუთვითცნობიერებელი გრძნობა უფრო მნიშვნელოვანისა. თანდათან ეზიარები ილიას ფიქრთა სამკვიდროს და, წლების მატებასთან ერთად, განიცდი ამ სტრიქონებში ჩაკირულ ეროვნულ ტკივილს. ხვდები, რომ „ოთარაანთ ქვრივი“ მხოლოდ საგამოცდო თემა და ხიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩატეხილობის პრობლემა არაა. ილიას თითოეული გმირის მეტყველება, მათი სულიერი რაობა, მათი შეხედულებანი დროების აგვარეზე, თითოეული ნაწყვეტი მათი არსებობა სებობისა ღრმად ქართულია. მათ ხასიათებში ერის თავისებურება, ერის სინდისი არის არეკლილი. მწერლის ულმობელი სატირისა თუ პოეტური ღაღადისის სათავე ეროვნული ტკივილებია. ლიტერატურასთან სულიერი სიახლოვის შედეგად ყალიბდება ის გრძნობა, რაც ბავშვობაში ქვეშეცნეულად განიცდებოდა. ილიას მხატვრული ქმნილებანი მშველელად ესახება ადამიანს ამ დიდი გრძნობის დაუნჯებაში.

მამულის სიყვარულის ძალა, სხვადასხვა ოდენობით ჩასახული ადამიანის არსებაში, განსაზღვრავს ადამიანის მოქალაქეობრივ სახეს, შემოქმედის მხატვრულ სიმარჯვეს. ილიას შემოქმედება თავისებური რიტორული მიმართებით, მხატვრული დეტალების დოკუმენტაციით, სატირული სარკაზმით, აფორისტული მეტყველებით აღსავსე, წარმოსახავს საუკუნის პრობლემებს და გადაგვიშლის ერის ისტორიის მხატვრულ სურათს.

დროის მსვლელობა ცვლის შეხედულებებს, ცვლის გემოვნებას, იცვლება ლიტერატურულ ძეგლებთან მიმართებაც. შესაბამისად იცვლება ლიტერატურულ მიმდინარეობათა გამოსახვის შესაძლებლობანი, მხატვრული აზროვნების ფორმები. გრძნობ, იცი ყოველივე ეს, მაგრამ ილიას თხზულებათა კითხვისას მაინც ბეჯითად აღიარებ, მარადიულია მხოლოდ ის, რაც კლასიკური ლიტერატურის წიაღიდან მომდინარეობს.

ფსიქოლოგიური წიაღსვლები, აგრერიგად დამახასიათებელი თანამედროვე პროზისათვის, რომელიც ხშირად მხოლოდ ჩვენი ეპოქის პირშეზდ გვეჩვენება, ილიასთან ეროვნული კოლორიტითა გადმოცემული. ძნელია დაასახელო ილიას „სარჩობელაზედ" უფრო მიწიერი და ფსიქოლოგიური დრამატიზმით აღსავსე ნაწარმოები.

მხატვრული გამოსახვის საშუალებანი, პოეტურ ქმნილებათა ძიების პროცესი, ფსიქოლოგიური ნაკადის შემოჭრა პროზაში თავის მხატვრულ არსებობას ამართლებს მაშინ, როცა კლასიკური მწერლობისათვის დამახასიათებელი უტყუარი მხატვრული ხედვითაა წარმოჩენილი ეპოქის შინაარსი.

მკვეხელობად მიმაჩნია ილიას მხატვრულ ოსტატობასთან საკუთარ მიმართებაზე საუბარი, მაგრამ ჩემთვის სოსია მეწისქვილის სახე ადამიანური სიმართლისა და მხატვრული სრულყოფილების ნიმუშად რჩება. საკმარისია „ოთარაანთ ქვრივმა" სამჯერ გამოჩნდეს სოსია მეწისქვილე, რომ იგრძნო ამ კაცის მარტვილობა სიყვარულისთვის. ოთარაანთ ქვრივის ტრაგედიას ამძაფრებს სოსია მეწისქვილის მწარე ამონაკვნესი, რომელიც შემზარავია თავისი ყოელისმომცველობით.

„ცოდო ვარ, შვილო, ცოდო!"

დინჯი, დარბაისლური მეტყველებით გვახედებს ილია ქართული ენის წიაღში. განაგებს ერის გრძნობასა და სულისკვეთებას.

მისივე სიტყვები რომ მოვიშველიოთ, „ყველა დროს თავისი ტკივილი აქვს და გაგება ამ ტკივილისა ხვედრია მარტო ჩინებულ კაცებისა".

ვანანა ავალიშვილი

ძნელია ილიაზე წერა

ძნელია ილიაზე წერა, თანაც ორიოდე გვერდი! ძნელია, რადგან შემოუწერელია ის სივრცე და მასშტაბები, რასაც ამ ბერმუხის ჩრდილი ახურავს.

მივიხედავთ მეცხრამეტესკენ და ყოველი დღე, იმდროინდელი ყველა საქვეყნო ფიქრი და ტკივილი ილიას სახელისაკენ მიემართება!

გადავხედავთ დღევანდელობას და განახლებული ქართული კულტურის თითქმის ყველა სათავესთან ილიას ვხედავთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიხედავთ წინ და კვლავ ილიას ნათელი აჩრდილი ლამპარივით მიგვიძღვება მომავლის უსიერ გზებზე!

ილია! თითქოს ამ ერთ სახელში შენნივთებულია ქართველი ერის ძალა, ნიჭი, კაცთმოყვარეობა და მკაცრი სიყვარული.

არც ერთი ქართველი მწერლის შემოქმედებაში არ გაისმის ისე ხშირად სალოცავი სიტყვები: *ერი, სამშობლო, მამული, საქართველო!* მან გადაგვაცალა თავლაზე ავბედითად გადაკარული ლიბრი და ზხის წინაშე დაგვაყენა; მას „ძილშიაც არ ეძინა ქვეყნის უბედურებით გულაღტყინებულსა". მან აღადგინა და მან დაუბრუნა ერს მთლიანი საქართველოს დაშლილი დულაბი — ენა ქართული! იგი გონებით ცხოვრობდა და მისი ყოველი სიტყვა შესაკრებელია დიდი აზრებისა.

ილია ფხიზელი თვალია ჩვენი ხალხისა, ჩვენი ზნეობისა, კაცთმოყვარეობის და თავისუფლების ფხიზელი თვალი! ამ ფხიზელი თვალით საქართველომ გამოანათა, რადგან მას დაღუპვა არ ეწერა! ეს ის სინათლეა, რომელიც ყველა დროში და ეპოქაში ქართველი ხალხის თანამდევი იქნება მუდამ. დღესაც ილიას უკვდავი ანდერძისკენაა მიმართული ჩვენი გონება: მის დროშაზე ამოკვეთილი სიტყვები ძმობა, ერთობა, თავისუფლება — დაუდუმარი ზარივით რეკავს.

ძნელია ილიაზე წერა ამაღლებული, ზეაწეული ტონის გარეშე. ძნელია, რადგან ილია ის ტაძარია, რომლის თაღებშიც ჩუმი გალობა კი არა — ერის სიყვარულის ხმამაღალი ღაღადისი გუგუნებს.

ძნელია ილიაზე ტკბილი, დაშაქრული სიტყვებით ლაპარაკი. აკი თვითონვე ბრძანებდა: „რას მიქვია ტკბილი სიტყვაო", აკი თვითონვე კვნესოდა იმდროინდელი გარემოებით გულდათუთქული: „სადღაა ქართული ენა?.. სადღა გაიბას ქართულძა ენამ თავისი ფესვი საერთო ეზოვნებისათვის?.. შენ შენთვისო, მე ჩემთვისო, ძმებმა ერთმანეთს ვუთხარით, ცივად ერთმანეთს თავი დავუკარით... უკანასკნელი საერთო სიტყვა „მშვიდობით" უკანასკნელად ვახსენეთ, შენ იქით წასვლ და მე აქეთ, თვითოეულად, თავ-თავად და ვინ იცის, როდისაა შეეხვდებით ერთმანეთს, რომ კიდევ ძმური, ერთიანნი, განუყოფელი ქართული „გამარჯვება" მითხრა შენ მე, და მე — შენ, ჩემო დაკარგულო ძმაო თუ დაო!.."

და დღეს ილიას სახელის ირგვლივ მთელი საქართველო ერთად მოგროვილა; ერთმანეთს შევხვდრივართ ყველა, რათა „ერთიანნი, განუყოფელი ქართული „გამარჯვება" გითხრათ შენ, ჩვენო დიდო წინაპარო და თანამედროვევ!

თედო ბეჟიშვილი

მარად ჭაბუკი ილია

ᲧᲔᲠ ᲘᲧᲝ რაღაც თავისთავადი, გაუთვითცნობიერებელი, რომელიც თურმე შეშვენილ შენაკადად შედიოდა სისხლში. ფრაზები: ერის წყლული მაჩნდეს წყლულად... ღამე, ურემი და მარტხელეა მხედარი ღამეში... რაღაც გზა, უცნაური სახელწოდებით, კუდიგორა!

ფიქრიანნი კაცის პორტრეტი, სკოლის ასლადშეფუებილ კედელზე, ჭკვიანნი, ამაყი მზერა... მოხუცი, სახელად ილია. რაღაც დაკავშირებული ღორმუცელი ცოლ-ქმართან და ცად აზიდული ზვინიდან დაგროვებულ ყმაწვილთან... შავოსანი ქვრივი. კიდევ ვიღაც გარიბალდი და პოეტი ილია ჭავჭავაძე, რომელსაც მის რაზმში ჩარიცხვა სურდა, (აბა როგორ უნდა ექნია ხმალი ამ მოხუცს?!).

შემდეგ გაუგებარი სიტყვა *თერგდალეულნი*... ჭაბუკი ილია! როგორ თუ ჭაბუკი? ჭაბუკი, ესე იგი ახალგაზრდა! თურმე ილიაც ყოფილა ახალგაზრდა... უცნაურია! ჭაბუ-

ვი ილია, ქართველებისთვის სრულიად უცნობი პოეტის, ტატო ბარათაშვილის ლექსე-
ბის რვეულით ხელში.. ლამაზი, გოროზი ქალი ეკატერინე ჭავჭავაძე... (ეტლიდან
რომ გადმოვარდა, იმ ჭავჭავაძის შვილი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის მომაბეზრებელი პროგრამა, მასწავლებელი, გაზეპირებული ციტატე-
ბით და ეპითეტებით... ილია — პოეტი, საზოგადო მოღვაწე, პატრიოტი... გასაგებია,
ბატონო! „განდეგილი", „კაკო ყაჩაღი". საზეპიროები აქედან აქამდე (ფრჩხილით და-
ნიშნული), გარეთ კი გაზაფხულია, ფეხბურთის თამაშობენ. რა დროს დაზეპირებაა?
უეცრად — „ხარჩოელაზედ"-ს წაკითხვა და ნოკაუტი.

გარბიან წყლები და ყოველდღე... ილია! ილია! ილია! ინფორმაცია: უნივერსიტეტ-
ის მშენებლობის შესახებ, სათავადაზნაურო ბანკის დარსებისა და მაზრის მოსა-
მართლეობის შესახებ.

და შენ ვერ ხვდებოდი, რომ ყოველ წუთს, ყოველ ეამს ეს სახელი და მცნება —
ილია — ცოცხლობდა და ფეთქავდა შენში!

თუ გახსოვს, მწერალთა კავშირში რომ დაიწყე მუშაობა, უცხოელი მწერლის, მისი
მეუღლისა და მთარგმნელის მეგზურობა დავავალეს მთაწმინდის პანთეონში. მეათასედ
ასხრიალა მაღლა ვაგონეტმა, მეათასედ მიუახლოვდი ილიას საფლავს და პირველად
შენს ცხოვრებაში შეეცადე აგეხსნა ვიღაცისთვის — თუ ვინ განისვენებს აქ. ალბათ
სწორედ მაშინ, ამ უცხოელის წინაშე, ზრდილობიანად რომ განემზადა მოსასმენად,
ჩრინა თავი იმ უხილავმა, დაგუბებულმა, ილია რომ ერქვა სახელად. ცრემლი მოგ-
რია, ხმა ჩაგესლინა... აბა როგორ უნდა გაეგო იმ ყურადღებიან, ზრდილ ეგროპელს,
ვინ არის ილია?! უფრო სწრედ, რას ნიშნავს ქართველისთვის ილია! უცხოელმა ალ-
ბათ სენტიმენტალურად ჩაგთვალა, მაგრამ შენ ამისთვის ყურადღება არ მიგიქცევია...
მეორე მზერა გაგიჩნდა, საკუთარ სულში ჩაიხედე და განცვიფრდი — რამხელა ადგი-
ლი დაეპყრო ილიას.

და მაშინ გაკადნიერდი და მიმართე მას: ილია ბატონო, ნება მომეცი მეც ვეამ-
ბორო შენს ნათელ, არაკაცის ტყვიით შელეწილ შუბლს და ჩემს მეგობრებთან ერთად
მეც მოგცე პირობა, რომ ერის წყლულით დავიწყლულებთ მკერდს, რომ არ ვუღალა-
ტებთ შენს ნაანდერძევს, ჩვენნ სათაყვანებელო კაცო, რომ ჩვენს ლეკვებსაც სალოცა-
ვად გავუხდით შენს სსივნათელ სახეს და რომ ოდესმე მოვლენ ისინიც და შენი სა-
ფლავის წინ დადგმენ ფიცს, რომ ჭეშმარიტად ეყვარებათ და ერთგულ მსახურად დაუ-
დგებიან ერს, ერს, რომელმაც საკუთარი მამა გიწოდა.

ლაშა თაბუკაშვილი

დიდი მგეზავი

არიან მწერლები და მოღვაწენი, მხოლოდ თანამედროვეობასა და მომავალს
რომ ჰკვებავენ ხოლმე, მხოლოდ თანამედროვეობისა და მომავლის სამანებს რომ ამაგ-
რებენ... ილია ჭავჭავაძე კი ის რჩეულია, ვისი სახითაც გამოცხადებული ეროვნული
სული თანაბრად ამაგრებს როგორც შორეული წარსულის ფესვებს, ისევე თანამედრო-
ვეობისა და მომავლის ინტელექტუალური საძირკვლებს... ესაა ადამიანში განსხეულე-
ბული ძალმოსილება, ენერგიის იდუმალი უკვდავი სალარო, ერონს დაფარული „წყალ-
ქვეშა მხარე", გაჭირვების ეამს მხსნელად რომ მოვლინებოდა ხოლმე ქართველობა-
სა და საქართველოს. სწორედ ის უკვდავი ნება და იდეა ერისა გამოცხადდა ილია ჭავ-
ჭავაძის სახით. ამაზე თქვა ილიას მკლელობით გულშეძრულმა ვაჟა-ფშაველამ: ვერ
მოჰკლეს!.. რადგან ვერ მოჰკლავენ თვით იდეას, რომელიც უკვდავიაო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძე მოძღვრავს ყველა თაობას წარსულისას და მომავლისას, რომ „ტყრუშვილი ღობეებით გამაგრებული მამული“ მამული არ გასლავთ;

რომ ჭეშმარიტ მამულს ადამიანური, ეროვნული გონისა და ინტელექტის უმტკიცესი და შეუვალი კედლები უნდა იცავდეს...

რომ ყოველი ადამიანი სამშობლოს უწმინდესი მიზნებისათვის თავდადების წყურვილითა და ამ მიზნებისათვის უანგარო სამსახურით ამტკიცებს სიყვარულს დანარჩენი მსოფლიისას, სხვა ხალხებისა და რასებისას;

რომ შეყვარებული „გულის გამომტყველებაა“ კაცთა მოდგმასთან თანადგომისა და თანაზიარობის ერთადერთი პირობა...

იგი „ძარღვის ჩამწყვეტ“ კითხვებს წააწერს ხოლმე ყოველი თაობის ცაზე, „საყოველთაო ხალხინებელ და სანაღვლებელ“ კითხვებს, რომლებიც ქართველობასა და საქართველოს დასტრიალებენ თავს.

მან, „ასო-ასიდ დაჭრილი“ მამულის გადარჩენისათვის დიდი ომის გადამხდელმა, სიმტკიცე და ძალოვანება შემატა არა მარტო ქართული ინტელექტის უძველეს ბაძირკველს, არამედ ფერისცვალებისა და გარდასახვის სული შთაბერა თანამედროვე და მომავალი ეპოქების ქართულ ლიტერატურას, თეატრს, პოლიტიკას, ეკონომიკას და საერთოდ ერის სულიერი ცხოვრების ყველა მხარეს...

მან დამოძღვრა და მიაქცია ყველა დროის ქართველი „გულთასრულობისა“ და „თვალის გულში ჩაბრუნების“ ნიჭისაკენ...

იგია დიდი მგზავი, ვისი მზერის მიმართულებითაც „თვითეული ჩვენგანის ჭკვა, გონება, ფიქრი, გრძნობა, სურვილი — ერთად, ხალისიანად და შეუპოვრად მიიწევს საყოველთაო საქართველოს კეთილდღეობისაკენ“...

ილია ჭავჭავაძის სახით გაცხადებული იდეა, ამ სახელთან წილნაყარი საქმე და მიზანი გადადის დროიდან დროში, თაობიდან თაობაში. და იალებს ყველა დროის თაობათაგან მაღლაწეული, როგორც უწმინდესი დროშა ეროვნული სიმტკიცისა და ადამიანური გონის თავისუფლებისა.

ჯარჯი ფხოველი

●

„ენა, გული და გონება
ერთმანერთზედა ჰკიდია...“
ასე თქვა შოთამ.
ასე გამობრწყინდა ეს სამება
ერთ კაცში, ვისაც საქართველო ეძახის
ილიას.
შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი.
ვახტანგი, დავითი, თამარი, საბა, იაკობი.
ყველა აქ ჩამოთვლილი სახელი ერთ დროს
მხოლოდ გვართან ერთად იყო მტკიცე.
დროთა განმავლობაში ხალხმა მხოლოდ
სახელი დატოვა. და მიუახლოოს მათი
ღირსება — შინა არსი
წმინდანისას.

მერმან ჯგუბურია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათელი

როდესაც მთესველის მოქნილი ხელით ღონივრად მობნეული მრავალრიცხოვანი თესლივით იხარა ხალხში ქრისტესაგან წარმოებულმა საკუთარმა სახელებმა, მაშინ იღრძო ფეხი რწმენამ, ალბათ მაშინ წაიბორძიკა პირველად ქრისტიანობამ. ქართველი კაცი, შვილს, უძვირფასესსა და უსაყვარლეს არსებას იშვიათად არქმევს ილიას, აკაკის, ვაჟას — ყველა სიკეთესთან ერთად ტკბილხმოვან სახელებს. ვაითუ, ვერ გაუძღოს, ვაითუ, ოდნავ მაინც შებღალოსო.

ილია. ილია ჭავჭავაძე, აუცილებლად ეპითეტით—საქართველოს უგვირგვინო მეფე. 1907 წლის 30 აგვისტოს ხროვის მიერ დასხლეტილმა ჩახმახმა ტყვიით დაუსვა წერტილი მის სიცოცხლეს. იმ დღიდან მდუმარების პერიოდის ჩათვლით იწნებოდა, იქმედებოდა, იქმნებოდა გვირგვინი. და აღიმართა უბრწყინვალესი დიადემით დამშვენებული ერის პატრონი.

იცოდა ბრძენკაცმა, როდის რა იყო საჭირო. იცოდა ფარგლები და საზღვრები ხურვილებსა და რეალობას შორის. იმიტომ უყვარდა თვრგი და მოძრაობა, იმიტომ არ ეცალა ცივი და მიუწვდომელი მყინვარისათვის. არ იყო ილუზიებთან ლაციცის დრო. დიდი მწერლობისა და ერისკაცობის ერთიანობას ასხივებდა და ამ ნათელით მოსავლელსა და საპატრონოს უჩვენებდა წმობელ ხალხს თვითონ პირველი მუშამწარე.

ილია. ილია ჭავჭავაძე — ყველა დროის საქართველოსათვის საჭირო კაცი.

გადრი ჯოხონელიძე



ᲨᲔᲛᲒᲣᲛᲑᲐ ᲥᲐᲚᲐᲢᲘᲐ

ᲘᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲖᲔ, რᲝᲛᲚᲔᲠᲘᲪᲘ ᲐᲮᲚᲐ ᲕᲘᲐᲣᲑᲐᲠᲝᲛᲓᲘ, მᲔ ᲞᲐᲠᲐᲓᲔᲡᲐᲓ ᲬᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲕᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲓᲔᲡᲐ ᲯᲔᲠ „ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ“, ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ „ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲐᲨᲘ“. ᲐᲛ ᲬᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲖᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲓᲐ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲐᲠᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲒᲐᲪᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲚᲘᲡᲒᲐᲜ ᲨᲔᲛᲥᲜᲐ. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲔᲜᲔᲑᲘ (ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲔᲜᲔᲑᲘ) ᲗᲐᲠᲯᲛᲘᲡᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲠᲗᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲘᲗᲝᲛ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲚᲓᲒᲔᲑᲘᲗᲝᲛᲐᲡ ᲐᲚᲡᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲠᲣᲚᲤᲐᲚᲝᲑᲘᲗᲘᲪ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲠᲘᲚᲘ ᲓᲐᲯᲔᲠᲣᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡᲗᲐᲜ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲬᲛᲝᲑᲘᲡ — „ᲐᲛ ᲮᲐᲛᲘᲗ ᲨᲘᲜᲘᲡ ᲠᲐᲜᲐᲠᲘᲐ ᲔᲛᲘᲯᲔᲚᲘᲡᲐ“, ᲒᲐᲪᲚᲘᲡᲐᲜ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲡᲐᲜ. ᲔᲚᲓᲐᲗᲐᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲗᲕᲘᲡ ᲜᲐᲪᲚᲘᲡᲐᲜ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲡᲐᲜ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲔ ᲮᲐᲛᲘᲗ ᲨᲔᲛᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, რᲝᲛ ᲐᲛ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲒᲣᲠᲔᲑᲐ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲚᲘ ᲓᲐᲯᲔᲠᲣᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲛᲓᲔ. ᲐᲛ ᲛᲓᲒᲝᲛᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲘᲒᲠᲫᲜᲘᲗ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲦᲠᲛᲔᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲠᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲬᲛᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲯᲔᲠᲣᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲛᲓᲔ. ᲐᲛ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲗ ᲐᲠᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲒᲐᲪᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲚᲘᲡᲒᲐᲜ ᲨᲔᲛᲥᲜᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲛᲓᲔ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲯᲣᲠᲘ ᲓᲐᲯᲔᲠᲣᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲛᲓᲔ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲬᲛᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲯᲔᲠᲣᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲛᲓᲔ. ᲐᲛ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲗ ᲘᲒᲠᲫᲜᲘᲗ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲦᲠᲛᲔᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲠᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲬᲛᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲯᲔᲠᲣᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲡᲐᲛᲓᲔ. ᲛᲐᲗ ᲡᲐᲠᲗᲝᲜᲘ ᲨᲔᲣᲞᲔᲓᲠᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲜᲓᲝᲛ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲗᲥᲕᲔᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ, რᲐᲪᲐ ᲛᲐᲡ ᲐᲮᲡᲝᲜ ᲔᲓᲗᲝᲜᲘᲡᲢᲝᲚᲝᲒᲘᲡᲢᲘᲡ ᲩᲐᲜᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ. ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲕᲒᲐᲡ ᲪᲮᲐᲓᲐᲓᲐ, რᲝᲛ ᲡᲮᲕᲐ ᲤᲝᲜᲗᲘ ᲔᲥᲔᲜᲐᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲬᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲗ, ᲗᲘᲗᲘ ᲤᲐᲥᲢᲘ, რᲝᲛ ᲐᲛ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲗ ᲐᲠᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲒᲜᲘᲗᲘᲡ ᲩᲐᲜᲬᲔᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲐᲠᲐᲜᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲒᲐᲪᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲚᲘᲐ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲓᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲚᲝᲑᲐᲡᲐᲪ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲜᲘᲜᲯᲔᲑᲣᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲐᲛᲔᲝ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘ. ᲠᲝᲒᲠᲛ ᲐᲥᲕᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲣᲚᲘᲐ ᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲠᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲗ, ᲠᲝᲒᲠᲛ ᲓᲐᲣᲯᲐᲠᲒᲐᲕᲗ ᲛᲝᲛᲮᲓᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲘᲗᲔᲒᲔᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲛ ᲙᲚᲘᲡᲘᲐᲡᲐᲪ, ᲐᲠᲐᲛᲘᲪᲔ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡᲐᲪ. ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲗᲥᲕᲔᲗ ᲛᲘᲛᲝᲬᲧᲔᲚᲘ, რᲝᲛ ᲐᲜᲐᲛᲜᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲐᲛ ᲬᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲐᲪᲓᲝᲠᲘᲡᲐᲒ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲘᲛᲗᲕᲘᲡ, რᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲙᲘᲪᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲣᲛᲐᲯᲝᲑᲘᲡᲐ ᲗᲐᲕᲓᲐᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲓᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲚᲝᲑᲐᲡᲐᲪ

ნგებოდ შექმნილი მთარგმნელთა მთავარი სარედაქციო კოლეგია არსებობს, ეს უმწვავესი პრობლემა, ქართული ლიტერატურის რუსულ ენაზე თარგმნის პრობლემა შეიძლება წარმატებით გადაიჭრას სხვა პრობლემებთან ერთად.

ერთი შეხედვით თითქოს ძალიან მარტივი ამბავია, იმდენად მარტივი, რომ ვინმეს შეიძლება ეჩვენება კიდეც, რა სადაო უნდა იყოს ეს პრობლემა, ან რა სადისკუსიო საგანი ეს არ-ისო: კარგი წიგნი უნდა თარგმნოს, ცუდი — არა, კარგი მთარგმნელი უნდა შეირჩეს, ცუდ მთარგმნელს უნდა ვერიდოთ. მით უმეტეს, რა დისკუსიაა საჭირო, როდესაც ზოგადად ყველანი მომხრენი ვართ კარგის „გატანის" პრინციპისა.

დისკუსია, რა თქმა უნდა, არ სჭირდება იმის მტკიცებას, კარგი წიგნი უნდა თარგმნოს თუ ცუდი, კარგი მთარგმნელი უნდა შეირჩეს თუ ცუდი. დისკუსია სჭირდება იმ პრობლემის გადაწყვეტას, თუ რა ფორმით შეიძლება გადაეცეოლობოთ მაკულატურის მძანალის საკვანძო არენაზე, რა შეუფრავს ხელ-ფეხს ხელოვნურული მწერლების პრტენზიებს. და ეს არც ისე ადვილია. ჯერ ვნახოთ, რამდენი „ჭაა" უნებურად განთავისუფლებული სუტი მწერლობისათვის: მწერალთა კავშირის წევრი ამაგი დიოს ხაბეჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრიცაა და მას უფლება აქვს თავისი წიგნი გამოსაცემად შესთავაზოს ნებისმიერ გამომცემლობას. უფლება აქვს რეკომენდაცია სთხოვოს მწერალთა კავშირს, თვითონ ჩავიდეს და კონტაქტი თვითონვე დაამყაროს, ეთქვოს, მოსკოვის ამა თუ იმ გამომცემლობასთან. ზოგადად ეკითხებემაში, რომ საკვანძო არენაზე სუტი წიგნის გაგანა არ არის მიზანშეწონილი, ეკითხებმეთ, მაგრამ ეს პრინციპი ხეხიეტ მიმართულ იარაღად მიიჩნია, თავის თავს ნურას უკადრავდა, არ თვლის სუტ მწერლად: უარყოფითი რეცენზია კიდევაც რომ დაწეროს ვინმემ, უფლება აქვს არ გაიზიაროს რეცენზიის აზრი და დამატებით თხზოს წიგნის რეცენზირება; ებრძოლეს, ირხეგებს, თავს მოიტზრეს ხალხს ყოველი საშუალებით და წიგნიც გამოვა ცოდვა: გამხელილი სჯობს, პრინციპული. ობიექტური რეცენზიის დაწერები ახე იოლად არ მოიძებნება: ცოდვა გამხელილი სჯობს. უმეტესად სწორედ ცნობილი, ხახელოვანი მწერლები სცოდავენ. ისინი ჩაეენენ ლოიალობას, ისინი არიან შემჭიანარებლები, ისინი სცემენ ეთილ თამპასუქებს, ისინი ვეეკვინენიან გულკეთილად მზრუნველების როლში და ფაქტიურად ბარიერიც ამტკმან არის სუტი, დაბალი, ამიტომაც ახე თავისუფლად გადაეცემება ზოლმე ამ ბარიერს მავანი და მავანი. ერთობ დიდი ამ მავანთა რიცხვი — ბევრი იყრის თავს საბოლოოდ. საბჭოთა ადამიანს, გარდა ამისა, თვითვე აქვს ურთიერთობის დამყარების უფლება ბა სხვა ერის შვილებთან. სანამ, ეთქვათ, რუსმწერალი გაარკვევს, ღირსეული შეგობარი შეიძინა თუ უღირსი, მანამ ურთიერთობა ღრმავდება და ბუნებრივია, ასე კატეგორიულად ვერც მოვთხოვთ სხვას დღე და ღამე იმაზე ფიქროს, არაფერში შეეცდე. სუსტი ნაწარმოები არ ვთარგმნო და ქართული მწერლობის პრესტიჟი არ შევზღალოო. ახე იქრება ათასი ბილიკი, ახე ჩნდება ათასი შანსი და სწორედ ამიტომ ბატონოს განწყობილება სიტყვებისა „ამ საქმეს მაინც არაფერი ეშველებაო".

და აი, ამ განწყობილების კვალზე იკიდებს ხოლმე ჩვენში დამდეგუქველი გრძნობა შეგუებისა და იქამდეც კი მიგდევარი, რომ ყველაფერს ვეგუებით. მაგრამ ერთი წუთით გავიაზროთ, რას ვეგუებით კონკრეტულად ამ შემთხვევაში, ამ პრობლემასთან დაკავშირებით. რუსულ ენაზე კარგი თარგმანის არსებობას უმნიშვნელოვნესი პირობაა მსოფლიო არენაზე გასახელოლად, ამაზე შეთანხმებულნი ვართ. შეიძლება შეეგაუოთ იმ ფაქტს, რომ უმეტესწილად ქართულ ლიტერატურას რუსული ენის „კარად მცოდნენ" ქართველი კაცი თარგმნის? ან რუსი მწერალი, რომელმაც საერთოდ არ იცის ქართული და ორიგინალის სიმშვენიერეს ხვეშენთ ვერ გრძნობს? შეიძლება შეეგაუოთ ფაქტს, რომ ამ მიზეზით ნაჩქარევად, სახელახელოდ არის თარგმნილი მთელი კლასიკური ლიტერატურა თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა? შეიძლება დაეკერფეთ ერთს ან ორ წარჩატებულ ცდას შედეგრეშის თარგმნისას და კლასიკური ლიტერატურის წინაშე ვალმოხდილად მივიჩნიოთ ჩვენი თავი?

ჯერადში წეკოთა კარგად თარგმნილი.

მიუხედავად პახტერნაკის და ზაბოლოცკის დიდი ადმახსოვრებისა. ნურც ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას შემოკმეფდებან დავიგულებთ შესაფერისად თარგმნილად. დიდი, ძალიან დიდი მადლობა ამ შესანიშნავ მწერლებს ამაგისათვის, ერთსა და ორ კაცს ყოველმხრივ რომ ამშვენებს, მაგრამ ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველის შემოკმეფდებიდან იმდენი რამ არის კიდევ მადალ დონეზე სათარგმნელი, რომ არავითარი დამზადების უფლება არ გვაქვს სურნელი და არსი, არსი და სურნელი გურამიშვილის, ხახას, ბარათაშვილის, ორბელიანის, ჭავჭავაძის, წერეთლის, ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, დავით კლდიაშვილის, ეგნატე ნინოშვილის, გალაკტიონის, ტიციანის, ლეონიძის, ჯავახიშვილის, გამსახურდიას, ნიკო ლორთკიფანიძის... სურნელი და არსი შესანარჩენელი. ეს კი ოკეანის გადამალვას უდრის ცალფეფდ-

ნილ მოებს იქით, ხი გადამალეს, ტალღების შორეული შრიალიც რომ ვერ აღწევდეს სმენამდე. ნურავინ ნუ დაგვაჯერებს, შესწავლილი რუსული (რა ბრწყინვალედაც არ უნდა ვიცოდეთ) სრულფაფალად თარგმნა შეიძლებოდეს. ჭამალ ქართველის არმცოდნე რუს მწერალს შეუძლია კაცისეულნი უკეთ თარგმნა. სამკერძისია გაისიგრძეგანო ეს სურათი, რომ ირწმენთო — შეგეება ღალატია.

მაგრამ მთელი ეს წუხილი, ეს მსჯელობა, რომელის ამოწურვას ერთი შესეფილი არავითარი დისკუსია არ სჯიროვნა, საქმედ რომ იქცეს, სწორედ დისკუსიაა საჭირო. ოპტიმალური გზების გამოსანახავად თავიანთი აზრი უნდა გვთხრნან არა მარტო მწერლებმა, არამედ პარტიის ცენტრალური კომიტეტის შესაბამისმა განყოფილებამ, სსრკ მწერალთა კავშირის ქართული ლიტერატურის სამეს თავმჯდომარემ, საკავშირო გამოსახელოს ხელმძღვანელებმა და მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობათა რედაქციებმა, სამ. მწერალთა კავშირის მთარგმნელნი მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ. არ იქნება ზედმეტი თუ „ლიტერატურნაია გაზეთა" ამ დისკუსიის დედაზრს თავისი მაღალი ტრიბუნიდან კიდევ ერთხელ გამოიტანდა საჯაროდ. რადგან ეს აზრი უკვე გამოგრეხეთო იქნებოდა იმ ინსტანციების მიერ, იმათ მიერ, ვისაც ძალიერ რეალურად პრობლემის გადაეჭრა. არ შეიძლება უპრინციპო რეცენზირების ტრადიციას ენდომ კვლავ ესოდენ მნიშვნელოვანი საქმე. არ შეიძლება მკაცრი შერჩევის პრინციპის დამკვიდრება ჩვეული ხერხებით. ამ ფორმამ ვერ გაუძლო გამოცდას. არ შეიძლება აკეთოს პირადი ინიციატივა წუვეტდეს წიგნის ბედს, მისი თარგმნისა და გამოცემის საქმეს. ერთადერთი, წიგნის მხატვრული ღირსება, უნდა მოიპოვებდეს მწერალ გზას და აკეთოს კონტაქტი გამომცემლობებთან მხოლოდ ამის შემდეგ მეარდებოდეს. მთარგმნელთა მთავარი სარედაქციო კოლეგია ამ თვალსაზრისით საჭიროებს დახმარებას, რადგან მისი მიტოვება პირადი ინიციატივის ამარა ვერაფერით ვერ გაამლიერებს სუსტი წიგნებისათვის გაწეულ წინაალმდეგობას.

მთარგმნელთა მთავარ სარედაქციო კოლეგიას შედარებით იოლად შეუძლია გადაჭრას მეორე პრობლემა — კარგი თარგმნელების მიკლევისა და შემოკრების პრობლემა. თუმცა არც ამ შემთხვევაში იქნება საკმარისი მცირე ენერგიის გაღება მოძალებული ხელმოცარული მთარგმნელების მოსაგერიებლად. რაც შეეხება ერთი უმთავრესი მტკივნეული საკითხის მოგვარებას, ეს თუმცა შორეული ამბავი, მაგრამ მის მოგვარებას საფუძველი აქედანვე უნდა ჩაეყაროს. ვფიქრობ, დადგა ქართველი და რუსი ხალხის ურთიერთობაში ის დრო, რომ რუსი მწერლები, რომლებიც ქართული ლიტერატურის თარგმნას ფიქრობდნენ, საფუძველიანად ფლობდეს ქართულს. იგრძნონ ორიგინალის სურნელება ნიუანსების ჩათვლით, და ბრწყინდებით არ თარგმნიდნენ გალაკტიონსა და, მიხეილ ჯავახიშვილს, ვაჟა-ფშაველასა და აკაკი წერეთელს. სხვაგვარად მთავარ საქმეს ვერ მოიგლეჯა.

ამ საკითხთან დაკავშირებით საქმითნი საუბარი იმიტომაც გვესახება აუცილებლად, რომ უფლება არა გვაქვს არ მივაკვლიოთ სტიქიურობის ალაგმვის გზას. ეს მით უმეტეს აუცილებელია და სწორედ იმიტომ არის აუცილებელი, რომ მთავარ საკითხზე ყველანი შეთანხმებული ვართ — კარგი უნდა თარგმნილ, კარგად უნდა თარგმნონ. ერთი აზრისა ვართ ყველანი ამ საკითხზე და იმდენად აბსოლუტურად ვეთანხმებით ერთმანეთს, რომ ზოგჯერ გვიჭირვენება, საკითხი ისედაც ნათელია, ამას რა დისკუსია უნდაო. მაგრამ ისიც ვიცით, რომ შედეგია აბურდული და საქმის გამოსწორება რომ ურთულესი პრობლემაა, ესეც კარგად მოგვეხსენება. მაშასადამე, ყველა ამ კონკრეტულ თუ ზოგად საკითხზე, რაც ქართული ლიტერატურის თარგმნის პრობლემას ეხება, საჭიროა დიდი ავტორიტეტის მქონე პიროვნებების სერიოზული სჯა-ბაასი, რომელის მიზანი იქნება შეიმუშაოს საზოგადოებრივი აზრი სტიქიურობის ალაგმვის ოპტიმალურ ვარიანტზე. მხოლოდ ამგვარი მიდგომა იიევნის თარგმნის საქმეს ეროვნული, ამდენად სახელმწიფოებრივი მნიშვნელობების პრობლემამდე და ხელმოცარული მწერლებისა და მათი თარგმნელების პატეტნნიები თავისთავად დასუსტდება, თავისთავად განმტკიცდება რწმენა, რომ დიდ ბრენაზე ქართული მწერლობის სახელით გასვლა არანაკლებ მიუწვდომელია, ვიდრე ყველა მიუწვდომელი სიმალლე ჩვენს წარმოდგენებში, რომლის წინაშეც უნებლიეთ, თავისთავად უკან ვიხევნი. ჩემი აზრით, არ არის შეუძლებელი მოინაბოს ფორმა, რომელიც რამდენადმე მიუწვდომელს გახდის იმ სფეროს, სადაც უნდა გადაწყდეს ქართული მწერლობის ნიმუშების სათარგმნელად შერჩევა. მწერალთა კავშირისა და მთავარი სარედაქციო კოლეგიის მისია ამ გზით გაცილებით გაიზრდება, თუკი ნაგულისხმევი ფორმა, რომელის სახელდების უფლებას მე ჩემს თავს არ მოვცემ, გაუთავლებს მათ მავანნი ავტორების იზოლაციას და მისცემს საშუალებას თავისუფლად, შემოქმედებითად მიუდგნენ თარგმნის უზარმაზარ საკმეს, მთელ პროცესს. თარგმნის პროცესი კი რამოდენა ხელოვნებაა ეს ყველამ კარგად იცის. კონტურების სირთულეს შეგახსენებთ მხოლოდ: გასათვალისწინებელია არა მარტო ის, თუ რა უნდა ითარგმნოს, არამედ ისიც, ვინ უნდა თარგმნოს, ე. ი. მოსაძებნია კაცი, რომელის სტიქია თარგმნის ხელოვნებაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

(შეიძლება იყოს კარგი მწერალი, მაგრამ ვერ გამოდგება კარგი თარგმნელი! გალაკტიონნი და ვიეტ ცოდი მთარგმნელები იყვნენ!), თანაც ამ კაცის სულიერი გაწყვეტილება ისეთი უნდა ეცხრაფვოდეს არსებული მწერლის მეშვეობით სამყაროს, როგორც მიცოცხლებულ პიროს. არ ჩეული მწერლის სულიერი სამყაროს თარგმნელისაგან ერთგვარი თვითგამოხატვის საშუალებადაც უნდა განიცდიდნოდეს. მხოლოდ ასეთ ღრმა ცოცხლდება თარგმნელის ენაზე ნაწარმოები და ასეთ დროს იწყებს იგი ახალ ხიცოცხლეს. მაშასადამე, კეთილად ამ შემთხვევაშიჯერ რუსული მწერლობის ღრმა ცოდნაა აუცილებელი, ეს შედარებით ადვილია, ყოველ შემთხვევაში, შენზეეა დამოკიდებული შეიძ‍ლებელი თუ არა ღრმად! უფრო ძნელია სხვა რამ — მწერლის პიროვნების შესწავლა, დაახლოება და სწორი ორიენტაციის აღება. თავგარი პრობლემა რომ მომავალნი გადასაჭრელი, ამაზე გაკვრით ზემოთ ვთქვი — ჩვენმა კეთილისსურველმა მეგობრებმა ღრმად და სიფაქიზეთ უნდა შეიხ‍ედონ ქართული ენა. ეს კონტურები სირთულეა! თვით თარგმნელის ფუნ‍ქციაა შრომა? ვთქვათ, გალაკტიონის პოეზიის არსის წვდომა და რუსული ენის ბუნ‍ების მისაბ‍ადება ამ პოეზიასთან?.. აი ამ მძიმე შემოქ‍ედებ‍ითი შრომის საშუალება უნდა მიეცეს მწერალთა კოლეგიის, და მასთან არსებ‍ულ‍ ფ‍ონ‍ ‍ ‍

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნითი წონა. მკაცრი შერჩევის პრინციპმა და ფორმამ, რომლის გამოც ზემოთ ვილაპარაკეთ, ახალგაზრდა მწერლებიც უნდა დაარწმუნონს, რომ ეს პირველი დასტამშვა რუსულ ენაზე არის მათი ნაბალისებრისათვის გადადგმული ნაბიჯი და რომ ამის შემდეგ მართებთ გაათავეცებული შრომა, რათა მომავალში მართლაც შეძლნან ნაწარმოები, რისი გატანაც ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მასაც მოუტანდა ხახელს და ქართულ მწერლობასაც ან რომლის გატანაც სავსებით გამართლებული იქნებოდა.

დანამდვილებით ვერ ვიტყვი, მონაწილეობდნენ თუ არა მსგავს ფუტკვალებში, იწვევდნენ თუ არა გამომცემლობები თავისთან, მაგრამ იმას კი ყველა ვხედავთ, რომ ოთარ ჭილაძის, რევაზ ინანიშვილის, ჯანსუღ ჩარკვიანისა და სხვათა წიგნები სულ ახლახან გამოიცა რუსულად (მით უმეტეს მოსკოვში), რამდენადაც ვიცი, ტარიელ ჯანტურიას, ემზარ კვიტაიშვილის, ვახტანგ ჯავახაძისა და გიგი გეგეჭკორის წიგნები ჯერაც არ გამოცემულა. შედარებით ახალგაზრდების წიგნების რუსულ ენაზე გამოქვეყნებას არავინ არ ჩქარობს. ვინც აქ ჩამოვიდა და ვინც მათთან ერთად იგულისხმება. კიდევაც რომ მიეღოთ. მსგავს ღონისძიებაში მონაწილეობა, რუსულ ენაზე თავიანთი წიგნების გამოცემას მაინც დღეს უნდა შესდგომოდნენ, დღეს, როდესაც ბევრი ღირებული ლექსისა, პოემისა, ფოთხრობისა თუ რომანის ავტორები არიან.

და სიკეთეს. რაც ახლავს თ ამულაშვილს, მ. ჯიბაძის, ე. ნიკარაძის, ხ. სიგუას, დ. ბეკიანიძის, ლ. თაბუკაშვილის, ნ. შატაიძის, ნ. ხუციერაშვილის, ბ. ორბაულის და სხვათა მიწვევა მოსკოვში, მათი წიგნების გამოცემას ახლო მომავალში ამ კუთხიდან უნდა შეეხებოდეთ. მე სრული იმედი მაქვს თვით ამ ახალგაზრდების მკაცრი შინაგანი მოთხოვნილებისა, მაგრამ ადამიანი მაინც ადამიანია და, მით უმეტეს, ახალგაზრდებს ვერ გავამტყუნებთ, თუ თავიანთ თავს ვერ მიერეოს, თუ ოიცნებენ და ეცადონ კიდეც სისტემატური სახე მისცენ ამის შემდეგაც რუსულ ენაზე თავიანთი წიგნების გამოქვეყნებას. ეს კი არ იქნებოდა სწორი.

მე რამდენჯერმე ვახსენე საკავშირო არენა, დიდი არენა. არავითარი იმედი არა მაქვს, რომ ახლა მაინც გამოგვებენ სწორად და ამიტომ აქვე დავსძენ. როდესაც საკავშირო არენას დიდ არენას ვუწოდებ, მე ამით სრულებითაც არ ვამცირებ თვით ქართველი მწერლობის, როგორც ასპარეზის მნიშვნელობას. სწორედ ქართული მწერლობის წინაშე ვართ ჩვენ პასუხისმგებელნი, აქ უნდა ვთრთოდეთ შიშით და რიდით. მაგრამ მიმდინარე პროცესი ყოველთვის შექმნის პროცესია, რომელიც ამარცლებს ძლიერსა და სუსტის თანაარსებობას რაც შეეხება სხვა ენაზე თარგმნას, ამ შემთხვევაში ჩემი აზრით მკაცრი შერჩევის პრინციპი უნდა მოქმედებდეს და პასუხისმგებლობა ამ შერჩევის პრინციპის წინაშე გვეკისრება. ამაშია განსხვავება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალალი ბაქრაძე

ჰანგზიერიების სიცივე

ცოტად თუ ბევრად ცნობილი ისტორიული პირზე ყოველ მკითხველს თავისი წარმოდგენა აქვს. ზშირად მკითხველისა და ავტორის შეხედულება ერთმანეთს არ ემთხვევა. ეს მკითხველს აღიზიანებს და ფფიქრობინებს, რომ არასწორად დახატა მაგანი და მაგანი ისტორიული პიროვნება, არაზუსტად აისახა ისტორიული მოვლენები. ამიტომ მსჯელობისას ფრთხილად უნდა ვიყოთ, რამეთუ შეუძლებელია იმის ზუსტი, შეუცდომელი წარმოდგენა, აღწერა, ასახვა — რა იყო წარსულში, როგორი იყო ესა თუ ის პიროვნება. ანკი როგორ უნდა აღწეროთ უცდომელად, როცა არ ვიცით, რანაირი ზნე და ჩვეულება ჰქონდა, როგორ ჭამდა და სვამდა, როგორ იქცეოდა ახლოსლებისა და უცნობების წრეში, მეჭალთანე იყო თუ ასკეტურად თავშეკავებული, ენაწყლიანი და ხუმარა თუ სიტყვაძუნწი და ბრაზიანი. მარტოსული იყო თუ მეგობრებში ტრიალი უყვარდა. სად პოულობდა შვიდს — ბუნების წიაღში თუ ადამიანთა საზოგადოებაში. ერთი სიტყვით, იმდენი საიდუმლოს ცოდნაა საჭირო, რომ არათუ გარდასული ეპოქაში მცხოვრები და მოღვაწე კაცის, არამედ თანამედროვის, თითქოს კარგად ნაცნობი პიროვნების, სრული აღწერა-ჩვენებაც კი არ ძალგვიძს. ამდენად, როცა მხატვრულ ნაწარმოებში დახატულ ისტორიულ პიროვნებაზე ვლაპარაკობთ, ჩემი აზრით, საკითხი ასე უნდა დავსვათ — რამდენად საინტერესო, საყურადღებო, ღრმა და მიმზიდველია მწერლის წარმოდგენა ისტორიულ პირზე.

მეც ამ კუთხით შევხედავ ალექსანდრე კალანდაძის მიერ დახატულ კათალიკოს ანტონ პირველს და მეფე ერეკლე მეორეს, რამეთუ პატარა კახს „ნეიშნის ფიცში" ვრცელი ადგილი უჭირავს.

მკითხველმა უთუოდ იცის, რომ ერეკლე მეორე და ანტონ კათალიკოსი არა მარტო თანამედროვენი და თანამოღვაწენი იყვნენ, არამედ სისხლით ნათესავებიც.

ამ ნათესაურ ურთიერთობათა გამო, ანტონი მთელი ცხოვრება ორ ცეცხლშუა იდგა. ერთ მხარეს იყო ერეკლე მეორე, ვინც ნათესავიც იყო ანტონისა და, რაც მთავარია, ვისი პოლიტიკური მოღვაწეობის სჯერდა კათალიკოსს და ერთგულადაც ემსახურებოდა, მეორე მხარეს — აგრეთვე სისხლითა და ხორცით ახლოსლები, ქართლის ბედზე თავისებურად მზრუნველნი და მოფიქრალნი, მაგრამ ერეკლეს დაუჟინებელი მტრები.

ამდენად-ამეგი, რომელმაც ერეკლეს სისხლი გაუშრა, ანტონის ძმა იყო.

ალექსანდრე ბაქრის ძე, ვისთან ბრძოლასაც ერეკლეს ჯანი და ღონე შეალია, ანტონის ღვიძლი ბიძაშვილის ბაქარის წულია.

ბაბა ბატონიშვილი, ერეკლეს რომ შეუქმნელება მოუწყო, ანტონის ბიძაშვილია, ვახტანგ მეექვსის ძე.

რა უნდა ექნა ანტონს? მათი შერიგება შეუძლებელი იყო. ერთ-ერთი მხარე აუცილებლად უნდა გიეწირა. მდგომარეობა, რწმენა და სამსახური მისგან მოითხოვდა ექადაგა სათნოება, კაცთმოყვარეობა, შეწყალება. ივიდე მდგომარეობა, შეგნება და სამსახური ავალებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასტური მიეცა ყველა სასხლიანი განაჩენისათვის.

ასეთი სულიერი ტანჯვისა და ტკივილის ბენეკის ხიდზე იარა ანტონ კათალიკოსმა სიკვდილამდე.

ახლა თანდათან ვნახოთ, როგორ აისახა „ნეიშნის ფიცში" ანტონის სულის მოძრაობა.

ერეკლეს მდგომარეობა მძიმეა. მტრებმა თავი აიშვეს და სამეფოს შემოესივნენ. ამ დროს აბდულა-ბეგი განუდგა ერეკლეს. ეს ზურგში მახვილის ჩაცემას უდრიდა. ახლა გადამწყვეტი როლი ანტონმა უნდა შეასრულოს. ძმები ერთმანეთს შეხვდნენ. მათ შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

—„ნასამ მეფე თეიმურაზ ერანის ქვეყნიდან დაბრუნდებოდეს, იყავით ორნივ მყუდრონენი.

— უკანონოდ არარას ვიქმ, ქართელი ჩემია!

— წარპხდა, მოიმანგალა ქვეყანა, არც ერთს ალარა გრჩება ერა, ყიზილბაშნი ამყოინან და წარიყვანენ ყოველთა ტყვედ მიზნადარანს, გოლანს, ფერიას.

— ეგ ომას უთხარ, მე მამიჩვმის ტახტს ვეძებ.

— ნუ იქმ, ძმაო, ქალაქის აოხრებას! იყავენით ფრთხილად, მოდით გონებასა, დაფიქრდით, შედეთ საქმისა ბეჭობაში!

— ამ ქვეყნის საქმე ჩვენგან ამა ითხოვს.

— აბა, ნახე, რა დღეშია თბილისი! ცეცხლი უკიდია, ქუჩები ლეტრიანი ქვეშით ავსილა, ხახახლე ინგრეკეა, წარწყმდები ამოდენა ცოდვით, სიოსნის დაქცევით.

— ვარ მაამდიანი და არ მწამს ცხოვნება და წარწყმედა.

კათალიკოსს გონი აუმღვარია ძმის სიტყვამდ ადა ხოცარი ნებისყოფით შესძლო თავის შეკავება" (გვ. 274).

ცოტა ხანს შეუჩერდეთ აქ. ჯერ ერთი, ძმების დიალოგს არაბუნებრივი ელფერი აქვს. პათეტიზმი სჭარბობს და აკლია გულთათლობა. გულისხმიერება მკითხველს მეტი ნდობით განაწყობს. მეორეც, აბდულა-ბეგის სიტყვები — ვარ მაამდიანი და არ მწამს ცხოვნება და წარწყმედა — ძნელი დასაჯერებელია. ადამიანს ასეთი სიტყვები რომ ათქმევინო, ამას სათანადო გარემოების, მდგომარეობის შექმნა სჭირდება. ისე მკითხველი ვერ დაიჯერებს ასეთი სიტუაცია კი მათი საუბრის შედეგად არ შექმნილა. ვერ ირწმუნებს კიდეც იმიტომ, რომ აბდულა-ბეგმა იცის, ვის ელაპარაკება, ძმასა და კათალიკოსს. მისი მომდურება კი, არც ძმობისა და არც საქმის თვალსაზრისით აბდულა-ბეგისათვის ხელსაყრელი არ იყო. გარდა ამისა, აბდულა-ბეგი ერეკლეს ებრძვის, რადგან მიიჩნია, რომ მან ქართლის ტახტი უკანონოდ მიითვისა, და არა ქვეყანას, რომლისაც კანონიერ მფლობელად თავისთავს თვლიდა. მაშასადამე, შეიძლებელია ქვეყნის დაქცევა-გაპარტახება არ აწუხებდეს. რაღად უნდა უდაბნოდ გადაქცეული ქართლი? და თუ მაინც უკან არ იხევს, ეს იმიტომ, რომ სხვა გზას ვერ ხედავს. მაამდიანობა კი ველურობას არ ნიშნავს. იგი ისეთივე ზნეობრივი რელიგიაა, როგორც ქრისტიანობა, არსად მას ქვეყნის წარწყმედა-დაქცევა არ უქადაგია. მაამდიანობის ველურობად წარმოდგენა მეტისმეტად პრიმიტიული თვალსაზრისია. იგი არც აბდულა-ბეგს შეიძლება მივაწეროთ და არც ანტონს.

ახლა ისევ ძმების საუბარს გავყვეთ:

„—ჩემსას ვითხოვ! — უფრო რბილად წარმოთქვა აბდულებეგმა, — ღმერთმან მაშოროს ცოცხალს კაცის მამულის დაპრასა!"

ერთი წუთით ისევ შევჩერდეთ. განა ერთი წამის განმავლობაში შეიძლება კაცმა ჯერ თქვას, არაფერი მწამსო, არც წარწყმედა, არც ცხოვნება და იქვე მიაყოლოს, ცოცხალი კაცის მამულის დაპრასა როგორ ვიკადრებო? ასეთი მსჯელობა ან გონერეულ ადამიანს შეუძლია ან სიბრაზისაგან წონასწორობა დაკარგულს. აბდულა-ბეგი არც გონარეულია და არც წონასწორობაკარგული. ასეთი სიტუაცია ავტორს არ აუწერია. ძმები საქმიანად საუბრობენ. თუ გონის მოკრეფა და ფხიზელი ჭკუა სჭირთ, სწორედ ახლაა აუცილებელი.

„— ხარ მეფეოვ! — შეუტია კათალიკოსმა. — დაიგუნე მარტო, მომფონე სიკეთილი მეფისა და არს მეფე ცოცხალი და ხალსალმათად.

— არა ვარ აკაზაკი, მიმტაცებელი სხვისა სიმდიდრისა!

— ორგულ ექმეს მეფის დანაპარებს და გაიხსენე კვლავ შენი!

— არ დამიჩნ რა ხალაპარაკო. ხარ ძმა ჩემი უმრწემესი და ვალად გაქვს, იყო ჩემოან.

ანტონს სხვათა სიტყვა ეცნობა.

— გახსოვდეს, გაუვს ძმა და უნდა კეთილი შენთვის! — მშვიდად უთხრა აბდულებეგს, რომელიც ველური აღტაცებით გაპაჟურებდა ხანძარს. — და ქალაქისაკენ გამოეშურა.

— რაო, აბდალამ? — ღიმილით ჰკითხა ერეკლემ.

— დასამშვიდებლად მეფობისა და აღრეულობის დასაცხრომლად მიიღე ზომა მტკიცე. ჰქმენი, რაიცა არს საქმენელი. ანეენე ძალი და ძლიერება შენი! გმრთვებს აქ გმრობაზა. დუმანი შენი და სისუსტე აღლიერებს მტერთა შენთა, დაეც ზარი და მეხი ზეშთსა!" (გვ. 275).

ამ პათეტიკურ შეძახილში ქვეყნის ბედისადმი ზერელე დამოკიდებულება უფრო ჩანს, ვიდრე მასზე ზრუნვა და ფიქრი. ავტორმა კი ის სწორედ ზრუნვის უტყუარ ნიშნად წარმოგვიდგინა. ეს იმიტომ მოხდა, რომ რომანის-

ტის ტენდენცია წინასწარ არის განსაზღვრული. ამ ტენდენციას მდგომარეობის ობიექტური აღწერით კი არ გრძნობს მკითხველი, არამედ ავტორის პირდაპირი დასახელებით, ჯერ ერთი, აბდულა-ბეგი „ელური აღტკინებით გაჩაუურებს ხანძარსა". მეორეც, ერეკლე მას აბდალას ეძახის. ამ კალმბერთი ავტორი თავის დამოკიდებულებასაც გამოხატავს. რაკი ერეკლეს ებრძვის, ცხადია, სულელი და ველური. ასე მარტივად წარმოდგენა აბდულა-ბეგისა და ერეკლეს კონფლიქტისა ამცირებს არა მარტო აბდულა-ბეგს, არამედ ერეკლესაც. აქ უფრო რთულად იყო საჭმე. ეს კონფლიქტი გამოხატავდა მაშინდელი საქართველოს მესვეურთა სახელმწიფოებრივ შეგნებას.

დაჩუქმაცებული ფეოდალური საქართველოს უპირველესი უბედურება ის იყო, რომ საერთო ეროვნული, სახელმწიფო შეგნება უკიდურესად დაეცა. გაბატონდა მხოლოდ პროვინციული, როცა ქართლის, კახეთის ან იმერეთის რომელიმე მეფეკაი თავის ადგილს არ თმობს, ძირითადად ეს იმიტომ ხდება, რომ ყოველი მათგანი ამ პროვინციებს უყურებს როგორც პირად მამულს. უკვირს და ვერ აუტანია, როცა ვინმე პირად საკუთრებაში ეცილება. ისინი უმრავლეს შემთხვევაში ხასრეთის, თუქმეთის, რუსეთის სამეფო კარზე დახეტიალობენ, არა როგორც სახელმწიფო მოღვაწენი, არამედ როგორც შეურაცხყოფილი პიროვნებანი — ხასამართლენი. აბა, რა ჭკნნ, ბამფილს წარიმეფით ეფუკრებიან და სამარილს ითხოვენ. თუ მამულს არ წაართმევენ, მზად არიან, ვისაც გინდათ იმას ემსახურონ, ეს რწყლი მიიღონ, ის ხაფელი დაიჩქვინ, რასაც მოსთხოვენ. ეს არის ყმის ტიპიური ფსიქოლოგია. მაშინ ბევრი ამ ფსიქოლოგიით ისე იყო შეპყრობილი, რომ ძნელად თუ გამოადგილებდა ვინმე. ეს შეგნება წარმართავდა აბდულა-ბეგსაც. მას ალბათ სრულიად გულწრფელად სჯეროდა, რომ ერეკლეს, როგორც ეროვნულმა წაართვა მამული. ღრმად შეურაცხყოფილი, დაჩაგრული კაცის ხიჩეუტით ებრძოდა მეფეს. ეს მისი პირადი უბედურებაც იყო და ჭეკენისაც.

ამ დამღუპველ რწმენას, რომანიტის სიტყვით, ანტონი უპირისპირებდა შეგნებას — „ერეკლე — საქართველოს ეროობა — ერთიანი სალიტერატურო ენა — ერთიანი ანონი — ერთი გრამატიკა" (გვ. 465) და „ერთი ერი! ერთი სახელმწიფო! ერთი ეკლესია! ერთი მეფე!" (გვ. 441).

მართალია, ანტონ კათალიკოსს ამგვარად და ასე მკაფიოდ არსად ჩამოუყალიბებია თავისი შეხედულება, მაგრამ ამას ახლა არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მწერალს აქვს უფლება თავისი სანუკვარი აზრი თავისსავე საყვარელ პერსონაჟს მიაწეროს, ანტონ ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეუფლერებიან, მამიჩენის ტახტი ამათ მივართო! მე, ჩემი ძმა, ლედაჩენი, სულ წერილებით აგვავსეს. რას გვთაულავენ, რას კაღრულობენ, ანტონ!

თან გამგელებული ხელთათმანებს იძრობდა, ძვირფას ზონელს ისედაც და დარბაზზე გაობგამოჩნობოდა.

— გაგიჭირდათ, ტარანენო?! ფიდად დამბაზეს ნებული ტახტის მიმტაცებელი. თუ ჩამოხვალ მე და ჩემი შვილი ხელს არ შეგაშლითო. ვეფაქოფება, რაღა! პაპუნა გაბაშვილის წერილშიაც ახეა: ჩამოდით ქართლს უპატრონეთო!

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი! ...

— გკერა? მართლა გკერა!? მაგით მითომ უნდა მომატყუოს ამ ყოროწეს ბარბაროსმა. ალექსანდრე ჩამოვიდეს, თავის ქართლს ხელი მოაკიდოს და უბატონოსო.

საბრალო აზიელი! ახლა გახდა ჩემი ქართლი! გულში კი ფიქრობს: ერთი გზნიან ჩამოგაშორო და მერე მე მკითხეო!

— რათა, ბატონშვილო, იქნება წრფელი გულითაც ამბობენ!

— არ დაიკერო, ანტონ! ჩემმა საქმემ გასჭრა და შავ დღეში ჩაცვივნულან. მე მოხოვენ, ეიდან ამოგვიყვანეო! ვერასოდეს, ბარბაროსნო, ეს ოინიც უნდა ჩაგიშალოთ!

— შენ მაინც ნუ გიერეკეთ, ბატონიშვილო! შენი საკადრებელი არაა, ისედაც არა გამოუვალ რა.

— რას მირჩევ, ძმაო! ძლივს ჩემი ეამი მოსულიო და ახლა დავდგე?! გამარჯვების სიახლოვეს ვგრძნობ, დღეს-ხვალო, კანონი და სამართალი პურსა სჭამს. მალე ყველანი დაბრუნდებიო და მიეშეიდეთ და დაობლებულსა და უბადოუს კახთაგან.

ანტონი საშინლად იტანჯებოდა: არ იცოდა, რა ექნა, რა პასუხი გაეცა ტახტის მაძიებლისათვის. მან გადაარჩინა, მისი დაზმარებით იმეორაგრიცამ სასახლეში მიიღო, შეიწყნარა, მთავარმისკოპოსობაზა უბოძა. დღესაც მასზე იყო დამოკიდებული, რადგან სინოდი დაბუნდებიმ ბაიესო და ყოველ წუთს შეიძლებოდა სამართალში გადაეცა.

— ვუყვარვარ საკართველოში? მიცნობენ?! ვახსოვარ?!

— როგორ არ ახსოვხარ, როგორ არ უყვარხარო!" (გვ. 408 — 409).

ჯერ რამდენიმე შენიშვნა ისტორიული სიზუსტის თვალსაზრისით.

ძალიან საეჭვოა, რომ ალექსანდრეს ანტონისათვის მიემართა — „ანტონ, ძმაო!" ჯერ ერთი, ანტონი ალექსანდრეს ბაბად ეჩვენებოდა. ბიძაშვილები იყვნენ ბაბანი, მამა ალექსანდრესი, და ანტონი. რა თქმა უნდა, ეს იცის ავტორმა, მაგრამ რატომღაც ყოველთვის ალექსანდრეს ანტონის ბიძაშვილად იხსენებს: „რადგან საბუთების გამოჩენა არ შეიძლებოდა, ბიძაშვილები სამი თვე ერთად იმტკრეველნენ, ბაბანი მასათა წერილგენათ იმეორატორესა და სინოდისათვის" (გვ. 349). „ანტონი ისე უსმენდა, რომ ძნელი გასაგები იყო, თანაუგრძნობდა თუ არა თავის ბიძაშვილს" (გვ. 410). მეორეც, ანტონი მაღალი რანგის სასულიერო პირი იყო და მაშინდელი ოფიციალური თავაზიანობის წესებს თუ გავითვალისწინებთ, ძნელი დასაჯერებელია ალექსანდრეს ასე ფამილარულად მიემართა.

ჩემი აზრით, ალექსანდრე ვერც ამ ფრაზას იტყოდა — „ვუყვარვარ საკართველოში? მიცნობენ?! ვახსოვარ?!" ალექსანდრე ოსეთში დაიბადა და გაიზარდა. იქ საქმიანობდა და საკართველოში ვის უნდა ჰყვარებოდა ან ხსომებოდა? გაბა ეს თავად არ იცოდა? დავუშვათ, საბრძოლოზე მეოცნებე კაცი რადაც ილუზიას ეძოფინება და ეს ფრაზა წამოსცდა, ანტონს რაღა აიძულებს ამკარა ტყუილი უთხრას „როგორ არ ახსოვხარ! როგორ არ უყვარხარო!".

ახლა ისევ ძირითად საკითხს მივუბრუნდეთ.

ზემოთ ციტირებული საუბრის მიხედვით ალექსანდრე აკტიურია, შემტევი, ანტონი კი — ქედმიდრეკილი, მორიდებული, დაშინებეული.

რომანისტი წერს, „არ იცოდა, რა ექნა, რა პასუხი გაეცა ტახტის მაძიებლისათვის". კი, მაგრამ სად არის კაცი, მოღვაწე, რომლის ფრაზეი პრინციპია — „ერთი ერი! ერთი სახელმწიფო! ერთი ეკლესია! ერთი მეფე!" თუ ამ კრიტიკულ სიტუაციაზე სიმტკიცეს ფულადაც, შეშინდა და ვერ ამაღლდა ჩვეულებრივ ფილისტერზე. რაკი ალექსანდრესაგან დავალებულია, აძულებულია პირში წყალი ჩაიგუბოს და გაჩუმდეს. რომ არ აწყენინოს, ყველაფერზე უასიდად თავი უკანტუროს თანხმობის ნიშნად. თუ ასე იქცევა, მაშინ ანტონი საკმაოდ სულმდაბალ კაცად გამოიყურება. პრინციპს მაშინ უნდა დაცვა, როცა გიჭირს, ოორემ მოლეწილის ეროს ყველა ვიგინდარა მაღალ-მაღალი მეცნებენი გვიქედავს ყურს. თუ ანტონი მართლაც ერთგული თავისი პრინციპის, რატომ ერთხელ მაინც არ სცადა გაწმინდრა ალექსანდრესათვის, დიერწმუნებინა იგი, მაშინდელ პირობებში რა სჭირდა საკართველოსათვის. მართალია, ანტონი საკართველოდან გაძევებულია, უსამართლოდ დაზნეილი და გულნატკენია, მაგრამ ის ანტონი, რომელიც ალ. კალანდაძეს უნდა დახატაზ, პირადულს ვერ დაიკენებდა მამეული ხაკმეზე მალლა, მაგრამ ამ კონკრეტულ დიალოგში ანტონ ფორო თავისთავზე მზრუნველ კაცად მოჩანს, ვიღრე ქვეყნის ბედზე გადაგვაქონ პიროვნებად. რა თქმა უნდა, ყოველ ადამიანს შეიძლება უდალატოს ნებისყოფამ, შეცდომა (ფორო მეტიც, ღანაშაულიც) ჩაიდინოს, მაგრამ მაშინ საჭიროა სათანადო მხატვრული და ფსიქოლოგიური ატმოსფერო აღიწეროს. „ანტონი სასშინლად იტანჯებოდაო", მხოლოდ ამის განცხადება არ კმარა. უნდა დახატვის

ტანჯვის სურათი. რომელიც ემოციურად დაგვერეზა, რა მდგომარეობაში იმყოფება პერსონაჟი.

კარგი, დავშვათ ერთი წუთით, უცხოობაში ყოფნამ, სხვისი ხელის შემყურეობამ ანტონი მოადუნა, არ მისცა საშუალება რწმენა და პრინციპი მტკიცედ დაეცვა, მაგრამ რა უშლის ხელს ეს გაკეთოს პაატა ბატონიშვილის შეთქმულების დროს?

„წამოდგა ანტონი. სული ეხუთებოდა, ენა ებმებოდა. აზრის თავმოყრა უჭირდა. გაფითრებულს ტუჩები და ხელები უცახცახებდა. დანაშაულეთათვის უნდა მიემართნა და მათი დანახვა არ შეეძლო. თითქოს, სადღაც შორს, ულსაწოლო სივრცეს მიჩერებია, ისე გამოთქვამდა გულში დიდი ხნის დალეკილ სატანჯველს:

— რომელ ქართულ ედავებით ერეკლეს?! სად არის ქართლი?! სად დასტოვეთ და ვის დაუტოვეთ! ვინ შეიფარა და ვინ იხსნა! რიდის მოგაგონებათ თქვენგან დაცცუფილ და მოსპობილი ქართლი, რომელმაც მაინც დედობრივად შეგიფარათ თავის დანგრეულ ჭიჭვეზე, თბილი კალთა გადაგფარათ, მოგეალერსათ, შეგიტკბოთ ქრისტეს სიყვარულით.

ქართლი კი არა, უირაკლიდ დღეს ერთი კომლი, ერთი ქართველიც აღარ იკნებოდა ამ მიწაზე.

ქართლი ერეკლესათვის მძიმე ტვირთია! სნეული, რომელიც აქამდე საკუთარი ზურგით მოიტანა და წინ უნდა აბაროს გამოსაჯანსაღებლად. თქვენთვის ქართლი აღამის სუფრაა, რომელსაც ზედ უნდა შეჯდეთ ტვირთად და სული ამოიხადოთ სნეულს!

თქვენ სად შეგიძლიათ ის, რასაც ერეკლე აკეთებს: დღედაღამ ხმლის ქნევა, ღღედაღამ ლაშქრობა, ცივ ქვაზე წოლა და ყოველის კაცისათვის ყურის მოგდება.

თუ ახე იქნა, ქართველ-კახეთის შეღალი შეიერავს მთელ ხაკრთველოს! ყველას, ყველაფერს თან ჩაიტანს.

არაფერი ისე არ გვეპრიდება, როგორც ერთობა, ძმაო პაატა! საუკარელო ძმაო! რათ ჰკვნი, რათ ჩაიდენე ეს! რამ გაგაბრიყვა! რისთვის მოგვკალი, რისთვის მოგიწამეთ სიცოცხლე შენთა მოკეთეთა!

შეგილო დავით, ჩემო სულის სინათლევ დათუნა! შენ რისთვისაც გაგვიმეტე, შენ რაიღა ფალალტე ეს! ნუ გაშზრდილ ერეკლეს, რომელმაც მამაშენს ქართველს დაკეცვა, ამოწყვეტა შეუნდო, შენც ეკუთვნი მიგიღო, შეგითვისა და შეგიყვარა“ (გვ. 462).

ეს პათეტიკია და სენტიმენტალიზმით გაჟღენთილი სიტყვა დაწერილებით უნდა, განვიხილოთ.

როცა პაატა ბატონიშვილის შეთქმულებაზე ვლაპარაკობთ, რიმანის მიხედვით შეიძლება ორი სიზარბლე გამოვყოთ. ერთია ეროვნული პარტიულფარისტული სიმართლე, რომელსაც პაატა ბატონიშვილის მხარეს არის. მეორეა ღიდი, ზოგადერთვნული სიმართლე, რომელიც ერეკლე-ანტონის მხარეს არის და რომელიც რომანში გამოთამეულია ლეტხელებით — „ერთი ერი! ერთი სახელმწიფოს! ერთი ეკლესია! ერთი მეფე!“ სწორედ ამ პრინციპით უნდადაპირისპირებდა ანტონი შეთქმულებს. მაშინ იგი გახსნიდა არსს, რის წინააღმდეგ იყო მიმართული „მაჩარეშვილის დარბაზის“ შეთქმულება. არსის გახსნა კი ერეკლე-ანტონის პოზიციას ნათელს მოპფენდა.

ანტონი კი რატომღაც თავის სიტყვას ისე ფლეკენს, თითქოს ქართლი გადადგებული იყო ერეკლემ იპოვნა და რაკი ნაპოვნი აქვს, რა უფლებით ედავებით ერეკლეს?! — „რომელ ქართლს ედავებით ერეკლეს?! სად ალის ქართლი?! სად დასტოვეთ და ვის დაუტოვეთ! ვინ შეიფარა და ვინ იხსნა!“ ეს არ არის პოლიტიკური როდეაწის დებულება და პოზიცია. ეს არის ბალანსირებული კაცის დავა, რომელსაც ეშინია ნაპოვნი არ წამართვანო. ჯერ ერთი, თუ ვინმემ ქართლი დატოვა უპატრონოდ, ეს უპირველესად ანტონის ღვიძლი ბიძა ვახტანგ მეექვსე იყო. ახეთი ბრალდება ეთანხეოსის მიხთვის შეიძლება წაეყენებინა. მეორეც, ერეკლეს ქართლი არც შეუფარებია და არც უხსნია. სიტუაციამ მოიტანა, პირობებმა შეიქმნა ისეთი, რომ ნადირ-შაჰმა უფრო მიზანშეწონილად ჩათვალა ქართლი ერთგული თეიმურაზ მეორესათვის მიეცა, ვიდრე რუსეთში გადახვეწილი ვახტანგ მეექვსის მემკვიდრეებისათვის. მერე, თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ, ქართლი ერეკლის მემკვიდრეობით ეჭირა. ეს ხომ ჩიწებულად იყო ცნობილი. შეთქმულთათვისაც და იქ დამსწრე საზოგადოებისათვისაც. მაშ რა შეფარებასა და ხსნაზე ელაპარაკება მათ ანტონი? „განა უფრო მიზანშეწონილი არ იყო ეთქვა, განეშარტა — რა გონიერსედ გამოიყენეს თეიმურაზმა და ერეკლემ შექმნილი სიტუაცია, ქართულ-კახეთის ერთიანობას მიაღწიეს, გაჩნდა პერსპექტივა სრულიად საქართველოს აღდგენისა, რომ სწორედ ამ სანუკვარ იდეალს ეშესრებოდა მსგავსი შეთქმულებანი?

ანტონი ამ სიტყვაში იკამდა მიღის, რომ მთელ ქვეყანას ზეწალს ფეხს, ამაღლეს ერეკლეს მეფობას. „ქართლი კი არა, უირაკლიდ დღეს ერთი კომლი, ერთი ქართველიც აღარ იკნებოდა ამ მიწაზე. ქართლი ერეკელესათვის ძმიმე ტვირთია! სნეული, რომელიც აქამდე საკუთარი ზურგით მოიტანა და წინ უნდა აბაროს გამოსაჯანსაღებლად“. ეტყოფა, აღ.

ელ-ნინდაე იმდენად გაიტაცა ერეკლეს პანეგირიმა, რომ ვეღარ შეამჩნია, ქვეყანა როგორ დაიმცარა. ქართლი უამრავ ჭირ-ვარამს გამკლავებია ერეკლეშიც და ერეკლეს შეძლეგაც მას ერეკლეზე უფრო დიდი პიროვნებანი უმეია და ზოგს. იგი არასოდეს ყოფილა სნეული და ვისმე ტკივრით. არც იქნება. არავის უტარებია ქართლი ზურგით. ესე იგი ატარებდა და დღესაც ატარებს ბევრ ულიანს, პიროვნება, რარიგ გამოჩენილიც უნდა იყოს ის, ქვეყანაზე დიდი ვერ იქნება. აქ თავად ავტორს დაეჭვა წონასწორობა. ანტონს ის თქმევინა, რაც მთაზრავნენ კათალიკოსს არამც და არამც არ ეკადრება. ეს მოხდა სწორედ იმის გამო, რომ ანტონი საერთოერთნეული პოზიციის შესაბამისად კი არ მსჯელობს, არამედ როგორც ერეკლეს დამცველი ადვოკატი.

შეთქმულების მონაწილეებს ანტონი უყვარის — „თქვენ ხად შეგიძლიათ ის, რასაც ერეკლე აკეთებს: დდიდდიან ხმლის ქნევა, დღედაღამ ლაშქრობა, ცივ ქვაზე წოლა და ყოველის კაცისათვის ყურის მიგდება". ეს უკვე მეტისმეტია. განა ანტონმა არ იცოდა, რომ შეთქმულების მონაწილეთა უმრავლესობას სწორედ ხმლის ქნევასა, ლაშქრობაში და ცივ ქვაზე წოლაში ჰქონდა მთელი ცხოვრება გატარებული? ყველფერს რომ თავი დავანებოთ, განა თავად ალ. ქალაქაძე არ წერს ელიზბარ თაქთაქიშვილზე. „მთელი თავისი სიქაბუკე ქართლ-კახეთის სიხსნილან ომებში ჰქონდაო გავლილი" (გვ. 463). შეიძლება მათი ვთქვაცობა უაზროდ დაიხარჯა, მაგრამ არც ელიზბარ თაქთაქიშვილს, არც დიმიტრი ამილახვარს, არც პაატა ბატონიშვილს და არც სხვებს სიმამაცე სასესხებლად არ ჰქონდათ. ეს კი არა და, შეთქმულების მონაწილე ინნეული ალეკსანდრე ამილახარი გასაოცარ ვთქვაცობას ირნენ. ამის სახუთი თვით რომანაშია. მოუსმინეთ ერეკლეს და ალეკსანდრე ამილახვრის საუბარს:

„— შენი ძმა ბუნებით საპერისი იყო და ამიტომ წავართვი ჩემი ფა, მაგრამ თქვენ რატომ გინდოდათ ოჯახისაგან ჩემი ამოწყვეტა?

— სტკეთ! ჩემი ძმა ეეშმარიტი მამკაცია და არც თქვენნ სიკეთლი ხდომნია ვისმე.

— მაშ, რას მიპირებდით, თუ არ მოკვლას?

— მაშინ გიოგებდით, რასაც გიპირებდით, მაგრამ აღარ დაგვიცავეთ, ახლ, ძალი თქვენნა, რასაც გინდათ, ისეს გვიზამთ. მოიგონეთ ბიძაჩემი გივი, ფიანდაზად რომ ეფინებოდით, როცა გეპირებოდით!

— მომაშორეთ! — დაიყვირა მეფემ. — ჩემ დღეში არ მინახავს ასეთი თავხედი ბიეი!" (გვ. 463).

თავად მკითხველმა განსაჯოს, ამ დიალოგის მიხედვით ვინ უფრო მამაცად გამოიყურება, 15 წლის ალეკსანდრე ამილახვარი თუ ერეკლეს მეორე?

ალ. ნოტაციებს უკითხავს ანტონი შეთქმულებს ერეკლეს შეუდარებელ ვთქვაცობაზე?

ერთი სტკეთო, აქაც ანტონი პრინციპს, შეხედულებას, საკარიველოს ერთიანობის აზრს კი არ უპირისპირებს შეთქმულთა საქციელს, არამედ ერეკლეს პიროვნებას. ამით, ბუნებრივია, იდეალის მნიშვნელობა დამცირდა. უნდოდა თუ არ უნდოდა ავტორს, რომანში საკითხი დაისვა ასე — ერეკლე თუ პაატა ბატონიშვილი? საკირო კი იყო პრობლემა წარმოდგენილიყო ამგვარად — დაკუთაცებული თუ ერთობილი საკარიველო?

მთელი ამ ცხარე მონოლოგის მანძილზე ანტონს ერთადერთხელ წამოსცდა „ქართლ-კახეთის შუელი შეიწრავს მთელ საკარიველოს! არაფერი ისე არ გვკვრდება როგორც ერთობა". ძმოლოდ ამ პრინციპისათვის ბრძოლას შეუძლია გაამართლოს ანტონის პოლიტიკური მოღვაწეობა საერთოდ, მისი ესა თუ ის საქციელი კონკრეტულად. თორემ სხეაგვარად მონის მსოფლმხედველობისა და ფსიქოლოგიის კაცი შეგვრჩება ხელთ. ახე გამოვა: რაკიდა ერთხელ იწამა ერეკლეს სიმართლე, ბრძად და განუხკლად ამარილებს ყველგან და ყველფერში. ბრძამ მორჩილება დიდად ამცირებს ადამიანს, მით უმეტეს მოაზროვნეს. ნუ დავივიწყებთ, რომ ანტონი ვოლტერის, რუსოს და სხვათა — თავისუფალ მოაზროვნეთა — თანამედროვეა. თუ იგი ეპოქის დონეზე იდგა. შეუძლებელია განუსკლად მიმხრობოდა ვინმეს. სწორედ ამ განსკის, ფიქრის, დასკვნის პროცესის ჩვენებაა საუცილველი, რომ ავტორის სურვილი მკითხველისათვის რეალობად იქცეს.

ანტონი კი, როგორც ერეკლეს მოწინააღმდეგეს შეხვდება, ყოველთვის დამნაშავეს თავი გამოიყურება და ყველას ისე ეფლარაკება, თითქოს თავს იმარილებსო. განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ეს ალეკსანდრე ამილახვართან შეხვედრისას.

როგორც მკითხველმა იცის, ყმაწვილი ალეკსანდრე ამილახვარი პაატა ბატონიშვილის შეთქმულებაში მონაწილეობდა, რისთვისაც იგი სასტიკად დასჯეს, დასასიჩრეს (ცხვრი მოაკრეს, ფეხის ძარღვები გადაუჭრეს) და საპრნოლოდან გაამეეს.

გამოხდა ხანი. რუსეთში ელჩად წარგზავნილი ანტონი ალეკსანდრე ამილახვარს შეხვდა და მათ შორის საუბარი გაიმართა.

„—ჰა, ჰა, ჰა! ნუ უკუე, არ რეცხენობთ, პატრიარქო! ეგ სახითა იყო ავაზაკისაგან და არა სამსკვარო!

— ღმერთი ნუ შემარცხვენს, როგორც მოგვახსენეს, ისე გადაწყვეტეთ, მაკამდე არც მე გიცნობიეთ ორგულად.

— მოხდა დაბეზღებით და უწმინდესმან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსახურმან ღვთისა. დაამტკიცეთ სიყვდილი უცოდველთა. ცოცხლისა სიკვდილი ყოველთა კაცისა შესაძლებელ არს, აღდგინებაი მისი არავისგან. არ იქნების ამ მიზეზით მოყვდნება კაცისა, რაოდენ დამნაშავისაცა.

— მეფემან უნდა დასცეს ზარი შინაგანსა განხეთქილებასა, დაიცქოს შფოთი შინაური და ღაუბედეს მტერსა გარეგანსა. არ ყოფილიყო საქართველოში შური და შფოთი ერთურთისა, მე და შენ სხვის ეარ და ვიქნებოდით.

— ბგონებია აქ ყველას, რომ იყავ შენც ჩვენთანა ერთად შეზრახებული, რადგან ახე ეგებოდა ესე, და გადმოგადგა ავაზაკმან კოშკადან და ტტიოდა ყველა და მოსულთარ ეხლა აქ განსამართლენლა ავაზაკისა მის.

— ვერ ვუდალატებ ჩემს მეფეს.

— ღმერთო! ნუთუ არ უწყი, რომ არ არის ის მეფე ქართლისა!

— ვერ ვუდალატებ საქართველოს ერთობას და ამალებას.

— არს ამალება საქართველოში მოკრა ცხენისა, დათრა თვალთა, დასხეა სახსართა, დაწვა მოხუცებულთა?! ითქმის ყველა ეს ეზიად და იწოდთ თავსა თქვენსა ეკრთაგდ.

ანტონს გაბოროტებული ჭაუეის ყველა სიტყვა არ ეტყოდა: სახელმწიფო საქმეების განწირულებით იყო მოცული"... (გვ. 507-508).

როგორც დაკვირვებული მკითხველი ხედავს, ამ საუბარში ანტონი თავს იმარილებს — „ღმერთო ნუ შემაცხვენს"..., „ვერ ვუდალატებ ჩემს მეფეს"... „ვერ ვუდალატებ საქართველოს ერთობას და ამალებას"... სხვა პასუხი მას არა აქვს. დატეტსულ მოწყეფსავით ამეორებს ერთხელ დაზუთხულ სიტყვებს. ალეკსანდრე ამილახვრის კონკრეტულ ბრალდებას ვერც კონკრეტულ პასუხს ალლევს და ვერც აზრის ხილვრივი სკამნის. ალეკსანდრე ამილახვრი ეელაპარაკება როგორც ფილოსოფოსი, ანტონი უპასუხებს როგორც პოლიციელი. ალეკსანდრე ამბობს — „სიკვდილი ყოველსა კაცისა, შესაძლებელი არს, აღდგინებაი მისი არავისგან. არ იქნების ამ მიზეზით მოკვლინებაი კაცისა, რაოდენ დამნაშავისაცა". ამ ფერმეანი ჰუმანისტური დებულების პასუხად რას ამბობს ანტონი? არაფერს. საცოდავ ტრაფარეტულ სიტყვებს, ამოლებულს მონარქიის პროპაგანდისტალი სახელმძღვანელოდან — „მეფემან უნდა დასცეს ზარი შინაგანსა განხეთქილებასა"... ვის ვის და ანტონ კათალიკოსს უნდა სცოლნოდა, რომ ზარის დაცემას არც ერთი ქვეყნის ერთიანობა არ შეუქმნია. ერთიანობა შეუქმნია მაღალ ეროვნულ შეგნებას, კანონიერებას და ღონიერ ეკონომიკას. დიქტატორის წყალობით მიღწეული ფრიგითი ერთიანობა ყოველთვის კრახით და კატასტროფით დამთავრებულა! მარადიულად არხებობს ის სახელმწიფო ერთიანობა, რომელიც დიდ ეროვნულ შეგნებას ეფარება. ანტონის ეპოვას ჰქონდეს ეს ცოდნა და, თუ კათალიკოსი დროს ფეხდადგეს მეყვნოდეს, ახე დაბნეული და გაბაცოდავებული არ უნდა იდგეს ალეკსანდრე ამილახვრის წინაშე. ანტონმა ვერ უპასუხა ახალგაზრდა ამილახვრის პარალელი და მწარე ირონიასაც — ცხვრის მოკრა, თვალის დათრა, სახსრთა მოკვეთა, მოხუცთა დაწვა მიგანნიაო საქართველოს ამალებებად! ვერ უპასუხებდა, რადგან თავადაც ადასტურებდა ამ მხეცურ სასჯელს. ამიტომაც უხერხულ მდგომარეობაში მეოდ კათალიკოსს ეარი მოსწმენდა, რომანოზეტმა — „ანტონს გაბოროტებული ჭაუეის ყველა სიტყვა არ ესმოდა: სახელმწიფო საქმეებს განწირულებით იყოო მოცული".

ეს არც კათალიკოსის მდგომარეობის ახსნაა და არც მისი გამართლება. ეს უმწეობაა. ამით უნდა ავტორს აარიდოს ანტონს პასუხისმგებლობა.

— — თქვენ აიძულეთ მამაჩემი, დაეწინდა ჩემი ძმა მეფის ასულზე, თუმცა არ გვინდოდა ეს, რადგან ყველა გაეჭიანის ავაზაკებთან დამოყვრებას. როგორ იკადრეთ ამის შემდეგ ღვთისმსახურმა ჩემი ძმის შერცხვენა და ქორწინების დაშლა?!

— ეს იყო საბერო საქართველოსათვის.

— სატანა მეტყველებს ამას! სისაბაგლე და უსამართლობა დასწეწს და არა თუ გაეერთების საქართველოს და არას არგებს მას უბედობა თვისთა შვილთა.

— ნუბა არ ჭქონდა.

— ალიარეთ მაბეზღარა „ქრისტეს მახარობლად" და დასაჯა უფალმან, ამოსწყვიტა შავის ჭირით ოჯახისაგან. ალაპარაკეთ საბრალო ელისაბედი ჩემის ძმის საქორწინებისათვის და გადაჰკვა პირველსავე მშობიარობას და გამოჩნდა, ვის ჰქონდა ბრალი უშვილობისა, ჩემს ძმას თუ ამის დას.

— საქართველო და მერე სხვა ყოველი!" (გვ. 509).

აქაც ამილახვრის კონკრეტულად დასმულ ყველა ბრალდებას ანტონი ზოგად, არსებითად არაფრისმომქმელ პასუხებს აძლევს — „ახე იყო საბერო საქართველოსათვის", „საქართველო და მერე სხვა ყოველი"... რატომ? ბოლოს და ბოლოს, რა მოუტანა საქართველოს ცოლ-ქმრის გაყრამ, ამილახვრიანთა ოჯახის შეურცხყოფამ? მიუხედავად ამისა, რომ ამ გაყრაზე ანტონი ბევრს ფიქრობს (გვ. გვ. 439-441), არ ჩანს, მკითხველმა არ იცის, რა აუცილებლობამ გამოიწვია ეს. უნდა ვიფიქროთ, რომ ამისი არავითარი აუცილებლობა

აპაკი ბაძრაძე
კანდიდატის სიტყვა

არ არსებობდა. არც რაიმე საბუთი ჰქონდათ ამილახვრის საწინააღმდეგოდ, რამეთუ შეუფუბული და შეშინებული ანტონი ამბობს — „არა ცილი მსწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუთითა". მერე უმატებს — „მართალია ამილახვარი?! საბუთი არა გვაქვს რა მისი კეთილეულებისათვის, თვინერი ელისაბედის განცხადებისა..." ანტონი უმძიმეს მდგომარეობაშია: რა უნდა ჰქნას? უსაბუთოდ, მტკიცების თვინერ მსჯავრი როგორ დასდოს მართალ კაცს? თითქოსდა მოსალოდნელია, რომ ანტონი ყველაფერს ღლნებს, სიმართლე გაარკვევს და გაწაწინებს ისე გამოიტანს, მაგრამ მკითხველი მოტყუებული რჩება. ანტონი აკეთებს მოულოდნელ დასკვნას — „გამოძიება არ ეგების. არის თხოვნა მეფისა და თხოვნა მეფისა არს ბრძანება". და ანტონი, ერის სულიერი თავკაცი, სწადის გაუგონარ რასმეს: დასტურებს გაერთს უსაბუთოდ. უგუნურება და ბრმა მორჩილება უფრო შორს ვერ წავა. ამის მერე როგორ დაიჯეროს მკითხველმა ანტონის ღრმა აზროვნება? მისი შორსმჭვრეტელობა, მისი სიბრძნე?

გაბრიელ გარსია მარკესს უთქვამს — მე ვემსახურები ჩემს სამშობლოს და არა ჩემი სამშობლოს მთავრობას. მართალია, ეს დღეს ოთქვა, მაგრამ ყველა დროში, ყველა ნამდვილი მოაზროვნის საქმითაც ეს სიბრძნე წარმძღარა. „ნეიშნის ფიცში" ანტონი ემსახურება არა სამშობლოს, არამედ ქართლ-კახეთის მეფეს. ამიტომ კათალიკოსი ხშირად უსაბუთ მდგომარეობაშია და პაოეთიკური მაღალფარდოვანი წამოძახილების („საქართველო და მერე სხვა ყოველი!") გარდა, საკუთარი მოკმედების, საქციელის გამამართლებელი არგუმენტი არ გააჩნია. თუ მკითხველმა არ იცის პერსონაჟის მოქმედების, საქციელის აზრი, მიზანი და მშინაერნები, იგი პროტაგონისტის მარტო მაღალფარდოვან განცხადებებს ვერ დაიჯერებს. მკითხველის დამიჯერებულებაც პერსონაჟის მიმართ შემუშავდება მოქმედებისა და საქციელის საფუძველზე, რომელიც გამგებრებული ხატკვნა და საქმის ერთიანობით.

ალექსანდრე ამილახვართან საუბარში ანტონი დამნაშავედ და ბრძოლაწაგებულ კაცად რომ გამოიყურება, ეს ავტორმაც დაადასტურა, როცა ანტონს ათქმევინა:

„ — ვქმნე ყოველი საქართველოსთვის, მაგრამ კაცი ვარ, ად�, მრავალგზის კეთილი მეგონა და არა იყო კეთილი, მაგრამ რაიცა კეთილად ვიგულე, არა ვრიდე არცა შრომასა, არცა მტრობასა, არცა დევნასა საზოგადოებისათვის მამეღისა" (გვ. 510).

ეს ხომ აშკარად თავაინა ცხოვრებით, მოქმედებით, საქციელით ფიქვებული კაცის სიტყვებია! ეს ხომ სინანულია და რაკი სინანულია, უკვე ამას მეტყველებს, რომ არ ყოფილა ქველი ენნისათვის საკეთილდღეო, არ მოუკანონებია საქართველოსათვის ბედნიერება. თავად ანტონიც ხომ არსებითად ასე ფიქრობს — „უბედურება ქვეყნისა ასეთი ყმაწვილის გახეიბრება და საშიში ფრიად ასეთი მტრის ყოლა!" (გვ. 513).

მაინც რატომ არის ეგზომ უსუსური ანტონ კათალიკოსი ალექსანდრე ამილახვართან ეკამიოში?

გავიხსენოთ, რომ იმ სასტიკ განაჩენს, რომლითაც ბაალა პატონიშვილის შეთქმულების მონაწილეები დასჯეს, ანტონ კათალიკოსიც ამტკიცებდა და ადასტურებდა. მართალია, ალ. კალანდაძე ცდილობს რითმივ გაამართლოს ანტონი, როცა კათალიკოსს ფიქრებინა — „მე შემიძლია მხოლოდ ცისკარნე ჩუმად ვაწყარო ჩემი უსაყვარლესნი, ჩუმად დავიტირო ცხარე ცრემლით და წმინდად დავიმარხო გულში უბედურთა ხსოვნა!" (გვ. 471), მაგრამ ეს სენტიმენტალიზმი საქმეს ვერ შველის. რას შეუძლია გაამართლოს ოთხმოცი წლის ბერიკაცის დაწვა? არაფერს. რით შეიძლება გამართლდეს თხუთმეტი წლის ბიჭის უმოწყალო გახეიბრება? არაფრით. მით უმეტეს, რომ მერე ისტორიამ აჩვენა, ალექსანდრე ამილახვრის სახით მე-18 საუკუნის საქართველოს ჰყავდა უსაზღვროდ პოლიტიკური მოაზროვნე.

ალექსანდრე ამილახვართან პაექრობაში ანტონს არ ადამიანნი ზნეობრივი საბუთი, რითაც გაამართლებდა ოთხმოცი წლის მოხუცის კოცონზე დაწვას და ყმაწვილი კაცის გახეიბრებას. ამიტომ კათალიკოსი ზნეობრივად დამარცხებული აღმოჩნდა.

უკვე თქმულიდან ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: რომანის მიხედვით, ანტონ კათალიკოსი, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, ერეკლე მეორის ჩრდილია. მეფის ნების ბრმა ამსრულებელია. ამასთანავე, მინიშნებულია ისიც, რომ ანტონი სინდისის ქენჯნის განიცდის, უს მაუწყებელია იმისა, რომ იგი სულის სიღრმეში ზოგჯერ არ ეთანხმებოდა ერეკლეს, მაგრამ ვერც წინააღმდეგობის გაწევას უბედავდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ანტონი ან სუსტი ხასიათის კაცი იყო ან მისი ნებისყოფა დათრგუნული იყო და ნების თავისუფალ გამოვლენას ვერ ახერხებდა. ასეთ პირობებში ადამიანი ყოველთვის გაორებულია. გაორებულ კაცს კი უცოდველი კეთილშობილების შენარჩუნება არ შეუძლია. პირიქით, იგი უფრო ხშირად ცოდვას სჩადის, ვიდრე მადლს.

ანტონის სისუსტე და გაორებულობა კიდევ უფრო მკაფიოდ ვლინდება ადრე, იმერეთში ყოფნის დროს.

ანტონი ქუთაისის მიტროპოლიტის ტახტზე ზის. იმერეთის ცხოვრების შესწავლამ ანტონი მძიმე დასკვნამდე მიიყვანა:

„ძმები აქაც საფლავს უთხრიან ერთმანეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი, რაჭა, გურია, ლეჩხუმი, სვანეთი „ყვითელ ულჩხულს“ ემსახურებინა, თუმცა, ყველმა იცის, რომ გიორგობა აუცილებელია — ხაშინელებებს დასახრული არ უნახს. ეკლესიები ინგრევა, მღვდლებმა წერა-კითხვაც არ იციან, ღმერთო, შეშინულელ: „ზოგი ყმის გაყიდვაში მონაწილეობს“... (გვ. 195). ახეთ მდგომარეობაში მიტროპოლიტ დიდი და ძმიმე ტვირთი აწევს. ბევრის გაკეთებაც ევალება. ანტონმა კი რა ჰქნა? „თავისი სამწყსო თიოქმის ფარულად მიაღოვა და კახეთს მიაშორა“ (გვ. 195).

როცა ანტონის მფარველი და კეთილისმყოფელი იმერთა მეფე ალექსანდრე მეტოქეებმა ტახტიდან ჩამოაგდეს და იძულებული გახადეს თავშეხფარი ქართლში ეძებნა, ანტონი არ გაჰყვა მას. „მიტროპოლიტმა საეკლესიო წესის დარღვევად ჩათვალა სამწყსოს მიტოვება“ (გვ. 204).

რა არის ეს? ერთ შემთხვევაში სამწყსოს მიტოვება საეკლესიო წესის დარღვევად მიჩნენია და მეორეში — არა? რამ გამოიწვია ანტონის დამბეზულობა? შეკმნილმა რთულმა ვარემოებამ თუ დამბეზულობა ანტონის პიროვნების თვისებაა? რომანის მიხედვით სრული შთაბეჭდილება რჩება, რომ დამბეზულობა ანტონის თვისებაა. მის საქციელს, განაგებს უკონტროლო ემოციი და არა სახელმწიფო კაცის მტკიცენება.

იმდენად სუსტი ხასიათი აქვს, რომ ზოგჯერ შიშით გულიც კი ულიონდება. „ყველაზე საშინელი მაინც ის იყო, რომ ვარცხის ტყეში საბადოროდ მიპატიჟებულს, მეფე ალექსანდრეს მოწინააღმდეგეებმა წინადადება მოსცეს. შენი ერთგული დიდებულებით ჩვენ შემოგვიერთდით და, როცა იმერეთის ტახტს ხელში ჩავიგდებთ, ქართლის გამთავისუფფლაში დაგემარებითო. იქვე ერთგულებს ფიციც მოსთხოვეს და გული რომ არ წასვლოდა, ვინ იცის, რით დამთავრდებოდა ეს საქმე“ (გვ. 160).

მართალია, როცა ანტონი ქუთაისს მიტროპოლიტად იჯდა, ძალიან ახალგაზრდა იყო, მაგრამ მისი საქციელი ხიუმანვილით ვერ გამარტლდება. რასაც იგი აკეთებს, ეს ხასიათის თვისებაა. ასეთი თვისებების ადამიანს ქვეყნის ბედის გადაწყვეტაში რაიმე მნიშვნელოვანის გაკეთება არ შეუძლია. ასეთი მშიშარა, ინერტული, უინიციატივო ადამიანს იოლად იმორჩილებენ და თავის ჯეკუაზე ათამაშებენ ღონიერი პიროვნებანი. ეს ხვედრი რომ თავიდან აიცილოს, ანტონი იძულებული ან გაიპარის და დაიმალოს ან გული წაუვიდეს. სხვაგვარად იგი პასუხს ვერ იძლევა შემოთავაზებულ წინადადებაზე. რომანში არის ცდა, რომ ანტონს ეს დამბეზულობა და სისუსტე მისი კეთილი ბუნებით აიხსნას. არ უნდა მონაწილეობდეს ინტრიგებში, სისხლისღვრაში. ცდილობს ამქვეყნიურ ბრძოლაზე ხელი აიღოს, ყველა საქმეებს განერიდოს და ბერის მეუღლეს ასეთ ამბავს ეუბნებოდეს: „ეგ ბრძოლა ეს ბოროტებაა, ეს ბოროტებაა, ეს ბოროტებაა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში დაგვეწერა, როგორ წარმოიდგინეთ მათ ყოველი საქართველოს ერთიანობა. ამ მიზნით რა კეთდებოდა? ამისათვის მარტო შეთქმულთა დთარეფნეი არ კმარიდა. საჭირო იყო და აუცილებელი სათანადო ეკონომიკური და იდეოლოგიური მაზრნი. ამ მომრთულებით რას ფიქრობდა ანტონი? სამწუხაროდ, ამ კითხვის პასუხი რომაში არ არის. ის, რომ ანტონი სკოლების გახსნაზე ზრუნავდა, სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა, ამის პასუხი არ არის. სკოლა და მეცნიერება სპირდები ყოველ სახელმწიფოს, სულერთია, რა პრინციპებითაც უნდა იყოს იგი აშენებული. განათლებული ახსოლუტიზმის იდეოლოგიას თავისი მკაფიოდ გამოხატული კონკრეტულობა ჰქონდა. ჩემი საყვედური ამ კონკრეტულობის უქონლობას გულისხმობს.

შეიძლება მკითხველმაც გაიკვირვოს და რომანხტმაც, მაგრამ, ჩემი აზრით, როგორც ქართლ-კახეთის ერთიანობისათვის მებრძოლი, გამოგონილი პერსონაჟი ჯონპორტე უფრო საინტერესოა, ვიდრე ისტორიული პირი ანტონ კათალიკოსი.

ამ ცოტა ხნით მსჯელობის ძირითად თემას გადავუხვევ და ვიტყვი, რომ ამ ბოლო დროს ქართულმა პროზამ პერსონაჟის სახელის დარქმევის კუთხეზეა დაკარგა. ვისაც რა სახელი გაახსენდება, იმას არქმევს პერსონაჟს. ეს საკითხი არ არის უბრალო და ხელწამოსაკრავი. პერსონაჟის სახელი მხატვრული სახით გამოცემული კონცეფციის ნაწილია. სახელსა და პერსონაჟს ბეთაში უეფლებენი უნდა იყოს ერვინ დაარქმევს სხვა სახელს, მაგალითად, ზაკანიშვილის ჯაყოს, კვაკი კვაკანტრაძეს. ლ. ქიაჩელის გვადი ბიგვას. კ. გამსახურდიას თარაშ ემხვრს, კაკ ზვამბიას, ფარნავაზ ხარჩილ. დ. შენგელიას ბაია ქექიას და ა. შ. ამ სახელთა უბრალო ჩამენებითაც კი მკითხველს ოვალწინ ცოცხლდება არა მარტო კონკრეტული პერსონაჟი, არამედ მასთან დაკავშირებული კონცეფცია და მხატვრული სამყარო. მაგალითად, ჯაყოთა ან კვაკეთა მთელი მოვლენა, რომელსაც ღრმა ფილოსოფიური შინაარსი აქვს. ამიტომ პერსონაჟის სახელს გულმოდგინე ძიება უნდა. შეიძლება ხუბიექტური ვარ, მაგრამ გულახდილად უნდა ვთქვა, რომ სახელი ჯონპორტე ირონიულ დამოკიდებულებას ფლეგს. არადა ამ პერსონაჟს დიდი ფუნქცია აქვს დაკისრებული. იგი ქართულ-კახეთის ერთიანობის მოქადაგე და მსურველია. რომანისტს უფრო რომ გაეფრცოვებინა ჯონპორტეს სახე, შეიძლებოდა მას სიმბოლური მნიშვნელობა შეეძინა და ქართველი ხალხის წარმომადგენლის როლი ეკისრა.

ახლა ისევ ძირითად საკითხს მივუბრუნდეთ. ჯონპორტე უფრო საინტერესოა თუნდაც იმიტომ, რომ ძალიან მკაფიოდ აქვს გააზრებული ყველაფერი. იცის, რა უნდა და არც უკან იხევს, როცა საქმეს პრინციპულად ხედავს. ანტონი საქართველოს ისტორიაში შევიდა როგორც მეჩინონარი კათალიკოსი. კ. კეკელიძე ამბობდა — „მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საეკლესიო მწერლობას უნდა ეწოდოს ანტონ კათალიკოსის ეპოქა, ისე დიდი მნი ღვაწლი და დამსახურება ამ მწერლობის ისტორიაში". მაშასადამე, „ნეიშნის ფიცში" ანტონს მეორე მიპოსტასიც — მეცნიერი — უნდა დასაბულიყო. როგორ არის ამ მხრივ საქმე? უნდა გამოვტყდე, რომ არასახარბიელოდ მკლეივარმა ალ. კალანდაძემ დაჩაჩრა რომანის ტალ. კალანდაძე. როცა რომანში ლაპარაკია ანტონ კათალიკოსზე, როგორც მეცნიერზე, სიტეკვაკაზეული პროზის ენა შეცვლილია მეცნიერული ნარკვევის ენით.

„რამდენნიმე წელი დასეირდა „მზამეტყველებას" — კათოლიკური, ლუთერანული და გრეგორიანული აღმსარებლობის უარყოფას" (გვ. 293).

ამ ტაბრა შენიშვნა: ლუთერული (ასე უფრო სწორია, ვიდრე ლუთერანული) მოძღვრების უარყოფა „მზამეტყველებაში" არ არის.

„ხან ნაწილად დაპყო „მარილმადიდებლობის საუნჯედ" წოდებული წიგნი; პირველი ნაწილში ხაერთად „მწკალლობაზე" მსჯელობს; ღვთისმეტყველური და დოგმატიური ჭნით ამათილებს ნეხტორიანელთას, როგორც მონოფიზიტობის საძირკველს; მეორე ნაწილი შეიცავს ევტეხიანებს, კერძოდ, დიოსკორის, ალექსანდრიელი პაპის უსჯულოებათა ისტორიას, ქალკედონის კრების ანოლოგიით უზარმაზარი წიგნი ორ მესამეულს შეადგენს მონოფიზიტობის ფილოსოფიურ-სქოლასტიკური ანალიზი" (გვ. 293-4).

„არისტოტელეს მეთოდოლოგიური პრინციპებით განიხილავს ანტონი „ბეოფის" შეშეცნების სტრუქტურას: „უკეე თუ არს ეძიებს" (ნამდვილად არსებობს თუ არა საძიებელი საგანი); როცა გავიგებთ, რომ არსებობს: „მერმეელ, თუ რი არს?", „ვითარი ანუ რიმელი რა არს?" დასახსოვენ „რაითვიკ არს"? (გვ. 297).

„ეროვნულად აღქმის თეორიაში ანტონმა საუკუნით გაუსწრო თავისი დროის მეცნიერებას და გამოარკვია, რომ შეგრძნება ფუნქციაა, გამაღიზიანებლის მიმღები და გამტარი ნერვიფი მექანიზმის ავებულებაზე, რომლის სპეციფიკურობა ობიექტური გამაღიზიანებლისაგან შეგუების შედეგია" (გვ. 299).

„... მასში ჩანს დიდი ეროვნული მასშტაბის მოაზროვნე-ენციკლოპედისტი, როგორც მეკვლემ, შემმნე ქართული ფილოსოფიურ-ფსიქონოლოგიურ ცნებათა მთელი ენა, რომელშიც ბევრი რამ ამოცანილია, ბევრიც ამოცანთას ელის; „არსი", „არარარი", „წერილი გვარი"

ეროვნული ბიბლიოთეკა

(სტილი), „არსება არსისა შეუცვალებელ სადმე არს და უზარებელ“ («Сущность сущего есть непеременная и несообщимая»), „უსაზოგადოესი“, „ღირებულება“ (ценность), „ყოველი და კერძო“ («Целое и часть»), „სრულება“ («Совершенство»), „არსი შეზავებული“ («Сложное существо») (გვ. 308).

ლაპარაკის გაგრძელება სჭირო არ არის, რამეთუ უკვე მკოთხველი ხედავს, რომ მეცნიერული ნაკლოვანებანი ამ მშრალი ენით ვერ შეიქნება სურათი, ხაკი კათალიოსის მეცნიერული საქმიანობისა. არის ინფორმაცია, მაგრამ არ ჩანს მეცნიერის ემოციური პორტრეტი. მართალია ამის გაკეთება რთული, მაგრამ, რაკი რომანი აწერება, აუცილებელია.

ანტონზე საუბარი ძალიან გამოგრძელდა. დროა ერეკლე მეორესაც შევეხოთ.

არაფერს ახალს არ ადამთაჩენ, თუ ვიტყვი, რომ ანტონისა და ერეკლეს ცხოვრება უმდიდრეს მასალას აწვდის რომანისტს. მაგრამ ასევე მაცდუნებელია და მიაზიდველი მწერლისათვის მათი პირადი ურთიერთობაც. სავსე წინააღმდეგობითაც და ერთგულებითაც. თუნდაც ეს, ალწერილი რომანშიც.

საეკლესიო ინტრიგების შედეგად, თეიმურაზ მეორის განკარგულებით, რასაც ერეკლეც დადასტურებდა, ანტონი საქართველოდან გააძევეს. მან რუსეთს შეაფარა თავი.

მეკოხეები კარგად ხედავს, რომ ეს მშრალი ისტორიული უწყებაც კი მეტად დაძაბულ სიტუაციას გადმოგვცემს. აბა, დავაკვირდეთ: ანტონს ეუბნებიან. განდევნის ფეიდნი ბიძა, ღიდის ძმა, თეიმურაზ მეორე. როგორი ადამიანიც უნდა ყოფილიყო თეიმურაზი, შეუძლებელია ეს გადაწყვეტილება მიეღო მტანჯველი ფიქრისა და გულისტკივილის თვინიერ. შეუძლებელია არ ჰყვარებოდა დისწული, თანაც ისეთი, ტრაგიკული ბედის, როგორისაც ანტონი იყო. რაკი ეს ბძანება გადაწყვეტილება მიიღო, ჩანს, სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ძმიმე სულიერი გვემა-ტკივილი აწუხებდა, ცხადია, ანტონსაც. თუ ნან იცოდა თეიმურაზ მეორის მდგომარეობა, იგი დაიტანჯებოდა საკუთარი ბედით და ბძის მდგომარეობით. თუ არ იცოდა თეიმურაზის მდგომარეობა, მაშინ მის სულს ააფორიაქებდა და შეარყევდა ბძის დაუნდობლობა და შეუბრალებლობა. ასე იყო თუ ისე, ერთი რამ ცხადია, ბიძა-დისწულის სულში უთუოდ ვნებების ქარიშხალი ტრიალებდა.

როგორც ითქვა, ანტონის გაძევებას ერეკლეც დაეთანხმა. თუ ანტონის და ერეკლეს ურთიერთობას გავითვალისწინებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ კახეთის მეფე ამ გადაწყვეტილებას გულით არ ეთანხმებოდა. ალბათ გარეშეოება აიძულებდა, დასტური მიეცა. ერეკლე იძულებულია გამხდარა საკუთარი გრძნობები დაეთრგუნა და სიტუაციას დამორჩილებოდა. ისეთი აქტიური ბუნების კაცისათვის, როგორიც ერეკლე მეორე იყო, ეს მეტად ძნიე და აუტანელი იქნებოდა. ეს იძულებითი მორჩილება გამოიწვევდა დიდ სულიერ მღელვარებას, თავისთავთან ბრძოლასა და ჯიდილს. ასეთივე რთული იქნებოდა ანტონის დამოკიდებულება ერეკლეს საქციელთან. თუ კათალიკოსმა არ იცოდა, რამ აიძულა ერეკლე დათანხმებოდა ამ ძმიმე განაჩენს, ანტონი ალალგაზრდა მეფის მოქმედებას ღალატად მიიჩნევდა და დიდ სულიერ ტრაგედიას მიიღებდა. თუ იცოდა ერეკლეს გამოუვალი მდგომარეობა, შეუძლებელია არ განეცადა საკუთარი და ერეკლეს უიღლობა, არ ედარდა ყმაწვილი მეფის, ნათესავისა და მეგობრის სრული უბედურება.

ნათელია, რომ რომანისტს არაფრის გამოგონება სჭირდება. თავად ისტორია ქმნის დაძაბულ სიტუაციას და ატმოსფეროს. ოღონდ მწერალმა ამ ისტორიული ტრაგედიის მონაწილეების სულში უნდა ჩაიხედოს. მათი ტკივილი, ტანჯვა, ვნებანი დღის სინათლეზე გამოტანოს. საუკუნეების მტვერში მიმქრალი ცეცხლი დღეკანდელობისათვის მწველი და ახლობელი გახადოს.

საამწუხაროდ, „ნეიშნის ფიცი“ ისტორიის მიერ ბოძებული ეს მასალა სათანადო და შესაფერისი ფსიქოლოგიურ-ემოციური სილრმითა და დამაჯერებლობით გამოყენებული არ არის. ხაზი პუნქტირით არის გავლებული. ფერი და სიმსუქე აკლია.

ამ სქემატურობის მიზეზი შეიძლება ისიც იყო, რომ რომანში უზარმაზარი მასალაა თავმოყრილი და მოქმედება ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მიმდინარეობს. აქ არის ვიეი ამილაბვრის ერისთავების მტრობის შემზარავი ამბები, ზაქარია გაბაშვილისა და ანტონის ქიშპი, ალაკა ბატონიშვილის შეოქმულება, ტოტლებენის ღალატი და სხვანი და სხვანი. თითოეული ეს ამბავი შეიძლება იყოს ცალკე რომანის საგანი. მით უმეტეს, იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ ვერც ერთი ალექსანდრე დიუმა ვერ მოიგონებს ფათერაკებით უფრო სავსე თავგადასავალს, ვიდრე მე-18 საუკუნის ქართველს ჰქონდა, ამდენი ამბის ერთად თავმოყრამ უეჭველად წაართვა ალ. კალანდაძეს საშუალება „ნეიშნის ფიცის“ ბერსონაჟთა სულის მოძრაობაში უფრო ღრმად ჩაეხედა, დაეხატა უფრო ნატიფი ფსიქოლოგიური სურათი, უფრო მრავალმხრივი და ფერადი ხასიათები.

მაგრამ მეორე მხრივ, ეპოქის ფართო პანორამეულ სურათს ითხოვდა ერეკლეს და ანტონის

პაპაკი ბაკრაძე
პენსიონერების სიცოცხე

საერთო, ძირითადი მიზნისა და საქმიანობის ჩვენება. ეს საერთო მიზანი და საქმიანობა იყო, ილ. კალანდაძის სიტყვით, „განათლებული საქართველოს აბსოლუტური მონარქიის“ შექმნა (ნარკვევი — „ქართული კლასიკიზმი, ქართული სენტიმენტალიზმი“). ერეკლეც ამ თვალსაზრისით არის გამოყვანილი რომანში. მაგრამ მეფის მოღვაწეობა ცალმხრივად გამოიყურება.

ძნელია ილ. კალანდაძეს არ დეთანხმო, როცა იგი ამტკიცებს, მეფისა და კათალიკოსის მიზანი განათლებული აბსოლუტიზმი იყოო. თუმცა ავტორმაც უნდა აღიაროს, რომ ერეკლეს და ანტონის საქმიანობა ამ მიმართულებით კრახით დამთავრდა. ალბათ ასეც ფიქრობს, რაკი „მოულოდნელ ფინალს“ უწოდებს იმას, რაც მე-18 საუკუნის დასასრულს მოხდა („ლიტერატურული ნარკვევები“, გვ. 19).

რატომ აღმოჩნდა ფინალი მოულოდნელი? რატომ დამთავრდა დიდი საქმე დიდი მარცხით? შეიძლება ავტორმა თქვას, ამ კითხვის პასუხი რომანის ამოვანას არ წარმოადგენდა, რამეთუ „ნეიშნის ფიცი“ ანტონ კათალიკოსის სიკვდილით მთავრდება, კრახი კი გაცილებით გვიან მოხდა. ეს პასუხი თითქოს მართალიც არის და ამასთანავე არც არის მართალი, რადგან კრახის საფუძველი გაცილებით ადრე ჩაიყარა. მაშინ, როცა ანტონი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ამ საძირკვლის ჩაყრაში ნებით თუ უნებლიეთ, ანტონიც მონაწილეობდა.

მაგრამ ჯერ სხვა საკითხი დავსვათ: იყო თუ არა მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველო მზად განათლებული აბსოლუტიზმის დასამყარებლად?

მკვლევარი ილ. კალანდაძე ამ კითხვას ალბათ დადებითად უპასუხებს, მაგრამ რაღომღაც რომანისტი ილ. კალანდაძე ამ საქმისთვის მომზადებულ საქართველოს არ ხატავს.

აშკარაღ უნდა ითქვას, რომ გოლასა და თაფლოს საქართველო სრულიად არ არის მზად განათლებული აბსოლუტიზმისათვის.

ცხადია, გოლასა და თაფლოს სახით ავტორი ქართველი ხალხის იმ ნაწილს ხატავს, რომელიც უნდა მოკეთილიყო, რომლისგანაც ერი უნდა გაწმენდილიყო, მაგრამ აქ ორი გარემოებაა ყურადსაღები.

ჯერ ერთი, გოლა-თაფლო-დუღაილის სამკუთხედი ძალიან ჰგავს თეიმურაზ-მარგა-ჯაყოს (მიხ. ჯავახიშვილი — „ჯაყოს ხიზნები“) სამკუთხედს. ჰგავს მხატვრული ხერხითაც, აზრობრივი შინაარსითაც. ერთიც და მეორეც აჩვენებს ზნეობრივი და პატრიოტული შეგნების უკადურეს დაცემას. ახეთი სესხება ეს სასურველად არ მიმაჩნია.

მეორეც, როცა მაღალი იდეალის განხორციელებისათვის ბრძოლის დახატვას ვაპირებთ, არ კმარა უარყოფა. ეუნილებელია მეტალიკი ვის ან რას უნდა დაყრდნობოდა ერეკლეს და ანტონის განათლებული აბსოლუტიზმი? ახეთი საკრედი ძალა, ხალხის თვალსაზრისით, რომაში არ ჩანს. არც ჭონოპორტე გამოდგება ხალხის სიმბოლურ წარმომდგენლად და არც მეტალიკე შიო სიდამონიძე.

რაკი განათლებული აბსოლუტიზმის იდეის მხარდამჭერი ხალხი არ ჩანს რომანში, ამ მიმართულებით ერეკლეს და ანტონის საქმიანობა ამოცანითვე განწირული ყოფილა. აქ ისეე ეწინააღმდეგება რომანისტი ილ. კალანდაძე მკვლევარ ილ. კალანდაძეს. ხომ წერს მკვლევარი, „საქართველოს ერთიანობის აღდგენისა და გაძლიერების ისეთი რეალური შესაძლებლობები დაისახა, ისეთი ეროვნული ენთუზიაზმი და ოპტიმიზმი აღმოცენდა“, რომ მთელი წარმოდგენა დღეს ძნელიათ („ქართული კლასიკიზმი, ქართული სენტიმენტალიზმი“). მერედა, სად არის რომაშში ეს ეროვნული ენთუზიაზმი და ოპტიმიზმი?

შეიძლება ვინმემ თქვას, რას ჩაიცვდი ამ ნარკვევს. რომანი სხვაა და ნარკვევი სხვა. რომანს თავისი ამოცანა, ჰქონდა და ნარკვევს — თავისი. მთლად ახე არ არის. როგორც ზემოთ ითქვა, ილ. კალანდაძეს რომაშში გადაკვეს ის დასკვნები, რაც ნაბარძლავი კვლევის შედეგად გაეკეთა. აქ არაფერია გასაკვირი და მოულოდნელი. ამასთანავე, ამ დასკვნებს ეთანხმება თვალი ერკაცი, უნდა აღიაროს, რომ ისინი საინტერესოა. ამიტომ მკითხველს ბუნებრივად სურს შესაბამისი მხატვრული სამყაროს ხილვა რომაშში.

ეროვნული ენთუზიაზმისა და ოპტიმიზმის სურათის დახატვა ითქმებოდა ეს ეუილებელი, რომ მაშინ ნაიელი გახდებოდა, რამ გამოიწვია ამ დიდი საქმის კრახი.

აქ ერთი ისტორიული ფაქტი გავიხსენოთ.

1792 წელს დასავლეთ საქართველომ ერეკლეს მომართა წინადადებით, ქართულ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები გაგაერთიანოთო (მართალია, ეს ანტონის ბარდაცვალების შემდეგ მოხდა, მაგრამ ამას ახლა არსებითი მნიშვნელობა არა აქვს). ხომ დღეს გრძელდებოდა ამ საკითხზე ბეჭობა, მაგრამ ბოლოს ერეკლემ უარყო შეერთების თხოვნა (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, გვ. 466). დიდი ეროვნული საქმე ჩაიშალა იმ გაცისავე ხელით, ვინც ადრე ამ ერთიანობის ფუძის ჩამყარელი იყო. თუ რატომ მოხდა ეს, ამის პასუხს, ნეტი ალრჩი, იძლევა „ზზეკაბაუ ორბეულიანის სიტყვა, რომელიც ბეჭობაზე წარმოითქვა.

„ნუ ბყოვნი, მეფეო! მეფე ერისათვის და არა ერი მეფისათვის. ერი იმერთა ითხოვდა ერთობასა და კავშირსა, ვითარ ეტყვის მეფე ურასა? რისთვის არ მიიღეს თხოვნასა? ვიცი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესმის ჰაზრი თქვენი, მეფეო: ვითარ მოუღო მეფობა შვილიშვილსა ჩემსა? ესრეთი ჰაზრი უეჭველად არის უბედურებითი ამერთათვის, უხარგებელი ქვეყნისათვის, დამღუპავი ქვეყნისა. ვითარ მოეკი მეფობა ქართველსა მეფეთა და რაი დაჰკარგა საქართველომან დაკაკშირებითა ქართლისა და კახეთისა? ვითარ მოეღო მეფმბოხეთა არაგანსა ერისთავთა საგრისთავო არაგვი? ვითარ მოეღო საუკუნოდ ქსანი ქსნისა ერისთავთა? ბედნიერება ერისა ითხოვს ერთობასა, ძლიერება მეფობისა არის ერთა დაკავშირება".

თუ ამ სიტყვას ღრმად დავაკვირდებით, ორ ერეკლეს დავინახავთ.

პირველი: ერეკლე, რომელიც ქართლ-კახეთს ერთიანებს აუქმებს ქსნისა და არაგვის საერისთავოებს, რადგან ისინი ერთობას უშლიან ხელს.

მეორე: ერეკლე, რომელიც შეცვლილა, შეშინებულა და ფეოდალურ პარტიულარიზმს დამორჩილებია. „ვითარ მოეღო მეფობა შვილიშვილსა ჩემსა".

ერეკლეს საქციელი მოულოდნელი იყო იმ-ტომაც, რომ რუსეთი „ქართველ მეფე-მთავრებს ძალთა გაერთიანებას, შეკავშირებას და ბრძოლის წინააღმდეგ ერთად გამოსვლას ურჩევდა, არა მარტო ტრაქტატის დადების მოგებაში, არამედ ამაზე აღრეც და შემდეგაც" (იხე ცინცაძე, „1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი", გვ. 109). ეკატერინე მეორის ფავორიტი გრიგი ალ. ზუბოვიც ერეკლეს ფეოდალური დაქუცმაცებულობის მოსპობას ურჩევდა და თავის აზრს მარკოზ მახარობლის სიტყვებითაც ამაგრებდა — „და უკუეთუ მეფეებაჲ მეფეებასა განეფთოს, ვერ ხელეწიფების დამტკიცებად მეფეებაჲ იგი".

როგორც ვნახეთ, არც ამ რჩევისათვის გაუწვია მაშინ ერეკლეს ანგარიში.

ზედაეთ, ვასუფლო დრო და ერეკლე მეორე თავისივე დაწყებული საქმის, თავისივე იდეის დაბრკოლებად გადაქცეულა. იგი ჩამორჩენია დროს, შეგნების ამაღლება-განვითარებას. რისკენაც ადრე და სხვას მოუწოდებდა, ახლა მას უსმობენენ, მაგრამ ამაოდ. ერეკლე დროს ალღოს ვეღარ უღებს.

განათლებული საქართველოს ამსოლუტური მონარქიის შექმნის საქმე წინ რომ წავიდეს, უკვე აუცილებელია ერეკლეს გზიდან ჩამოცილება. ტახტი სხვას უნდა მიეცეს. მაგრამ ეს ფიქრი მკრეხელობად ითვლება. ერეკლე უკვე გადეტაშებულია. უმისოდ ქვეყნის დაქცევად მიიჩნიეთ. თუმცა ზზეკვაბეკ ორბელიანი საოცარ ფრაზას ამბობს — „მეფე ერისთვის და არა ერი მეფისთვის". ეს რეკოლუციონერი ფრაზა მიწოდებაა. იგი თეორიულად ერეკლეს უარყოფას ნიშნავს, მაგრამ პრაქტიკულად მისი განხორციელება ვერ წარმოუდგენია.

გაფეტიშებამ დაუკარგა ერეკლეს უტყუარი ინტუიცია და სწორი განსჯის უნარი. იგი გადაჰქცია საკუთარი ავტორიტეტის მონად.

ეს არის ერეკლეს პიროვნებისა და მეფობის ტრაგედია.

ეს არის ანტონის ტრაგედიაც, რადგან იგი იყო ერეკლის ულტის შემქმნელი, მისი გამაფეტიშებელი. თავად ალ. კალანდაძე ამბობს — „ვერ დავფარავთ: ჩვენ არ ვიცით სხვა მაგალითი, რომ ეკლესიის უზენაესი მეთაური ასე უსაზღვროდ აღმერთებდეს საერო ხელისუფალს, როგორც ანტონი თავის ლეკსებში ერეკლეს ადიდებს; კათალიკოსი კი არა, ანტონი, თითქოს, ერეკლეს კარის პოეტია".

ანტონმა გააფეტიშა არა იდეა, არამედ პიროვნება. პიროვნების გაფეტიშება კი ყოველთვის იწვევს იდეის მარცხს, რადგან აღარ ხდება პიროვნების საქციელის და მოქმედების განსჯა. ადამიანები ბრმად ემორჩილებიან, მიჰყვებიან ავტორიტეტს და არა განსჯის შედეგად მიღებულ ლოგიკურ დასკვნას. ანტონი ისე გარდაცვალა, რომ ვერ შეამჩნია, მისგან ერერალ გადაქცეული ერეკლე როგორ გაჰდა დაბერებება, ბორკილი წინსვლის გზაზე. ამიტომ მივიჩნიე ზემოთ კრაზის საფუძვლის ჩამოყრელად ანტონიც.

ამ აზრმა შეიძლება ცხარე კამათი გამოიწვიოს. ეს არ ოქნებოდეს ურიგო, რადგან ერეკლეს ფეტიშიზმის ინერციი დღესაც გრძელდება. იგი აირეკა „ნეიშნის ფიცშიაც". მივუზღვთ ყველას დამსახურებისამებრ, ნარსულის მოღვაწე ოქნება იგი თუ აწმყოსი. ნურც ნურას დავაკლებთ და ნურც ნურას მივუმატებთ. მაგრამ უპირველესად დავინახოთ ადამიანი თავისი ღირსებითა და ნაკლით, რამეთუ ჯერ არ არსებული პიროვნება უცდომელი და უცოდველი.

ზუსტად ამბობს შალვა ნუციუბიძე — „ანტონ არც ნიჰილიტურ დამცირებას და არც პათეტიკურ განდიდებას არ საჭიროებს". ეგეთე ითქმის ერეკლე მეორეზეც. ალ. კალანდაძეს კი რატომღაც ორივესადმი პანეგირიტის დამოკიდებულება ირჩია. არ გაითვალისწინა ის, რომ პანეგირიკული განდიდება და ნიჰილისტური დამცირება საბოლოოდ ერთნაირ შედეგს იძლევა. ხელიდან გვეცლება ადამიანი და გვრჩება ხმენ. ბუნებრივია, ხმენ არ იწვევს ემოციურ დამოკიდებულებას, არ აღძრავს სიყვარულსა და ინტერესს. გვტოვებს გულგრილს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ის ურჩევნია მამულსა...

„ციცინა“ მკითხველებს გთავაზობთ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ოთარ ჯინჭარაძის და ჟურნალის მთავარი რედაქტორის დიალოგს.

— **პატივცემულო ოთარ, იქნებ სჯობდეს,** ჩვენი დიალოგი წვრილმანით დავიწყოთ, თუკი წერილმანი შეიძლება დაერქვას კონფლიქტს პედაგოგსა და მოსწავლეებს შორის.

არაფერი ახალგახრდაში ისე მძაფრად არ იწვევს პროტესტს, როგორც **პედაგოგის** უსამართლო გადაწყვეტილება. მინდა **რამდენიმე** მაგალითი მოვიყვანო ერთი მოსწავლის ცხოვრებიდან, რომელიც თბილისის ერთ-ერთ საუკეთესო სკოლაში სწავლობს. თან ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ყველა ის შემთხვევა, რომელსაც ახლა მოგახსენებთ, ერთი თვის მანძილზე მოხდა. ბავშვი (14 წლის ბიჭი) გამოაგდეს სკოლიდან იმის გამო, რომ სასკოლო ფორმა არ ეცვა. ფორმა კი იმიტომ არ ეცვა, რომ თბილისსის არც ერთ მაღაზიაში არ იყიდებოდა. ბავშვს 10 დღე სკოლაში არ უცლია, სანამ მშობლების ნაცნობებმა ფორმა მოსკოვიდან არ გამოუგზავნეს.

როგორ ფიქრობთ, მოიწონებს ბავშვი (ან ბავშვები საერთოდ) ასეთ „დისციპლინას“?

მეორე შემთხვევა: მთელმა ჯგუფმა გადაწყვიტა გაკვეთილიდან გაპარულიყო. გაპარვნენ კიდეც. შემდეგ ხუთი ბავშვი ჩუმად მიბრუნდა სკოლაში. პედაგოგებმა მთელი რისხვა გაპარულ ბავშვებს დაატეხეს თავზე, ხოლო ქებათ მოიხსენიეს ის ბავშვები, რომლებმაც მეგობრები გააბრიყვეს და შემდეგ უსინდისოდ ულალატეს.

როგორ ფიქრობთ, ეს რისხვა რაიმე სასიკეთო გავლენას მოახდენდა ბავშვებზე? განა შეიძლება დაუსჯელად დატოვო ის ბავშვები, რომლებიც სკოლას ასაკშივე სწავლობენ ღალატს და აშფდენენ კარიერისტულ თვისებებს?

მესამე შემთხვევა: მეათე კლასელმა გალატა მეექვსე კლასელი ბავშვი. მერე კლასელმა ბიჭებმა გადაწყვიტეს გამოჰქომაგებოდნენ პატარა ბავშვს (ამ ბიჭებს შორის ის ჩემი ნაცნობიც ერია) და გალახეს კიდეც ის მეათე კლასელი. ბუნებრივია, ჩაიდინეს საშინელი დანაშაული, ერთს დაეხვა რამდენიმე ბიჭი. ორი აზრი არ არსებობს: ასეთი გამოქომაგების გამართლება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება **და** ბავშვები სათანადოდ დასაჯეს კიდეც. **მაგრამ სასჯელი** ბავშვებმა **უსამართლოდ ჩათვალეს და** დანაშაული ვერ იგრძნეს. და ეს განპირობა ერთმა პატარა ამბავმა, არც ერთ პედაგოგს აზრად არ მოსვლია ბავშვების საკლელში ერთი კეთილშობილური საწყისი შეენიშნა — სურვილი, გამოჰქომაგებოდნენ უფროსი ბიჭისაგან დაჩაგრულ პატარა ბავშვს. საკმარისი იყო, რომელიმე მათგანს მოსწავლეებისათვის მოეწონებინა დაჩაგრული ბავშვისადმი გამოქომაგების სურვილი, ხოლო დაეგმო გამოქომაგების **ასეთი** არავეკაცური, **დანაშაულებრივი ფორმა, რომ ისინი** სამართლიანად ჩათვლიდნენ დადებულ სასჯელს და თავს

დამნაშავეებად იგრძნობდნენ, რაც, საბოლოო ჯამში, ბავშვებზე თავის დადებით ზეგავლენას მოახდენდა.

თქვენ რა კომენტარს გაუკეთებდით ამ მაგალითებს?

— ეს მაგალითები ჩვენი დიალოგის „წვრილმანით" დაწყების მაუწყებელი რომ ყოფილიყო, უწინარეს ყოვლისა, შეეცდებოდი თავიდან აგცილებინა მეწვრილმანე კომენტატორის არც თუ ისე სახარბიელო როლი. მაგრამ, რასაც თქვენ მეკითხებით, წვრილმანს ვერ დავარქმევთ. მეტიც. არ არის იოლი საქმე კაცმა კომენტარი გაუკეთო მოტანილ მაგალითებს თუნდაც იმიტომ, რომ კონფლიქტი მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის წვრილმანი კი არა და ურთულესი პედაგოგიური, ფსიქიოლოგიური, ამავე დროს ეთიკური ხასიათის პრობლემაა, რომელიც თქვენს ინტერპრეტაციაში სამართლიანობის გაგების კატეგორიიდეა აყვანილი.

ნებისმიერი უსამართლო გადაწყვეტილება არა მარტო მოსწავლეებში იწვევს პროტესტს მასწავლებლის მიმართ, არამედ ნებისმიერი უსამართლო გადაწყვეტილების ავტორის მიმართაც ყოველი ნორმალური და პატიოსანი პიროვნების მხრივ. რომელმაც ასეთი პროტესტის გამოხატვის შესაფერი გზაც უნდა გამონახოს. მაგრამ, სამართლიანობა მარადიული, ამავე დროს ელვისებური პრობლემაა და მის ირგვლივ მსჯელობა შორს წაგვიყვანდა. ამჯერად მე დამსვი კითხვის მხოლოდ პედაგოგიური ასპექტით და მასწავლებლის უსამართლო გადაწყვეტილების თქვენს მიერ მოტანილი მაგალითების კომენტარით შემოიფარგლენი.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება დაითხოვო მოსწავლე სკოლიდან მხოლოდ იმის გამო, რომ მას ფორმა არ აცვია. მასწავლებელი თავდაპირველად მოკალთა ყიო�sრის, თუ რატომ დადის იგი სასკოლო ფორმის გარეშე. იმიტომ რომ არა აქვს, თუ აქვს და არ იცვამს; მართალი არ იყოდეს თბილისის არც ერთ მაღაზიაში, თუ იყოდეს და შეობლებს მისი შეძენის მატერიალური შესაძლებლობა არ გააჩნიათ; ან იყოდეს კიდევ და მისი შეძენის საშუალებაც არსებობს, მაგრამ . . . რა მაგრამ? აი, ეს უნდა დადგინდეს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება პედაგოგიურად გამართლებული აღმზრდელობითი მნიშვნელობის მქონე და, რა თქმა უნდა, სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება.

თქვენს მიერ მოტანილ მაგალითში კი ბევრი კითხვის ნიშანია. მაინცდამაინც რატომ თქვენი ნაცნობი ერთი ბავშვი (14 წლის ბიჭი) გამოადგეს სკოლიდან ამის გამო, რომ ფორმა არ ეცვა, თუ ასეთი ფორმა თბილისის არც ერთ მაღაზიაში არ იყიდებოდა! მისი თანაკლასელები? ისინი რატომღა არ გამოაყენეს? ან რა გზით მოახერხეს მოსკოვებსა ნაცნობებმა ფორმის გამოგზავნა თბილისში? ჯერ ერთი, სასკოლო ფორმა მოსკოვში იყიდება საკანონო ტალონებით, რომლებსაც მოსკოველი მოსწავლეებისთვის სკოლი იძლევა იმიტომ, რომ ეს ფორმა მხოლოდ მათთვის არის განკუთვნილი. ჩვენ სხვა ფორმა გვაქვს. ამიტომ მოსკოველი, ლენინგრადელი, აგრეთვე სსრ კავშირის სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთათვის განკუთვნილი ფორმები ჩვენს მოსწავლეებს არ გამოადგებათ. საქმე ის არის, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 2 დეკემბრის № 817 დადგენილებით დამტკიცებულია საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებელი სკოლების მოსწავლეთა სასკოლო ფორმების ნიმუშები. ამ დადგენილებაშიც კარძოდ: ნაოქვამია: „1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებელი სკოლების მოსწავლეთა სასკოლო ფორმის ნიმუშები, რომლებიც შეიმუშავა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მოდელების სახლმა და მოიწონა საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ. 2. დამტკიცდეს სასკოლო ფორმის ტანსაცმლის ტექნიკური აღწერილობა. 3. ახალი ფორმა შემოღებულ იქნეს 1977 წლის 1 იანვრიდან". ამ დადგენილების მიღებამ წინ უძღოდა ნათანადო მოსამზადებელი მუშაობა. ახალი სასკოლო ფორმის ნიმუშები ვაჩვენეთ მოსწავლე ვოვეს და გოგონებს, აგრეთვე მშობლებს და მასწავლებლებს, გავითვალისწინეთ მათი სურვილები, შენიშვნები, ანგარიში გავუწიეთ თვით მოსწავლეთა გემოვნებას, შოვახდინეთ ახალი სასკოლო ფორმის ნიმუშების ტელევიკონით დემონსტრირება, რითაც იგი ცნობილი გახდა ფართო საზოგადოებრიობისათვის და საყოველთაო მოწონებაც დაიმსახურა. პირველ რიგში გვინდა დავეამაყოფილოთ თბილისის, ხოლო შემდგომ კი რესპუბლიკის დანარჩენი ქალაქებისა და რაიონების ზოგადსაგანმანათლებელი სკოლების მოთხოვნები, რასაც კიდევ განვახორციელებთ უახლოეს მომავალში მოუხდავად ამისა, რომ ახალი ფორმისათვის საკირო ქსოვილის უკმარისობის გამო უკვე წარმოიშვა გარკვეული სიძნელეები.

დაბოლოს, თუ არ მიწყენთ, ამასაც დავსძენ, რომ ცოტა არ იყოს ეშვიც კი მეპარება იმაში, ნამდვილად ჭქონდა ადგილი თქვენს მიერ მოტანილ მაგალითს თუ არა. მიუხედავად ამისა ვეტყვით, რომ მე ისეთი დისციპლინის მომხრე ვარ, როცა სკოლის წესდებით გათვალისწინე-

ის ეარჩევნია მამულსა...

ბული მასწავლებლის ნებისმიერი მოთხოვნა პედაგოგიური აზრევტებით არის განმტკიცებული, დასაბუთებული და ითვალისწინებს მოსწავლეთა შორის დისციპლინის განმტკიცებისათვის გაწეული აღმზრდელობითი შუშაობის საბოლოო შედეგებს. ასეთ „დისციპლინას“ ბავშვი (ან ბავშვები საერთოდ) უთუოდ მოიწონებს. ხოლო თუ არ იწონებს, მაშასადამე პედაგოგიურ პრაქტიკაში არ ყოფილა გათვალისწინებული ის, რაც ზემოდ ვთქვი და ვერც „დისციპლინა“ იქნება ისეთი, როგორიც ვვინდა, ე. ი. მოსწავლის მიერ შეგნებული. გაგებული, სათანადოდ გააზრებული და გაზიარებული, ანუ ისეთი, რომელიც შემდგომ თვითდისციპლინაში უნდა გადაიზარდოს.

ახლა მეორე მაგალითის თაობაზე. ეს უფრო რთული შემთხვევაა არა მარტო თავისთავად, არამედ განსაკუთრებით მისი კონკრეტული გამოვლინებით. თქვენ მას უკვე მიეცით ძალიან მკაცრი და შემთხვევის მონაწილე „ხუთიუფლათვის“ საკმაოდ შეურაცხმყოფელი შეფასება: „მეგობრები გაარიყეს და შემდეგ უხინდოსდ ფულარტსენ“. მაგრამ თქვენს კითხვას რომ ვუპასუხო ან თქვენი შეფასება რომ გავიზიარო, მე თვით შემთხვევის სიუჟეტის ცოდნის გარდა კიდევ ბევრი რამ მესაჭიროება. მაგალითად, მე არ ვიცი მთელი ჯგუფის გაკვეთილიდან გაპარვის მიზეზი; არ ვიცნობ ამ შემთხვევის ორგანიზატორებს; სიმართლე გითხრათ, არც ის მესმის, თუ რას ნიშნავს „ხუთი ბავშვი ჩუმად მიბრუნდა სკოლაში“ ან როგორ შეიძლება ერთად წასულთაგან ვიღაც „ჩუმად“. ე. ი. შეუმჩნეველად ჩამოცილდეს მთელ ჯგუფს; მე არ ვიცი, რა მოხდა იმ მოგზაურობაში, როცა ეს ხუთი მოსწავლე ჩამოცილდა ჯგუფს და სკოლისაკენ მიმავალ ეზოს გაუდგა: თქვენ მაგ რამე წასულის წინ, ან „ხუთეულის“ გაბრიკეებულნი იყვნენ დანარჩენები და სწორედ ხუთივეს უბიძგა მათ უღირსი საქციელისაკენ, ხოლო შემდეგ „უსინდისოდ უფლალტეს“ თავიანთი „კარიერისტული თვისებების“ გამო, თუ რა მოხდა სინამდვილეში? მაშასადამე, მე მოკლეშეა ვარ ისეთ აუცილებელ ინფორმაციას, ურომლისოდაც შეუძლებელია სწორი შეფასება მიეცე კონკრეტული შემთხვევის ამა თუ იმ მონაწილეს და სამართლიანი „ნაგანჭენი“ გამოვიტანო. ახე რომ, თქვენს მიერ მოტანილ ფაქტთან დაკავშირებით დაბეჯითებთია და კატეგორიულად, სამწუხაროდ, სხვას ვერაფერს გეტყვით გარდა იმისა, რომ ცხადია გაკვეთილებიდან გაპარვის თითოეული შემთხვევა უთუოდ დასაგმობია და იგი უსარგებლო პრინციპული მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. ამავე დროს, სრულიად შეუწყნარებლად მიმაჩნია სკოლის პირობებში სათანადო რეგიმენტებსა და დამაჯერებელი ქედაგოგიური ზეგავლენის გარეშე დარჩენ კომუნისტური ზნეობისათვის უცხო და [illegible] ბული ისეთი მასკილი თვისებების თუნდაც ოდნავი გამოვლენა, როგორიცაა ამბანგის ღალატი, კარიერისტული მისწრაფებანი და სხვ. მაგრამ, ყოველი ასეთი რეგიორება დიდ სიფრთხილეს, პედაგოგიურ ტაქტს და ალლის მოითხოვს, რასაც წინ საჭიროთ ობიექტური შეფასება უნდა უძღოდეს. უამისოდ სკოლამ შეიძლება საბედისწერო შეცდომა დაუშვას, რაც ყოველად მიუტეგებელი პედაგოგიური ცოდვაა. მე, მაგალითად, სიმართლის დადგენისა და სწორი დისკუნების გამოტანისათვის ვამჯობინებდი, რომ ასეთ შემთხვევაში თვით მოსწავლეები შეკრებილიყვნენ, თვითონ ემსჯელთ, თუ გნებავთ, თავისებური ამხანაგური სასამართლოც გამემართა და „განაჩენიც“ თვითონვე გამოეტანათ. ამ თვალრლობაზე მასწავლებლებაც მოვიწვევდი და დაინტერესებულ მშობლებსაც. ასეთი პრაქტიკა სერიოზულად შეუწყობს ხელს მოსწავლეთა კოლექტივის ჩამოყალიბების რთულ საქმეს, კოლექტივის ცალკეულ პროგრესებზე და პროგრესების კოლექტივზე კეთილისმყოფი ზეგავლენის განხორციელებას, კომუნისტური ზნეობის პრინციპებისა და ნორმების გაგებაგაკვეთვის, საკუთარი აზრის გამოთქმისა და მისი დაცვის უნარის გამოშუშავებას. ყოველივე ეს კი მეტად მნიშვნელოვანია. ამასთან დაკავშირებით ისიც მინდა ვთქვა, რომ ხკკ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის დადგენილებაში „ზოგადსაგანმანათლებელი სკოლების მოსწავლეთა სწავლების, აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ“ ხაზგასმულია მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის კიდევ უფრო გაკაკოფების აუცილებლობა და მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ რვაწლიან და საშუალო სკოლებში შეიქმნას მოსწავლეთა კომიტეტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ პიროვნების იდეურ-ზნეობრივი აღზრდის ქმედითი საშუალების — შეკავშირებული კოლექტივების ჩამოყალიბებას.

რაც შეეხება მესამე შემთხვევას. იგი მე ფაქტორად მათვალიწინებულ რიგზე კომენტარის გაკეთების აუცილებლობისაგან, ვინაიდან არსებითად ვიზიარებ ამ შემთხვევის „ცისკრის“ რედაქტორისეულ კომენტარს. ისმა კი დავუმატებდი, რომ ქართველი კაცის ზუნებათვის ისტორიულადაა უცხო, როცა ერთს რამდენნიმე დაეხვევა, რა მიზეზითა და მიზნითაც არ უნდა იყოს განპირობებული ასეთი შეგროვება. გიორგი საკაძის დროინდელი პრაკტიკიდანაც ცნობილია, რომ მუდამ ქარხი რაოდენობის ტერესან გამკლავების მიზნით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირერიცხოვანი ქართველობა ერთს, მათ შორის ბავშვებსაც, რამდენიმეს წინააღმდეგ ხმელთ პრძოლაში ავარჯიშებდდ და არ პირიქით — რამდენიმეს ერთის წინააღმდეგ. ეროვნულობა მარტოოდენ დედა-ენაზე ლაპარაკს ან ქართული პოეზიის მაღიანად ბაძვა რიგი ნიშნავს. ჩვენს აღმზრდელ მასწავლებლებს ბევრის ცოდნა მართებთ და არც „ბატარა ამბავი“ უნდა გამორჩეთ მხედველობიდან, რათა დიდი საქმე არ გაფუჭდეს.

— რაკი ლაპარაკი სასკოლო ფორმაზე ჩამოვარდა, ერთი რამ უნდა მოგახსენოთ. დღეს, როცა ძალზე მაღალი ცხოვრების დონე, დღეს, როცა ხალხი საკმაო ეკმოვნებით იცვამს, რბილად რომ ვთქვათ, ამ ფიზზე შეუფერებლად გამოიყურება ბავშვთა სასკოლო ფორმა. მე ძალზე ბუნებრივად მეჩვენება, რომ ბავშვებს ესარცხვებათ ამ ფორმის ჩაცმა. ამიტომაცაა, რომ სასკოლო ფორმას ისინი სკოლის გარეა არსად არ იცვამენ. სკოლიდან დაბრუნდებიან თუ არა, იმავე წუთში ზიზღით იშორებენ.

ნუთუ არ შეიძლება ამ საქმეს ერთხელ და სამუდამოდ მოებას თავი?

სხვათა შორის, ერთი რამ მინდა მოგახსენოთ. ავსტრალიაში მოგზაურობისას შევნიშნე, რომ ყველა სკოლას თავისი ფორმა აქვს. იქნებ ჩვენთანაც იყოს მისაღები ასეთი პრაქტიკა?

— არა მგონია. სხვათა შორის მე, მაგალითად, სრულიადაც არ მეჩვენება ბუნებრივად, რომ მოსწავლეს ესარცხვებოდეს სასკოლო ფორმის ჩაცმა, თუკი იგი ლამაზი, მოხერხებული და პრაქტიკულიცაა. არც ის შემიმჩნევია, სკოლიდან დაბრუნებისთანავე ისინი ზიზღით იშორებდნენ ფორმის თავიდან. ტანსაცმელს, აგრეთვე სასკოლო ფორმასაც, გაფრთხილება სჭირდეს და ამიტომ შინ მოსვლისას იგი მოსწავლემ უნდა გაწმინდოს და თავის ადგილზე შეინახოს. სულაც არ არის საჭირო, მაგალითად, ფორმის ტანსაცმელში ბურთის თამაში ან ფორმაში გამოწყობილი ტელევიზორის ყურება. მე უკვე ვთქვი, რომ ახლა ჩვენი სკოლის მოსწავლეებს საკმაოდ მიმზიდველი, მოხერხებული და ამავე დროს პრაქტიკული ფორმა აქვთ, რომელიც მათ მოსწონთ. საქმე მხოლოდ იმას ეხება, რომ დ-ვაჩქაროთ ახალი სასკოლო ფორმის მასიურად დაშვებიდან. რათა ყველანი „დავაკმაყოფილოთ“ და ძველმა ფორმამ შეუწყვიტოს თავისი „ფიზიკური“ არსებობა. რაც შეეხება ცხოვრების დონეს, იგი არც ავსტრალიაში უნდა იყოს მაინც და მაინც დაბალი, მაგრამ ამის გამო იქ არ უოქვამთ უარი სასკოლო ფორმაზე. ყველა სკოლას აქვს თავისი ფორმა თუ ერთი ფორმაა ყველა სკოლისათვის საკადდებული. ეს სულერთია — ფორმა მაინც ფორმაა. რაც შეეხება თქვენს მიერ შემოთავაზებულ ავსტრალიურ ვარიანტს, არა მგონია იგი მისაღები იყოს ჩვენთვის. ჩვენი სკოლა ერთანია, უცხოთეთს ქვეყნებში კი სკოლები სხვადასხვა დაქვეყნდებარბისაა, მათ შორის ბევრია კერძოც. უცხოეთში ყოფნის დროს მეც შემიმჩნევია სასკოლო ფორმის ნაირ-ნაირი ვარიანტები, მაგრამ მიმაჩნია, რომ ყველას თავისი ფორმა უნდა აჭარნდეს.

— ერთმა მეგობარმა ასეთი კურიოზული ამბავი მიამბო: თურმე მისი ბავშვი მთელი ათი დღე ყოფილა ავად. ავადმყოფობის შემდეგ სკოლაში მოსულისთანავე გაიძახა ფიზიკის მასწავლებელმა და „ორიანი“ მიიღო. მეოთხედის ბოლოს ბავშვი ისევ გაიძახა მასწავლებელმა (აქვე მინდა მოგახსენოთ, რომ ბავშვის მშობლები ფიზიკოსები არიან და მას გადაწყვეტილი აქვს მშობლების კვალს გაჰყვეს). ბავშვმა შესანიშნავად უპასუხა. მასწავლებელმა უთხრა, „ხუთიანი“ გეკუთვნის, მაგრამ ვინაიდან „ორიანი“ გაქვს მიღებული, „ხუთიანის“ დაწერის უფლება არა მაქვსო. დაუწერა „ოთხიანი“. მერე შეკრიბა ეს ორი ნიშანი „ოთხი“ და „ორი“, მათემატიკური წესით გაყო შეაზე და საშუალო ნიშნად დაუწერა „სამიანი“, როცა თვითონაც დარწმუნებული იყო, რომ ბავშვმა მეოთხედის ბოლოს სავანი „ხუთიანზე“ იცოდა. ვფიქრობ, მათემატიკური წესით საშუალო ნიშნი მაშინ უნდა გამოიყვანო, როცა მეოთხედის მანძილზე ბავშვს მინიმუმ ოთხჯერ მაინც გამოკითხავ საკვნს. თან ისიც მინდა გკითხოთ, მართლა არსებობს წესი, რომ არ შეიძლება „ხუთიანი“ დაუწეროო ბავშვს, რომელსაც „ორიანი“ აქვს მიღებულიო?

— რა არის, რომ სულ თქვენს მეგობრებს ვადადებენ ხოლმე თავს კურიოზული ამბებით! ხან შვილის სკოლიდან გამოგიგზავნა, ხან რა ა ახლა კი „ორიანი“ ნაავადმყოფარი ბავშვის სკოლაში მისულისთანავე. საოცარია, ღმერთმანეს. ისიც ფიზიკაში. მით უფრო, რომ ამ მოსწავლის მშობლები ფიზიკოსები არიან და მასაც გადაწყვეტილი ჰქონია მშობლების კვალს გაჰყვეს, რაც შეუძლებელია საგნის მასწავლებელს არ სცოდნოდა. მაგრამ, რაც არის არის. ვინაიდან თქვენმა მეგობრებმა მაინც გიამბეს ასეთი მართლაც და კურიოზული ამბავი, ხოლო თქვენ კი მე და თანაც მეკითხებით, მართალი თუ არსებობს წესი, რომ არ შეიძლება „ხუთიანი“ დაუწერო ბავშვს, რომელსაც „ორიანი“ აქვს მიღებულიო, მე მოვალე ვარ გიპასუხოთ.

რა თქმა უნდა, მთელი ათი დღის ავადმყოფობის შემდეგ მოსწავლე სკოლაში მისულისთანავე მასწავლებელმა არ უნდა გაიძახოს, და

ის ურჩევნია მაგალითს...

მით უფრო არც „ორიანი“ უნდა დაუწეროს. არც იმის უფლება წაართმევთა ვისმენ მასწავლებლისთვის, რომ თუნდაც „შემოხვევით“ მიღებული „ორიანის“ შემდეგ კიდევ გამოიკითხოს იგი და მისცეს უფრო მაღალი ნიშნის მიღების შესაძლებლობა, თუკი, რა თქმა უნდა, არსებობს ამის საფუძველი. არავის აუკრძალავს არც „ხუთიანის“ დაწერა, თუკი მოსწავლე ასეთ ნიშნის იმსახურებს იმისდა მიუხედავად, რომ მან მეოთხედის განმავლობაში, ერთხელ და ისიც შემთხვევით, ავადმყოფობის ან სხვა რაიმე საპატიო მიზეზის გამო, მაინც „ორიანი“ მიიღო. ამასთან, როცა მასწავლებელმა იცის მოსწავლის შესაძლებლობანი მოცემულ საგანში, ცნობილია მისი ამ საგნისადმი მიდრეკილება და, როგორც თქვენ ამბობთ, იგი დარწმუნებულია, რომ მაგშეს „ხუთიანზე“ აქვს შეთვისებული საპროგრამო მასალა, მასწავლებელ არაფერი უშლის ხელს ობიექტურად შეიფასოს ცოდნა და ამ ცოდნის შესატყვისი ნიშანი დასვას. ინტერესკი მოსწავლეთა ცოდნის შეფასების შესახებ თვალისწინებს, რომ მეოთხედური ნიშნის გამოყვანა ხდება ხალკასო ეურნალში შეტანილ როგორც წერით, ისე ზეპირ შეფასებათა საფუძველზე საშუალო არითმეტიკულის წესით. ამასთან, ნახევარზე მეტი ბალი ჩაითვლება მთელად (მოსწავლის სასარგებლოდ). ნახევარი კი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბოლო ნიშნები აღმავალია. თუ მოსწავლეთ ავადმყოფობით ან სხვა რაიმე საპატიო მიზეზით ჩამორჩა სწავლას, მეოთხედის ბოლოს მისი ცოდნის შემოწმება შეიძლება მეოთხედან განმავლობაში განსილული მთელი მასალის ფარგლებში.

ასე რომ, არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ისეთი ფესი, რომელიც ხელს შეუშლის მასწავლებელს დაწეროს მოსწავლის ცოდნის შესატყვისი და ამ ცოდნის გამომხატველი ნიშანი. რაც შეეხება კუროიოზს, როგორც თქვენ მათ უწოდეთ, ეს იმის გამო შეიძლება მოხდეს, რომ მოსწავლის ცოდნის შემოწმებისა და შეფასების პრაქტიკაში, სამწუხაროდ, ზოგჯერ ადგილი აქვს დადგენილი წესების დარღვევას, მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომის უმნიშვნელოვანესი პედაგოგიური პრინციპის გაუთვალისწინებლობას, აგრეთვე სუბიექტივიზმის გამოვლინებებს ცალკეულ მასწავლებელთა პრაქტიკულ საქმიანობაში. ეს კი გაუმართლებელია და ხელს გვიშლის მოსწავლეთა სწავლებას, აღზრდას და ცხოვრებისათვის მათი მომზადების არსებითად გაუმჯობესების უაღრესად მნიშვნელოვან საქმეში.

— პატიცემული ოთარ! როგორც ატოობთ, ჯერჯერობით მხოლოდ კონკრეტულ ფაქტებზე გთხოვთ კომენტარის გაკეთებას. ახლა ერთი შემთხვევა მინდა გიამბოთ, მაგრამ, ვფიქრობ, ძალზე საგულისხმო და დასაფიქრებელი ამბავი. მერვე კლასის რამდენიმე მოსწავლეს, რომლებიც „ხუთიანზე“ და „ოთხიანზე“ სწავლობდნენ, მეოთხე მეოთხედში ხაზგასმა ისე დაუწერეს „ოთხიანები“, დარწმუნებულები იყვნენ „ხუთიანები“ გვაქვსო. სამწუხაროდ, ისინი არც ხაზეის მასწავლებელმა და არც ჯგუფის დამრიგებელმა არ გააფრთხილეს, საბოლოო ნიშანი „ოთხიანი“ გამოგდეთ, ეს „ოთხიანი“ ატესტატში შედის და აწი „ხუთიანზეც“ რომ ისწავლოთ, ოქროს მედლის მიღების ყოველგვარი გზა მოჭრილი გექნებათო. ვფიქრობ, მასწავლებელს და ასევე დამრიგებელსაც უნდა დაებარებინა ეს ბავშვები და ეთქვა, იქნებ შემდეგ წლებში თქვენ უკეთ ისწავლოთ და მედალზე იბრძოლოთ, ამ ნიშნით კი მედლისაკენ მიმავალი გზა საბოლოოდ გაეჭრებათო. ამა ერთხელ კიდევ სკადეთ და გადაამაბრეთ ხაზეა, იქნებ გამოსწორდეთო ნიშანი.

თუ ბავშვებს ნიშნის გამოსწორების საშუალებას მისცემდნენ და „ხუთიანს“ მაინც ვერ მიიღებენენ, მაშინ ხაზეის მასწავლელე

თქვენი ნაცნობი რამდენიმე მერვეკლასელი, რომელიც „ხუთეტბზე", ამავე დროს „ოთხეტბ-ზეც" სწავლობდა, მაინც და მაინც რაღაც უნდა ყოფილიყო დარწმუნებული, რომ სწორედ ხაზგაში იქნებოდა ნიშანი „ხუთი", ან რა ლოგიკა იმის თქმაში, რომ „იქნებ შემდეგ წელებში თქვენ უკეთ ისწავლით და მედალზე იბრძოლეთ, ამ ნიშნით კი მედალისაკენ მიმავალი გზა საბოლოოდ მოჭრილი ყველენაოთ". არც ის არის სწორი, რომ „იქნებ" ეს ნიშანი ორი წლის მერე გამოგადგეთ და ამიტომ „აბა ერთხელ კიდევ სცადეთ და გადაამარეთ ხაზვა, იქნებ გამოსწოროთ ნიშნიანო." ძალად მაცხონო, სწორედ ამაზე იტყვიან. კი მაგრამ, „იქნებ" არ ისწავლოს ბავშვმა უკეთ შემდეგ წლებში. მაშინ რა ვქნათ? იყოს მიხე ყოველ შემთხვევაში, „იქნებ" გამომადგესო? არა, ეგე მსჯელობა არ შეიძლება. ბევრი მოსწავლე სწავლობს „ხუთეტბზე" და „ოთხეტბზე". გამოდის, რომ მოსწავლებელმა ყველა უნდა გააფრთხილოს. „იქნებ" შემდგომში ასე და ასეო, იქნებ ხელი შეგეშალოსო, იქნებ გადაამაროო და გამოდის რომ ყველას უნდა გადააპარებინოს. არ მიმაჩნია მართებულად ნიშნის ხელოვნურად აწევის მიზნით მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ამდაგვარი დიალოგის გამართვა. აბა, რა სათქმელია, არიქა „ერთხელ კიდევ სცადეთ და გადაამარეთ ხაზვა", არიქა „იქნებ გამოსწოროთ ნიშანი" და არიქა „იქნებ შედალზე იბრძოლოთო". სწორედ ამას ნიშნავს ძალად მედალონებების „ხელოვნურად გამოჩეკა" და მათთვის ოქროს მედლისაკენ მიმავალი გზის ხელოვნურად და, თუ გნებავთ, ოსტატურადაც გახსნა, ხოლო სხვებისათვის კი მის ოსტატურად გადაკეტვა. უსაამრთლოა ის იქნებოდა, რომ ერთისთვის მიეცათ გადაპარების საშუალება, ხოლო მეორისთვის არა. ჩემის აზრით, დროა ბოლო მოეღოს დემაგოგიური ხასიათის ლაპარაკს ოქროს მედლის საქმეზე და საეგების კანდიდატზე, რომელმაც „იქნებ" შემდგომ წლებში უკეთ ისწავლოს და ამიტომ გადავაპარებინოთ, „იქნებ" გაუწინდეს მედლის მიღების რეალური „შანსი" და ა. შ. ხაზგაში მიღებულმა ნიშანმაც, ცხადია, თავისი სიტყვა უნდა თქვას, რამეთუ ხაზგა ხელშამსაკიანი საგანი არ არის და სხვათა შორის არც მისი „გადადარებაა" მაინცდამაინც იოლი საქმე, თუ იგი პრაქტიკულად არ იცი, არ შეგიძლია ხაზგა.

ახლა იმ ერთი რამის თაობაზე, რომელიც თქვენ დიდ უსამართლობად მიგაჩნიეთ. ცხადია, ორი წელი დიდი პერიოდია სასკოლო ასაკში. ისიც სწორია, რომ ამ ხნის მანძილზე მოსწავლე შესაძლოა დიამეტრალურად შეიცვალოს და მან თავისი მიზანიც ნათლად გამოკვეთოს. მაგრამ სწორედ ამ მიზეზების გამო ისიც ხომ ხდება, რომ მუმანინგარული საეცაილობებს ნაცვლად იგი ზოგჯერ სწავლას უმაღლეს სასწავლებელში ხაზგენიზმეტაეკ ლი საეციალობებზე აგრძელებს და პირიქეროვნული ასეთ ვითარებაში, მე მაინცდამაინც კარგად ვიცი ამ მეხსნის, რას ნიშნავს „ერთი ხაგნი ვიყეტაეთ გზას ხანფაკარი მიზნისაკენ". ოქროს მედლიანები? ან ამ მედლის მეშვეობით უმაღლესი სასწავლებლებისენ? ყოველწლიურად რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ათასობით ხაშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებული აგრძელებს სწავლას. ოქროს მედლით კი მხოლოდ რამდენნიმე ათეული კურსდამთავრებული ჯილდოდება.

— ეტყობა, გარკვეული ვერ გითხარით, მე ხუთასან ბავშვებზე მოკახსენებდით, რომლებსაც მარტო ხაზგაში დაუწერიან ოთხიანები, ხოლო ზოგიერთმა ოთხოასმა და სამოასნაც კი, რომლებსაც ხაზგაში ხუთიანები დაუწერიან, ოქროს მედლები აიღეს, გარდა ამისა, მე მაინც ვფიქრობ, მე-8 კლასში დაწერილმა ნიშანმა მეათე კლასის ბოლოს არ უნდა თქვას გადამწყვეტი სიტყვა, ორი წელი ძალზე მნიშვნელოვანი პერიოდია ბავშვის ცხოვრებაში, ხოლო ეს წესი ბევრ არაკეთილსინდისიერ პედაგოგს აძლევს ხელს მოთბობის საშუალებას.

წარსულ წლებში გამეფებულა მოყოლნმა თავისი დიდი დაამჩნია სკოლებს. ბევრი უმჯობესობა დღესაც მეორდება. შეკითხვა, მოკლედ დაგისვამთ: რა სტკივა დღეს სკოლას?

— ბევრი რამ, უწინარეს ყოვლისა კი ის, რაზედაც ახლახან თქვა და ამიტომ მე განვაგრძობ ამ თემაზე საუბარს. თქვენ სავსებით სწორი ხართ, როცა ამბობთ, რომ წარსულ წლებში გამეფებულმა მოყოლნემმა თავისი დაღი დაასვა სკოლას და ბევრი უმჯობესობა დღესაც მეორდება. ამ თვალსაზრისით ზოგიერთი რამ ღრმად დასაფიქრებელი მე პირადად თვალში მომხვდა უკვე გასული 1976-1977 სასწავლო წლის შედეგების შეჯამებისას და, კერძოდ, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის ოქროს მედლების მინაგების საკითხის განხილვისას. ეს იყო ამ შედეგების ჩემი პირველი შეჯამება საკართველოს სსრ განათლების მინისტრის პოსტზე. მაშინ ჩემი უფროსდაგა მიიქცია ის ფაკანგაშო გარემოებამ, რომ რესპუბლიკის რიგ სკოლებში, ზოგჯერ თვით სასწავლებლებისა და სკოლის დირექტორების ხელშეწყობით, ამავე დროს სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელთა წაყრუებით გამოყენებული იყო „შპარგალეს". ისიც შეინიშნებოდა, რომ ადგილი ჰქონდა მოსწავლეთა ცოდნის ინარმაციტეტურ შეფასებას, ნიშნების გადასწორებას, მეოთხეფური, წლიური და საბოლოო (დასკვნითი) ნიშნების დადგენის, ატესტატების შევსების, აგრეთვე რესპუბლიკის ზოგადსაგან-

---

ის ფრაზვნია მამფულა...

მანათლებლო სკოლის მოსწავლეთა გამოცდების, გადაყვანისა და გამოშვების შესახებ ინსტრუქციის სხვა უხეში დარღვევის ფაქტებს. ამის გამო, აფგილბერიდან ოჯრის მეფლათ დასაჯილდოებელად წარმოდგენილ ბევრ კურსდამთავრებულს უარი ეთქვა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ უკანასკნელ ხანს განხორციელებული ღონისძიებებისა და გაზრდილი მოთხოვნების ფონზე, როცა რესპუბლიკის კომუნისტებმა პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით აღიქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ, სრულიად მოუთმენელი გახდა არსებითი ხასიათის ნაკლოვანებების, აგრეთვე წარსულში დაშვებული შეცდომებისა და დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობის მანკიერ ტრადიციად ქცეული გამოვლინებებისადმი სკოლისა და ხახალო განათლების ორგანოების მუშაკთა შემარცგებლური დამოკიდებულება. ყოველივე ამის გათვალისწინებით საჭიროდ ჩათვალა შერჩევითი შემოწმების ჩატარება და ამ მხრივ საქმის რეალური მდგომარეობის დადგენა. ასეთი შემოწმება ჩატარდა კიდევ, რომელმაც დაადასტურა, რომ მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასებაში ჩვენი რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებში ხანგრძლივი დროის განმავლობაში ადგილი ჰქონდა და ჯერაც აქვს ლიბერალიზმს, პროტექციონიზმს, ანგარებასაც კი. სამწუხაროდ, ყველაზე მთელი პასუხისმგებლობით როდი მოეკიდნენ სასკოლო ცხოვრებაში იმ მოთხოვნების პრაქტიკულად განხორციელებას, რომლებიც ჩამოყალიბებულია საკარადგილო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „რესპუბლიკაში პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ". შემოწმებით დადგინდა, რომ ასეთმა პრაქტიკამ განსაკუთრებით მახინჯი ფორმები მიიღო საშუალო განათლების ატესტატში სპორტიო ნიშნების შეტანის დროს. მაღალი საშუალო ირიმბეტიული ქუთის ატესტატით უმაღლეს სასწავლებელში შეღაჭათინაგ ზზთ შესვლის მ.ზნით და ამ დანაშაულებრივ მისწრაფებათა გამო ზშრი შემთხვევაში ნიშნები „3", ხოლო შეცადამისად ნიშნები „4" საშუალო განათლების ატესტატში გადასწორებული აღმოჩნდა უფრო მაღალ ნიშნად იმდენჯერ, რამდენიც ხაკმრილი იქნებოდა ხელოვნურად გაზრდილი საშუალო ირიმეტიკული საატესტატო ნიშნის (4,5 ქულა) მისაღებად. ასეთი საშუალებით აშკარად წაბატებული ან გადასწორებული აღმოჩნდა ნიშნები ორ-სამ ან ზოგჯერ მეტ საგანშიც. ბაზაყაზე რომ მეკითხებოდით, იგი წაბატებულ ან გადასწორებულნაშნიან საგანთა შორის პირველი ადგილზე აღმოჩნდა ალბათ იმავე ლიგიკით, რომ ერთ საგანს (და ისიც ხაზვის) გზა არ გადაეკეტა მოსწავლისათვის „სანუკვარი მიზნისაკენ" ასეთმა „ლოგიკამ" კი თან გა.კეთდა ისტორიაც, რუსული ენაც, ეკონომიფაც, ბიბლიოგადათამცოდნეობაც და ამ საქმეს უკვე შეეწირა რესპუბლიკის ბევრი რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე, სკოლის დირექტორი და მასწავლებელიც.

ეს ჩვენი სკოლის ერთი დიდი სატკივარია. საქმე ის არის, რომ დაუშსახურებლად მაღალ ნიშნებს ამოფარებულმა მოსწავლეებმა ფაქტიურად არ იციან საპროგრამო მასალა, ადარ სცნობენ სკოლის ავტორიტეტს და კეთრად ეშმაკობენან უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად მხოლოდ მისაღები გამოცდების ჩაბარებისათვის საჭირო სპეციალურ დისციპლინებში. ნიშნადობიდანვე, რომ ზშრი შემთხვევაში სკოლა მოეკვა იმ მშობლების ბარაბანაღი გვალნის ქვეშ, რომლებიც დაუშსახურებლად მოითხოვენ თავიანთი შვილებისათვის მაღალი ნიშნების დაწერას და ჯიდღიოს გაცემას, რაც ზშრად სრულდება კიდევ სკოლის დირექტორებისა და ცალკეული მასწავლებლების სეპარატული მოკმედებით სასკოლო პედაგოგიური კოლეკტივებისაგან ვეერდის ავლის გზით. სუბიექტივიზმის და პირადი დაინტერესების ცალკეული გამოვლინებები მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში ზშრიად წარმოშობს კინფლიქტურ სიტუაციებს. იწვევს დაპირისპირებას პედაგოგიური კოლეკტივის წევრებს შორის და ართულებს მოსწავლე ახალგაზრდობის იდეურ-ზნეობრივი მრწამსის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანეს საქმეს მოსწავლეთა და მათი მშობლების სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს ისიც, რომ ზოგ შემთხვევაში სკოლის შინაგანაწესის დარღვევისა და უფიცალენინობის სხვა გამოვლინებების დროს „სახელთან" ზომად გამოყენებულია არა სკოლის წესდებით გათვალისწინებული ადმინისტრეფონთი ზეგავლენის საშუალებები, არამედ ნიშანი „2", რომელიც ყოველთვის არ შეესაბამება ამა თუ იმ თვნდაც „უდისციპლინო" მოსწავლის ცოდნის დონეს. ამაე დროს, მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასების პრაქტიკისთვის დამახასიათებელი ნეგატიური მოვლენები ხელს უშლის ახალგაზრდობის სწორ პროფესიულ ორიენტაციას და ნაცვლად საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა დიდი უმრავლესობის ორიენტირებისა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში დასასაქმებლად. სკოლა ხელოვნურად ზრდის უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის პრეტენდენტთა რიცხვს იმათ ხარჯზე, ვინც ამოსათვის არ არის სათანადოდ მოამზადებული. ამით ხელი ეშლება უმაღლესი კვალიფიკაციის მაღალსახასიათოვან სპეციალისტთა მომზადებას და საბეჭდიერო კადრების აღზრდას.

ესეც ჩვენი სკოლის კიდევ ერთი დიდი სა-

ტყიერია, რასაც, თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვა, წარსული წლებში გამეფებულმა მოგლენებმა დაამშნია თავისი დაღი და რაც ამ მოგლენებსა გაამწვავა.

სიყალბეზე, თვალთმაქცობასა და მოტყუებაზე უფრო მეტი უსაზღვროა მე არ მეგულება. სიყალბე მოსწავლის ცოდნის შეფასებასი, ოქროს მედალთა მის დაჯილდოებაში, უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების ჩაბარებაში, როცა დირექტორი გარეთ ჩაგზავნა, ხოლო მის ადგილს სხვა იკავებს, სადისტრიქციო ნაწრომის ავტორისათვის საშეფილური ხარისხის მისაბოძებლად შუამდგომლობა, როცა წარმოდგენილი შრომა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და სხვა მისთანა, ოღრე თქვენი ნათქვამი რომ გავიმეორო, „ბევრი უმზგავსობა“, რომელიც დღესაც გრძელდება, მე დიდ დანაშაულად მიმაჩნია. გაცილებით უფრო დიდ, ვიდრე დასწის მუშაკის ან ოფიცესანტის ბილ ჩადენილი „შაფრიანი“ დანაშაული, რის გამოც მას სამუშაოდან ხსნიან ან სისხლის სამართლის პასუხისგებაშიც კი აძალეგენ. ეგელაზე უფრო შესაძრნეგი დაღი სკოლას სწორედ წარსულ წლებში გამეფებულმა განუკითხობამ, მომთხოვნელობის შესუსტებამ, ერთგნული და სახელმწიფო ინტერესების გაუფთვალისწინებლობამ, უპრინციპობამ და მანდობილი ხაქმის არაკომპეტენტურმა გაძღოლამ დაახვა. აი, რა მომყვა ყოველივე ამას შედეგად და რა ან რატომ სტკივა სკოლას დღეს? უმაღლესი პედაგოგური ინსტიტუტების დასწრებული თუ დაუსწრებელი განყოფილებების ათასობით ხაკმოდ დაბალი მომზადების კურსდამთავრებული, რომელთა ერთი ნაწილი დღეს სკოლაში „ასწავლის“. ამ კურსდამთავრებულთა უფრო დიდი ნაწილი დედაქალაქიდან, რეგიზბლიკის სხვა მსხვილი ქალაქებიდან ჰ, არ ამირიდგინეთ, რაიონიანი ცენტრებიდანაც კი, არ აპირებს არსად წასვლას და წლების მანძილზე ელოდება მის საცოცხლეელ ხასლთან ახლოს მყოფ სკოლაში დანიშნას. იმ დროს, როცა წლების მანძილზე ხაკრთველოს ბევრ სოფლის სკოლაში ამ სპეციალობის მასწავლებლები გვაკლია. პედაგოგიური კადრების მომზადებასა და დანაშნულებისამებრ მათ გამოყენებაში ვერ დამყარდა რეალური მოთხოვნილების შესატყვისი თანაფარდობა. სოფელად კვლავ იერძნობა მათემატიკის, ფიზიკის, რუსული ენის, უცხო ენებისა და ზოგიერთი სხვა სპეციალობის მასწავლებლებია უკმარობა. კვლავ მწვავედ დგას სკოლაში მამაკაცი მასწავლებლის პრობლემა, რაც უთუოდ გარკვეულ დაღს ასვამს აღმზრდელობითი მუშაობის სხვადასხვა ასპექტს. ყოველივე ამის გამო კიდევ უფრო გამწვავდა უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე პირთა „დრიტითი უმუშეერობის“ პრობლემა, რაც ხშირად წლობით გრძელდება და რასაც შედეგად მათი დეკვალიფიკაციი მოსდევს. არც ეროვნული ბიბლიოთეკა
თუ იშვიათია შემთხვევა, როცა აღრიცხვიანი
რიგის მიხედვით დანაშნულს მასწავლებელმა პირველივე გაკვეთილის შემდეგ მიატოვა სკოლა. არ არის მასწავლებლობა ოიული საქმე. განსაკუთრებით დღეს, როცა ადამიანისა და, კერძოდ, მასწავლებლისათვის საჭირო ცოდნის მოცულობა მკვეთრად და სწრაფად იზრდება. ფაქტიურად ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ ახალუარსდამთავრებული სპეციალისტი, რომელსაც ნამდვილად შეუძლია სარგებლობა მოუტანის სკოლას, იძულებული ხდება დადგეს აღრიცხვაზე და იმ დრომდე ელოდოს რიგს, როცა სკოლისათვის უკვე შეუფერებელი აღმოჩნდება. ჩვენ ვეძებთ გამოსავალს ამ არცთუ ისე ოიული მდგომარეობიდან.

პედაგოგიური კადრების მომზადებასთან დაკავშირებულმა საკითხებმა ენინ პლენუმე წამოწიეს მასწავლებელთა გადამზადების მთელი საქმის არსებობად გარდაქმნის აუცილებლობა. უკვე ნათქვამთან ერთად ამის აუცილებლობა იმ საგულისხმო გარემოებამაც განაპირობა, რომ გაკვთილების სოციალისტიზის საზოგადოება და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში მასწავლებლის წინაშე შეუფერებელად ბარდილ, ამასთან რთულ ამოცანებს წამოჭრის. მოგეხსენებათ, რომ სკოლა უშუალო მიმართებაშია ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური ხასიათის პრობლემებთან. მას არა აქვს უფლება ჩამორჩეს ცხოვრების ტემპს, ცხოვრებით ნაკარნახევ მოთხოვნებს და მოვალეა თვალისწინებდეს საზოგადოებრივი განვითარების პერსპექტივებს. ახლა ჩვენი უპირველესი საზრუნავია სწავლების და სწავლის ხარისხის მკვეთრი ამაღლება. ეს დაკავშირებული პედაგოგიურ პრაქტიკაში სწავლების ისეთი აქტიური მეთოდების ხაყოველთაოდ დაჩქვიდრებასთან, რაც განმავითარებელი სწავლების პირობებში ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივობის ამაღლებას და გაკვეთილზე ისეთი პრობლემური სიტუაციის შექმნას, რომა მოსწავლე თვით მონაწილეობას ხასწავლო ამოცანის განხილვა-გადაწყვეტაში და ამ გზით იძენს ახალ ცოდნას, ეუფლება ახალ ჩვეველს. ახლა, ისე როგორც არასდროს, მასწავლებლის პედაგოგიურ საქმიანობაში მთავარია გაკვეთილის ახლებურად აგება, რაც ბარტოდენ მზაზარეული ცოდნა კი აღარ უნდა გადავცეთ, არამედ ამავე დრო „ვასწავლოთ სწავლა“, რისთვისაც აუცილებელია მოსწავლე გაკვეთილზე კრიტიკულად აზროვნებდეს, შემოქმედებითად ეუფლებოდეს ცოდნას და გამოიმუშავებდეს დამოუკიდებელი შემეცნე-

ბითი საკმაონობისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს. „ვასწავლოთ სწავლა“ გულისხმობს ვასწავლოთ მოსწავლეს გაკვეთილის მოსმენა, გამოუფუშფშოთ საგნებსა და მოვლენებზე უშუალო დაკვირვების უნარ-ჩვევა, მივაჩვიოთ წიგნსა და სხვა წერილობით წყაროებზე დამოუკიდებლად მუშაობას. გაკვეთილის მოსმენა აქტიურ შემეცნებით საქმიანობას გულისხმობს, რასაც ძასწავლებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევს, თუ ახალი მასალის ახსნის პროცესში დაკმაყოფილებული აღმოჩნდა მოსწავლის ცნობისმოყვარეობა და მისი შეეცნებითი ინტერესები. ამისათვის კი აუცილებელია ხასწავლი მასალის ამ მოთხოვნათა შესაბამეკნიდან „კონსტრუირება“ და გაკვეთილის შესატყვისადეე ადგმა. ამასთან დაკავშირებით, მხედველობაშია მისაღები, რომ პროგრამით გათვალისწინებული ამა თუ იმ თემის შინაარსის გადაცემისა და ფაქტობრივი მასალის უბრალო გაცნობის ტრადიციულმა პრაქტიკამ განმავითარებელი სწავლების პირობებში თავისებური სრულყოფა უნდა განიცადოს. ასეთი სრულყოფის, ერთ-ერთი გზა ის არის, რომ მიღწეულ იქნეს ლოგიკური და ობიექტიური მომენტების მიზანშეწონილი შეფარდება. ამის აუცილებლობა ნაკარნახევი იმით, რომ ამ მოსენტების გათვალისწინება შესაძლებლობას იძლევა თვალი გავადევნოთ მეცნიერული დებულებების, დასკვნების, თეორიების აღმოცენებისა და განვითარების გზას, ვავაშუქოთ მეცნიერებაში სხვადასხვა შეხედულებებისა და მიმართულებების ბრძოლა, სწორად შეეფაროთ მისი დღევანდელი მდგომარეობა, აგრეთვე შეეხგიმი განვითარების ძირითადი ტენდენციები და პერსპექტივები. ცნობილია, მაგალითად, რომ ამ ბოლო ხანს ინტენსიურად ვითარდება მეცნიერების ისეთი დარგი, როგორიცაა ფიზიკის ისტორია. ეს არ არის შემთხვევითი. აუცილებელი ხდება არა მარტო ნიუტონის, პასკალის, პითაგორის და სხვა კანონების თუ თეორიების ახსნა, არამედ მათი აღმოჩენის ისტორიის ცოდნაც. რამეთუ სწორედ ეს შეუწყობს ხელს კვლევითი ორიენტაციის განვითარებას და ხელსაყრელ პირობებს შექმნის იმისათვის, რათა ასეთი ინფორმაციის მიღებასთან ერთად მოსწავლემ კრიტიკულად გაიაზროს ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტის გზები, მიეჩვიოს დამოუკიდებელ აზროვნებასა და ცოდნის დამოუკიდებელი ეზრით შეთვისებას.

ჩვენი პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში, კერძოდ, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საანგარიშო მოხსენებაში, ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ თანამედროვე პირობებში, ოღონ ადამიანისათვის საკრო ცოდნის მოცულობა მკვეთრად და სწრაფად იზრდება, უკვე შეუძლებელია მთავარი იმედი დაამყარო გარკვეული რაოდენობის ფაქტების ათვისებაზე არამედ აუცილებელია მოსწავლეებს ჩვენ, როგორ ცოდნის დამოუკიდებლად შეთვისების, მეცნიერული და პოლიტიკური ინფორმაციის სწრაფ ნაკადში ორიენტირების უნარი, რისთვისაც თვით სწავლების მეთოდები უნდა შეეფუსაბამონ ცხოვრების მოთხოვნებს. განმავითარებელი სწავლების მოთხოვნებიდან სრულიადაც არ გამომდინარეობს ფაქტების ცოდნის უგულებელყოფა, ფაქტობრივი მასალის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნის შეუფასებლობა, თემის შინაარსის გადმოცემის მნიშვნელობის უარყოფა. პირიქით, აქტიური დამოუკიდებელი მსჯელობა ფაქტებისა და ხასწავლო მასალის შინაარსის მტკიცე ცოდნის უნდა ემყარებოდეს, ამ ფაქტებისა და საპროგრამო მასალის შეგნებული ცოდნის ნაფუძველზე უნდა აიგებოდეს. მეცნიერება ფაქტების გარეშე არ არსებობს. ლოგიკური აზროვნების განვითარება ფაქტობრივი მასალის მტკიცე ცოდნას უნდა დეიფუძნოს. განმავითარებელ სწავლებას ფაქტების მტკიცე ცოდნა, მათი კრიტიკულად გააზრების უნარი და ყოველივე ამის საფუძველზე აგებული დამოუკიდებელი, ლოგიკური მსჯელობა უდგეს. ამ მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებისა და შეფასების პრაქტიკის არსებითი სრულყოფა, რაც ითი გამოიხატა, რომ წინა პლანზე წამოიწიეთ კითხვები: „რატომ?“, „რამ განაპირობა?“ „რით ეიხსნება“, „რა მიზეზით“ და ა. შ. ცხადია, რასაც მოსწავლისაგან მოითხოვ, ის კიდეც უნდა ასწავლო მას. ამ მიზნით დაწერებულია, რომ მასწავლებელმა გაკვეთილის გეგმის შედგენისას უნდა გითვალისწინოს განმავითარებელი ხასიათის 10-15 კითხვა, სავარჯიშო და სხვა, რაც ხელს შეუწყობს გაკვეთილზე პრობლემური სიტუაციის შექმნას, აღმოფენის მომდევნო გაკვეთილებზე „სხვადასხვა კომბინაციებში“ გამეორებას და ფაქტობრივი მასალის შეგნებული ცოდნის საფუძველზე ხასწავლო თემის შემოქმედებითად გააზრებას.

აქვე მინდა ხაზი გავუსვა ერთ საგულისხმო გარემოებას. ცოდნის შეთვისების პროცესი, ამავე დროს, იდეოლოგიური ამოცანების გადაწყვეტის ისახვის მიზნად. მეცნიერული, ე. ი. დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის გამოშუშავება შესაძლებელია საკუთრივ სწავლებისა და სწავლის პროცესში, როცა მოსწავლე ეუფლება მეცნიერების ისეთ ზოგად, ძირითად ცნებებს, როგორიცაა „სიცოცხლე“, „განვითარება“, „ევოლუცია“, „ღრმა“, „სიფრეე“, „მატერია“, „მოძრაობა“, „ნივთიერება“, „ხახელმწიფო“, „ფორმაცია“, „საზოგადოება“, „ბაზისი“, „შედგენაში“ და ა. შ. ამით ითქმა მინდა, რომ კომუნისტური იდეურობა — ეს არის ცოდნის, რწმენის და პრაქტიკუ-

ლი მოკმედების შენდნობი. ასეთი შენდნობის მიღება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა დამოუკიდებლად და შეგნებულად შეთვისებული ცოდნა მოსწავლის საკუთრება ხდება, როცა მას მეკანიკურად კი არა აქვს დამახსოვრებული გარკვეული რაოდენობის ფაქტები, არამედ დაჯერებულია მათ ეშმაკობებში, შეუძლია მათი ახსნა-განასაზღვრა, დასაბუთება და დაცვა. მხოლოდ ასეთი ცოდნა შეიძლება არწმუნოს მოსწავლეს, რამეთუ იგი იქნება მისი შინაგანა დაჯერებულობის შედეგი და ამ დაჯერებულობის გამოვლენა. მინდა მოგაგონოთ სვერდლოვის უნივერსიტეტში 1919 წლის 11 ივლისს წაკითხული ლექცია „სახელმწიფოს შესახებ", სადაც ვ. ი. ლენინი საგანგებოდ მიუთითებდა: „უშობარები კი ის არის, რომ წიგნების კითხვამ, საუბრებმა და ლექციებმა, რახაც თქვენ სახელმწიფოს შესახებ მოისმენთ, შეგძინოთ უნარი ამ საკითხისადმი დამოუკიდებელი მიდგომისა, რადგან ეს საკითხი თქვენ შეგხვდებათ სულ სხვადასხვაგვარი საბაბის გამო, ნიადაგ მოულოდნელ გარემოებაში, მოწინააღმდეგეებთან საუბრებსა და კამათში. მხოლოდ მაშინ, თუ თქვენ ისწავლეთ დამოუკიდებელად გიერკვევთ ამ საკითხში, — მხოლოდ მაშინ შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ საკმარისად მტკიცე ხართ თქვენს რწმენაში და შეგიძლეთ ხაკმაო წარმატებით დაიცვათ იგი ყველას წინაშე და ყოველთვის". ახე უკავშირდება ცოდნის დამოუკიდებლად შეთვისების უნარი საკუთარი რწმენის გამომუშავებას და წარმოიქმნება ცოდნისა და რწმენის შენადნობი, რომელიც პრაქტიკულ მოქმედებასთან ერთად ეიმენსტატურ იდეურობას განასახიერებს.

ჩვენნი ხალხთან ჯერ კიდევ ვერ შეხსენ განეზორცეილებინა აღზრდის მთელი ხაქმისადმი კომპლექსური მიდგომა, რაც იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი და შრომითი აღზრდის მეშიერო ერთიანობას გულისხმობს. ეს ჩვენი კიდევ ერთი ნაკლეგანაა. ამ თვალსაზრისით საგანგებო ყურადღებას მოსწავლის ხათანადო პროფესიულ ორიენტაცია და შრომისათვის მისი მომზადება იმსახურებს. დღეკვანდელი ზოგადსაგანმანათლებელო ხკოლა ალარ არის ის ხასწავლო-ხაადმზრდელო დაწესებულება, რომელიც მოწოდებული, მარტოოდენ იმისათვის, რომ მოსწავლე უმაღლესი განათლებამ მიღებისათვის მოამზადოს. ოდესღაც იდგა ასეთი ამოცანა ხაშუალო ზოგადსაგანმანათლებელო ხკოლის წინაშე. დღეს იგი ალარ დგას და ხაქმეს ყველაზე რეალურად უნდა შეეხედოთ.

რეპუბლიკის ხაშუალო ზოგადსაგანმანათლებელო ხკოლებს ყოველწლიურად დაახლოებით 80 ათასი ახლოგაზრდა ამთავრებს. მათგან უმაღლეს ხასწავლებლებში ხაშუალოდ 10 ათასი კურსდამთავრებული შეიძლება ჩაირიცხოს. დანარჩენმა 70 ათასმა რა უნდა გააკეთოს, ხად წავიდეს და რას ეწეოს. დიდად მტკივნეული ხაკითხია ეს, ხაერთოდ, და ჩვენი ეროვნული ეკონომიკისათვის, კერძოდ. ხკოლა პაპუხისმგებელია არა მარტო ამ 10 ათას ახალგაზდა ტალანტზე, არამედ აგრეთვე და, თუ გნებავთ, კიდევ უფრო დანარჩენ 70 ათას კურსდამთავრებულზე, რომლებიც ხათანადოდ უნდა მოვამზადოთ ხახალხო მეურნეობის ხვადასხვა დარგებში მუშობისათვის. თუ როგორ და რა გზით უნდა მოვაგროვეს ეს ხაქმე, ამაზე ამომწურავად არის ნათქვამი ხკკპ ცენტრალური კომიტეტის და ხსრ კავშირის მინისტრთა ხაბჭოს მიერ გასული წლის 22 დეკემბერს მიღებულ ვრცელ დადგენილებაში „ზოგადსაგანმანათლებელო ხკოლების მოსწავლეთა ხწავლებას, აღზრდას და შრომისადგის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ". ეს დადგენილება პრესაზი გამოქვეყნდა და მე ალარ შეეუდგები მისი შინაარსის გადმოცემას. მოვიტან ამ დადგენილებიდან მხოლოდ ერთ ადგილს, სადაც კერძოდ ნათქვამია: „თანამედროვე პირობებში, როცა ჩვენს ქვეყანაზე განხორციელდა ხაყოველთაო ხაშუალო განათლებაზე გადასვლა, ხაშუალო ხკოლის კურსდამთავრებულნი უნდა დაეუფლონ მეცნიერებათა ხიფუძვლების ღრმა ცოდნას და შეიძინონ შრომითი ჩვევები, რათა, იმუშაონ ხახალხო მეურნეობაში, უშუალოდ მოეახლოვდნენ გარკვეული პროფესიის დაუფლებას. ყველა ხაგზოო ბახწავლებელმა, მოსწავლეებმა და მათმა მშობლებმა ღრმად უნდა შეიგნონ, თუ რაოდენ ხაჭიროა ხკოლის გადამწყვეტი შემობრუნება მატერიალური წარმოების სფერონი ხაუშაოდ ახალგაზრდობის მომზადების გაუმჯობესებისთვის, პროფესიის დასაბუთებული არჩევისათვის". ამ ადგილ გამომდინარე, ჩვენ ვალდებული ვართ ხრულყოთ პროფესიულ-ტექნიკური, ხაშუალო ხპეციალური ხასწავლებლების და ზოგადსაგანმანათლებელო ხკოლების შეცნიერ კლასების რეაზედიდამოკიდებული ახალგაზრდებით დაკომპლექტების პრაქტიკა.

ხხვა ხატკვარიც ვვაქვს ხერიოზული გაუმჯობესებას მოითხოვს ხასკოლო შენობების პროვექტირების ხაქმე და მშენებლობის ხარიხი, ხკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და ახე შემდეგ, მაგრამ ამ ხატკვართა შორის ეს უმნიშვნელოვანესს შეეხეე და ამჯერად მაინც, ალბათ, ნათქვამით უნდა დაკმაყოფილდეთ.

— კანადაში პროვინციული ქალაქის — კალგარის ერთ-ერთი ხკოლა დამთავალიერებინეს. მე ძალზე მოგეწონა ამი მეთოდი. ბავშვებს აქვთ ინდიკიდუალური პროგრამები. თუ შვნიშნავენ, რომ ბავშვი ვერ ითვისებს მათემა-

---

ის ურჩევნია მეფულა...

ტიკის საერთო კურსს, მას გაიოლებული პროგრამههი ასწავლიან, რომ გარკვეული მათემატიკური ცოდნა მაინც მისცეს, თორემ საერთო კურსის შესწავლისას ასეთი ბავშვი ამ მეცრე ცოდნასაც ვერ მიიღებსო, — ამბობენ ისინი. ასეა ყველა საგაში. ვფიქრობ, ანგარიშგასაწევი მეთოდია.

კიდევ ერთ თავისებურებაზე მინდა გესაუბროთ. ჩვენ ისეი ეპოქაში ვცხოვრობთ, როცა ადტომატების პრიელეო მოთხოვნილების საგნად იქეა. ეს უფრო საგრძნობი იქნება მაშინ, როცა ჩვენი დღევანდელი ნორჩი თაობა გაიზრდება.

კალგარის სკოლაში ბავშვებს საშუალო კლასებიდან უკვე ასწავლიან ავტომობილთან დაკავშირებულ ყოველგვარ საქმიანობას (როგორც მის შეკანიზმს, ასევე მის შეკეთებას, ექსპლოატაციას და ა. შ.).

ვფიქრობ, დროა ჩვენც გადავდგამთ პრაკტიკული ნაბიჯები ამ მიმართულებით.

— ორი სულ სხვადასხვა ხასიათის საკითხია დასმული ამ ერთ კითხვაში, მაგრამ მაინც შეკვეცდები კითხვა „გავამთელო" და ისე გავაასუხოთ. მე არ მიმაჩნია „ანგარიშგასაწევ მეთოდად" სკოლაში სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების ორი განსხვავებული პროგრამით სწავლების პრაკტიკა: ერთი, ასე ვთქვათ „ჩვეულებრივი" — განკუთვნილი „ჩვეულებრივი" მოსწავლეებისათვის, ხოლო მეორე — „გაიოლებული" მათთვის, ვინც რომელიმე საგანს ვერ ითვისებს. ჩვენი პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მასალა ისეა შერჩეული და დალაგებული, რომ მისი ათვისება გონებით და ფიზიკურად საღ ყველა მოსწავლის შეუძლია. გონებით ჩამორჩენილთ ან ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვთათვის არსებობს სპეციალური დანიშნულების ინტერნატული ტიპის დაწესებულებები, სადაც სწავლა-აღზრდის პროცესი განსაკუთრებულ პირობებში მიმდინარეობს. საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში ასეთი დაწესებულებები არ არის და მეც მინახავს გონებით ჩამორჩენილი ბავშვები, რომლებიც „გაიოლებული" ინდივიდუალური პროგრამებით სწავლობენ სხვებთან ერთად ჩვეულებრივი ტიპის ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებში. ასეა უთუოდ კალგარის—კანადის ან პროვინციაში ქალაქის — ინ სკოლაში, რომელიც თქვენ დაგათვალიერებინეს. მაგრამ, იტყვით ალბათ, სწავლაში ჩამორჩენილი მოსწავლეები ჩვენც ხომ გვყავსო. მართალია, გვყავს. მათ მასწავლებელი და თანაკლასელები უნდა დაეხმარონ და ეხსნიერნან კიდევ დამატებითი და ინდივიდუალური მუშაობის გზით. წელს ჩვენ ამ მიმართულებით კიდევ ერთ ნაბიჯს გადავდგამთ. აქამდე ის მოსწავლეები, რომლებსაც ერთ ან ორ საგაში არადამაკმაყოფილებელი ნიშანი დაეწერათ, გაანმეორებით გამოცდებს ხაშემოდგომოდ ვბარე ბდნენ. ახლა მათ 1-21 ივნისის განმავლობაში საგანგებო ცხრილით ჩაუტარდებათ დამატებითი მეცადინეობა იმ საგნებში, რომლებშიც ჩამორჩენენ და გამოცდებს ნაცვლად შემოდგომისა, ჩაბარებენ 22-23 ივნისს, რაც კიდევ უფრო დიფერენციაციით თავი დაადწიონ მეორეწლიანობას. არსებობს ფაკულტატური მეცადინეობის პრაკტიკა იმათთვის, ვინც განსაკუთრებულ ნიჭს, უნარსა და მიდრეკილებას ავლენს ამა თუ იმ საგაში. ახე, რომ „გაიოლებული პროგრამა" გაიოლებულია გზით სვლის მაჩვენებელია და ასეთი გზა ჩვენთვის მოფენებელია მით უფრო დღეს, როცა ხორცეელდება საყოველთაო-საკალდებელო საშუალო განათლებაზე გადასვლა.

ახლა, რაც შეეხება ტექნიკის დაფუძნების საკითხს. ეს კი უთუოდ ანგარიშგასაწევია. მაგრამ, პრაკტიკული ნაბიჯები ამ მიმართულებით ჩვენ უკვე გადადგმეული გვაქვს. ამჟამად სოფლის 400-ზე მეტ ზოგადსაგანმანათლებელო სკოლაში შემოღებულია სოფლის მეურნეობის მექანიზატორის, კერძოდ, ტრაქტორისტთა კადრების მოამზადება, ასევე ავტოსაქმეს სწავლობს ქალაქისა და სოფლის 200-დან საუშაოო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის მოსწავლე. ბევრგან ეს საქმე კარგად არის დაყენებული. უფროსკლასელმა მოსწავლეებმა იციან მექანიზმი, შეკეთება, ექსპლოატაცია, მაგრამ საერთოდ გაცილებით მეტის გაკეთებაა გვმართებს ჩვენი სკოლების ავტომანქანებით, ტრაქტორებით და სხვა ტექნიკის უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე იმ დარგში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

დასასრულ, ეს ორი საკითხი მინდა „გავერთიანო" იმ გაგებით, რომ მოსწავლეთა სწორი პროფორიენტაცია და ზრდისათვის მათი ბუნებრივ ბადების შემდგომი სრულყოფა შექმნის იმის რეალურ შესაძლებლობას, რომ სკოლაში სწავლის პერიოდშივე დროულად გამოიკვეთოს უკადესი ბავშვი, მიდრეკილებანი და, რაც მთავარია, შესაძლებლობანი, რათა უკვე რვაწლედადამთავრებულმა ახალგაზრდობამ შეგნებულად აირჩიოს განათლების შემდგომი განგრძობის გზა და სპეციალური და პროფესიული მომზადების პროფილი.

— ერთ მნიშვნელოვან პრობლემაზე მინდა ესაუბროთ „ცისკრის" მკითხველებს. ძალზე ხომ არ გადაეტვირთეთ ბავშვები? თანაც სახელმძღვანელოები შეიფერებიან დღევანდელ მოთხოვნილებათა დონეს? აქ შემეკლო ზოგიერთი სახელმძღვანელოდან კერძოზმდე მისული მაგალითები მომეტანა, მაგრამ არ ღირს....

— ნამდვილად არ ღირს თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი კურიოზები ჩემთვისაც ცნობილია

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მომავალში ახალი სახელმძღვანელოების გამოსაცემად მომზადების დროს ალარ უნდა დავუშვათ. ისიც ცნობილია, და არა მარტო ჩემთვის და თქვენთვის, რომ მოსწავლეები ძალზე გადატვირთული არიან. ამასთან დაკავშირებით „ცისკრის“ მეთხუთეტის შემოძღვა ვუთხრა, რომ სასკოლო ცხოვრებაში ამ მხრივ უახლოეს ხანს მოხდება სერიოზული ძვრა. ჩვენ დავალებული ვვარ, განვკარგოთ სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები მეტიმეტად გართულებული და მეორეხარისხოვანი მასალისაგან, დავაწესოთ მტკიცე კონტროლი მოსწავლეთა სასწავლო დატვირთვისადმი და არ დავუშვათ ზედმეტი საშინაო დავალებანი. ამავე დროს დადგენილია 1980 წლისათვის მოსწავლეთა ზეგრაფული სასწავლო დატვირთვა: I-III კლასებში — 24 საათი, IV კლასში — 27 საათი, V-VII კლასებში — 29 საათი, VIII კლასში — 30 საათი, IX-X (XI) კლასებში — 32 საათი კვირაში. უნდა მოვაწესრიგოთ აგრეთვე ფაკულტატურ მეცადინეობათა მოწყობა, რათა შევინარჩუნოთ იგი ისეთი მოცულობით, რომელსაც ტიპობრივი სასწავლო გეგმა ითვალისწინებს. მოკმედი სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული მასალის შემცირების თამაშაზე სათანადო მითითებებს სკოლები უკვე ახალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის მიიღებენ და, ამგვარად, მოსწავლეთა სასწავლო მუშაობისაგან განტვირთვა რეალურად განხორციელდება.

— ჩვენს ქვეყანაში დღეს წარმოუდგენელია ადამიანი, რუსული ენა რომ არ იცოდეს. მით უმეტეს ახალგაზრდა კაცი. არამც თუ რუსული, დღეევანდელი ჭაბუკები და ქალიშვილები ერთ რომელიმე მნიშვნელოვან უცხო ენასაც კი უნდა ეუფლებოდნენ. ჩვენი ნორჩი თაობა რომ რუსულ ენას დაეუფლოს, ეს სახელმწიფოებრივი საქმეა და დიდი ზრუნვა ვევმართებს. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ყველფერს აკეთებს ამ მიმართებით. პედაგოგებსაც და მშობლებსაც დიდი შრომა გვმართებს, რომ ჩვენი შვილები საფუძვლიანად დაეუფლონ ტოლსტოისა და ლენინის ენას. მაგრამ მე ოღონ გზად, ამასთანავე ალაზე მცდარ გზად მიმაჩნია ქართველი ბავშვების ამ მიზნით რუსულ სკოლაში შეყვანა. ენა ურთიერთობის საშუალებაა, — ამბობენ. ეს მართალია, მაგრამ მშობლიური ენა კიდევ ცოტა უფრო მეტია, ვიდრე ურთიერთობის საშუალება. მშობლიური ენა ერის ბუნების გამოხატულებაა. მშობლიურ ენას ბავშვის ტკინში, გულსა და სულში შეაქვს ეროვნული ფესვებები, ეროვნული მადლი.

თქვენ, როგორც რესპუბლიკის განათლების მინისტრი, როგორ უყურებთ ამ საკითხს?

— ამ საკითხსაც პედაგოგიური მეცნიერების პოზიცია ეხმიან ვ. ლენინის ამ ციტატა, როგორც ალზრდის თეორიისა და პრაქტიკის ხმა დანარჩენ საკითხებს.

რაც თქვენ გაუწყენთ, დაკავშირებულია ამ რთულ სკოლაში რუსული ენის სწავლების მდგომარეობასთან. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ მივაღწიეთ სასურველ გარდატეხას ამ საქმეში საერთოდ, და სოფლის სკოლებში კი განსაკუთრებით. სამწუხარო ფაქტია, რომ ზოგოლის ბევრი კურსდამთავრებული რუსულ ენას ვერ ფლობს მოუხდავად იმისა, რომ თითქოს ყველა პირობა შემმნილი მისი სრულყოფილად დაუფლებისათვის. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ საკითხზე საგანგებო, მე ვიტყოდი, საპროგრამო ხასიათის დადგენილება მიიღო: რუსული ენის შესწავლას სკოლაში დიდი ყურადღების საათება დაეთმო; შეიქმნა რუსული ენის რეხსუბლიკური მეთოდური კაბინეტიც, მაგრამ გარდატეხას მაინც ვერ მივაღწიეთ იმის გამო, რომ არ მოხდა გარდატეხა თვით რუსული ენის სწავლების შინაარსის და მეთოდიკის სრულყოფაში. მე მხედველობაში, უწინარეს ყოვლისა, მაქვს სახსავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების გრამატიკული მასალით გადატვირთვა, მისი მექანიკური, მოსაწყენი დასწავლა-დაზეპირების პრაქტიკა, როცა მოსწავლეს, როგორც იტყვიან, ჯერ ენაც კი არა აქვს გატეხილი და არც სიტყვების საკრარო მარაგი გააჩნია. ეს ნაკლი უნდა დავძლიოთ. უახლოეს ხანს გადამეშუამდგომ პროგრამები და მომზადდება ახალი სახელმძღვანელოები რუსულ ენასა და ლიტერატურაში, გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები თვალსაჩინოებისა და საკითხვი ლიტერატურის გამოცემის მოსაწესებელოად და სხვ. ახლა რუსული ენის სწავლების შემდგომი სრულყოფის მიზნით რესპუბლიკის რამდენიმე ზოგადსაგანმანათლებელო სკოლაში მიმდინარეობს პედაგოგიური ექსპერიმენტი, რომელის დიდი იმედი გვაქვს და ამ იმედ წინასწარი დაკვირვება, აგრეთვე ზოგიერთი საგულისხმო მონაცემიც განგვიმტკიცებს. ასეა თუ ისე, ამ საქმეს ჩვენ მთელი სერიოზულობით უნდა მოვკიდოთ ხელი. იაკობ გოგებაშვილი ეკუმარტად შორს იყურებდა, როცა თქვა, რომ „სახალო სკოლა“, რომელშიც რუსულ ენას ადგილი არ ექნება, ვერ მოიპოვებს ჩვენი ხალხის სრულ სიმპატიასაო“. და თუ ჩვენმა სკოლამ მართლაც ვერ გადაწყვეტა რუსული ენის სწავლების წარმატებულობის პრობლემა, იგი ნამდვილად დაკარგავს ქართველი ხალხის „სრულ სიმპატიასა“ და მათ ძირს გამოუთხრის თავის საკუთარ არსებობას. იმიტომ რომ, იმისდა მიუხედავად, თუ როგორ მოგეჩვენებათ თქვენ ეს გზა — იოლად ან თუნდაც

(ს უ ბ ა ვ ნ ი ა მ ა ვ ე ს ლ ა...

ძალზე მცდარად, მშობლები მაინც შეიყვანენ შვილებს რუსულ სკოლაში სწორედ ამ ენის ცოდნის მიზნით. ეს მათი უფლებაა და ამას წინ ვერავინ აღუდგება. ამავე დროს, სკოლა მოვალეა მშობელს სათანადო რჩევა მისცეს. საქმე ის არის, რომ ბავშვი უკვე უნდა ლაპარაკობდეს იმ ენაზე, უნდა იცოდეს ის ენა, რომელშეიდე	s სკოლაში სწავლის დაწყებას პირველს. ამაზე მშობლებმა დროულად უნდა იზრუნონ. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ ვალდებული ვართ ვუთხრათ მშობლებს ის, რაც აღწერდის და სწავლების მეცნიერულ საფუძვლებს ემყარება და, მაშასადამე, დაეხმარება მათ პედაგოგიურად სწორი ნაბიჯების გადადგმაში. მეც იმ აზრის ვარ რომ ბავშვი დედაენაზე უნდა სწავლობდეს. ამის უტყუარი დასტურია იან ამოს კომენსკის „დედობრივი სკოლა". ამასვე ვვიდასტურებს დიდი რუსი პედაგოგი კ. დ. უშინსკი. იგი განმარტავს, დედაენაზე სწავლებისას ბავშვი ამ ენის მარტივ გარეგან ნიშნებს და ხმებს როდი ითვისებსო, იგი ამავე დროს ისარკვავს სულიერ სიცოცხლეს და ძალას დედაენის მშობლიური ძუძუდან. დედაენა უსწავლის ბავშვს ბუნებას ისე, როგორც ვერ ათხსნიდა ვერც ერთი ბუნებისმეტყველი; იგი ასწავლის ხასიათს ადამიანებისა, რომლებიც ბავშვს გარს არტყიან, საზოგადოებისა, რომელშიც იგი ტრიალებს, მის ისტორიას და მიზანსწრაფვას ისე, როგორც ვერ ასწავლიდა ვერც ერთი ისტორიკოსი. მან შეგაყვა ბავშვი ხალხის რწმენისა და პოეზიის ტაძარში ისე, როგორც ვერ შეიყვანდა ვერც ერთი ესთეტიკოსი. ბოლოს, დედაენა შესძენს ბავშვის აზრს ისეთ ლოგიკურ მოსაზრებებსა და ფილოსოფიურ შეხედულებებს, რომლებსაც მათ ვერ შეაძენინებდა ვერც ერთი ფილოსოფოსი. იმიტომ, რა გამორნილი მეცნიერ-პედაგოგთა აზრს, დედაენის ენციენელობაზე, იაკობ გოგებაშვილი განმარტავდა: „ზზარად ხდება ისე, რომ მშობლები ჩვილ ბავშვებს ელაპარაკებიან ერთ ენაზე, გამზრდელნი კი, ე. ი. მასწავლებლები მეორეზეო და დასძენდა — ასეთი წესის მავნებლობის აზკარაა.

აშკარაა ისიც, რომ დედაენაზე სწავლების ძირითადი პედაგოგიური პრინციპები კლასიკურმა პედაგოგიკამ ზაკმაო სისრულითა და დამაჯერებლობით ჩამოაყალიბა. ამავე დროს, ფრიად ხაინტერესოა, რომ მათი მეცნიერულობა ფსიქოლოგიის თანამეგზაურად მონაცემებზითაც დასტურდება. ცნობილია, მაგალითად, რომ გარემოსთან ბავშვის ურთიერთობა ამ გარემოს შესწავლით იწყება. ეს უკანასკნელი გარკვეულ გაფლენას ახდენს ბავშვის ფსიქიკაზე, რის შედეგადაც მათ შორის ყოარდება ისეთი ურთიერთობა, რომლის პროცესში, დიმატრი უზნაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, გარე ხინამდველე ცოცხალ არსებაზე, როგორც ინდივიდზე, მაშასადამე, როგორც მოელზე მოქმედებს. ამ შემთხვევაში, ავითარებს ინდივიდი თავის აზრს, გარეხინამდველი მასზე როგორც განსაზღვრული მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაცია მოქმედებს, როგორც სისტემა, რომელიც ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების პირობებს შეიცავს. ასე რომ, ვინაიდან ცოცხალი არსების ქცევა განსაზღვრავს გარემო, რომელიც ამავე დროს შეიცავს „განსაზღვრული მოთხოვნილების" დაკმაყოფილების პირობებსაც. ბუნებრივია, ბავშვს ექნება დედაენაზე ლაპარაკის დაწყების განწყობა.

რატომ?

იმიტომ, რომ გაჩაუკობ. ეყოფება ამ სპეციფიკურ მდგომარეობას, რომელიც სუბიექტში მოთხოვნილების ობიექტური სიტუაციის ზეგავლენის შედეგად ჩნდება ამგვარად განწყობას ანუ თავისებურ მზადყოფნას ქმნის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ადამიანი დაუბრკოლებლად იღებს გარემოში თავისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ ბავშვის მეტყველების მოთხოვნილების დაუბრკოლებლივ დაკმაყოფილების ისეთი პირობა, რომელიც განწყობას ქმნის, არის დედაენაზე მეტყველების დაწყება ანუ ენის შესწავლის ბუნებრივი გზა. ეს გზა ბუნებრივია იმიტომ, რომ დედაენისადმი მიდრეკილება ბავშვს დაბადებიდანვე თან დაჰყვება. განწყობის თეორიის მიხედვით, ეს მოვლენა იმით აიხსნება, რომ თუ ქცევა საერთოდ, ხოლო ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში მეტყველება, კერძოდ, მანამდეა მოცემული, სანამ დაიწყებოდეს, ცხადია იგი, როგორც წინასწარი მიდრეკილება, რადგან იგი, როგორც გარკვეული მოქმედების ტენდენციაა მოცემული. მაშასადამე, ქცევას წინ უსწრებს სუბიექტის მდგომარეობა. სხვანაირადაც შეიძლებოდა გვეთქვაო, დასძენს მსოფლიოს გამორნილი ფსიქოლოგი დიმიტრი უზნაძე: სანამ ცოცხალი არსება რაიმე ქცევას მიმართავს, მას უკვე მანამდე აქვს ეს ქცევა განწყობის სახით მოცემულიო.

ყოველივე ეს უნდა იცოდეს მასწავლებელმაც და მშობელმაც. პედაგოგიური მეცნიერების ამ მოთხოვნებით უნდა ვიხელმძღვანელოთ, როცა საკითხი სწავლების ენას შეეხება.

ახლ ვუფიქრებ ჩვ, როგორც საქართველოს განათლების მინისტრი ამ საკითხს.

— სპორტი და ახალგაზრდობა, სპორტი და ბავშვები — განუყოფელი ცნებებია. მიეხედავად იმისა, რომ გვყავს ბევრი მსოფლიო, ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონი, კიდევ უფრო მეტი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, საქართველო ჯერჯერობით ერთ-ერთი არასპო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რტული რესპუბლიკაა. ჩვენ სპორტი თითქოს ამისათვის გვინდა, რომ საერთაშორისო შეჯიბრებებზე გავიმარჯვოთ, ამიტომ რესპუბლიკის მეცირეცხოვანი მოედანი, საცურაო აუზები და სპორტული დარბაზები მხოლოდ გამორჩეულ სპორტსმენებს ემსახურება, მსოფლიო ჩემპიონობა კარგია, ოლიმპიური — *კიდევ უკეთესი, მაგრამ ჩვენ ჯანსაღი თაობა* გვინდა, ჯანსაღი ერი გვინდა, — ესაა უმთავრესი საზრუნავი.

რა ნაბიჯების გადადგმას აპირებთ ამ მიმართულებით? ბარემ აქვე დავისვამთ მეორე შეკითხვასაც. ის პროექტები, რომლები მიხედვითაც სკოლები შენდება, არ თვალისწინებს დღეევანდელ მოთხოვნილებებს. შეიძლება თამამად ითქვას, ძალზე უბადრუკი პროექტები შენდება სკოლები. რა ცვლილებებია მოსალოდნელი მომავალში?

— ხასებებით ვიზიარებ თქვენს გულისტკივილს და მისწრაფებასაც, რომ ჩვენ უწინარეს ყოვლისა ჯანსაღი თაობა უნდა აღვზრდოთ. მე შემიძლია გითხრათ არა მარტო ის, თუ რა ნაბიჯების გადადგმას ვაპირებთ ამ მიმართულებით, არამედ ისიც, თუ რა ნაბიჯები გადადგა უკვე ამ მიზნით საქართველოს განათლების სამინისტრომ და რა კეთდება პრაქტიკულად ადგილებზე.

მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის შემდგომი მკვეური გაუჯერებლების უზარმაზვილსაკოფად ჩვენ უკვე გასული 1976-77 სასწავლო წლის დასაწყისიდან საგანგებო ღონისძიებანი განგახორციელეთ. ამის აუცილებლობა, კერძოდ, ნაკარნახევი იყო იმით, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ჭალაქად და ჭალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში, ცხოვრებას უმეძრაო ან ნაკლებად მოძრავ პირობებში ატარებს, რაც უთუოდ ვნებს მათ ნორმალურ ფიზიკურ განვითარებას და უარყოფითად მოქმედებს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა შორის შეიმჩნევა მომეტებული არტერიალური წნევის, გულის კუნთის მოდუნებისა და ხისხლძარღვთა დაავადების სიმპტომები. ნაკლებად მოძრავი ცხოვრების შედეგი ეს. ამიტომ ფიზიკური კულტურა და სპორტი რეალურად უნდა დამკვიდრდეს ჩვენს ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში. ამ მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ რესპუბლიკის ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დააკანონა მოსწავლეთა ყოველდღიური გამამხნევებელი ვარჯიშების ჩატარება დილით ან გაკვეთილების შუალედებში გაზრდილი შესვენებების დროს. შემოღებულია ფიზკულტურაში ზაზინაო დავალების მიცემა დამამტკიცონი ფიზიკური დატვირთვისა და ინდივიდუალური გზით ფიზიკური წრეთაბის ჩვენების გამომჟღავნების მიხედვით. სკოლის დირექტორებს საგანგებო მრავალგვარ აქვთ დავალებული, რათა ამამაღლონ ფიზიდზრდის მასწავლებელთა პასუხისმგებლობა მოსწავლეთა შორის ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელი შუამობის გაშლისათვის, მოაწყონ მარტივი ტიპის სპორტული მოედნები

და განსაორციელონ კომპლექსური ხასიათის ღონისძიებები, რათა ყველა სკოლაში შეიქმნას თავისებური „ფიზიკულტურული კლუბი". მომზადდა და ადგილებზე დაიგზავნა ხაზინო დავალებებისათვის უუცილებელი ფიზიკური ვარჯიშების კომპლექსი, დამუშავდა აქტიური დასვენების მოწყობის მოცულობი რეკომენდაციები, რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა უკვე მიიღეს მარტივი ტიპის სპორტული მოედნებისა და ნაგებობების გეგმა-ნახაზები, აგრეთვე რეკომენდაციები მათ მოსაწყობად. სკოლის დირექტორებს რჩევა მიეცათ საგნობრივი წრეების ხარჯზე, რაც აგრეთვე გონებრივ შრომასა და ასევე უმოძრაობასთან არის დაკავშირებული, გაზარდონ სპორტული სექციების რაოდენობა და წაახალისონ მოსწავლეთა ამ სექციებში მონაწილეობა. ცხადია, მთელი ეს მუშაობა სამედიცინო კონტროლს უნდა დექვემდებაროს და ითვალისწინებდეს მოსწავლეთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს. ყოველივე ეს უკვე გაკეთდა. ჩვენ შევძელით ამ საკითხებისადმი სკოლის მუშაკთა ყურადღების შემობრუნება და მივაღწიეთ იმას, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებები სკოლაში ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესების დარგში პრაქტიკულად ხორციელდება. ასე, რომ ცოტა რამ უკვე გაკეთდა, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. გაწბრილეთი ვვაქვს სისტემატური ხასიათი. მივცეთ შედასასკოლო, სკოლათშორისი, რაიონული და საქალაქო შეჯიბრებების მოწყობას სპორტის სხვადასხვა სახეობებში. ეს შესაძლებელს გახდის გამოვავლინოთ კარგი სპორტული მონაცემების მოსწავლეები და ჩავაბათ ისინი ბავშვთა სპორტულ სკოლებში, რათა საფუძველი ჩავუყაროთ ქართველ სპორტსმენთა საიმედო ცვლის მომზადებას. უთუოდ სერიოზული ზრუნვის საგანი უნდა გახდეს სასკოლო შენობების და პროექტების საქმე სპორტული დარბაზების, სხვა ნაგებობების მშენებლობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, აგრეთვე სპორტული ინვენტარით მათი უზრუნველყოფა. ამ მხრივ თავისი სიტყვა უნდა თქვან არქიტექტორებმაც და მშენებლებმაც.

(ის ფრჩეგნია მამფლა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ მათი დახმარებითა და აქტიური შეარდგენილი შევძლებთ ჩვენ ამ ხაშვილიშვილი საქმის მოგვარებას.

— ერთ შეკითხვას კიდევ მოგცემთ. 1976-1977 სასწავლო წელს ათასობით ბავშვმა დაამთავრა საშუალო სკოლა. ზოგმა გაჭირვებით, ზოგმა კარგად, ზოგმა ოქროს მედალზე. შემდეგ დაიწყო მისაღები გამოცდები რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში. თქვენი სამინისტრო თუ შეისწავლის ამ ანალიზებს, ვინ მოხვდა უმაღლეს სასწავლებლებში და როგორ აგრძელებენ სწავლას? რამდენად შეესაბამება უმაღლესში მიღებული ნიშნები მთ საატესტატო მაჩვენებლებს? ვფიქრობ, ასეთი ანალიზი ბევრ საყურადღებო მომენტს წარმოაჩენდა.

— მეც ასე ვფიქრობ და ამიტომ ხაჭართველოს განათლების ხამინისტრო დიდი ხანია ყოველწლიურად ღებულობს მასალებს მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ, ანალიზებს მათ და ხაჭირო დასკვნებსაც აკეთებს სწორედ ამის გამო, რომ ასეთი ანალიზი ბევრ საყურადღებო მომენტს წარმოაჩენს. ეს ხაკითხები ხშირად გამხდარა სამინისტროს კოლეგიის ხაგანგებო მსჯელობის ხაგანიც. სკოლის ის დირექტორები და მასწავლებლებიც დასჯილან, რომელთა ყოფილ მოსწავლეებს ვერ გაუმართლებიათ საატესტატო ნიშნები. ხამწუხაროდ, ვერც ზოგიერთი ოქროს მედალისანი ამართლებს მიღებულ ჯილდოს. მე უკვე გითხარით იმის თაობაზე, თუ რა ზომებს ვღებულობთ მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასების პრაქტიკაში არსებული დარღვევების, ლიბერალიზმის, ბრიტანეციონიზმის და სხვ. წინააღმდეგ. ამასთან ახიც მინდა დავძინო, რომ ყოველთვის არც უმაღლესი სკოლაა დაზღვეული შეცდომებისა და სხვა ნეგატიური მოვლენებისაგან, მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა მისაღები გამოცდების დროს აბითურიენტთა მიერ დაშვებული ტიპიური შეცდომების ანალიზი იმ მიზნით, რომ სწორედ ამაზე გავამახვილოთ პედაგოგთა ყურადღება და უზრუნველყოთ სწავლების ხარისხის შემდგომი ამაღლება.

გურამ აბრამიშვილი, ზაზა ალექსიძე

მხედრული დამწერლობის სათავეებთან

ქართული კულტურის ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარია ეროვნული დამწერლობა. ქართულმა დამწერლობამ შეინახა და გამოხატა ქართველი ხალხის სულიერი სამყარო, ხელი შეუწყო მის განვითარებასა და გამდიდრებას, დაიცვა თაობებს შორის კავშირი, ერთიან ორგანიზმად შეკრა ქვეყანა, სადაც „ლოცავდა ყოველი ქართველითა ენითა აღმსრულებელნი". ქართული დამწერლობა თვითონ არის ეროვნული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოვლენა, თვითონ არის ხატი ერის შემოქმედებითი უნარისა. ამიტომაა ალბათ ქართული დამწერლობის წარმოშობისა და განვითარების პრობლემა ქართველოლოგიის ერთი უპირველესი საზრუნავი; ამიტომაა ალბათ, რომ ამ პრობლემატიკით დაინტერესება ჩვენს საზოგადოებასა და მეცნიერებაში განსაკუთრებული ძალით იფეთქებს ხოლმე პერიოდულად. ბოლო რამდენიმე წელიწადი კვლავ ამ ნიშნით არის აღბეჭდილი.

ის შრიფტი, რომლის საშუალებითაც მკითხველი დღეს ამ წერილს ეცნობა, ქართული მხედრული დამწერლობის საფუძველზეა შექმნილი, თუმცა ახლანდელი წერის სტილი პირვანდელი მხედრულისაგან დიდად განსხვავდება.

მხედრულის გარდა ქართული მწიგნობრობის ისტორიამ დამწერლობის კიდევ ორი სახეობა იცის: მრგლოვანი ასომთავრული (ან მთავრული) და კუთხოვანი ნუსხური (ან ნუსხა-ხუცური).

ძველი წარმოსაადგენია, მაგრამ ისტორიული მეცნიერების სპეციალურ დარგს, რომელსაც პალეოგრაფიას უწოდებენ, გაეცალით უკეთ აქვს შესწავლილი ქართული დამწერლობის ის ორი ტიპი, რომლებიც დღეს პრაქტიკულად აღარ არსებობენ, ვიდრე ის, რომელსაც თვითეული ჩვენგანი ყოველდღიურად იყენებს.

ქართული პალეოგრაფიის უმთავრესი პრობლემებია: ქართული დამწერლობის ეტენზისი, მისი სტრუქტურა, დამწერლობის სახეობათა ურთიერთმიმართება და მათი ქრონოლოგია.

ბოლო ორი პრობლემის შესახებ ქართველოლოგიაში გაბატონებული თვალსაზრისი ჩამოყალიბებული აქვს აკად. ა. შანიძეს ნაშრომში „ძველი ქართული ენა". რადგანაც მართლაც რომ უკეთ ვერ იტყვი, შესაბამის ციტატებს უცვლელად მოვიტანთ:

„მრგლოვანი. ძველი ქართული მწერლობის ნიშნები, რომლებითაც დაწერილია ეტრატზე ან ამოკვეთილია ქვაზე უძველესი ქართული წერილობითი ძეგლები (ხელნაწერები, წარწერები) მე-5 — მე-9 საუკუნეებში, დამოუკიდებელი ქართული ეროვნული ანბანის ასოებია... საერთო შესახედაობის გამო უძველესი ძეგლების დაწერილობას მრგვლოვანი ანუ მრგლოვანი დაერქვა".

„კუთხოვანი. მრგლოვანისაგან მე-9 საუკუნეში გაწვეთირდა კუთხოვანი წერა, რომელშიც ოთხი სხვადასხვა სიმაღლის ასოთა ჯგუფები შემოუშავდა... ამ ასოებს შესახედაობა კურსივისა აქვთ და კუთხეების გამო კუთხოვანს ეძახით. ძველად კი უფრო ნუსხურს ეძახდნენ. მრგლოვანი და კუთხოვანი (ნუსხური) — ორივე ძველი ქართული ძეგლების ასოებია: მრგლოვანი პირვანდელია, კუთხოვანი — მერმინდელი. კუთხოვნით დაწერილ ძეგლებში მრგლოვანიც იხმარება, მაგრამ სათაურებში და ინიციალებად. ხელნაწერთა უმეტესობა, რომლებიც მე-10 — მე-11 საუკუნეს განეკუთვნება, კუთხოვანი ასოებით არის დაწერილი. პირ-

ველად ასეთი ასოები გვხვდება ანდერძში, რომელიც ახლავს 864 წ. გადაწერილ სინურ მრავალთავს. ეს წიგნი თავიდან ბოლამდი მრგლოვნით არის დაწერილი, მაგრამ მისი ანდერძის ნაწილი, რომელიც ხელნაწერის ბოლოს არის მოთავსებული, კუთხოვანი ასოებით არის შეტრფლებული".

„მხეჴრული. კუთხოვანი წერილაგან მე-11 საუკუნეში წარმოიშვა ახალი სახის ასოები, რომელთაც გადმოსცეს ოთხ ჯგუფად დაყოფის საფუძველი, თანაც კუთხოვანი ასოების კუთხიანი ნაწილები დამრგვალდა და ასოები საერთოდ გასწორდა. ძველი წერა (მრგლოვანი და კუთხოვანი) ეკლესიის დარჩა სახმარებლად, ხოლო საერო საქმეებისათვის იყენებდნენ ახალს, რომელსაც მხეჴრული დარქვეს. პირველი ხანეში მხეჴრული ასოები ჯერ კიდევ რამდენადმე ჰგვანდნენ კუთხოვნისას, მაგრამ თანდათან შორდებოდნენ მათ, ანუ რომ მე-13 საუკუნეში მხეჴრული წერა საბოლოოდ დახეცილდა მას...

მხეჴრულის განვითარებისა და განმტკიცების შემდეგ ძველ წერას (მრგლოვანს, ნუსხურს) დარქვეს ხუცური, რადგანაც მას ხუცები იყენებდნენ ეკლესიის საჭიროებისათვის, ხოლო ცოლად მრგლოვანს ასომთავრული სახელით აღნიშნავდნენ".

„პარალელური ნმარება. მრგლოვანი წერა არ შეწყვეტილა მე-9 საუკუნეში, როცა მისგან წარმოიშვა კუთხოვანი (ნუსხური), და არც ეს უკანასკნელი გადავარდნილა მე-11 ს-ში, როცა მისგან განკუთვნილი წერის ახალი სახე — მხეჴრული. სხვადასხვა სახის ქართული ასოები შემდგეგი იხმარებოდა, მაგრამ ისე, რომ საეკლესიო წიგნების წერდნენ ძველი ასოებით (მრგლოვნით ან მისგან წარმოშდგარი კუთხოვრით, რომელშიც მრგლოვანიც იყო გარეული), ხოლო მეფეთა ბრძანებანი, სასამართლოს დადგენილებანი და საერო ხასიათის სხვა დოკუმენტები თუ წიგნები (პოეზები, მოთხრობები და სხვა) იწერებოდა მხეჴრულად" (ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ. 1976, გვ. 9-11).

მრგლოვნიდან IX ს-ში განვითარდა ნუსხური, ნუსხურიდან XI საუკუნეში წარმოიშვა მხეჴრული — ამ სქემის ავტორია ქართული მეცნიერული პალეოგრაფიის ფუძემდებელი აკად. ივ. ჯავახიშვილი. მაინც გვინდა მკითხველმა გაიხსენოს, თუ რას წერდა თვითონ ივ. ჯავახიშვილი ამ რამდენიმე ათეული წლის წინ ამ სქემასთან დაკავშირებით:

„შეიძლება ითქვას, რომ უკვე IX საუკ. ნუსხა-ხუცური უკვე სრულებით ჩამონაკვთილი და დამთავრებული დამწერლობაა და მისი დასაწყისის ხანის ძეგლები ჯერ არ გვაქვს და IX ს-ზე უწინარეს ხანაში უნდა ვიგულისხმოთ.

რაკი IX ს-ში ნუსხა-ხუცური უკვე სრულებით დამთავრებული — ჩამონაკვთილი დამწერლობაა, ამიტომ მისი დასაწყისის ხანა და თანდათანობა ჩამონაკვთის პროცესი IX საუკუნეზე გაცილებით უფრო ადრე უნდა ვიგულისხმოთ. ის ღრმა ცვლილება, რომელიც ასომთავრული ასოების მოხაზულობას გამოუვლია, სანამ ისინი საბოლოოდ ნუსხა-ხუცური ასოების სახეს მიიღებდნენ, გვაფიქრებინებს, რომ ნუსხა-ხუცურის წარმოშობა-ჩამონაკვთის პროცესი. ხანგრძლივი უნდა ყოფილიყო... მეორე მხრით, რაკი ნუსხა ხუცურ-დამწერლობაში ბ, ვ და უ თავგახსნილი მოხაზულობისანი არიან, ამიტომ ამ დამწერლობის სახელოო ჩამონაკვთვა არ შეიძლება VII-VIII სს-ზე უწინარეს დროს მივაკუთვნოთ".

„მრგლოვანი ნუსხა-ხუცური (ანუ უწოდეს ადრეულ მხეჴრულს) ივ. ჯავახიშვილი — გ. ა., ზ. ა.) პირველად, მართალია XI საუკ. ხელნაწერების გვხვდება, მაგრამ ეს ამ დამწერლობის უკვე ჩამონაკვთილი გამოხატულებაა, მისი წარმოშობის ხანა კი, რასაკვირველია, ამაზე უწინარეს არის საგულისხმებელი. ამ შემთხვევაშიაც წარმოშობის პროცესი, უეჭველია, კერძო პირთა კუთხოვან ნუსხა-ხუცურის გაკრულ ხელში ან ავტელად დაწერილ ნუსხებში უნდა ვეძიოთ, და სწორედ ასეთი ხასიათის ძეგლები მოგვცემენ მომავალში კუთხოვანი ნუსხა-ხუცურის მრგვლოვანად გარდაქმნის ყველა საფეხურს" (ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ. 1949, გვ. 184-190).

რაკიმ შეიცვალა ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისი ნუსხური დამწერლობის IX ს-ზე უფრო ადრე ჩასახვიდან IX ს-ში ჩასახვით, ხოლო მხეჴრულის — XI ს-ზე ადრე წარმოშობიდან XI ს-ში წარმოშობით? ამიტომ, რომ ქართველოლოგიის ინტენსიური განვითარების რამოდენმე ათეულმა წელიწადმა ვერ გამოარჩინა თავისი პატრიარქის ვარაუდის გასამართლებლად რაიმე საბუთი. უძველესი ასომთავრულის ნამუშევნი V ს-ს ვერ გასცილებია, უფრეფლეს თარიღიან ნუსხურ ძეგლად ბოლო ხანებამდე 864 წლის სინურია მრავალთავის ანდერძი რჩებოდა, ხოლო მხეჴრულისა ბაგრატ IV-ის 1057 წლის სიგელი. ყველაფერში ეგრძნობოდა, რომ ქრონოლოგიის შეცვლის იმედი გადაიწურა. ეს არის მთავარი სინანული, რომელიც გადაუფლავს დაბრკოლებად ელობება წინ ყველაზე უფრო ოპტიმისტურ თეორიულ კონსტრუქციებსაც კი ქართული დამწერლობის სახეობების გენეზისისა და ქრონოლოგიის შესახებ.

ქართული მხეჴრული დამწერლობის წარმოშობის თარიღის ხაკითხი მეჯოროდ უკავშირდება, შესაძლოა ჭვეცნობიერად, კიდევ ერთ ურთულეს პრობლემას — ქართული საერო მწერლობის წარმოშობის ხანის განსაზღვრას. თანამედროვე ქართველოლოგია საერო მწერლობის წარმოშობასაც XI ს-ის გასულით ათა-

რიღებს (ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ. 1966, გვ. 18; იგივეთვე გვ. 5-25). მაშასადამე, საერო მწერლობა და მისი ფიქსაციის საშუალება — მხედრული (საერო) დამწერლობა ერთი ახაკისანი არიან? ბუნებრივია, რომ ასე იყოს. ისიც ბუნებრივია, რომ ერთის დათარიღებამ მეორის დათარიღებაზე იმოქმედოს.

„მეფეთა ბრძანებანი, სასამართლოს დადგენილებანი და საერო ხასიათის სხვა დოკუმენტები თუ წიგნები (პოეტები, მოთხრობები და სხვა) იწერებოდა მხედრულად". ჩვენამდე მოღწეული უძველესი ქართული დოკუმენტი (დედანი) არის ბაგრატ IV-ის 1057 წლის სიგელი, შესრულებული ნუსხურით. მაგრამ ეს ხომ არის საერთოდ ჩვენამდე მოღწეული უპირველესი დოკუმენტი!

ე. წ. ფავნელთა სიგელი, რომელსაც დღეს ჩვენ ვიცნობთ XV (თუ XIII?) საუკუნეში გადაწერილი პირით, სამი ერთმანეთთან მეკავშირეობენ ფენისებენ შედგება. უძველეს ნაწილს სპეციალისტები IX ს-ის მიწურულით თარიღებენ, მის მომდევნოს კი, მასზე მოხსენიებული პირების მიხედვით (კოსტანტინე III ოფსაზთა მეფე, კახეთის ეპარქიისკოპოსები ფაღლა I და ეკირიკე I), 893-918 წლებით (ქართული სამართლის ძეგლები, III, გამოსცა ი. დ ო ლ ი ძ ე, თბ. 1965, გვ. 3-5, 589-590). რომელი დამწერლობი იყო შედგენილი ეს დოკუმენტები თავის დროზე? ვითომ ზუსტურად? ყოველ შემთხვევაში მათი პირი მხედრულთან არის შესრულებული და ერთი მათგანი მაინც ზუსტურად რომ ყოფილიყო დაწერილი, ისინი ერთმანეთში ადარ აირეოდნენ და ერთ დოკუმენტად ვერ იქცეოდნენ.

საერო ხასიათის დოკუმენტების შედგენა XI ს-ში რომ არ დიფუნიათ, უეჭველად მოწმობს გიორგი III-ის მიერ შომდევმისათვის მიცემული მამულის მფლობელობისა და შეუვალობის განსაზღვის სიგელი:

„მოვიდეს ჩუენ წინაშე ზ(ა)ფიდანი მამანი უდაბნოისა დიდისა მღუდაბასანი, მამაი იოანე მეფლეთმე და მოიბუენეს სიგელნი დიდისა მეფეთა მეფისა, პაპისა ჩუენისა დავითისი და მამისა ჩუენისა დემეტრე მეფისანი და სხუანი ძუელნი მრავალნი პაპათა და მამათა ჩუენთანა; და გუემჴნეს და მოგუაკ(ა)ნეს, რათამცა, ვითა მათ სიგელითა მათითა გაუენენია და გუეგია პირველად თუით ზ(ა)ფიდისა მის უდაბნოისა მღუდაბასათუის, და მერმე ყოველნი სოფელნი მათნი გაუთავისუფლებანან ყოველისა მაუწესარისა მათისა და დამ(ა)ირებელისა და ჩუენთა კელისუფალთა შესავლოობისაგან, ეგრეთვე ჩუენ გაუბჭალენთ ძ უ ე ლ ნ ი ს ი გ ი ბ ლ ნ ი სიგელითა ჩუენითა და დავამტკიცეთ ბრძანებანი და სიგელი პაპათა და მამათა ჩ უ ე ნ თ ა ი ი."

ქვემოთ მეფის მწიგნობარი დანგა ბრუტაიანეტი ჩამოთვლის კიდევ ამ დოკუმენტებს, რომელთა საფუძველზეც წერს სიგელს:

„სოფელი სხალტბაი და მათი კერძი გორეუვანი — წ(ა)ფიანა ეკ(ა)ერ(ი)ნგან მოსცილილი; ალგარი — ჯ ო ჯ (ი) ნ ი ს გ ან მ თ ა ვ ა რ ი ნ ა მ ო ს (ა) ფ (ი) ნ (ი) ლ (ი) ; ოუეთი — ნასყიდი და შემოწერილი; ზოიის-უბანნი ყოველი — მოსყიდილი თუით მონაზონთა შეუდანიეთაგან; ჩიკ(ი)ნურნი — ოუეთა ნასყიდნი, მისგან აშენებულნი და შემოწერილნი; ხორკანი — მამისა ჩემისა ნაბოძვანი სამეფოიმიდ, გოგრაკ(ი)ისაგან შემოწერილი; ივან-წ(ი)ფიანი — ძ (ი) ლ (ა) ლ (ა) ვ ე ბ (ი) ნ (ი) ; ბ (ა) (ი) (ა) (((

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებოდა „საერო ხასიათის დოკუმენტების“ შედგენის პრაქტიკა. ჩვენ ზემოთ ისიც ვნახეთ, რომ შოთ და ეეკარტს სახელთან დაკავშირებული მსგავსი დოკუმენტები XII ს-ში ხაჭართველოში ჯერ კიდევ იყო შენახული.

შოთს მერვე საუკუნეო მოგვითხრობს, რომ სტეფანოზ ერისმთავარს (VI ს-ის ბოლო) და შიომდღვიმის მონასტრის მამასახლისს შორის კონფლიქტები მოხდა. განიხილებოდა ერისთავარმა „მისცაცნა ორნი ადარაკენი და თქუა: არა მოგსცე შეურაცხის-ყოფილთა მამელი ჩემი. დღე წარვედა და უთქმიდა მრავალსა ზინებითა“. შედეგი სავალალო აღმოჩნდა „ხოროცელი უფფალთათჳს“. ორჯერ გამოცხადა ძალნი შიო მდგომელი სტეფანოზს და მონასტრისათვის წარმთელეთო ორი ადარაკის დაბრუნებაზე მოსთოოვა. მესამედიც მოუხდა წმიდანს ძალნი ჩვენებოდა გაჯიუტებულ ერისმთავარს და ახლა უკვე დამატებით კიდევ ორი სხვა ადარაკიც მოეთხოვა. შემკრთალმა სტეფანოზმა სცადა ორი წარმთელეული ადარაკის დაბრუნებით გასულიყო იოლას, მაგრამ შიომ ალარ დაუთმო, გამოცხადდა ცხადში და უბრძანა: „ჰოი, საწყალობელო და ბრმო გულითა სტეფანოზ! ამა მსგავსად გულისა შენისა იქმნე ბრმა თუალითაცა შენ და ცოლი შენი და შვილნი შენნი და ცოფ, ვიდრემდის განგსწავლოს შენ უფალმან სჯაქედ უმჴობესისა“. როდესაც შუაჯარ აღესრულა, ერისმთავარს და მის ოჯახს არაფერმა უშველა, სანამ მონასტრის მამასახლისმა ან შეასვა მათ შოთ საფლავის მტკერი.

მაშინ „შიოწმედა უკუე სტეფანოზ მწ Გნობარსა თჳსსა და უბრძანა მას, რაადა დაწერნეს ორნი დამანი დამთაგან სამეფოთა ურჩეულსნი... და დაამტკიცა უკუე ქელითი წერილი იგი ქელითა თჳსითა, და მასვე ეამსა დაწერა ᲰᲠᲝᲜᲐᲠᲘᲐᲜᲘ და დაამტკიცა ქელითა თჳსითა და წარსცა ყოველსა შინა ქართველსასა, რაადა ყოველნი ეცლისანი განთავიუფფლენ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲘᲡᲒᲐᲜ და ხარკის მეკიდისა“ (იქვე, გვ. 203-205).

ალბათ საკმარისია მაგალითები. შესაძლოა გულუბრყვილოს შთაბეჭდილებასაც ვტოვებთ მკითხველზე, როდესაც ვუმტკიცებთ, რომ XI საუკუნემდე საქართველოში იყენენ მეფეები, ჭკოდნათ თავისი კანონერარა, ბკავდათ მდივან-მწიგნობრები, წერილნი სიგლეებს, ხელს ურთავდნენ მათ და ა. შ.

თუ ყველფერი ეს ისედაც აშკარაა, ბუნებრივი ჩანს ვფარაფი, რომ საკანცელარიო დოკუმენტები მხედრული დამწერლობით ოერეტიბოდა XI ს-ზე ბევრად ადრეც. მართლაც, ამ რამდენიმე ხნის წინათ ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანაშრომელმა ლ. ხეფსერიანმა 965 წელს შედგენილ ხელნაწერში (ხინ. 34) გამოაკვნია რამდენიმე პალიმფსესტერი ფურცელი. რომლის ქვედა ტექსტიც მხედრულით არის შესრულებული. იგი ქართველობით ამოკითხული არ არის, მაგრამ ლ. ხეფსერიანი, ჩანს, სწორად ვარაუდობს, რომ შემდგენელმა ხელნაწერის ნაკლული ფურცლების შესავსებად გამოიყენა საეკლესიო დოკუმენტები. ეს აღმოჩენა უნდა ჩაითვალოს სერიოზულ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არაორიგინალურ გაფრთხილებად ქართული დამწერლობის ისტორიის შემსწავლელთათვის, რომ „არ არის დადასტურებული“ ჯერ კიდევ არა ნიშნავს „არ არსებობ-ს“.

მაშასადამე, ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა, ქართული გრამატალოგიის წინაშე რომ დგას, არის მიზანდასახული ძიება მასალისა მიწის ქვეშ თუ მიწის ზედაპ, ველზე თუ ოოგნთსაცავებში. რომ ძებნა უამეილო არ უნდა იყოს, დადასტურა ატენის ხაინის ინტერიერში, სამკვეთლოს წინა ნიშაში ამოკვეთილი 835 წლის ნუსხიური წარწერის აღმოჩენამ (იხ. გ. ᲐᲑᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ატენის სიონის უცნობი წარწერები“ „მაც
“, ისტორიის... სერია № 1, 1976, გვ. 170-176). ნუსხიური დამწერლობის უძველესი ნიმუში ამიერიდან ალარ არის 864 წლის ხინური მრავალთავის მინაწერი. ეს აღმოჩენა იყო პირველი სიგნალი იმისა, რომ ატენის სიონის წარწერებისაგან ამ თვალსაზრისითაც ხიურპრიზებს უნდა ველოდეთ.

გორიდან 10 კილომეტრის დაშორებთან, მდ. ტანას ხეობაში ხელოვნურად შემაღლებულ სუბსტრუქციაზე დგას მკოთხელისათვის ალბათ კარგად ცნობილი ატენის ხაინი. ტაძრის კედლები თითქმის მთლიანად არის დაფარული წარწერებით ქართულ, სომხურ, ბერძნულად, არაბულ, ხირიულ და ა. შ. ენებზე. ქართულთა წარწერების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ მათი რიცხვი ჭკერეტრიდით „აურაცხელი“ სიტყვით შეიძლება განსაზღვრის. ამ გვარადვე ეა ყველა ტიპის დამწერლობის ნიმუშები — ასომთავრული, ნუსხური, მხედრული — შესრულებული სხვადასხვა ხერხით: კვეთით, ხალმბავით, კაწერით. მათი მნიშვნელობა განუზომელია როგორც თვითონ ძეგლისა და მხარის ისტორიისთვის, ისე საერთოდ ქართველოლოგიისათვის.

ბოლო ხანებში ატენის ხაინის ინტერიერის კედლებზე საქართველოს ხელოვნების ხასელმწიფო მუზეუმისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის ექსპედიციებმა გამოავლინეს ადრეული ხანის მხედრულით შესრულებული წარწერების ჯგუფი, რომელთა უმრავლესობაც ხალეთი არის დაწერილი ბათკაშზე. წარწერები დაფარული ყოფილა და ნაწყვილბრივ ახლაც

დაფარულია ატენის სიონის ცნობილი ფრესკებით. ასე რომ მათი შესრულების საერთო ქრონოლოგიის გარკვევა ბათქაშისა და მხატვრობის შესრულების ხანის დადგენით უნდა დავიწყოთ.

როგორც არკვევა, ატენის სიონში თავდაპირველად შენობა-შუბელი ყოფილა მხოლოდ ტაძრის ქვედა ნაწილი — სარკმელთა თაღებიდან ირატამდე. დღეს ამ დონეზე სხვადასხვა ადგილას მოჩანს ძველი მოხატულობის კვალი: სარკმლებისა და კარების თაღოა შიგა ნახევარ წრეზე წითელი ხალებავით დატანილია ხსივისებურად გაშლილი ნახატი; გუშბათ-ქვეშა პილონებზე გამოსახულია ე. წ. „აუვავებული“ ანუ „განეფლებული“ ჯვრები.

ტაძრის ზედა ნაწილში — ოთხივე აფსიდის კოჭვში ტრომპებსა და გუმბათის ნახევარსფეროში თავდაპირველი მოხატულობა უშუალოდ ქვათლილებზეა შესრულებული, ბათქაშის გარეშე. ორივე რეგისტრის მხატვრობა: ტალიტატურად ერთიანი და ერთფეროვანია.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ პირვანდელი მოხატულობა (დღ, რა თქმა უნდა, მასთან ერთად ბათქაშიც) ტაძრის აგების სინქრონულია.[1] ეს მოსაზრება სწორი უნდა იყოს, მაგრამ ერთ კორექტივს მაინც საჭიროებს: თუ ძველს VII ს-ის 30-იან წლებში აგებულად მივიჩნევთ, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია, მოხატულობის დასთარიღებლად პარალელს ვერ მოვძებნით იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ამ ხანის კედლის მხატვრობა საქართველოში სხვა არა გვაქვს. თუ ატენის სიონის აგების თარიღს, ახლად გამოთქმული მოსაზრების მიხედვით,[2] VII ს-ის მიწურულით განვსაზღვრავთ, VIII ს-ისათვის უკვე შესაძლებლობა მოგვეცემა მსგავსი ფრესკული დეკორის შედარებისა. ასეა თუ ისე, ჯერჭრობით სიფრთხილისათვის უკეთესი იქნება ბათქაშიან შესრულების ქვედა საზღვარი უძველესი თარიღიანი ფრესკული წარწერის (739 წ) მიხედვით VIII ს-ის დასაწყისით განვსაზღვროთ.

რაც შეეხება ჩვენთვის ამჟამად საინტერესო მხედრული წარწერების შესრულების ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს, იგი უნდა დადგენდეს ატენის სიონის იმ ფრესკების დათარიღების შესაბამისად, რომლებიც ფარავენ მათ. სპეციწიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ორი თვალსაზრისი: 1. ამორანაშვილი ატენის სიონის ფრესკებს 904-906 წლებით თარიღებდა[3], ხოლო რ. შველაძეები — 1072-1089 წლებით[4]. პირველი შეხედულება საბოლოოდ უნდა იქნეს უარყოფილი იმ წარწერების გაშიფრვის შემდეგ, რომლების შესახებაც ქვემოთ იქნება საუბარი. მეორე თვალსაზრისი დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში საყოველთაოდ გაზიარებულია[5] და ამოსავალად იქნება მიღებული ამ წერილშიც.

ერთგვარი ორიენტირი ატენის სიონის უთარიღო წარწერებისა ქრონოლოგიური ჩარჩოს წარმოსადგენად შეიძლება მოგვცეს თარიღიანი წარწერების რიგმაც: 739 წ., 837 წ., 841 წ., 853 წ., 875 წ., 885 წ., 890 წ., 906 წ., 982-986 წწ. არც ერთი ჯერჭერობით ცნობილი თარიღიანი წარწერა XI ს-ში არ გადმოდის. ამიტომ დიდი ალბათობა იმისა, რომ ატენის სიონის მხედრული წარწერების მთელი ჯგუფი VIII-X ს-ში უნდა მოთავსდეს. განვიხილოთ ყველა წარწერა ცალ-ცალკე.

I. დასავლეთის აფსიდის ჩრდილო კალთაზე, ბემის კუთხეში, იატაკიდან დაახლოებით 2 მ სიმაღლეზე ფრესკული მოხატულობის ქვეშ იკითხება მხედრული წარწერის ფრაგმენტი, რომლის მხოლოდ შვიდი სტრიქონია გადარჩენილი.

---

[1] Т. Б. Вирсаладзе, Первоначальная роспись Атенского Сиона (к вопросу о характере древнейших грузинских росписей). Седьмая всесоюзная конференция Византинистов в Тбилиси. Тезисы докладов, Тб., 1965, стр. 66—68.

[2] გ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, სტეფანეს მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ. 1977, გვ. 7-70.

[3] Ш. Я. Амиранашвили, История грузинской монументальной живописи, I, Тб. 1957, стр. 95—98.

4 რ. შ ვ ე ლ ი ძ ე, ატენის სიონის კედლის მხატვრობის დათარიღების საკითხისათვის, სამ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, VIII, № 4, 1947, გვ. 261-267.

5 თ. ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე, ატენის სიონის მოხატულობა: ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XIII სამეცნიერო სესიის თეზისები, თბ., 1958, გვ. 8-9. არ აღმოჩნდა სწორი ატენის სიონის მოხატულობის 1080 წლით დათარიღების ცდა (თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957, გვ. 6-7), როგორც ეს შემდგომმა კვლევამ ცხადყო (გ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, შენიშვნები ატენის სიონის მხატვრობის თარიღის შესახებ, სამ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, XXX, № 5, 1963, გვ. 685-690); მისივე, ატენის სიონის სამტრფოო. წარწერა: „ძველის მეგობარი“, № 19, 1969, გვ. 30-37.

[6] წერილის ერთ-ერთი თანაავტორი (ზ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე) შესაძლებლად მიიჩნევს ატენის სიონის მხატვრობის დათარიღებას 1014-1027 წლებით.

ბუბუ ალიბეგაშვილი, ზაზა ალექსიძე
მხედრული დამწერლობის სათვალეებთან



1. მოუსხით
2. ადიდე ღ(მერ)თ(მა)ნ ძ[ლ]იერ[ი]
3. აფხაზთა მეფე
4. ბაგრატ. მე მონა-
5. სა მათსა დამ[ი]წ(ე)რია
6. [ხელ]ო(ა) [სახე]ლი მათი, უ(ფალ)ო
7. ღ(მერ)ო, ა(მე)ნ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარწერაში მოხსენიებულ „ბაგრატ აფხაზთა მეფესთან“ იდენტიფიკაციის პრეტენზია შეიძლება მკვნდეთ მხოლოდ ბაგრატ III-სა და ბაგრატ IV-ს. უფრო ადრინდელ ბაგრატებს ან შიდა ქართლთან და ანტენთან არა მჭვნთან არავითარი კავშირი, ან აფხაზეთთან. აშნაირად წარწერის შესრულების თარიღი ზოგადად შეიძლება 978-1072 წლებით განისაზღვროს, თუ შუაში გამოვტოვებთ გიორგი I-ის მეფობის წლებს (1014-1027).

თარიღის საზღვრების უფრო დასაზუსტებლად ერთმანეთს შევადარებთ ბაგრატ III-ისა და ბაგრატ IV-ის ტტულატურას წარწერებსა და დოკუმენტებში მოხსენიების რიგის მიხედვით.

ბაგრატ III: 995 წ. „აფხაზთა მეფე (ტბეთის სახარების მინაწერი), [994-1001] „აფხაზთა მეფე“ (ბრეთის ჯვრის წარწერა), 996 წ. „მეფე აფხაზთა“ (მარტვილის წარწერა), 999 წ. „აფხაზთა მეფე“ (ხედის ოქრო ბარძიმი), 1002 წ. „აფხაზთა და ქართველთა მეფე და კუროპალატი“ (ხცისის წარწერა), 1002 წ. „აფხაზთა მეფე და ქართველთა კუროპალატი“ (ათონ. № 53-ის მინაწერი), [1001-1008] „კუროპალატი, აფხაზთა და ქართველთა მეფე“ (ბაგრატის ტაძრის წარწერა), [1001-1014] „აფხაზთა და ქართველთა მეფე“ (ბაგრატის ტაძრის წარწერა), [1010-1014] „აფხაზთა და ქართველთა მეფე და ქართველთა კუროპალატი“ (ნიკორწმინდის წარწერა), [1010-1014] „აფხაზთა და ქართველთა მეფე, ტაოანა და რანთა, კახთა და ყოლთა აღმოსავლეთსა დიდი კუროპალატი“ (ცაცხის წარწერა).

ბ ა გ რ ა ტ IV: 1032 წ. „მეფე“ (ამპარლოს წარწერა), 1057 წ. „აფხაზთა მეფე და ყოველნი აღმოსავლეთთსა ნოველისიმოსი“ (შეიმლვიმისათვის მიცემული შეწირულების სიგელის დამტკიცება), [1059-1065] „მეფეთა მეფე, სეკასტოსი“ (ატენის სიონის წარწერა), [1059-1065] „მეფეთა მეფე, სეკასტოსი“ (ატენის წმ. გიორგის ეკლესიის წარწერა), [1059-1065] „მეფეთა მეფე, სეკასტოსი“ (ბარმაკნიზის ხიდში გამოყენებული ქვის წარწერა), [1060] წ. „აფხაზთა და ქართველთა მეფე, სეკასტოსი“ (ლულალისის წარწერა), [1027-1072] „მეფეთა მეფე“ (ეუმფოდოს წარწერა), [1032-1072] „კუროპალატი“ (ფუოას წარწერა).

როგორც ჩკოთხეთი ადვილად დაინახავდა, მოცემი მოკანონი დოკუმენტაციიდან მხოლოდ „აფხაზთა მეფის“ ტტულუთი მოხსენიება მარტოოდენ ბაგრატ III და ეს ბუნებრივიცაა. 1001 წლამდე იგი აფხაზეთის მეფე იყო და არც ქართველთა კუროპალატის პატივი მიელო ჯერ და არც ქართველთა მეფის ტახტი დაეკავებინა. ბაგრატ IV კი მემკვიდრეობით იყო მეფეთა მეფე და მემკვიდრეობითივე ფლობდა აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს სპეფო გვერდვინს. ეს გარემოება სერიოზულია. ეს გუმემენია ატენის სიონის მხეფრულ წარწერის ბაგრატ აფხაზთა მეფის გასაიგივებლად ბაგრატ III-სთან, მაგრამ არა გადაშეკვეტილ ვინაადან წარწერა არ არის ოფიციალური და მისი დამეფრი არ იყო ვალდებულები მეფე მოელი თავისი ტტულატურით მოეხსენებინა (შდრ. გოგანერთის წარწერაში გიორგი I-ის მხოლოდ „აფხაზთა მეფის“ ტტულუთი დასახელება). განსაკუთრებულს ვერაფერს გვეუბნება ეპითეტი „ძლეერიც“, რადგან იგი ორივე მეფის წარწერებში გვხვდება (ბაგრატ III — ბაგრატის ტაძრისა და ხცისის წარწერები; ბაგრატ IV — ატენის სიონის წარწერა, შიომღვიმისათვის მიცემული შეწირულების სიგელის მინაწერი).

ამრიგად, გამოჩნდა შესაძლებლობა წარწერის ქრონოლოგიური საზღვრების კიდევ უფრო დავიწროვებისა — 978-1001, ბაგრატ მეფემის აფხაზეთში მეფობის წლები. ბაგრამ რა საკმე ეკნებოდა აფხაზთა მეფეს ატენის სიონთან? მივმართოთ ახლა წარწერის შინაარსს.

წარწერა რომ პილიგრიმული არ არის, ეს აშკარაა. ამის ნიშნია სიტყვა „მოუსხით“, რომლითაც იწყება წარწერის გადაჩრენილი ნაწილი. ტერმინ „მოსხვის“ შინაარსის დასადგენად ძველი ქართული ტექსტების მრავალი მოწმობიდან მხოლოდ რამდენიმეს, ყველაზე დამახასიათებელს მოვიტანთ (ესარგებლობთ ეფთიმეტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის კარტოთეკით).

„მ ა ნ ა მ ა რ ლ ო ვ ი ბ ი, რომელ იყო შესავლისა, წმიდისა ემბაზისასა, ქელითა კალნერითა წარილ და მით მ ო ა ს ხ ა ა ბ ა ნ თესი“ — ეკოთხულობთ იოანე ოქროპირის ცხოვრებაში (S — 384, 61a).

„სარეინზნნი უღმრთონი შემოვიდეს წმიდად ქალაქად, ქრისტეს ღმრთისა ჩუენისად, ეფრესალემდ... და მუნმოქუესე სრბით მიიწევნეს ადგილსა მას, რომელსა ჰქუან კალტეფლიონ, და შეიპყრნეს კაცნი, რომელნიმე იძულებითა და რომელნიმე ნებსით განუწმენდად ადგილისა მის და აშენებად წყეული იგი, რომელ არს სალოცველად, რომელი-იგი წოდებულ არს მთა მიერ მიმგითად. და იყო მათ შორის იოვანე მთავარ-დიაკონი წმიდისა მოწამისა თევდორესი, რ ა ვ ე თ ე ბ ე ი ყ ო ი გ ი ი ხ ო ლ ო ბ ი თ ი მ ა ო ბ ა ს ა ბ ა ნ ა ს ა ბ ა ნ ა ს ა ბ ა ნ

„ჰრქუა ხუროთა მაო. მომსხმელთა მარმარილოსაოთა“ — მარბარას წყიმები (H—341, 149; ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 270).

მოტანილი ციტატები ეჭვს არა ტოვებენ, რომ „მოსხმა“ ძველ ქართულ ტექსტებში ნიშნავს ქვის ან მარმარილოს ფილებით შენოსის კედლების მოპირკეთებას, ხოლო „მომსხმელი“ ამ ხელის მცოდნე ოსტატს აღნიშნავს (მეთოდ-მის ქართული წყაროებში მოხსენიებული მოზაიკის მომსხმელი ოსია. იხ. გ. წერეთელი, უძველესი ქართული წყაროები პალესტინიდან, თბ. 1960, გვ. 11-12). მაშასადამე ატენის სიონის წარწერაშიც ლაპარაკია ტაძრის კედლების მოპირკეთებაზე, რომელიც ბაგრატ აფხაზთა მეფის დროს თუ მისი ბრძანებით მოჰხდარა. ბაგრან ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რომ ატენის სიონი მთელი სამი საუუუუთან ადრეა აშენებული, ვიდრე ბაგრატ მესამე ან მეოთხე მეფობდნენ! რადგან ასეა, მაშ საჭმე გვქონია ტაძრის ინტერიერის რესტავრაციასთან და შეუძლებელია რესტავრატორებს თავიანთ კვალი არ დატოვებინათ სადმე.

ატენის სიონის ინტერიერის მოსაპირკეთებელი ქვის ფილებზე, იქ სადაც ბეთქაში ჩამოცვენილია, დიდი ხანია ოსტატთა ნიშნები ნახულობენ. ამ ნიშნების ჩვეულებრივ ძველის პარეული შენეტალობის დროისად მიიჩნევდნენ ხოლმე. ბევრ შეთხვევაში ასეც არის. როდესაც ოსტატთა ნიშნები გეომეტრიული ფიგურებით არის გადმოცემული, მათი დათარიღება ძნელია. უფრო უადვილდება: ბაკლეკვარს თარიღზე მსჯელობა, როდესაც ნიშნის ფუნქციას გრავენენ ასრულებენ.

ტაძრის ოთხივე აფსიდისა და კამარის კედლებზე სხვადასხვა ადგილის ვნახულობთ სიმბოლურ ა, ბ, ზ, ო, (ან ს) და 3 გრავიურებს (ყველაზე უფრო ხშირად გვხვდება ო, რომელსაც ჩვენ პირობითად ვთვლით სიმბოლურად, რადგან იგი შეიძლება იყოს, აგრეთვე, ქართული ლ ან გეომეტრიული ფიგურა). ინტერიერის კედლებზე ამოკვეთილი სიმბოლური გრავიურებიდან აშკარად მრგლოვანი ასოთმაგრილი არის შესრულებული მხოლოდ ა, ბ, ო და 3 შესაძლოა იყოს როგორც მთავრული, ისე ნუსხური, მაგრამ ყველა რომ კუთხოვანია, ეს აშკარაა. ერთადერთია ზ გრავემა, რომელიც ნამდვილად ნუსხური დამწერლობით არის შესრულებული. ამ პალეოგრაფიული დახასიათების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ: ატენის სიონის ინტერიერის კედლებზე სამეს ოსტატთა ნიშნები ამოკვეთილია მაშინ, როდესაც მრგლოვანი მთავრული გვერდით არსებობს კუთხოვანი მთავრული და ნუსხური დამწერლობა. ყველა ასეთ ზედვარი ასეთი პერიოდისათვის X ს. უნდა იყოს, ხოლო ზედვარი, რიდან მსატვრობის ფენა გაანალიზებულია — არა უგვიანეს XI ს-ის II ნახევრისა.

ატენის სიონის სამრეკლო აფსიდის აღმოსავლეთ კალთაზე შემოგვენახა იმ ოსტატთა სახელებიც, რომლებიც როგორც ჩანს ტაძრის პერანგის შეკეთებაზე მუშაობდნენ: ამპარონ და გიორგ. ეს ანთროპონიმები მრგლოვანი და კუთხოვანი მთავრულით არის ამოკვეთილი. ამასთან „გიორგ“ სიმეტრიასთვის ისეთი ფონტიკური ფორმით არის მოცემული, რომლის ანალოგიურებიც სიმეტრ ეპიგრაფიკაში მხოლოდ X საუკუნის მეორე ნახევრიდან გვხვდება.

ამგვარად, ჩვენ უკვე ზუსტად ვიცით, რომ ატენის სიონის ინტერიერის პერანგი შეკეთებულია (მოსხმულია) ბაგრატ მეფის დროს და რომ მომსხმელები ყოფილან სომეხი ოსტატები (ან იქნება უფრო სწორი იყოს — მომსხმელთა შორის ყოფილან სომეხი ოსტატებიც). ამ ორი ფაქტის ცოდნა შესაძლებლობას მოგვცემს ჩვენი წარწერის თარიღი კიდევ უფრო დავაზუსტოთ.

უკვე თ. ბარნაველს ჰქონდა დაფიქსირებული, რომ ატენის სიონის დასავლეთი აფსიდის ცენტრალურ წახნაგზე ამოკვეთილია სომხური წარწერა, მაგრამ რა იკითხებოდა მასში, მისთვის მაშინ ცნობილი არ იყო (თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, გვ. 61). წარწერა საკმაოდ რთული აღმოჩნდა ბანაშიფრავი, მაგრამ სიძნელეები ბოლოს და ბოლოს გადალახული იქნა და ჩვენს ხელთ აღმოჩნდა ატენის სიონის ისტორიისათვის უდიდესი ღირებულების ტექსტი, რომლის ქართული თარგმანი ასეთია:

1. ეს მე, გერგიოვ
2. ერმპანის ძე [ვარ], ვინც
3. ამას კოთხულობს, ღ(მრთ)ის
4. მქანდაკებელი მოიხსენეთ.
5. ბაგრატ აფხაზთა მეფე როდესაც
6. ქართველთა დედოფალს შეედავა
7. და სატახტო (?) უფლის-
8. ციხე დაიკავა[7]...

გერგიოვ ერმპანის ძის წარწერა ფაქტიურად თარიღიანია, რადგან მასში მოხსენიებული ისტორიული სიტუაციისა და პირების მიხედვით აფვალად და საკმაოდ ზუსტად თარიღდება (ქვემოთ მითხრობილისათვის იხ. მატიანე ქართლისაჲ, ქართული ცხოვრება; I, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბ. 1955,

[7] ატენის სიონის სომხური წარწერები შესწავლილია წიგნში — ზ. ალექსიძე, ატენის სიონის სომხური წარწერები, რომელსაც ალბათ მალე მიიღებს მკითხველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვ. 274-277; იგ. ჯაბახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ. 1965, გვ. 124-125).

975 წლიდან ქართლის სამი გვიბრეველი ჰყავდა: მცირეენოვანი ბაგრატი და მისი მშობლები — გურგენ მეფე და დედოფალი გუარანდუხტი. 978 წელს ბაგრატი აფხაზეთში (დაბ. ხაკურთელეთ) გამეფდა, ქართლის ფაქტიურ განმგეველად დედოფალი გუარანდუხტი დარჩა, რეზიდენციაით უფლისციხეში.

აფხაზეთის სამეფოს ხაკმეთა მოწესრიგებას ბაგრატი ტახტზე ასვლიდან ორი წლის შემდეგ შეუდგა — 980 წელს. „მატიანე ქართლისასა“ მიხედვით, მან ქვეყნის განგება იწყო ისე, როგორც მისი პაპა გიორგი განაგებდა და ქცევით თავის აღმზრდელს დავით კურაპალატს დამგმაგვსა. მისი ერთ-ერთი თანაგარლონანძიები იყო ყოფილი მეფის თეოდორე უსინათლოს ტაოში გაგზავნა და აფხაზეთში ზურგის გამგზავნა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ხაკმეთანობაში კიდევ ორი წელი მაინც გაივლიდა (982 წ).

აფხაზეთის ხაკმეები რომ მოაწესრიგა, ბაგრატი აღმოსავლეთ ხაკართველოში გადმოვიდა, „რათა განაგნეს ხაკმენი დაშლილნი ქართლისანნი“. ქართლის აზნაურებს, რომლებიც ფორმალურად ემორჩილებოდნენ გუარანდუხტს, არ ეეკუშნიკათ ძლიერი ხელისუფლის გამოჩენა და ქავთარ ტბელის მეთაურობით „მიეგებნენს ბრძოლად და დაუდგეს თავსა ზედ მოლრიასსა“. ბაგრატ აფხაზთა მეფემ დაამარცხა აზნაურები, „აღიღო“ დედოფალნი უფლისციხენი, დაჰყო „ღელენ“ ქართლსა, „მცირედ განაგნა ხაკმენი ქართლისანნი“, დაბრუნდა ქუთაისს და თან წაიყვანა გუარანდუხტ დედოფალი. ამ მას საბოლოოდ მოუწესრიგებია „ყოველი ხაკმე აფხაზეთისაა“.

„ამას შინა გარდაკვიდეს წელოწადნი რაოდენნიმე“ — განაგრძობს მემატიანე და გულისხმობს 980 წლის შემდეგ მომხდარ ამბებს (ბაგრატის მიერ აფხაზეთში ზურგის მომაგრება, უფლისციხის დაკავება, აფხაზეთის ხაკმეების ხაბოლოოდ მოწესრიგება), რადგან უკანასკნელ თარიღად მას ეს წელი ჩჭონდა დასახელებული (ისტორიკოსი ყველა მნიშვნელოვან მოვლენას ასე ფარდობითად, ერთმანეთზე მიყოლებით ათარიღებს: „ვითარ გარდაკვა ამას შინა წელოწადი ორი“, ამას შინა გარდაკვიდეს წელოწადნი რაოდენნიმე“, „კუალად ვითარ გარდაკვიდეს ამას შინა ალმნი რაოდენნიმე“ და ა. შ.).

როდესაც გავდა „წელიწადი რაოდენნიმე“, ბაგრატ აფხაზთა მეფემ ილაშქრა რატა კლდეკარის ერისთავის დასამორჩილებლად, რასაც შედეგად დავით კურაპალატთან შეჯახება მოჰყვა. ამ ბრძო ფაქტის თარიღი კი XI ს-ის სომეხი ისტორიკოსის ასოღიკის მიხედვით 988 წელია. მაშასადამე, „წელიწადნი რაოდენნიმე“ გულისხმობს ზუსტად რვა წელს: 980-988 წლები არის ბაგრატ აფხაზთა მეფის, მაგრ უფლისციხის დაკავების ზედა და კვედა ხაზი. უფლისციხის დაკავებას წინ უძღოდა და უკან ხდებოდა ბაგრატის ხაკმეთანა ბაკუთარივ აფხაზეთში, რომელიც ამავე რვაწლიან ქრონოლოგიურ ჩარჩოში თავსდება. თუ აფხაზეთის მეფეს თავისი შინა ხაკმეების მოსაწესრიგებლად (მეტოქე მეფის თავიდან მოცილება, ყველა ურჩის შეცვლა „ერთგულთთა და მსისნდოგელთთ“) ორ-ორი წელის ვადას მაინც მოვცემთ, მაშინ უფლისციხის დაკავება 982-986 წლების ფარგლებში მომხდარ ფაქტად უნდა მივიჩნიოთ.

ატენის სიონის სამხრეთი ფასადის აღმოსავლეთ ნიშაში ამოკვეთილია სომხური მრგლოვანი ასოთთავრულით საამშენებელო წარწერა: „მე, თოდოსაკ, [ამ] წმიდა ეკლესიის მაშენებელი“. ამ წარწერაზე დაყრდნობით ხულ ბოლო ხანებამდე უფამეელ ქეშმარიტებად ითვლებოდა, რომ ატენის სიონი VII ს-ის პირველ ნახევარში ააგო სომეხმა ხუროთმოძღვარმა თოდოსაკმა მცხეთის ჯვრის ბრმა მიბაძვით. შემდეგში ამ დებულებამ სომეხი სპეციალისტების ერთი ნაწილის შრომებში სახე იცვალა: ჯვარიც იმავე თოდოსაკის „შენგბულად გამოცხადდა და ჩაითვალა, რომ მცხეთის ჯვრის აგების შემდეგ, არქიტექტორმა თოდოსაკმა ატენში გიმეორა თავისივე ქმნილების გეგმა.

თოდოსაკის სახელი ამოკვეთილია, ბერეთვეგ, ჩრდილოეთის ფასადის რელიეფზე, რომელზეც ბიბლიური სამსონისა და ლომის ორთაბრძოლის ბეგრძელი ბეგრძელი ბასრეულთან მოკლენილი ირმის წვლილ დავით გარეჯელის მოწაფის ლუკიანეს მიერ.

დავით გარეჯელის ცხოვრების ამსახველი ციკლის შესწავლამ ცხადი გახადა, რომ IX ს-ის მიწურულისათვის დავითი კედლის მხატვრობაში (უდაბნოს მონასტერი) ჯერ კიდევ როგორც რელიური პიროვნება გამოისახება, ხოლო X ს-ის მიწურულიდან მოყოლებული გვიან შუასაუკუნეებამდე იგი უკვე ხასწაულებითაა გარეშემოსილი, როგორც ქეშმარიტ წმიდანს შეშვენის. ატენის სიონის ჩრდილეოეზე ლუკიანე დავით გარეჯელის მიერ ხასწაულთან მოკლენილი ირმის წვლილს ბუნებრივად განნდა ვარაუდი, რომ რელიეფი X ს-ზე ადრანდელი ხანით ვერ დათარიღდება, თუ ასეა, მაშინ ტაძრის ფასადზე ეს რელიეფი გვიან მოხვედრილი, რის მაგალითიც არაერთი იცის ფეოდალური ხანის ხუროთმოძღვრებამ.

მაგრამ რა ვუყოთ რელიეფზე ამოკვეთილ ავტოგრაფს „თოდოსა“, რომელიც უეჭველად

ბუსამ აბრამიშვილი, ზაზა ალექსიძე
მხედრული დამწერლობის სათანამედროთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულისხმობს, რომ რელიეფის ავტორი და საამშენებლო წარწერაში მოხსენიებული არქიტექტორი ერთი და იგივე პირია?

სომხური საამშენებლო წარწერის დეტალურმა შესწავლამ გაარკვია, რომ სომხურ გრაფემებს ჩაუკეთეთ და დაუწიანებია ქართული ასომთავრული მეიერე ზომის პილეგრიმიული გრაფემები, რომლებიც პალეოგრაფიულად IX-X სს-ით თარიღდება. იგივე თარიღი მოგვცა სომხური წარწერების თავზე ამოკეთებულმა ქართულმა ასომთავრულმა ტრანსლიტერაციამ, რომელიც სომხური გრაფემების კედელზე განასწორებლად ამოუკვეთია ოსტატ კალიგრაფს. ქართული ტრანსლიტერაციისა და სომხური წარწერის ლინგვისტურმა ანალიზმაც დადასტურა, რომ სამე გვაქვს საშუალო სომხურის ენობრივ სიტუაციასთან, რომლის დასაწყისი X ს-ით განსაზღვრება.

ატენის სიონის სკულპტურული რელიეფები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა. ერთი ტაძრის თავფასადისეული შშენებლობის (VII ს.) სინქრონული (ირმების წყაროსთან, ნადირობის სცენა და სხვ.), ხოლო. მეორე იმავე X ს-ის მიწურული სტილისტური ნიშნებით ხასიათდება, რითაც თოდოსაკის ხელმოწერილი რელიეფი დავიო გარეჯელის ცხოვრების ამსახველი სასწაულია. ყველა ამ, მეორე ჯგუფის რელიეფზე ამოკეთილია სომხური წარწერა ან ცალკეული გრაფემები, რომლებიც პალეოგრაფიულად ასევე X ს-ზე ადრინდელები არ უნდა იყვნენს.

როგორც ვხედავთ, მეორე ჯგუფის რელიეფებისა და მათთან დაკავშირებული წარწერების სემანტიკურ, გრაფიკულ და ენობრივ ანალიზს დაეფუძნებით მივუკავით X საუკუნისაკენ.

ახლა კვლავ გავიხსენოთ გერგიოქ ერჰასნის ძის წარწერა, რომელშაც გვაცნობა, რომ 982-986 წლებში ატენის სიონის რელიეფებით შემკობაში მონაწილეობდა სომეხი მოქანდაკე. მისი ავტოპორტრეტი უნდა იყოს წარწერის პერპენდიკულარულად დასავლეთის ფასადის შვერილის სარკმლის კარნიზზე. მარჯვენა ნაწილის ორნამენტში გამოქანდაკებული მინიატურული პორტრეტი მამაკაცისა ხელშა ჭრით. არ უნდა გაგვაკვირვოს იმ გარემოებამ, რომ რელიეფზე გამოსახული მამაკაცი ხასიათლერო წრის წარმომადგენელი ჩანს, რადგან დღემდე შესწავლილ სომეხ მოქანდაკეთა 139 წარწერის მიხედვით მათი უმეტესობა მღვდელი, მოძღვარი და ეპისკოპოსიც კია. ზემოთ ჩვენ „ლიმონარიდან" რომ ტექსტი დავციმოწმეთ, მასში პირდაპირ არის ნათქვამი: „იყო მათ შორის იოვანე მთავარ-დიაკონი წმიდისა მოწამისა თევდორესი, რამეთუ იყო იგი ხუროებით მარმარილოსა მომსხმელ... და იყო მარკუფრიად ქელეონ".

ამრიგად, ჩვენს ხელთაა 982-986 წლებში სომეხი მოქანდაკის მიერ შესრულებული სკულპტურული პორტრეტი მის ქვეშ მოთავსებულნი წარწერით. ამის ცოდნა უმალვე გვაძლევს ამავე 982-986 წლებში შესრულებულად ვაღიარო სომხური ჯგუფის ყველა რელიეფი, რომელთა სტილისტური იდენტურობა და ერთმანეთის სინქრონულობა ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. მათ შორის არის არქიტექტორ თოდოსაკის მიერ ხელმოწერილი რელიეფი დ, ცხადია, დოკუმენტურად დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს: თოდოსაკის საამშენებლო წარწერა „მე, თოდოსაკ, ამ წმიდა ეკლესიის მაშენებელი", სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ თოდოსაკი არის ატენის სიონის რესტავრატორი 982-986 წლებში დ მცხეთის ჭვართან, რომლის მშენებლობაც VI ს-ის მიწურულში დასრულდა, მას საქმე არა აქვს (დაწერილებით ამ საკითხზე იხ. გ. აბრამიშვილი, ატენის სიონის რელიეფი (დავით გარეჯელის ცხოვრების სიუჟეტი), „საბჭოთა ხელოვნება", № 9, 1965; Г. Абрамишвили. Два строительных периода Атенского Сиона, „მაცნე", ისტორიის... სერია № 1, 1972; ზ. ალექსიძე, ატენის სიონის სომხური წარწერები (იბეჭდება).

მას შემდეგ, რაც ვნახეთ, რომ სომეხი ოსტატები არქიტექტორ თოდოსაკის მეთაურობით 982-986 წლებში მუშაობდნენ ატენის სიონის რესტავრაციაზე, ჩვენთვის ისიც ნათელი უნდა იყოს, რომ ინტერიერის კედლებზე სომეხ ოსტატთა ნიშნებიც ამავე ხანებშია შესრულებული.

მაშასადამე, ატენის სიონის მხედრული წარწერა, რომელიც გვაუწყებს ტაძრის კედლების მოპირკეთების შესახებ და დიდებით ისხენებს ბაგრატ აფხაზთა მეფეს, თარიღდება 982-986 წლის ახლო ხანით.

დასასრული იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲐᲮᲐᲚᲘ, ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ—ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲕᲐ ᲢᲝᲛᲘᲡᲐ. ᲢᲝᲛᲘ V, ᲒᲐᲛᲝᲪ. „ᲡᲐᲡᲐᲛᲝᲗᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“, 1977 ᲬᲚᲘᲡ.

ᲛᲘᲗᲮᲔᲑᲘᲚᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲣᲪᲮᲚᲔᲚᲘ ᲛᲝᲪᲚᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲚᲛᲝᲓᲔᲑᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲬᲠᲐᲚᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲯᲐᲕᲐᲮᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲑᲘ. ᲐᲛ ᲐᲗᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲕᲠᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲥᲘᲡᲢᲐᲛᲞᲘᲡᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ. ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲗᲝᲛᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲡ ᲛᲭᲠᲔᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲕᲐᲢᲐᲛᲘᲗᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ“ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ. Მ. ᲯᲐᲕᲐᲮᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲗᲐᲗᲐ ᲛᲘᲗᲮᲣᲗᲘ ᲢᲝᲛᲘ ᲨᲐᲠᲗᲜᲔ ᲓᲐᲘᲡᲢᲐᲛᲑᲐ. ᲢᲝᲛᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ ᲓᲐᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲔᲚᲝᲜ ᲓᲐᲧᲝᲤᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠ-ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲚᲘᲪᲔᲚᲘ ᲡᲐᲜᲐᲫᲘᲗ ᲠᲩᲐᲠᲢᲐᲒᲨᲘᲔᲚᲗ. ᲢᲝᲛᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲐ ᲞᲠᲝᲤ. Თ. ᲧᲣᲑᲐᲜᲝᲕᲘᲚᲘ.

ᲢᲝᲛᲘ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲚᲑᲣᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲐᲠᲘᲡᲒᲝᲜᲘᲗᲐᲓ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲛᲝᲗᲮᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ („ᲪᲘᲪᲮᲐ ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ“). ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲚᲘ ᲣᲪᲜᲝᲑᲐ. ᲣᲪᲜᲝᲑᲐ ᲞᲘᲪᲘᲡ „ᲨᲔᲠᲪᲮᲕᲘᲜᲔᲚᲘ“, ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲔᲜᲐᲨᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲐᲛᲡᲐᲮᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ „**Я убил**“ ᲜᲐᲬᲧᲕᲔᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲣᲛᲝᲕᲠᲗᲔᲚᲘᲐ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲑᲘᲓᲐᲜ „ᲗᲐᲕᲘᲡᲓᲘᲡ ᲙᲘᲕᲪᲔᲠᲗᲘ“, „ᲛᲝᲒᲝᲜᲘᲜᲘ“, „ᲝᲗᲮᲐᲑᲘ“, „ᲨᲕᲘᲒᲜᲝᲑᲐᲠᲘ“, „ᲚᲘᲡᲚᲘᲡᲘᲡ ᲧᲘᲜᲔᲚᲘ“, „ᲙᲣᲠᲘᲡ ᲔᲜᲐ“. ᲔᲡ ᲛᲐᲗᲐᲜᲚᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲛᲯᲐᲠᲨᲘ ᲓᲘᲪᲘᲡᲣᲚᲘ ᲐᲠᲥᲘᲕᲝᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲗᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲗᲐᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲐᲛᲖᲔᲓᲐ ᲚᲘᲪᲔᲚᲘ ᲡᲐᲜᲐᲫᲘᲗ.

ᲐᲛᲐᲕᲔ ᲗᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲪᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲣᲪᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ „ᲥᲐᲚᲘᲡ ᲙᲢᲘᲠᲘᲗᲘ“.

ᲐᲛ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲑᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝᲓᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲒᲕᲗᲮᲠᲝᲗ ᲛᲭᲝᲠᲗᲔᲚᲘ. ᲘᲒᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ 1936 ᲬᲚᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲛᲜᲐᲜᲝᲑᲨᲘ“ ᲓᲐᲝᲑᲭᲓᲔᲓ. ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲐᲛᲝᲜᲐᲬᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲬᲐᲣᲚᲘᲐ, ᲩᲐᲣᲬᲠᲘᲠᲔᲑᲘᲐ, ᲖᲝᲒᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲨᲔᲣᲪᲕᲚᲘᲐ, ᲒᲐᲓᲐᲣᲙᲔᲗᲔᲑᲘᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ „ᲡᲐᲡᲐᲛᲝᲗᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ. ᲐᲛ ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲑᲘ Მ. ᲯᲐᲕᲐᲮᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲚᲣᲛᲕᲐᲛᲓᲔ ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ ᲬᲔᲠᲓᲐ: „ᲨᲐᲠᲗᲜᲔ (1936 ᲬᲚᲘᲡ — Რ. Ჯ.) ᲝᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲨᲕᲔᲚᲐᲠᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ „ᲥᲐᲚᲘᲡ ᲙᲢᲘᲠᲘᲗᲘ“ ᲓᲐᲒᲐᲮᲐᲠᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲓᲒᲐᲛᲝ ᲪᲔᲚᲙᲔ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲔᲡᲐᲛᲔᲑᲝᲗ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ (1937 Წ. — Რ. Ჯ.) ᲛᲘᲐᲪᲕᲔᲓᲘᲗ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ“. ᲬᲘ�გᲜᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲫᲘᲠ ᲛᲝᲐᲡᲬᲠᲔ ᲓᲦᲘᲡ ᲡᲘᲜᲐᲛᲔᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲗᲐ. ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲔᲡ ᲩᲐᲡᲬᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲛᲓᲔ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲐᲓ ᲛᲝᲗᲕᲚᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲡ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ“ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ. ᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲪᲕᲚᲐᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲕᲐᲢᲐᲛᲘᲗᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲛᲓᲔ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ. ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲗᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲠᲩᲔᲚᲘ ᲪᲘᲢᲐᲢᲐᲗᲐ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ. ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲕᲐᲢᲐᲛᲘᲗᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲡ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ“ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ. ᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲪᲕᲚᲐᲡ ᲛᲝᲛᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲔᲚᲝᲜ ᲓᲐᲧᲝᲤᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠ-ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲚᲘᲪᲔᲚᲘ ᲡᲐᲜᲐᲫᲘᲗ ᲠᲩᲐᲠᲢᲐᲒᲨᲘᲔᲚᲗ. ᲢᲝᲛᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲐ ᲞᲠᲝᲤ. Თ. ᲧᲣᲑᲐᲜᲝᲕᲘᲚᲘ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲪᲜᲝᲑᲝᲚᲐ, Მ. ᲯᲐᲕᲐᲮᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲐ ᲐᲩᲘᲒᲝᲓᲔᲑᲓᲐ ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲡᲣᲤᲘᲠᲘᲡᲐᲓ ᲓᲐᲮᲕᲔᲬᲘᲡ. ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲐ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲕᲐᲓᲘ, ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲔᲛᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘᲡ „ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲒᲐᲓᲐᲣᲪᲐ. ᲐᲛ ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲑᲐ Მ. ᲯᲐᲕᲐᲮᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲚᲣᲛᲕᲐᲛᲓᲔ ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ ᲬᲔᲠᲓᲐ: „ᲨᲐᲠᲗᲜᲔ (1936 ᲬᲚᲘᲡ — Რ. Ჯ.) ᲝᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲨᲕᲔᲚᲐᲠᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ „ᲥᲐᲚᲘᲡ ᲙᲢᲘᲠᲘᲗᲘ“ ᲓᲐᲒᲐᲮᲐᲠᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲓᲒᲐᲛᲝ ᲪᲔᲚᲙᲔ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲔᲡᲐᲛᲔᲑᲝᲗ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ (1937 Წ. — Რ. Ჯ.) ᲛᲘᲐᲪᲕᲔᲓᲘᲗ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ“. ᲬᲘ�გᲜᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲫᲘᲠ ᲛᲝᲐᲡᲬᲠᲔ ᲓᲦᲘᲡ ᲡᲘᲜᲐᲛᲔᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲗᲐ. ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲔᲡ ᲩᲐᲡᲬᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲛᲓᲔ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲐᲓ ᲛᲝᲗᲕᲚᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲡ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ“ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ. ᲛᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲪᲕᲚᲐᲡ ᲛᲝᲛᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲔᲚᲝᲜ ᲓᲐᲧᲝᲤᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠ-ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲚᲘᲪᲔᲚᲘ ᲡᲐᲜᲐᲫᲘᲗ ᲠᲩᲐᲠᲢᲐᲒᲨᲘᲔᲚᲗ. ᲢᲝᲛᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲐ ᲞᲠᲝᲤ. Თ. ᲧᲣᲑᲐᲜᲝᲕᲘᲚᲘ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲪᲜᲝᲑᲝᲚᲐ, Მ. ᲯᲐᲕᲐᲮᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲐ ᲐᲩᲘᲒᲝᲓᲔᲑᲓᲐ ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲡᲣᲤᲘᲠᲘᲡᲐᲓ ᲓᲐᲮᲕᲔᲬᲘᲡ. ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲐ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲕᲐᲓᲘ, ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲔᲛᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘᲡ „ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲒᲐᲓᲐᲣᲪᲐ. ᲐᲛ ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲑᲐ ᲛᲘᲗᲮᲣᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲛᲭᲝᲠᲗᲔᲚᲘᲡ. ᲘᲒᲘᲜᲓᲔ ᲮᲐᲡᲬᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲘᲧᲝ ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲡ ᲗᲘᲜ ᲮᲚᲔᲑᲘᲗ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ის ვარიანტები, რომელიც თვალნათლივ განსხვავებდა ახლანდელ ტექსტს ადრინდელი ტექსტისაგან. რამდენადაც ვიცით, მთელი ამ ტომების ვარიანტები უნდა დაიბეჭდოს ცალკე, დამამთავრებელ VIII ტომში, მხოლოდ

ISSN 1512-1666

საპუბლიკაციო ფიგნები

ზურაბ გოცვაძე—რეპერტუარიადელი საქართველო ლიტერატურის კრიტიკა. რედაქტორი: მ. ომიაძე, რეპერტუარიადელი საქართველო ლიტერატურის კრიტიკის საფისეი, რედაქტორი: მ. მთვრალაშვილი, გამომცემლობა „ნაკადული", 1977 წელი.

საბჭოშვი ლიტერატურის კრიტიკა ჩვენი მწერლობის ჯერ კიდევ ჩამორჩენილი უბანია და, ცხადია, მეტ ყურადღებას მოითხოვს. ახლანდელ აუცილებელი მოვლა-პატრონობა სჭირდება საქმაწვილი ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიის შესწავლასა და დამუშავებას; მისი განვითარების ძირითადი ეტაპებისა და ტენდენციების დადგენა, ესთეტიკური, ეთიკური და თეორიული საკითხების თანამედროვე მეთოდოლოგიური პრინციპების შესაბამისად წარმოჩენა სადღეისო აქტუალური პრობლემაა და გადაუდებელ გადაწყვეტას მოითხოვს. ეს თავისთავად მოზარდი თაობისათვის ზრუნვაა, ფიქრია ქვეყნისა და ხალხის სიყვარულით ნაკარნახევი. ამიტომ, ამ მიმართებით გადადგმული თითოეული ნაბიჯი უთუოდ მოსაწონი და მისახალმებელია...

პირველ წიგნში (რომელიც შეადგინა, შესავალი წერილი, ბიბლიოგრაფია და სახელთა ხაძიებელი დაურთო ზ. ბოცვაძემ), თავმოყრილია XIX საუკუნის მეორე ნახევრის პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული ძალზე მნიშვნელოვანი წერილები სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის შესახებ. თხზულებათა ავტორები ქართული კულტურის უანგარო მოღვაწეები იყვნენ, რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს ქართული პედაგოგიკური აზროვნების, ეროვნული საბავშვო მწერლობისა და კრიტიკის განვითარების საქმეს. ამ პერიოდის მოწინავე ქართველი ინტელიგენციის უპირველესი საზრუნავი მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საკითხი იყო. მეფის რუსეთის გაძლიერებული ჩაგვრისა და გარუსების პოლიტიკის პირობებში განსაკუთრებული ხიბრეკვით დაისვა მშობლიური ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სწავლების პრობლემა, რომლის გადაწყვეტა უპირველესად საბავშვო ლიტერატურისა და კრიტიკის არხებობაზე იყო დამოკიდებული.

ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავდა, რომ „სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობას უდიდესი „მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, მის წარმატებაში. ეს არის საუკეთესო საძირკველი, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა და მეცნიერება ხალხისა. გონებაითა მოძრაობა ერისა ქვიშაზეა აგებული თუ ფეი ღარიბია საყრმო ნაწარმოებით, საყმაწვილო ლიტერატურა". მაგრამ ეს უკანასკნელი წარმოუდგენელია სათანადო კრიტიკის არსებობის გარეშე.

აი, ამ პათოსით არის გამთბარი მთელი წიგნი, რომელშიაც მკითხველი დიდი ინტერესით გაეცნობა გასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საბავშვო მწერლობისა და პრესის მიმაგალითა კრიტიკული ნააზრევს. აქ წარმოდგენილია ი. გოგებაშვილის, ლ. ბოცვაძის, აკ. წერეთლის, კ. აბაშიძის, ი. მანსვეტაშვილის, ი. როსტომაშვილის, თ. ხუსკოვაძის, ი. ფერაძისა და ალ. მირიანაშვილის წერილები ეროვნული საბავშვო მწერლობისა და პრესის როლისა და დანიშნულების შესახებ.

ბუნებრივია, მათ ნააზრევში სადღეისოდ ზოგი რამ მოძველდა, მაგრამ შემდგენელის მიზანშეწონილად მიეჩნევია (და სრულიად სამართლიანადაც) პირველნდელი სახით მიეწოდებინა მკითხველებისათვის „ვინაიდან ისინიც საჭიროა არიან საკითხის ისტორიისათვის".

ხოლო თუ რა არის ამ ნააზრევში ყველაზე ნაღდი და ხალისი, თუ რა არის მისაღები, შესათვისებელი ან უარსაყოფელი თანამედროვე საბავშვო მწერლობის კრიტიკისათვის, — ამას ეძღვნება ზურაბ ბოცვაძის „ქართული საყმაწვილო ლიტერატურის კრიტიკის საწყისები", რომელშიც თანამედროვე ეროვნული კრიტიკის განვითარების დონეზეა განსილული და შეფასებული იმ პერიოდის მოღვაწეთა ამაგი და რული მწერლობის ამ სფეროში. ავტორი პირფთვნელად უარყოფს რა ამა თუ იმ საბავშვო ნაწარმოების შესახებ არსებულ ნეგატიურ შეფასებას, ამავე დროს, იქვე, გულმოდგინედ ეძებს იმავე საკითხზე სწორსა და მისაღებ შეხედულებას, ხოლო როცა მსგავსს ვერა პოულობს, — თავად იძლევა შესაბამისი მოთხრობის, ლე-

ქნის თუ პოემის საკმაოდ მართებულ იდეურ-მხატვრულ ანალიზს. საკვლევი საგნისადმი მიდგომის ახეთ სტილშია განხილული ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები და ცალკეული ქმნილებანი, ვაჟა-ფშაველას, შ. მღვიმელის, ეკ. გაბაშვილისა და სხვათა სახაგშვო ნაწარმოებები.

ორივე წიგნი ფრიად სასარგებლოა და მათ დიდი ინტერესით მიიღებს საკმაწვილო ლიტერატურის ისტორიით და კრიტიკით დაინტერესებული ყველა მკითხველი თუ მკვლევარი.

სერგი მინაშვილი

ვოეტის ალლო

ვანო ჩხიკვაძე — „დაბადება. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", რედაქტორი: მ. ფიქლაური, 1977 წელი.

არის წიგნები, რომელთაც თავიდანვე ზედმეტად კრიტიკულად კითხულობ, ეძებ, ეპოვ(ი)ებ; მოგწონს, არ მოგწონს და ლექსიდან ლექსზე ისე გადადიხარ, თითქოს რიეფზე მიდიოდე — ბორძიკითა და წვალებით...

სულ სხვაა ვანო ჩხიკვაძის ახალი წიგნი „დაბადება". იგი ამ მინდორივითაა, შემოდგომის ჩაღუდუდებული ზზნი რომ განათებულა, სიყვითლე შერეული ბალახებიდან ალაგ ცისფერი ყვავილი შემოგანათებს; გაკვირვებასა და სიხარულის გრძნობა ერთდროულად გაგვლის გულში. ამ მინდორზე სული ისეენებს, ზზერა დამშვიდებულია ნაცნობი პეიზაჟით, სმენა კი ოდითგან შერეული შობლიური მელოდიებითაა დამშებული. პატარ-პატარა, ერთი შეხედვით ფრაგმენტული ამ ლექსების უმრავლესობა განწყობილებათა ერთიან გამას ჰქმნის. განცდა მთლიანდება და ეს კრიალოსანი იმ უხლოვ ძაფზეა ასხმული, პირობითად ეოეტის სიწრფელე რომ შეგვიძლია ვუწოდოთ. ყოველი ლექსი, ყოველი სტრიქონი ავტორის სულიერი ცხოვრების გამოცდილებას გვიმეღლს, ჭრება უმთავრესი საფრთხე — ნაძალადობის უსაამო შეგრძნება... ამ საშიშროეთის გადაძლევა ეოეზიის მთავარი ამოცანა ყოფილა მუდამ. არაფერი ისე არ ამშვენებს ლექსს, როგორც ბუნებრიობა. ამ უბრალო და ნათელი ეეშმარტების გახსენება მხოლოდ ამიტომ დაგვეჭირდა, რომ უმთავრესად ახალგაზრდა ეოეტთა შემოქმედებაში სწორედ ეს საფრთხე იჩენს ხოლმე თავს. ორგანულურობის გადაჭარბებული სურვილი საპირისპირო შედეგთან მიდის ზზრრად. ვანო ჩხიკვაძემ, როგორც ეოეტმა, ამ მაცდური ბეწვის ხიდზე საკმაოდ იოლად გადაიარა, მისმა შინაგანმა ალღომ თავიდანვე უარი განუცხადა არაბუნებრივ, უცხო ელემენტებს.

ვანო ჩხიკვაძის სადა, ხმადაბალი ეოეტური ფრაზა მთლიანად გამორიცხავს პათეტიკურ სიყალბეს. აქ არაფერი თვალში არ ეცემათ ბრიალა ფერთა და ხმამაღლობის გამო. პირიქით უფროა. ზოგჯერ ეს „ლირიკული მელოდიები" იმდენად დაბალ ტონზეა აწყობილი, რომ უკმარობის გრძნობასაც იწვევს, თითქოს უფრო მეტი სიღრმე და დრამატიზმი სჭირდება სტრიქონს. ავტორი ზოგჯერ თითქოს რაღაცას აკლებს, ბოლომდე არ იწვის ამ კოცონზე, ეოეზიის კაშკაშა შუქით რომ გამობრწყინებება ხოლმე. ეს მისი ეოეტური ბუნებაა, და ალბათ „თავს ახლად ვერვინ იშობს".

ზემოთ ნაცნობი ეეიზაჟი ვახსენე. ვ. ჩხიკვაძის ლექსებში ეეიზაჟი შემოდგომის როგორც ლირიკული გმირის განცდის წარმომსახველი საშუალება, ამასთანავე ზოგჯერ ეს ფერწერული მონასმები იმდენად მკვეთრია, რომ დამოუკიდებელი სილამაზით გვამახსოვრებენ თავს:

ისევ ოგივე:
დაზნექილი ღასტები ნიგრით,
სხვეგნზე სურნელი შეყვითლებულ პატნის
და კამის.
რა შეიცვალა — ორკაპივით გამხდარი
ქვრივი
ქოქოლას აყრის შემოდგომის არეულ
ამინდს.
(სოფელი)

ეს „შემოდგომის არეული ამინდები" ერთ ძირითად მელოდიასავით მიმყვება მთელ კრებულს. „ქარისგან თმადაგრცხნილი ღღეების" მსუბუქი სევდითაა განათებული ეოეტის ლირიკა. ამ განწყობილებათა ფონზეც კი სრულიად ბუნებრივად ეღერის კრებულის ბოლოს დართული ლირიკული პოემა „ოცდაშვიდი", რომელის დაწერის ტემეულიც გამხდარა ბიოსტონში ბანდიტების მიერ ოცდაშვიდი ბაბუის დახოცვის ამბავი. ეოეტისათვის, როცა იგი ნამდვილად განიცდის ხოგმეეს, არ არსებობს შორეული და ახლობელი თემები. მოძებნილია „ლირიკული გასაღები" და დეკლარაციულობას მთლიანად განრიდებული ეს ბატარა

პოემა მრავალ ფიქრსა და სატკივარს წამოშლის.

როგორც ლექსებს, ასევე პოემასაც ვრცელი და საფუძვლიანი ანალიზი სჭირდება. კრებული „დაბადება“ თავიდან ბოლომდე უთოდ ასეთი წიგნია. უსიამოვნო გრძნობას იწვევს ყდის საკმაოდ წაბურალისტური ხასიათი. წიგნის სახელწოდებას სულ სხვა სიმბოლიკა აქვს და არა ის, რასაც ნახატი გვუბნება.

თემურ გიორგაძე

საინტერესო კრებული

> გაბრიელ ჯაბუშანური — ლირიკა. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, რედაქტორი: ი. არაბული, 1977 წელი.

„კრებულში შეტანილი ლექსები სხვადასხვა დროსაა გამოქვეყნებული ცალკეულ წიგნებში, პერიოდულ პრესაში, და პოეტის საუკეთესო ლექსებადაა ალიარებული“, — ვკითხულობთ წიგნის ანოტაციაში...

თავიდანვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბევრი საგულისხმო და პოეტის სტილისათვის დამახასიათებელი ლექსი ვერ აღმოვაჩინეთ კრებულში, რაც არასრულფასოვნების განცდას იწვევს, მაგრამ მაინც ეს წიგნი, ჩვენი აზრით, საუკეთესოა ცნობილი „ორაგვანის“ შემდეგ.

„მრევლი“ ასე ჰქვია პირველ ლექსს, სადაც კარგადაა გამეღავნებული პოეტის პოზიცია პოეზიისა და საკუთარი შემოქმედების გაგებისათვის, გამოკვეთილი და ჩამოყალიბებულია ავტორის პრინციპები „მის შობილთა“ ლექსების მიმართ.

ყველა ლექსს მეტ-ნაკლები ცხოვრების უფლება, გარკვეული ფუნქცია, და, ამავე დროს, საკუთარი „ფუძე და ჭერი გააჩნია“, — „მგზნანის განზრახვამ რაც დაუწესა“.

> გავბეზრდი თქვენი ზრახვით და ყეფით,
> ვერ გავწყალი თქვენი მოთხოვნის მტკაველს,
> თან მყავდეს — ათი ლექსიც მეყოფა,
> სადაც მე ვზატავ უმეტეს ტკივილს.

აქ პოეტის შინაგანი პათოსი ამაღლებულია, განცდა იზრდება და ვგრძნობთ რაღაცა ახლის მოახლოებას:

> აქ რას მესეევი ურვის მეზობელს,
> ზოგჯერ რომ ჩემსაც გაიჩენს ვწყეველ,
> მე ვალად მედვა: ერთხელ მეშობეთ,
> გშობეთ, — და თავად ოშოვეთ მრევლი.

ეს ლექსი ერთგვარი გასაღებია წიგნისა, რომელშიც ერთხელ კიდევ ნათლად გამოიკვეთა „თავის სენაკში“ განმარტოებული პოეტის ხასიათი მომთხოვნელობა და ეძვი საკუთარი პოეზიისადმი, რომელსაც არახოდეს კლება ზეგარდმო ნიჭი და მომხიბვლელობა.

გ. ჯაბუშანური იმ „კაცურ კაცთა და პოეტთა რიცხს ეკუთვნოდა“ (კ. გამსახურდიას სიტყვებია). რომლებმაც ახალი ფერებით, ახალი ხალებავებით, ამაღლებული დრამატიზმით გაამდიდრეს ქართული პოეზია, ხალხური ფოლკლორის საკუთარ ქუჩაში გატარებით ახალი შენადნობი მიიღეს თავისი ფორმითა და შინაარსით.

გ. ჯაბუშანურის პოეზია მთასავით ზვიადია და ამავე დროს პრიმიზესავით ნაზი და სათუთი, მეტაფორებითა და ნატიფი სახეებით დატენილია... „საკუთარ გულში ხელის ფათურით“ ავსილი, ალაგ სევდიანიც — „სისხლიან ღაწვის ნაწურნი“.

> მაინც რა იყო შენი სიმღერა,
> ცრემლი, სისხლიან ღაწვის ნაწური,
> ოდენ მშიერი სულის სამხარი,
> საკუთარ გულში ხელის ფათური.

შენ მზოლოდ შენსაც მწარე სულს წერდი
და მის მრავალფერ გამოვლინებას...

გ. ჯაბუშანურის პოეზია ადამიანის სულს იკვლევს, შიგნითკენაა მიმართული, ზედაპირული შრეები მისთვის ნაკლებსაინტერესოა; წარმმგელობის და მარადიულობის, ფილოსოფიერ საწუსნზეა აღმოცენებული: „ცოტაც და ალბათ მუნჯი ქარონი მე მომაახლებს საშენო ნაპირს, მელიან დღენი მანდ უქარონი და მოთმინების ღაშლილი ძაფი“.

კრებულში მრავალი საინტერესო და უკვე ცნობილი ლექსია შესული, რომელთა ღირსება ქართული სალიტერატურო კრიტიკის ანალიზს მოითხოვს.

გაბრიელ ჯაბუშანურის ლექსებმა დიდი ხანია „თავად იშოვეს საკუთარი მრევლი“.

ბაღათერ არაბული

„გაცრუებული მოლოდინის“ პოეზია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომადი ბართაია — „ლექსები“. გამომცემლობა „მერანი“, რედაქტორი: გრ. ჯაფუხიძე, 1976 წელი.

ამ კრებულმა თითქოს უხმაუროდ ჩაიარა. ალბათ ბევრს არც წაუკითხავს. არსებობენ კარგი წიგნები, რომელთა უკან არ დგას ავტორი, რომელიც თავს ხშირად გვახსენებს. ამიტომ წაგარი და ჩუმი პოეტიც მათი ლექსების დარად შეუმჩნეველი რჩება. ეს ეხება სწორედ ნომადი ბართაიას, რომელიც არ გასწავთ დიალექტიკის მოსურნე, ტრიბუნის კაცი, „პრობლემების კაცი“. მისი პოეზია მეოთხეველთან პირისპირ რჩება, გარეგანი წაშველების გარეშე. ზოგი დღეს თავის ლირიკას თეორიულ განსჯას შეაშველებს ხოლმე, რათა შეიქმნას აუზაური მისი სახელის გარშემო. როგორც წესი, უფროსი თაობა ეძებს არა ნაწარმოებს, არამედ ნაწარმოების ავტორს, ხოლო ფილუსია, აზრთა სხვადასხვაობა, მძაფრი პოლემიკა ელიტარული წრის ცნობიერებაში აღბეჭდავს ახალი, თუნდაც მდარე პოეტის სახელს. ნ. ბართაიას არ უცდია ამგვარი ეფექტებით სახელის დამკვიდრება, რადგან პოეზია არ არის პიროვნების დამტკიცება.

ნ. ბართაიას ლექსები სადა და ნათელი სტილის ზეიმია. მან არ გაიზარა რიული და ფერადი პოეზიის პრინციპები. ინტელექტუალური სიმძიმე და სახეობრივი არტისტიზმი თანაბრად მიუღებელი აღმოჩნდა მისთვის. ეს თითქოს მოულოდნელიც იყო. ნ. ბართაია სპარსულნოვანი პოეზიის მცოდნეა, რომელიც ემოციას, რითმას, სახეს, პათეტიკას კუდლად სახავს. მაგრამ ვინც ამ პატარა კრებულს წაიკითხავს, ვერც იგრძნობს, რომ ავტორი შესანიშნავად იცნობს სტეფენ ჯერობატებს. ეს არის უარყოფის პათოსი ასეთი პოეზიისა. დღევანდელობამ არ მიიღო მაღალფარდოვანი, პომპეზური სტილი. პოეტი შეგნებულად ემიჯნება ამგვარ მეტყველებას და ილტვის ბუნებრივი ენისაკენ, რომელიც თავისთავში ინახავს უტაკუთან განცდებს, შთაბეჭდილებებს, მახლობელი და მშობლიური საგნებს. ცალკეული სახეები და პოეტური თქმანი ნამდვილი ხატოვნებას აღწევენ სწორედ სიზუსტითა და სისადავით („დღეს ხარბათაში, მისტერიაზე ყველაზე ადრე წამივა გონი, რათა ვიხილო ხატება შენი“; „იგი ქუჩიდან შემოსულ შუქით წერს და დამბიეი სტრიქონები განთიადისას გვანან ნიათვრებს“; „შენს საფლავზე შენი ცილი შავი მანდილივით ეკიდა“...). მან თითქოს საგნებს სალეგბი გადაცალა და რეალური სახე დაგვანახა. ამიტომ ლექსის სტრუქტურას ავსებენ ზედმეტად ყოფითი დეტალები. ნაიფური მეტყველება ალაგ-ალაგ შესაძლოა პრიმიტიულადაც ჩავთვალოთ („სრულიად არაფრის გამო შარზეა ორი მამალი“). ლექსების ცაცელი „შენი სახელის ბერიმე“ კონკრეტული პერსონაჟებითაა დასახლებული (ქამე, ბიფეი, ოთარი, ლემფრი...). ის შედგება ათი ორ და სამსტროფიანი ლექსისაგან. თვითეული მათგანს რაღაც სიუჟეტი გააჩნია, რაღაც ამბავს გადმოგვცემს, რითაც პერსონაჟი გვახსოვდება. ეს ციკლი მთლიანად ურითმო თქმესმეტმარცვლოვანი მერანი არის დაწერილი. პოეტის ენა ისევე უბრალოა ეს სადა, როგორც სასაუბრო მეტყველება („სუფრის თავზე რომ დადეკი, სუფრის ბოლო ადარ ჩანდა. შენი ფეხით წამოხვედი, გზაზე ეფელი გიშრებიდა“...). ახე ცდილობს ნ. ბართაია თავის ლექსებში ეფოფთი ბარემოსა და რეალური ურთიერთობის დამკვიდრებას, ბავშვობის შთაბეჭდილებათა აღდგენას. ამაში ბინა, ამეფდათ, ნაკახაო, ინსიფრი ლირიკულ წარმოსახვათა ნიუთიერი დასაყრდენია. კონკრეტული დროისა და სივრცის სურნელ გვეგრძნობინებენ მისი მშვენიერი ლექსები „პოეტი“, „ავგისტო“, „ჭელალ ედდინ რუმის“, „საათი მუზეუმში“, „რომ იცოდე“...

მაგრამ ეს ნ. ბართაიას პოეზიის ერთი სტილური ნაკადია. ლექსების უმეტესობას კი მსჯველობს აშკარა პოეტური ირონია. ირგვლ გაკოვება ჭალაკინონიული ინტონაცია, როგორც სულიერი წარმომავლობის მახარობელი მოტივი („ბალკანური გაგრაში“, „ვეღარ გადაგივწეკ“). პოეტის მიერ ირონიის გაგება —ეს აღქმის ინტელექტუალურებული ხერხია, რითაც ტქდება პათეტიკის უხერხულობა. ნ. ბართაიასთვის უთუოდ მახლობელია მ. მაჭავარიანის, ტ. ჭანტურიას, ვ. ჯავახაძის ირონიულ-პაროდიული ლირიკის რკალი, სადაც ლირიზმს შეენცალა მოვლენების ირონიული ჭვრეტა. პოეტური ირონია მუდამ კრიზისული განწყობილების მაცნე ეს არის თვითდაცვის ინსტინქტის ცნობიერი გამოვლენაც და არა ტოტალური „ირფრის“ კუდი. ნ. ბართაიას ამ ლექსებში ნაგანი და განწყობილება გათიშულია ორგორც შესაძლებლობა და მიზანი. ეს გაორება იწვევს დეკადანტიული სახეთა ლიმილს, ანტიპოეტური თემების აყალიბებას („წუვა და ქშენავს მაკე ღორი“), გამტკუნებენად ესოტეკურ მოლოდინს, გულისდამწყვეტ ნაღველს არაობაზე („ტერენტი გრანელი“—„მოკაგონდებით, ნეტავ, გარდაცვალების შემდეგ? მალე გაივლის სევდა, — ოცდარვით არის ეს თვე“). „გაცრუებული მოლოდინი“ ტრადიციული განცდის სპარიისპირო პოლუსია. აქ ამაღლებას ცელის მეტხსმენი დაშვება და საგნების გამი-

წიერება. ირონიულ-პაროდიული პოზა „გაცრუებული მოლოდინის“ ესთეტიკას ეფუძნება. ამიტომ მიამიტურ სტრიქონებსაც ლმობიერად უნდა შეეხედოთ: „ხომ არ დაგეწვათ კანი? ეაზე სამხრეთის მზეა. დამემოწმებინა, გაგრა ძალიან ლამაზია“.

მისი გარითმვის ხერხიც ფარულია და მოულოდნელი. კლასიკური ლექსი, კლასიკური მუსიკის მსგავსად, ჰარმონიითა და მელოდიით იწვევს აზრს. მაგრამ დღეევანდელი ლექსი მეტწილად, ისევე როგორც ატონალური ან პუანტალური მუსიკა, დისჰარმონიულია. ასეთ დროს მკითხველს სწორედ მოსალოდნელის ვერპოვნა, შეცბუნება, ნიურპრიზი ჰგვრის სიამოვნებას. ნ. ბართაიასთვისაც რითმა ამგვარი დისჰარმონიის ნაყოფია (აცანა — გავიცან; როცა — კვიცები; ცერებზე — ცხენებს; იებს — ნარცისი; ხუნი — მოსხული და ა.შ.), და ეს ერთ-ბზოლოდ რითმა, მთელი წიგნიც შეიძლება ავსებდეს ქვეთ, როგორც „გაცრუებული მოლოდინის“ პოეზია, როგორც ანტიესთეტიზმის ეს ეთეტიზმის მიღწევის ცდა. ავტორი მიმართავს ვერლიბრს, ვერბალს, ლასაიკური ლექსის ფორმას, სტილიზებისა და ძალდატანების გარეშე, რის გამოც მაყურებელს სწორედ სურათი ეზიდავს და არა ჩარჩო.

იმედია, ნომადი ბართაიას მომავალი წიგნები არ გაგვიცრუებენ „გაცრუებული მოლოდინის“ პარადოქსულ შინაარსს.

ᲡᲝᲤᲝ ᲒᲘᲪᲐ

ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘ

ᲜᲘᲙᲝ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ — ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲛᲝᲪᲘ ᲢᲝᲛᲐᲜᲘ. Ტ. III. ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲚᲝᲜᲐ „ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“, ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: Გ. ᲛᲘᲭᲐᲫᲔ, 1977 ᲬᲚᲘᲡ

ᲜᲘᲙᲝ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ ისეთი მწერალთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა ნაწარმოებები არასოდეს არ კარგავს მკითხველის ცხოველ ინტერესს. ხატოვანი ენა, ამბის ლაკონური თხრობა, ხასიათების რელიეფური ძერწვა ნ. ლორთქიფანიძის ნოველების ნიშნეული სტილი გახლავთ. ქართული ნოველის შეუდარებელ შედევრებად რჩება „თავსფრიანი დედაკაცი“, „ტრაგედია უგმიროდ“, „მრისხანე ბატონი“ და სხვ. მხატვრული სიტყვის პირველხარისხოვანი ოსტატი ადამიანის სულის დიდი მესაიდუმლე იყო. მისი ნაწარმოებების ყოველი ახალი წაკითხვა ახალ ესთეტიკურ სიამოვნებას განაცდევინებს მკითხველს.

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ქართველი მკითხველი მალე მიიღებს მწერლის თხზულებათა ოთხტომეულს, რომელიც მომზადებულია შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ. პირველი ორი ტომი წინა წლებში გამოსცა „საბჭოთა საქართველომ“. ახლახან კი გამოიცა თხზულებათა მეხუთე ტომი. იგი გამოსაცემად მომზადა, ვარიანტები და შენიშვნები დაურთო ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ეთერ შარაშენიძემ.

ᲙᲐᲠᲓᲘᲜᲘᲠᲘ გამოცემა განსაზღვრულ საეციფიკას ემორჩილება, რის გამოც აღნიშნული მეხუთე ტომი შედგენილია ᲥᲠᲝᲜᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲗ. ეს კი გამორიცხავს ნაწარმოებთა სურვილისამებრ გადადგილების უფლებას. სწორედ ამიტომ, შესაძლოა ტომში მაღალმხატვრული ნაწარმოების ვეერდით მოხვდეს სუსტი ნაწარმოები, რომლის გამოქვეყნებაზე, ეთქვათ, თავს შეიკავებდა თავად ავტორი. ტომში შეეტანა 1922-1944 წლებში დაწერილი ნაწარმოებები. ტომს თან ერთვის ის ვარიაციული სხვათაები, რომელიც ნაწარმოებებზე მუშაობისას შექმნა მწერალმა, რაც თვალნათლივ გვიჩვენებს მწერლის მუშაობის თავისებურებას.

ამდენად, ტომის შემდგენელის დიდი შრომა აქვს გაწეული.

შეიძლებოდა ზოგიერთი სურვილიც გამოგვეთქვა:

ᲑᲠᲐᲜᲓ, როცა ტექსტოლოგები ამა თუ იმ მწერლის თხზულებათა გამოცემაზე მუშაობენ, ტექსტის მომზადებისას ამოსავალ პრინციპად ავტორის საბოლოო ნებას ემყარებიან, ე. ი. ტექსტს იმ სახით ამზადებენ, როგორც ეს ავტორმა საბოლოოდ შეასწორა. ცხადია, იგ სწორზე სწორი პრინციპია, მაგრამ, ჩემი აზრით, გაარჩინა სად და როდის დადეერნოთ ავტორის საბოლოო ნებას. ტექსტოლოგია, რა თქმა უნდა, ვვერდ ვერ აუვლის ავტორის ისეთ საბოლოო ნებას, როცა ტექსტში ეკიზოდი, ანბაცი, ფრაზაა შეცვლილი, თუნდაც პირველი სჯობდეს უკანასკნელს, მაგრამ აუცილებლად უნდა გასწორდეს ის არასწორი სიტყვიერი ფორმები, რომელიც ორთოგრაფიულ შეცდომამდე დადის.

მაგალითად, ავტორის რა საბოლოო ნება ამართლებს ისეთ არასწორ ფორმას, როგორიც არის „უგმირიოს“, თანაც სათაურში გამოტანილი („ტრაგედია უგმიროთ“). განა „უგმიროს“ რომ დაგვეწერა, რაიმე აზრობრივი ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსობლივი შეცდომა იქნებოდა? სამწუხაროდ, მარტო ამ ორგვერდიან ნოველაში უამრავი ორთოგრაფიული შეცდომაა. სიტყვა „ბავშვები“ თორმეტჯერ არის ნახმარი. ახლა ნახეთ „მოკლეს“, „უთქმელას“, „გასახანჯას“, „ერთიანას“, „წყნარას“, „ნაზას“. ჩამოთვლილი სიტყვები ხომ ზმნიზეზეებია, რაც სიტყვის ბოლოს „დ“-ს მოითხოვს და არა „ა“-ს? თუ ალნიშნულ ფორმას მწერლის სტილად მივიჩნევთ (რაც არაფერით არ არის გამართლებული), მაშინ როგორ გავამართლოთ იქვე სწორი სიტყვის „მაგრად“ არსებობა? აი კიდევ ერთი მაგალითი ერთსა და იმავე ნაწარმოებში („ბილიკებიდან ლაინდაგზე“): 1) „და თქვენ სწორეს ამ შემთხვევაში გმართებთ განსჯოთ მეგობრულად. ამხანაგურად“. 2). „ერთმა ქუდი დაიხურა წასასვლელად... და დაიშალნენ თითოთითოდ“. ასევე ვერაფრით ვერ გავამართლებთ ზოგიერთი ზმნის მესამე პირის მრავლობითი რიცხვის არასწორ ფორმას „ენ“-ს: „ანთებდენ ცეცხლს, აწყობდენ და ასწორებდენ ქვაცებს“. ამგვარი ზმნები თითქმის ყველგან არასწორი ფორმითაა წარმოდგენილი ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (ერთი მაგალითი ზემოთ მოვიყვანეთ — „დაიშალნენ“). ამგვარი არასწორი ფორმების გასწორება, ვფიქრობთ, ავტორის საბოლოო ნებას არ ეწინააღმდეგება.

რევაზ ჩხარტიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშანგი ჭიჭინაძე

შეხვედრა ოცდაათი წლის შემდეგ

ქართველი კუნძულმატკივარი, არც მეტი, არც ნაკლები — 30 წელი უცდიდა ჩვენი ქვეყნის მოყვრიანთა ჩემპიონატის ორთაბრძოლებს, რომელიც მარტის ბოლოს თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდა. მან ამ ოთხი წლის წინანდელი ბაკურიანის სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის სტარტები გამახსენა. კაცმა რომ თქვის, რა საერთო აქვს რინგის კვადრატზე გამართულ ცხარე შერკინებებს იმ თეთრ იდუმალებასთან, რომელიც სისწრაფისა და სიერცის დალაშქვრის მოტრფიალეები იზიდავს...

საერთო ისაა, რომ სპორტში ნებისმიერ სახეობაში ყოველთვის მეორდება მსგავსი სურათები, სიტუაციები და სწორედ ამ მსგავსებამ აღძრა ჩემში ეს ასოციაცია, რომელიც შეიძლება ვინმეს პარადოქსადაც მოეჩვენოს.

ეს სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის მორიგ დღეს მოხდა, როცა ახპრეზიდიუმის პროგრამაში 70-მეტრიანი ტრამპლინიდან მხტომელები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. იმ ჩანად მახპინძელთა იმედი, რა თქმა უნდა, კობა ზაქაძე იყო, რომლისთვისაც ეს ახპარეზობა „გელის სიძღერა“ უნდა ყოფილიყო, და ამიტომაც, იგი მთელი პასუხისმგებლობით ემზადებოდა ამ გამოსათხოვარი ნაბტომისათვის. მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად ოყროს მედალი მეორე ბაკურიანელმა სპორტსმენმა მიხეილ გავაშ მოიპოვა. როგორ მოხდა ეს?

კობა ზაქაძის გამარჯვებათა ფენაზე, რასაც ეს ბაკურიანელი „მფრინავი ტორპედო“ (როგორც მას უცხოელმა სპორტულმა ჟურნალისტებმა შეარქვეს) აღწევდა, ერთგვარად ჩრდილში იდგა ხოლმე მისი თანამემამულე და მეგობარი, დინამოელი მხტომელი მიხეილ გავა. ახე იყო, განსაკუთრებით ბოლო წლებში, როცა ეკ. ზაქაძე პირველობდა ბაკურიანის ტრამპლინებზე გამართულ სხვადასხვა მასშტაბების შეჯიბრებებში. მის, წარმატებები იმდენად თვალსაჩინო და საგრძნობი იყო, გულშემატკივრები ვერც კი ამჩნევდნენ, თუ როგორ იზრდებოდა ზაქაძის გვერდით, ირანაკლები კლასის მხტომელი, რომელიც თურმე ჩემპიონობისათვისაც კი ემზადებოდა.

ეს გამარჯვება მით უფრო სასიხარულო იყო, რომ იგი ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მხტომელთა პირისპირ ბრძოლისას იქნა მოპოვებული.

რამ განაპირობა თქვენი წარმატება? იქვე, სახელდახელოდ, ტრამპლინთან ვკითხე ახალ ჩემპიონს.

კობა დღეს ვერ იყო საბრძოლველად განწყობილი და ამა, ოყროს მედალს ბაკურიანიდან სხვას ხომ არ გავაგზავნით? ამით ტრადიცია დაირღვეოდა. ალბათ, გახსოვთ, პირველ სპარტაკიადაზე „ცუდი მახპინძელი“ სწორედ კობა იყო. ამიტომაც, ეს როლი ამჯერად მე ვითავე! — მიპასუხა ჩემპიონმა. ტრადიცია დაირღვეოდაო!.. დაუკვირდით ამ სიტყვებს.

...ახლა ძნელი სათქმელია თუ რა იცოდა მჩატე წონის თბილისელმა ამირან ხიზანიშვილმა, როგორი განწყობილებით გამოვიდოდა რინგზე კიეველ ვ. კლიმანოვთან საბრძოლველად მისი უფროსი მეგობარი, (სსრ კავშირის ორგზისა და ევროპის ჩემპიონი ქვემძიმე წონაში) დავით კვაკაძე. და მან, „ყოველ შემთხვევისათვის“, აიღო და გიამარჯვა ძლიერ მეტოქესთან დავით ტოროსიანთან, რომელსაც გამოცდილება და ტიტულები არ აკლია. ერეკვნელი მოკრივე ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი, მსოფლიო პირველობისა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორია და ამასთან მრავალ საერთაშორისო შეხვედრების გამარჯვებული. მიუხედავად ამისა, იგი მაინც შეიძრა მახპინძლის წინაშე.

ბაკურიანელი მ. გავა მსგავსად, ამირან ხიზანიშვილიც სახელოვნი თანამემამულის დ. კვაჭაძის გამარჯვებათა ფონზე ერთგვარად ჩრდილში იდგა. ყველას კარგად გვახსოვს, რომ როცა დ. კვაჭაძემ ამ ორი წლის წინათ სვერდლოვსკში პირველად მოიპოვა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობა, იმავე ასპარეზობაზე, პირველ უჩიტატს წონაში ა. ხიზანიშვილი ბრინჯაოს პრიზორი გახდა და მაშინ ამირანის ეს წარმატება ბევრმა სასიამოვნო მოულოდნელობად უფრო აღიქვა. თვით სპორტსმენისათვის კი იგი საგიზარო ბარათი გამოდგა დიდ რინგზე. ეს მას მტკიცედ სწამდა, რომ ეს მხლოდ პირველი ნაბიჯი იყო სპორტული ოლიმპოსაკენ, რასაც უფრო წონადი გამარჯვება უნდა მოჰყოლოდა. ამის საწინდარი კი თვით ა. ხიზანიშვილის ის მოუკითობა და ამ მართლაც ვაჟკაცური სახეობისადმი უსაზღვრო სიყვარულია, რასაც იგი ყოველდღიურ ვარჯიშებს, და მეცადინეობებზე აკლავს.

ქალა ტრადიციისა...

...ეს უკვე ფაქტია: საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის 20 წლის სტუდენტმა ა. ხიზანიშვილმა, თავისი ბრინჯაოს მედალი აჩვენრად უფრო კეთილშობილ ლითონზე ოქროზე „გადადგა" და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდება დაიმსახურა 54 კილოგრამ წონით კატეგორიაში.

და ტრადიციის ძალა იმაშია, რომ ოცდათი წლის წინათ თბილისში გამართულ საკავშირო პირველობაზე მასპინძელმა გაბრიელ ხანუკაშვილმა მეტოქეებს სწორედ ამ წონაში ჩამოართვა უძლიერესის სახელი.

ისიც უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა მოკრივისაგან ახეთ წარმატებას არავინ ელოდა, რადგან იგი ამ წონაში დეპუტატები გახდადთ და ის ბრინჯაოს მედალი, შარშანწინ, სვერდლოვსკის რინგზე, პირველ უმჩიტატ წონაში ეოგო. სიტუაციას ისიც ამწვავებდა, რომ ზემოთხსენებულ დ. ტოროსიანთან ერთად, პირველობის პრეტენზიას აცხადებდა ტაკვის ხელოვნთაშინის ისეთი ალიარებული ოსტატი, როგორიცაა ტაშკენტელი ფ. ბაკე. ამიტომაც, მის წინააღმდეგ გამარჯვება თითქმის სიერთო წარმატებასაც ნიშნავდა. შეჯეიდრა ძალზე დაძაბული და საინტერესო გამოდგა. მასპინძელმა თანდათან გაზარდა უპირატესობა და როცა ორთაბრძოლა დამთავრდა, ეჭვი არავის ეპარებოდა მის გამარჯვებაში. მაგრამ გვერდით მსჯელთ ხმები ორად გაიყო და მთავარი მსაჯის დ. პოზდნიკიის საქმეში ჩარევით გამარჯვება ა. ხიზანიშვილს მიენიჭა. ახლა უკვე წინ ფინელი იყო. მასპინძელმა აქაც დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა და აშკარად დაამტკიცა, რომ ფ. ბაკეთან მას მხოლოდ მშობლიური ელფენი როდი ეხმარებოდნენ, არამედ თვითონ ფლობს უზადო ტექნიკას და დღეს მთელს კავშირში ტოლი არა ჰყავს.

ტურნირის კიდევ ერთი აღმოჩენა 19 წლის თბილისელი ბურმან თაქთაქიშვილის გამოსვლა იყო. ის ბრინჯაოს მედალი, რომელიც მან მძაფრ ბრძოლაში მოიპოვა, ახალგაზრდა მზარდი სპორტსმენისა და მისი მწვრთნელების ი. ხატაიშვილისა და სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. გორგასალიძის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. ბურმანისათვის ეს ხომ პირველი დიდი წარმატებაა საკავშირო რინგზე, და მას, რომ ატყვიან, ყველაფერი ჯერ კიდევ წინა აქვს. რა თქმა უნდა, ამით იმის თქმა კი არ გვსურს, რომ მას ყოველდაჯერებულად შეუძლია უყუროს თავის სპორტულ პროგრესს, სადაც დიდი გამარჯვებები თავისთან მოვა! არა! მან ამ მხრივ ჯერ კიდევ დიდი შრომა და ჯაფა უნდა გასწიოს, რადგან დღევანდელ სპორტში ოდნავი შეჩერებაც კი უკვე ჩამორჩენის ნიშნავს, რაც ადვილად ასანაზღაურებელი რამ არ გახლავთ. ეს, პირველ რიგში, თვით ამ იმედისმომცემ სპორტსმენს უნდა ახსოვდეს, ვინაიდან მას უკვე ანგარიშს უწევენ ჩვენი ქვეყნის ნაკრების მწვრთნელები, რომლებმაც იგი მსოფლიო პირველობის მოსამზადებელ შეკრებაზეც მიიწვიეს. ეს უკვე დიდი ნდობა და პატივია, რასაც სათანადო გამართლებაც უნდა.

მართალია, თაქთაქიშვილმა რინგზე გამოჩენასთანავე მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება (მის აქტიურია რამდენიმე საპატიო გამარჯვება გენერალ კონსტანტინე ლენინიის მემორიალურ ასპარეზობასა და პროფკავშირთა საკავშირო ჩემპიონატებში), მაგრამ გამოცდილი თვალი ადვილად შეამჩნევს, რომ მისი დარტყმები ჯერ კიდევ დაუხვეწავი და დაუფუშავებელია, რასაც მან დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს წვრთნისს.

საკავშირო რინგზე კიდევ ერთმა. ქართველმა მოკრივემ, კერძოდ ეი დავით კვაჭაძემ მოიპოვა ხარბიზო ადგილი, რომელსაც ვერცხლის მედალი ხედა. სხვა შემთხვევაში, ალბათ, ჩვენი გულშემატკივრები ამას ქართული კრივის მორიგ დიდ გამარჯვებად მიიჩნევდნენ და ამის გამო ეზიერმებდნენ კიდეც, მაგრამ აშკარად დავითის გამოსვლა ფინალში ფიასკო უფრო იყო და ამაში თვით სპორტსმენს მიუძღვის ბრალი. იგი ხომ ჩვენი ქვეყნის ორგზისა და

შუბანგი ბიბინაძე
შეხვედრა ოცდაათი წლის შემდეგ

ევროპის შარშანდელი ჩემპიონატის გამარჯვებულია. ჰოდა, მის მიერ ასეთი თვალსაჩინო წარმატებებით განებივრებული მაყურებელი მოითხოვდა, რომ სწორედ აქ, მათ თვალწინ დ. კვეტაძე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე აღზევებულიყო. მაგრამ სპორტი სპორტია და აქ მძლეთამძლეს ამა რა დალევს. ეს დაუწერელი კანონია, რომლის მსხვერპლი ამავე ჩემპიონატზე გახდნენ ისეთი აღიარებული ოსტატები, როგორიცაა ბ. ზაევი, ე. გორსტკოვი ვ. ლომასოვი, რომლებიც ნახევარფინალურ ასპარეზობებშივე გამოეთიშნენ ტურნირის დაპირიმირთა მიღმა. აღმოჩნდნენ, ხოლო მანამდე ნაკლებად ცნობილი ვლადოსტოტატელი უმჩატეხი წონის სპორტის ოსტატობის კანდიდატი ა. მიხაილოვი ჩემპიონის სპპატონ ტატულთან ერთად საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატობის ხახელსაც ეზიარა.

რა თქმა უნდა, ასეთი რანგის შეჯიბრებაზე ადვილ ბრძოლებს ნი მთა უმეტეს ადვილ გამარჯვებებს არავინ ელის, მაგრამ დ. კვეტაძე, რამდენადაც, თავად ფეო თავისი სატურნირო ბედის წარმმართველი და სპეციალისტების ზნრით იგი ზედმეტ ყურადღებას აქცევდა, აჭყრაგდ, თავდაცვის იელეთებს და ხშირად ყრუ დაცვაში გადადიოდა, მაგრამ, როცა მოკრივე შეხვედრას კონტრიერიშებზე აგებს, იგი არაწაელებ უნდა ცდილიმდეს, რომ მეტოქეს მეტი დარტყმა მიაყენის. ბოლოს და ბოლოს, დარტყმათა რაოდენობა განსაზღვრავს გამარჯვებას. დ. კვეტაძის ამ იდეალურად აწყობილ სპრძოლო „ინსტრუშენტ“ კი სწორედ ყელიზადობა აკლდა, რაც ყველაზე მეტად თვალშისაცემი გახდა ა. კლიმანოვთან ფინალურ ბრძოლაში.

თუმცა, არც დ. კვეტაძეს და არც მის მრავალრიცხოვან გულშემატკივრებს არაფერი აქვთ გულდასაწყვეტი, რადგან ასეთი მაღალი დონის ტურნირნი ვერცხლის მედლის მოპოვებაც ძალზე საპატოა და, რაც მთავარია, დავთის რინგზე თავისი საბოლოო სიტყვა ჯერ ხომ არ უთქვამს დ. მას ამის სრული შესაძლებლობა ექნება მომავალ ასპარეზობებში, რომელიც ახლო მომავალში ელის.

აბეგარად, ქართველმა მოკრივეებმა 44-ე საკავშირო ჩემპიონატზე თითო ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი რინგის ოსტატები დღეს სწორ გზას ადგანან, და ამ „პირველი მერცხლებს“ გამოჩენა იმის საწინდარია, რომ მალე ქართული კრიკეს ნამდვილი გაზაფხულის მოწმენიც გავხდებით. ამის იმედს იძლევა აგრეთვე ისიც, რომ სარბიელზე გამოსულები თითოეული მასპინძელთაგანი (იხილნი ეი სულ 9 იყვნენ) ძალ-ღონეს არ იზოგავდა და შეუპოვრად მიიწევდა გამარჯვებისაკენ. და მერე რა ვუყოთ, რომ მათგან მხოლოდ სამმა შესძლო ეს. იმათ, ვინც დღეს ვერ მაიღწია წარმატებას, ამის საშუალება ხვალ ეძლევნთან და გვჯერა, რომ მათაც ვიხილავთ გამარჯვებულთა რიგებში.

რამ განაპირობა ის, რომ კვლავ გამოჩნდა ქართული სახელების საკავშირო რანგზე? ასეთი დიდი მოსავალი ნომ ათიული წლების მანძილზე არ ჰქონია ჩვენს რესპუბლიკას და რიცა ქართულ კრიგზე ლაპარაკობდენ, მაშინ მხოლოდ წარსულ გამარჯვებებს თუ გიიხსენებდნენ ხოლმე. თორემ აწმყო? — იგი საკმაოდ უფერული და უნაათო გახდილად. დღევანდელი წარმატება, პირველ რიგში, ჩვენი მოკრივეების ფართო საბიბიელზე გასვლამ განაპირობა. დღეს უკვე დაძლეულია ის ფსიქოლოგიური ბარიერი, რასაც დიდი რინგი ჰქვია და ჩვენნი მოკრივეები იმ ახალბედა მოწვეულებს აღარ ჰგვანან, რომლებსაც ნამდვილი კრიგის გაკვეთილს უტარებენ მეტოქეები. დღეს, ხშირ შემთხვევაში, თავად არიან ასეთი „გამომცდელნი“ როლში და ამაშია მათი სიძლიერე. ეს კი შეჯიბრებათა სიმრავლემ განაპირობა, რომელიც მათი მონაწილეობით სულ უფრო ხშირად იმართება ხოლმე და რომლის გამარჯვებულებიც ისინი არიან, სპორტსაზოგადოებათა საკავშირო პირველობები იქნება ეს თუ სხვადასხვა მასშტაბის მემორიალური შეჯიბრებები. ვაფაცობისა და ძალის ამ შესანიშნავ სახეობას ყოველთვის ჰყავდა თაყვანისმცემლები ქართველ მოკრივეთა სახით; ამიტომაც ქართულ კრიგს ეროვნ საინტერესო და სახელოვანი ენა ენა ენა ენა.

პირველად ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები საკავშირო რინგზე ორმოცდაოდე წლის წინათ გამოჩნდნენ. მათი ეს დებიუტი საკმაოდ თვალსაჩინო წარმატებებით აღინიშნა, როცა საქართველოს ნაკრებმა საკავშირო შეჯიბრების მეორე ჯგუფში ზედიზედ სძლია მეტოქეებს და უძლიერესთა ლიგაში გამოსვლის უფლება მოიპოვა. საგულისხმოა, რომ რვა წლის შემდეგ სსრ კავშირის მეათე პირველობაზე ნახევარფინალისტთა ნახევრიზე მეტს ქართველი მოკრივეები შეიადგენდნენ, რომელებმაც საპრიზო ადგილების უმრავლესობა მოიპოვეს — 24-დან 8, ხოლო მსუბუქ წონაში გამარჯვებულთა კვარცხლბეკის სამივე საფეხურზე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელები — შალვა გორგასლიძე (ჩემპიონი), ბ. მელაძე და ბ. კვინინიძე იდგნენ. ერთი წლის შემდეგ საქართველოს მოკრიგეებმა გუნდური პირველობა მოიპოვეს საკავშირო ჩემპიონატში.

იმ წლებში საქვეყნოდ იყო ცნობილი სსრ კავშირის სამჭაზის ჩემპიონ გ. ვართანოვის, შემდეგ კი ორგზის ჩემპიონი გ. ხანუკაშვილის, ჩემპიონების შ. გორგასლიძის, ლ. ღუდუშაურისა და ა. ნავასარდოვის სახელები, რომელთაც მხარს უმაგრებდნენ შესანიშნავი ოსტატები, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირო პირველობათა პრიზიორები: ბ. კალაძე, ჯ. მეძმარიაშვილი, თ. მეძმარიაშვილი, მ. ნაბიჭვრიშვილი, ზ. კანდელაკი, ავრეთვე შ. დვალი, გ. დ.რახველიძე, ვ. ძნელაძე და ნ.ხვა.

ვფიქრობთ, ამ სახელოვან ტრადიციას აღდგენა და შემდგომი განვითარება უნდა.

და ბოლოს, იმ პარადოქსის შესახებ, რითაც ეს წერილი დავიწყეთ. ერთი შეხედვით, შეიძლება მართლაც უცნაურად მოგვეჩვენოს ასეთი გამოთქმა — ერთგვარად ჩრდილში იდგა და ჩემპიონობისათვის ემზადებოდაო.

მაგრამ უკანასკნელ ხანს სპორტმა ისეთ დონეს მიაღწია, რომ „ჩრდილში მდგომს“ მაინცდამაინც დიდი წარმატების იმედი არ უნდა ჰქონდეს, რადგან აქ სპორტსმენის უშუალო თვითდამკვიდრებასთან გვაქვს საქმე და თუ მან „ამა ქვეყნის ძლიერთა“ წინაშე მთელი სიმძლავრით არ აიმაღლა ხმა, ისე ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიაღწევს მიზანს.

მაშ რაშია ა. ხიზანიშვილის გამარჯვების საიდუმლოება? ასეთი წარმატება ბომ წლობით, ხშირად მთელი სიცოცხლის განძილზეც კი იქედება (და შეიძლება საწადელს მაინც ვერ მიაღწიო.) აქ კი სულ რადაც ორიოდე წლის განმავლობაში ქართველმა ჭაბუკმა ასეთი თვისობრივი ნახტომი გააკეთა. იქნებ მას ფენომენალური ფიზიკური მონაცემები აქვს? ვფიქრობთ, რომ ამ მხრივ იგი მაინც და მაინც არ უნდა გამოირჩეოდეს, რადგან, აქვე, თბილისის რინგზე, მასზე გაცილებით უფრო ძლიერი პრეტენდენტები იყვნენ! ან იქნებ ამირანი სხვებზე უფრო გამოცდილია? არც ეს იქნებოდა მთლად სწორი, რადგან მისი მეტოქე ფინალში დ. ტროსიანი, მართლაც რომ სატურნირო ორთაბრძოლების ქარცეცხლში გამობრძმედილი სპორტსმენია. ამაზე ყველაზე უფრო მისი ტატულები მეტყველებს.

მაშ რაშია, ბოლოს და ბოლოს, ა. ხიზანიშვილის სიძლიერე?

ხახიათში! დიახ, ნამდვილი მებრძოლის ხასიათში, რომელიც სპორტში ყველა ბუნებრივ მონაცემებზე უფრო მეტად ფასობს. რადგან ეს ის ძალაა, როცა მისი წყალობით ხარ პიელზე შემწნილ ყოველგვარ სიძნელეს ადვილად სძლევს სპორტსმენი, ამასთან ხშირ შემთხვევაში საკუთარ თავსაც. იგი, ერთი შეხედვით, შეუძლებელს შეგაძლებინებს და სწორედ ასეთია ქართველი ჩემპიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკირო იყო ერთი ჯაროდია

იოანა ვილინსკა
(პოლონეთი)

არ გათითრდების ყორანი...

რედაქციაში შემოსულ კაცს ილლიაში ქაღალდის გრაგნილი ჰქონდა ამოჩრილი. ამოვიოხრე და ხელით სკამზე ვანიშნე: სტუმარი სკამის კიდეზე ჩამოჯდა და გრაგნილი მოუხერხებლად დაიდო მუხლებზე.

— რითი შემიძლია გემსახუროთ?

— თუ ნებას მომცემთ, ჯერ რამდენიმე სიტყვას საკუთარ თავზე მოგახსენებთ.

— ბრძანეთ, — ვუთხარი და კიდევ ერთხელ ამოვიხვნეშე.

— მინდოდა, გამეფრთხილებინეთ, რომ პროფესიონალ მწერლად არ ვითვლები.

— დიახ...

— ომამდე კაფელის ქარხანაში ვმუშაობდი.

— კეთილი...

— დიდი ქარხანა იყო, კაფელი ვაგონებით იგზავნებოდა.

— ჰო...

— და აი ერთი ვაგონი დაიკარგა. პირობითი სასჯელი დამედო ერთი წლის ვადით.

— დიახ...

— მერე საავტომობილო სახელოსნოში ვმუშაობდი.

— კი...

— მაგრამ ავტომობილებს ძრავები აქვთ, ჰოდა, სათადარიგო ნაწილები თავსაყრელად მოდიოდა, და რადგან ასე განუსაზღვრელი რაოდენობით მოდიოდა, შეიძლებოდა მისი გატანა და გაზიდვა. ერთი სიტყვით, ეს საეჭვო საქმეშაო არ იყო.

— დიახ...

— წელიწადნახევარი ავიკიდე.

— ჰო...

— სასჯელი რომ მოვიხადე, ბუღალტერიაში გადავედი სამუშაოდ.

ბუღალტერიაში სათადარიგო ნაწილები არა ყრია, ხომ სწორია?

— დიახ...

— მაგრამ სხვა შესაძლებლობაა. ვინმე როგალსკისთან თანამშრომლობა მომიწია. სოლიდარულად ორ-ორი წელი ავიკიდეთ. მაგრამ სწორედ ამ დროს ამნისტია გამოცხადდა.

— კი...

ალბათ, გიკვირთ, ყოველივე ამას რატომ მიყვებაო, მაგრამ ეს აუცილებელია ჩემი მდგომარეობის შესაფასებლად, მე საკუთარ თავს ვებრძოდი, გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ. „წახვალ, შე საძაგელო, — ვეუბნებოდი საკუთარ თავს, — წახვალ სამუშაოდ ისეთ ადგილას, სადაც არაფრის მოპარვა აღარ შეიძლება. აბსოლუტურად არაფრის... დიახ... მაგრამ ეს არც ისე იოლი იყო. ჩვენი მხარე მდიდარია, და ძნელია ისეთი ადგილების პოვნა, სადაც შეუძლებელია რამე არ მოიპარო“.

კერძო სექტორში გადავედი.

— ჰო...

— პოლიციამ ზუსტად იმ მომენტში ჩამავლო, როდესაც საკუთარი მაღაზიის ვიტრინიდან გამომქონდა საქონელი. აქ კი მივხვდი, რომ უკვე საბოლოოდ ხელიდან წასული კაცი ვიყავი! დანაწყენ-რედ მაშინ დავიწყე წერა. ახლა თქვენთვის გასაგებია, თუ რას წარმოადგენს ჩემთვის ეს ხელნაწერი. მინდა მჯეროდეს საკუთარი თავისა. მინდა ვირწმუნო, ჯერ ყველაფერი დაკარგული არ არის-მეთქი და აი შემოქმედებითს საქმიანობას ვეწევი. ძალიან გთხოვთ ეს ნაწარმოები წაიკითხოთ.

გრაგნილი გავხსენი. პოემა იყო. შემდეგი სიტყვებით იწყებოდა:

იყო არაბეთს როსტევან,
მეფე ღმრთისაგან სვიანი..

დიახ, მისი მავნე ჩვევის მსხვერპლი ამჯერად რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ გამხდარიყო.

თარგმნა შ. ამირანაშვილმა



უტექსტოდ

ნახატი ჯემალ ლოლუასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურული ცხოვრების ქრონიკა

ამერიკა

„დიცისა და ჯეინის გასართობი“

გაიცანით იდეალური წყვილი: დიკი — ეროოლსმოსური კომპანიის ინჟინერი; ჯეინი, მისი ცოლი — ახალგაზრდა, თანამედროვე, მომხიბვლელი ქალი. ამერიკის საშუალო კლასის ტიპური წარმომადგენლები. ცხოვრობენ შეანიშნავად მაღლიან კალიფორნიაში და ტკბებიან საკუთარი კეთილდღეობით. აქვთ უახლესი მარკის ავტომანქანა, ახალი სახლი უდგათ.

შემდეგ კომპანიის პრეზიდენტი დიკს კაბინეტში იწვევს; შეხვიეთს, ფირმის საქმე უკან-უკან მიდის და კომპანიას მეტად აღარ სჭირდებიო...

ასე იწყება ამერიკული ფილმი „დიკისა და ჯეინის გასართობი“. დიკს ჯორჯ სიგალი განასახიერებელებს, ხოლო ჯეინს — განუმეორებელი ჯინ ფონდა.

რაღა ქნან ახლა? ჯეინი ხელს იღებს ძვირფას ფრანგულ ღვინოებზე და უფრო იაფ კალიფორნიულს ეტანება. დიკმა ადგილი დაკარგა, მეზობლები აღარ ესალმებიან, შეწყდა კრედიტი მაღაზიაში. გაჭრნენ მეგობრებიც, აქამდე ცოლ-ქმარს კარს რომ უტალახებდნენ. ახეა, დროს თუ ფეხი ვერ აუწევეს. გათავებულია შენი საქმე ამერიკაში.

დიკმა და ჯეინმა ერთხელ კიდევ გაიბრძოლეს. პროიექტით ნახსენები ფულით ყიდულობენ ბიფშტექსსა და კონიაკს და იქნება საქმე გაგვიჩინონო, სადილად ერთ მეგობარს პატიჟინენ. ჯეინი სულ ნერწყვებს ყლაპავს, ბიფშტექსი აღარ ხვდა, სხვა მხრივ, ყველაფერი თითქოს კარგად მიდის. მაგრამ ბოლოს მოდიან ავეჯეულობის ახაწერად და სტუმარი თავქუდმოგლეჯილი გარბის.

დიკი და ჯეინი გადაწყვეტენ იარაღით იბრძოლონ თავიანთი ბედნიერებისათვის, თუმცა ეს იარაღი სათამაშოა. დიკი გაიჭრაზს ქმარში ჯლაბამასის პისტოლეტს, ჯეინი ვვერდით ამოუდგება. თავდაპარველად როგორღაც რცხვენიათ, არაფერი გამოუდიოთ, მაგრამ შემდეგ ხელს იწყავენ — მძარცველები ხდებიან. კერძო პირებს კი არა, მაღაზიებსა და კომპანიებს ძარცავენ.

ისევ გამოკეთდა დიკისა და ჯეინის საქმე, ავეჯს უბრუნებენ, მეზობლები ესალმებიან, მეგობრებიც აკითხავენ. ბოლოს მათ ყოფილი ბოსი პატიჟებს ეროოსმოსური კომპანიის შენობაში.

ცოლ-ქმარი მორიგებით ზვერავს ბოსის კაბინეტის მისასვლელებს, სადაც სეიფში უზარმაზარი თანხა დევს; ხსნიან სეიფს და ჯეინის ჩანთას ფულით ტენიან. მისაღებ ოთახში ყარაული შემოვარდება, სეიფი გაუტეხავთო. შენობაში განგაშია. ყოფილი ბოსი ჯეინის ჩანთას ეცემა, მაგრამ მას აფრთხილებენ, პოლიციამ თუ შენი ნაძარცვი ღოლარების ამბავი გაიგო, კარგად იცი, რაც მოგელისო. ბოდა, კომპანიის პრეზიდენტს თავად გაჰყავს ცოლ-ქმარი პოლიციელების ალეიდან.

და აი, დგება ჩვეულებრივი „ბეკი ენდი“. ეროოსმოსური კომპანიის დირექტორთა საბჭო ხსნის ყეყეტ კომპანიის პრეზიდენტს და მის ნაცვლად დიკს ნიშნავს. ბიზნესს უყვარს გამარჯვებულები.

მორიგი „სიახლე“

რაზეორიც ცნობილია, მოთხოვნილება განსაზღვრავს მოწოდებას. ამიტომ რა გასაკვირია, თუ „ფილმ — კატასტროფეებს“ ეკონომიური წარმატება, ამ ბოლო დროს სოფლავით რომ მომრავლდა დასავლეთში, ყოველნაირად აქეზებს კინომრეწველებს ამ მიმართულებით ახალი „შემოქმედებითი ძიებებისაკენ“. ფილმი „მეტეორი“, რომელსაც ინგლისელი რეჟისორი დონალდ ნიმი დგამს ჰოლივუდში, სწორედ ერთ-ერთი ასეთი „სიახლეა“. ამჯერად მაყურებელს ნერვები მიწოსქვეშა კატასტროფამ უნდა აუწეწოს. მეტროპოლიტენის მატარებელს თავს დაატყდება ხუთასტონიანი ტალახის ზვავი. იმ კინოვარსკვლავთა შორის, ვისაც „ტალახის ავბაზანებს“ მიიება მოუხდებათ, არიან ნატალი ვუდი, შონ კონერი და სხვ. ფილმის შემქმნელთა გრანდიოზული „შემოქმედებითი ჩანფიქრი“, ცხადია, სოლიდურ მატერიალურ საფუძველს ეშყარება. როგორც პრესა იტყობინება, „მეტეორში“ კატასტროფის

სცენა ყველაზე ძვირადღირებული უკანასკნელი წლებში ბოლოვდება გადალებულს შორის.

ეგვიპტე

უცნობი პირამიდა

უჩვეულო აღმოჩენა ხვდა წილად ჩეხოსლოვაკიის ეგვიპტოლოგიის ექსპედიციას; ამუ-სირის ეგვიპტური პირამიდების სამხრეთ რაიონებში არქეოლოგებმა აღმოჩინეს უცნობი პირამიდა. აქ დაკრძალულია მეხუთე დინასტიის ფარაონ ნეფერირარეს (დაახლოებით ოცდამეხუთე საუკუნე ჩვენს ერამდე) ცოლი, დედოფალი კენტაკაუსი.

მეორე აღმოჩენა ფფერთოებს ჩვენს ცოდნას ამ დინასტიის კიდევ ერთ წარმომადგენელზე — ფარაონ ისესის ქალიშვილზე კერეკეტნებთზე, ვისი მხოლოდ სახელი იყო ცნობილი. მეფის ასულის აკლდამაში იპოვეს დიდძალი ალებასტრისა და სპილენძის ჭურჭელი.

იტალია

ვეზუვიის ლავის ქვეშ

ცნობილია, რომ ვეზუვიის ამოფრქვევამ 79 წელს ჩვენს ერამდე სამი ქალაქი შთანთქა: პომპეი, ჰერკულანუში და სტაბია. მაგრამ ანტიკურ წყაროებში აღნაშნულია, ამას გარდა კიდევ ერთი ქალაქი ოპლონტა დაიღუპაო. ოპლონტი თურმე მდიდარი რომაელების დასასვენებელი ადგილი ყოფილა. მაინც სად იყო ეს ქალაქი?

იტალიელმა არქეოლოგებმა ოპლონტა რომაულ სამხედრო რეკიას იპოვეს და როცა მისი ადგილსამყოფელი თანამედროვეობას შეუფარდეს, ეს ძველისძველი ქალაქი ახლანდელი პატარა ქალაქის ტორეს შუაგულში აღმოჩნდა, ნეაპოლის მახლობლად. ადგილობრივ ხელისუფლებათან ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ მეცნიერებს გამოუყვეს ადგილი გათხრებისათვის. და აი, ამას წინათ, გაქვავებული ლავის ექვსსაუკუნოვანი ნაშრეგის ქვეშ არქეოლოგებმა გათხარეს ოპლონტის ერთ-ერთი ქუჩა. თხრილში მეცნერები უზარმაზარი ვილის ეზოში გაიცვალნა. მდიდარი რომაელის სახლი 150-150 კვადრატულმეტრიანი რამდენიმე დარბაზისაგან შედგებოდა.

ახე და ამგვარად, ოპლონტი ნაპოვნია, მაგრამ გათხრები შემდეგ სიძნელეებს წაეწყდა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ არქეოლოგებს მოთხოვეს, ვილა ტურისტების ატრაქციონად გადაკეთებეთ, მხოლოდ ამ პირობით დათანხმდებიან ისინი აიღონ რამდენიმე სახლი და პატარა ფაბრიკა; გათხრები მხოლოდ ამის შემდეგ გაგრძელდება.

სკანდინავია

გამოჩენილი კინოვარსკვლავი

ცნობილია მსახიობმა ლივ ულმანმა დაამთავრა გამოსვლა ნიუ-იორკში, იუჯინ ონილის პიესაში „ანა კრისტი". სპექტაკლმა დიდძალი მაყურებელი მიიზიდა. ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი ქალაქის ყურნალისტებმა საოცრად თბილად მიიღეს ულმანი, ყველაზე საქებარი სიტყვებით შეამკეს იგი. იმპრესარიომ კონტრაქტის გაგრძელება შესთავაზა, მაგრამ მსახიობმა შინ, ოსლოში ეჩქარებოდა, სადაც ათ წლის ლინი ელოდებოდა, მისი და სახელგანაქმული შვედი რეჟისორის ინგმარ ბერგმანის ასული. ბერგმანათან შეხვედრა გადაწყვეტი აღმოჩნდა ლივ ულმანის პირად და არტისტულ ცხოვრებაში. ლიემა იგი პირველად 24 წლისამ იხილა.

„ერთხელ, როცა მე და ჩემი საუკეთესო მეგობარი ბიბი ანდერსონი სტოკჰოლმის ქუჩებში დავსეირნობდით, ... ინგმარმა ლივ ულმანი, პირისპირ შევეჯახეთ ინგმარს. ბიბი გამოელაპარაკა, მე უყურადღებას არ მაქცევდნენ, უცად ბერგმანი ჩემსკენ შემობრუნდა, მეც შეეხედე და... სულთქვა შემეკრა. მკოთხა, ამ ზაფხულს ბომ არ გეცლებიათო და კინოში გადალება შემომთავაზა. ცხადია, სიხარულით დავეთანხმე, რადგან ბერგმანის ფილმებში ყოველთვის სულელის ხიღრმემდე შემძრავდნენ ხოლმე. განა ვიფიქრებდი, რომ ოდესმე მასთან მუშაობა მომიხდებოდა. გადალების პირველ კვირაში იმდენად დამფრთხალი ვიყავი, რომ თამაში არაფრით არ გამომდიოდა. ინგმარი თურმე იმასაც კი ფიქრობდა, რაღაც საბაბით შეეწყვიტა გადალება, მაგრამ საბედნიეროდ, მალე დავძლიე კაუბედობა".

იმ დაუფიწყარ ზაფხულში ულმანმა არა მარტო თამაშია ცნობილი რეჟისორის პირველ კინოსურათში (ბერგმანის უკანასკნელი ფილმი ლივ ულმანისთვის მისი რეჟისორობით გადალებული მეათე სურათია), არამედ მისი ცხოვრების თანაშეგზავრიც გახდა. ამ ბოლო დროს გამოცემულ წიგნში, რომელშაც სენსაცია გამოიწვია და რამდენიმე ენაზე ითარგმნა, ლივმა დიდი შინაგანი კულტურითა და ტაქტით აღწერა ბერგმანთან ერთად გატარებული ქორშზლიანი ხუთი წელი.

„ინგმარი ერთი მთელიანი ბუნების კაცზე ოცნებობდა, — ინგრიდს ულმანი, — მე კი ქარის დაბერისთანავე ათას ფსიქოლოგიურ სტრუქტურად ვიხლიჩებოდი".

ლივის და ბერგმანის ვიგვინა 12 წლისაა, ოცნებობს მოცეკვავეობაზე. მამამ იგი კინოშიც კი გადაიღო. დედასა და შვილს ორი სახლი უდგათ, კედლები თეთრადაა შეფფეთქილი, ოთახებში ყველგან წი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გნები და ფირფიტები აწყვია. აატარა ლინინსთვის მიხი საქვეყნოდ ცნობილი დედა ჩვეულებრივი დედაა და მეტი არაფერი. ლივ ულმანი გაურბის ჟურნალისტებს, მთელ თავისუფალ დროს შინ ზის. დედა და შვილი ხშირად ფოტოცლავენ ხოჯახო ალბომს და ათვალიერებენ იაპონიაში გადაღებულ ფოტოსურათებს, სადაც ლივმა ადრეული ბავშვობა გაატარა, დიდხანს დაჰყურებენ კანადაში, ნორვეგიასა და შვეიცარიაში გადაღებულ სურათებს, ჰოლივუდის სამახსოვროც ბევრი აქვთ, თუმცა მსახიობი სეპტიკურადაა განწყობილი ჰოლივუდის მიმართ: „უთუოდ სასიამოვნოა ილაპარაკონ შენზე, ყველა ინტერესით შემოგაკქროდეს, მაგრამ მხოლოდ ცოტა ხანს. რამდენიმე ასეით დღის შემდეგ ერთი სული მაქვს გამოვიხურო კარი, მივატოვო ყველაფერი და ოსლოში დავბრუნდე; იმიტომ დავბრუნდე, რომ სარკეში ჩავიხედო და საკუთარ თავს ვუთხრა: „მხოლოდ და მხოლოდ ლივ ულმანი ხარ და სხვა არავინ“.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მისალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შალვა დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-26-35, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 99-85-81, პროზის — 72-26-30, ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-62, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-43-75.

გადაეცა ასაწყობად 15. 3. 78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 28. 4. 78 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. საღრ.-საგ. თაბახი 15,35. შეკვ. № 841. უე 00716. ტირაჟი 32.300.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ

ИНДЕКС 76236